დავით ხახუტაიშვილი

სამტრომეული

გამომცემლობა
„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2009

დავით ხახუტაიშვილი



85

დავით ხახუტაიშვილი

შავიზღვისპირეთის ქართველური ტომები ბერძენ-ლათინი მწერლების ცნობებით

ცნობილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. დავით ხახუტაიშვილის შრომათა სამტომეულის I ტომში წარმოდგენილია ნაშრომი „შავიზღვისპირეთის ქართველური ტომები ბერძენ-ლათინი მწერლების ცნობებით“. მასში შესწავლილია აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არსებული ვითარება ძვ. წ. IV საუკუნიდან ახ. წ. VI საუკუნემდე. ავტორი სხვადასხვა კუთხით აშუქებს კოლხურ ტომთა თავგადასავალს, კერძოდ, მათ ეთნიკურ ვინაობას, განსახლების არეალს, სამეურნეო, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების საკითხებს, რაც აისახა ძველბერძნულ და ლათინურ წერილობით ტრადიციაში.

წიგნი განკუთვნილია როგორც სპეციალისტებისათვის, ასევე საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

სამტომეულის რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნანა ხაზარაძე**

ტომის რედაქტორი აკადემიური დოქტორი, ა/პროფ **ნანა ხახუტაიშვილი**

რეცენზენტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ვახტანგ შამილაძე**
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ოთარ ჯაფარიძე**

წიგნი გამოდის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

ISBN 978-9941-409-40-0 (საერთო)
ISBN 978-9941-409-42-4 (I ტომი)
© გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2009

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა 6

შესავალი

§1. წყაროები და ლიტერატურა 7

§2. ქართველ-ქართველური ტომები ძვ. წ. X-VII სს.-ში 17

თავი I – შავი ზღვის სანაპიროს ქართველური ტომები ძვ. წ. VI-I სს.-ში

§1. ქართველურ ტომთა გავრცელების რაიონი შავი ზღვის სანაპიროზე 22

§2. სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა VI-I სს. 59

§3. პოლიტიკური მდგომარეობა ძვ. წ. VI-II სს. 114

§4. პონტოს სამეფო და კოლხეთი 123

§5. ელინისტური კულტურა და კოლხეთი 130

თავი II – შავი ზღვის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ქართველური ტომები ახ. წ. I-VI სს.

§1. სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა I-IV სს. 140

§2. პოლიტიკური მდგომარეობა I-IV სს. 152

§3. ლაზიკის (ზანთა) სამეფო და მისი ადგილი საქართველოს ისტორიაში 163

ლიტერატურისა და წყაროების სია 175

წინასიტყვაობა

დ. ხახუტაიშვილის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შავიზღვისპირეთის ქართველი და ქართველური ტომების ადრეული ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხებს. მეცნიერი ამ საკითხების კვლევას 1951 წლიდან შეუდგა, როცა აკად. ნ. ბერძენიშვილის წინადადებით, საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომის თემად დაუმტკიცეს „შავიზღვისპირეთის ქართველური ტომები ბერძენ-ლათინი მწერლების ცნობებით“. ეს არის პირველი შემაჯამებელი მონოგრაფია, სადაც ქართველოლოგიის განვითარების იმდროინდელი დონის შესაბამისად, შესწავლილია შავიზღვისპირეთის ქართველურ ტომთა ეთნიკური ისტორიის, სამეურნეო და სოციალური განვითარების, საისტორიო გეოგრაფიის, ნივთიერი კულტურის მრავალი საკითხი, შესაძლებლობის ფარგლებში კრიტიკულად განხილული და შეფასებულია სპეციალური ლიტერატურა და წყაროები.

სადისერტაციო ნაშრომიდან ჩანს, რომ ავტორი მეტი დამაჯერებლობისათვის, ქართული თარგმანის პარალელურად, იყენებს შესაძლებლობას – ორიგინალში შეამოწმოს ბერძენი და ლათინი ავტორების ცალკეული მნიშვნელოვანი ცნობები. ნაშრომს, რომელზე მუშაობაც დ. ხახუტაიშვილმა 1954 წელს დაასრულა და რომლის საჯარო დაცვა 1955 წლის 22 აპრილს შედგა, ოფიციალურმა ოპონენტებმა – აკად. გ. მელიქიშვილმა და პროფ. შოთა მესხიამ მაღალი შეფასება მისცეს. სამწუხაროდ, ავტორს შემდგომში აღარ უცდია აღნიშნული მონოგრაფიის გამოქვეყნება, თუმცა გარკვეული სამეცნიერო დირებულება მას დღესაც, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგაც არ დაუკარგავს. ნაშრომში შესწავლილია აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არსებული ვითარება ძვ. წ. IV საუკუნიდან ახ. წ. VI საუკუნემდე. მასში ავტორი სხვადასხვა კუთხით აშუქებს კოლხურ ტომთა თავგადასავალს, კერძოდ, მათ ეთნიკურ ვინაობას, განსახლების არეალს, სამეურნეო, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების საკითხებს, რაც აისახა ძველბერძნულ და ლათინურ წერილობით ტრადიციაში.

2009 წელს ქართულმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა ღვაწლმოსილი მეცნიერის დაბადებიდან 85 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით, გადაწყდა გამოიცეს მეცნიერის შრომების სამტომეულის გამოცემა.

I ტომში წარმოდგენილი ნაშრომი „შავიზღვისპირეთის ქართველური ტომები ბერძენ-ლათინი მწერლების ცნობებით“ ქვეყნდება უცვლელად, ავტორისეული სტილის სრული დაცვით.

რედაქტორისაგან

შ ე ს ა ვ ა ლ ი

§1. წყაროები და ლიტერატურა

შავი ზღვის სანაპიროს ქართველი ტომების ისტორიის მკვლევარს, ძვ. წელთაღრიცხვის VI საუკუნის შემდგომ პერიოდთან შედარებით, მრავალფეროვანი მასალა მოეპოვება როგორც წერილობითი, ისე ნივთიერი კულტურის ძეგლების სახით – შევსებული ეთნოგრაფიული და ანთროპოლოგიური მონაცემებით. უკანასკნელი რიგის მასალის ერთი ნაწილი უკვე კარგა ხანია შესულია სამეცნიერო მიმოქცევაში, ნაწილიც ელის თავის რიგს და თანდათანობით დგება საისტორიო მეცნიერების სამსახურში.

* * *

წერილობითი ცნობები შავი ზღვის სანაპიროს ქართველი ტომების შესახებ პირველად ბერძნულ მწერლობაში ჩნდება. ძველ-ბერძნული მითოლოგიისა და ლიტერატურის შესწავლა ცხადყოფს, რომ ბერძნებს შავი ზღვის სანაპიროების შესახებ ძვ. წ. IX-VII სს. მეტად ბუნდოვანი და თანაც ხშირ შემთხვევაში სხვათა მეშვეობით შენაძენი წარმოდგენა ჰქონდათ. ასეთ შუამავლად ***უსლარს*** ფინიკიელი ზღვაოსნები ჰყავს ნაგულისხმევი.[1] იგი ვარაუდობს, რომ შავი ზღვის სანაპიროებზე კოლონიების დაარსების პირველობის პალმა ბერძნებს კი არ უნდა ეკუთვნოდეთ, არამედ არაბერძნული წარმოშობის ტომებს, რომლებიც გაბატონებული იყვნენ ეგეოსის არქიპელაგის რაიონში ბერძნების გამოჩენამდე და ხელთ ჰქონდათ შავი ზღვის კარები.[2]

ძვ. წელთაღრიცხვის VI საუკუნისათვის უკვე ჩნდება პირველი კონკრეტული ცნობა შავი ზღვის სანაპიროების ტომთა შესახებ – უკვე ჩანს, რომ ბერძნები უშუალოდ გასცნობიან ამ რაიონს. მართლაც, ამ ხანაში აქ უკვე უნდა არსებულიყვნენ ბერძნული სავაჭრო ფაქტორიები. რაც უფრო ძლიერდება ბერძენთა ლტოლვა პონტოსაკენ, რასაც განსაკუთრებით ათენის საზღვაო სახელმწიფოს წარმოშობა უწყობს ხელს, მით უფრო მდიდრდება ცნობები. მეორე მხრივ, ბერძენ-სპარსელთა ომები აცნობს ბერძნებს ქართველურ ტომებს, რომლებიც აქემენიდთა ირანის მოხარკე-მოკავშირეები იყვნენ ძვ. წ. აღ. VI-V

---

[1] Услар П., Древнейшие сказания о Кавказе, ЗКОРГО, Тб., 1981, стр. 404-405.
[2] იქვე, გვ. 411-412.

საუკუნეებში და უნებლიეთ მონაწილეობას იღებენ სპარსელთა ლაშქრობებში მცირე აზიისა და ბალკანეთის ბერძნების წინააღმდეგ.

პირველი კონკრეტული ცნობა ქართველ ტომთა შესახებ ***ჰეკატე მილეთელთან*** გვაქვს დაცული (ძვ. წ. აღ. VI-V სს. I ნახევარი). ნაშრომები, რომელთა დაწერა მას 490 წელს დაუმთავრებია, ჩვენამდე მცირე ფრაგმენტების სახით არის მოსული (და დაცულია სტეფანე ბიზანტიელის, ამიანე მარცელინის, აპოლონ როდოსელის, სქოლიასტის და სხვათა შრომებში). ფრაგმენტებში „დედამიწის აღწერა"-დან შემონახულა ცნობები ქართული თუ ქართველური ტომების: კოლხების, მესხების, მოსინიკების, მაკრონების, კორაქსების, კოლების, ტიბარენების, ხალიბებისა და სხვათა შესახებ.[3] ჰეკატე მილეთელი პირველი ლოგოგრაფოსია, რომელიც ცდილობს თავის წყაროებს (მითები, გადმოცემები და ა.შ.) კრიტიკული თვალით შეხედოს.[4] ჰეკატეს ცნობები ქართველ ტომებზე მშრალია და შეიცავს ტომების ჩამოთვლას – ზოგჯერ ტერიტორიისა და ეთნიკური მიკუთვნებულობის აღნიშვნით.

მოთხრობითი ხასიათისა და თანაც ძვირფასი შინაარსის მქონე ცნობებს გვაწვდის V საუკუნის ისტორიკოსი, „ისტორიის მამად" წოდებული ***ჰეროდოტე*** ჰალიკარნასელი (484-425 წ.წ.) ვარაუდობენ, რომ ჰეროდოტემ სხვა ქვეყანათა შორის იმოგზაურა პონტოს სანაპიროებსა და კოლხეთში, რაც აისახა კიდეც მის „ისტორიაში". იგი წყაროდ იყენებს ზეპირ ტრადიციებს, პირად დაკვირვებებსა და წერილობით ძეგლებს (ლოგოგრაფოსები, ოფიციალური დოკუმენტები და აღწერილობანი, ეპიგრაფიკა),[5] მაგრამ ხშირად მას მეტად სჯერა თავისი წყაროებისა და მის ნაშრომში არა ერთი ზღაპრული მონათხრობია მოცემული; იქა-აქ, სადაც მას თავისი მოგზაურობის მასალები აქვს გამოყენებული, ჩანს, რომ იგი წინასწარ აღებულ აზრს თავს ახვევდა თავის მთხრობელებს.

ცხადია, ჰეროდოტეს ცნობებს ხელაღებით არ უნდა დაენდოს მკვლევარი, მაგრამ საკონტროლო წყაროების მოშველიებით ირკვევა, რომ ბევრი მისი ცნობა რეალური სინამდვილის ამსახველია და ძვირფას მასალას წარმოადგენს შავი ზღვის სანაპიროების ტომების ისტორიის, ეთნოგრაფიისა და საისტორიო გეოგრაფიის შესასწავლად. აღმოსავლურ-ქართული ტომების შესახებ, ჩანს, მას ძალიან ცოტა რამ

---

[3] Латышев В., Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, I, СДБ, 1898 г. стр. 1-3

[4] ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1949 წ. გვ. 34; I, თბ., 1950 წ., გვ. 454.

[5] ყაუხჩიშვილი ს., დასახ. ნაშრ., I, გვ. 457-460.

სცოდნია. აქ მისი წყაროები ბაბილონელი ქურუმების და სპარსეთის სამეფოს ოფიციალური დოკუმენტების ცნობებით იფარგლება.

შემოწმებით ირკვევა, რომ ჰეროდოტეს ცნობები კოლხების მეურნეობის, მათი ზნე-ჩვეულებების, შეიარაღების, ტერიტორიის, პოლიტიკური მდგომარეობის და ა.შ. შესახებ რეალური ვითარების ამსახველია.

შავი ზღვის სანაპიროს ქართველ ტომებზე მდიდარი მასალაა დაცული ცნობილი ბერძენი ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის ***ქსენოფონტის*** (444-354 წწ.) ნაშრომებში, განსაკუთრებით კი „ანაბასისში". 401 წელს ქსენოფონტი ლაშქრობაში გაყვა მცირე აზიის სატრაპ კიროს მცირეს, რომელიც სამეფო ტახტს ეცილებოდა უფროს ძმას არტაქსერქსეს. 401 წელს კუნაქსასთან ბრძოლაში კიროს მცირე მოკლული იქნა და ბერძენთა დაქირავებული ლაშქარი, რომელიც მცირე აზიასა და ბალკანეთში უნდა დაბრუნებულიყო, გზამოჭრილი აღმოჩნდა, რის გამოც იგი მდ. ტიგროსს შეუყვა, ტავრეთი გადალახა და ტრაპეზუნტთან შავ ზღვაზე გავიდა, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს მიყვა და სამშობლოში დაბრუნდა. „ანაბასისი" ამ ლაშქრობის ერთგვარი დღიურია, შედგენილი ერთ-ერთი მოლაშქრე-მეთაურის მიერ.

ბერძენთა ლაშქარმა არმენიის გავლის შემდეგ გაიარა რიგი ქართველი ტომებისა და მათი თემების ტერიტორიაზე. ნაშრომი, ძირითადად, ამ გზისა და მის სიგრძეზე ბერძენთა თავგადასავლის აღწერილობას წარმოადგენს. მასში მოვლენები ათენელი ოლიგარქის მსოფლმხედველობის პრიზმაშია გადატეხილი და იქა-აქ არც ტენდენციურობისაგანაა დაზღვეული, რაც ბერძენ მოლაშქრეთა ვაჟკაცობისა და ფიზიკურ-ინტელექტუალური ღირსების განდიდების მცდელობითაა ნაკარნახევი. სწორედ ის გარემოება, რომ აქ საქმე გვაქვს აღწერილობით მასალასთან, ზრდის „ანაბასისის" მნიშვნელობას, როგორც ძვირფასი საისტორიო წყაროსი. მასში მკითხველი მნიშვნელოვან ცნობებს პოულობს შავი ზღვის სანაპიროებზე მცხოვრები ტომების ისტორიის, გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიისათვის. ქსენოფონტის გავლენა, უფრო სწორად, მისი გამოყენება წყაროდ, ბერძნულ-საისტორიო მწერლობაში თვით ბიზანტიურ ხანაშიც კი გრძელდება.[6]

ბერძენთა ცოდნა აზიის ხალხებზე განსაკუთრებით გაზარდა ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებმა აღმოსავლეთში, და ელინისტური ხანა იძლევა ისტორიკოსთა საკმაოდ ძლიერ პლეადას (არისტობულე, კალისთენე, „მეფის დღიურების" ავტორები, ერატოსთენე, პოლიბიოსი, პოსიდონიოსი, დიოდორე სიცილიელი, დიონისე ჰალიკარნასელი...),

---

[6] ლიტერატურა: ყაუხჩიშვილი ს., დასახ. ნაშრ. II, გვ. 48-56; SC, I. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I; მისივე, საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძირითადი ისტორიულ-ეთნოლოგიული პრობლემები, თბ., 1950.

რომელთა შრომებში იქა-აქ მოიპოვება მასალები კავკასიის ისტორიისათვის; კავკასიას ალექსანდრეს ლაშქარი არ უნახავს და რადგან ელინისტური ხანის მწერლობის ძირითადი თემა ალექსანდრეა, მასში კავკასიის შესახებ მასალა უფრო სუსტადაა წარმოდგენილი.

წინა აზიისა და შავი ზღვის სანაპიროების შესახებ ცნობების შემდგომი გამრავლება ანტიკურ ლიტერატურაში რომაელთა ექსპანსიისა და იქ დამკვიდრების ხანაზე მოდის. კავკასიის შესახებ ცნობები განსაკუთრებით ძვ.წ. I საუკუნეში მრავლდება, როდესაც რომაელები ატარებენ ომების მთელ რიგს პონტოს მეფის მითრიდატეს წინააღმდეგ (სულა, ლუკული, პომპეუს დიდი). პონტოს სამეფოს ძირითადი ეთნიკური ბირთვი ქართველური იყო და მითრიდატეს ომების ისტორიკოსები ბევრ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან შავი ზღვის სანაპიროებისა და ამიერკავკასიის პოლიტიკურ-ეკონომიური ისტორიის, საისტორიო გეოგრაფიისა და ეთნიკური შემადგენლობის შესწავლისათვის.

ამ პერიოდის საისტორიო ლიტერატურის ყველაზე ბრწყინვალე ძეგლად ***სტრაბონის*** „გეოგრაფია“ გვევლინება. წარმოშობით პონტოელი ბერძენი (ქ. ამასიიდან), ისტორიკოსი და ანტიკურობის უდიდესი გეოგრაფოსი სტრაბონი (ძვ.წ. 64 – ახ.წ. 23 წ.), რომელმაც ანტიკურ ლიტერატურაში „გეოგრაფოსის“ სახელწოდება დაიმსახურა, ისე როგორც ***ჰომეროსმა*** „პოეტისა“, განაზოგადებს იმ მასალას, რაც ელინურ და ელინისტურ ლიტერატურას დაუგროვებია ძვ.წ. I საუკუნემდე (ჩათვლით). „გეოგრაფიაში“ უძვირფასესი ცნობებია მოცემული პონტოს სანაპიროებისა და ამიერკავკასიის ხალხების შესახებ, რისთვისაც იყენებს როგორც წინადროინდელ და მის თანამედროვე ავტორებს, ისე საისტორიო რიგის სხვა წყაროებს. სტრაბონის წყაროების ძიება – შემოწმებისა და დათარიღებისათვის მუშაობა, მიუხედავად დიდი ხნის ტრადიციისა, უახლოეს ისტორიოგრაფიაშიც გრძელდება, რადგან წყაროთა დაუდგენლად მისი ცნობების გამოყენებამ შეიძლება მკვლევარს მიუტევებელი ანაქრონისტული თუ სხვა ხასიათის შეცდომა ჩაადენინოს.[7] თავის წყაროებს სტრაბონი კრიტიკულად ეკიდება და ცდილობს საბუთების მოტანით მკითხველიც დაარწმუნოს, თუ რატომ აძლევს უპირატესობას ერთ წყაროს მეორის წინაშე. უმრავლეს შემთხვევაში იგი თავის წყაროებს ასახელებს კიდევაც. სტრაბონი თავის შრომაში მიზნად ისახავს მოგვცეს გეოგრაფიული მასალა, მაგრამ გზადაგზა იძლევა ცნობებს ისტორიის, ეთნოგრაფიის, მეურნეობის, აღებმიცემობის, მშენებლობის, სოციალური მდგომარეობის, ტანსაცმლის, ეთნიკური მიკუთვნებულობის, ტერიტორიული გავრცელების და სხვათა შესახებ.

---

[7] ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1949 წ., გვ. 191-192.

სტრაბონის ცნობები განსაკუთრებით მდიდარია და სანდო შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროების შესახებ. ეს გასაგებიცაა – იგი ხომ პონტოს ამასიიდანაა.[8]

რომაელთა ხანის საისტორიო მწერლობის ჩვენთვის საინტერესო ავტორების ასეთი ზოგადი გაცნობაც კი, ალბათ, რამდენიმე ათეულ გვერდს დაიკავებდა, რისი გადმოცემის საჭიროებასაც, წყაროთმცოდნეობითი ლიტერატურის ეხლანდელი დონის პირობებში, აქ ვერ ვხედავთ და ამიტომ მხოლოდ შემდგომი ავტორების, ისიც წამყვანის, ჩამოთვლით დავკმაყოფილდებით. ესენია: პლინი სეკუნდი, პომპონი მელა, ოვიდი ნაზონი, კორნელი ტაციტუსი, იოსებ ფლავიუსი, პლუტარქე, არიანე, დიონ კასიოსი, დიონისე, კლავდი პტოლემაიოსი, ამიანე მარცელინი, პრისპე პანიონელი და სხვები. ამ ჯგუფიდან შეიძლება ცალკე გამოიყოს ფლავიუს არიანე (ახ. წ. II ს.) მისი ცნობილი „Περίπλους“-ით, რომელიც ზოგი მკვლევარის აზრით 134 წელსაა დაწერილი (ვ. ლატიშევი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია), ზოგისაც კი – 131 წელს. იგი წარმოადგენს ოფიციალურ მოხსენებას, რომელსაც რომის იმპერატორს უგზავნის მისი მცირეაზიელი მოხელე პონტოს სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროს შემოვლის შემდეგ. არიანეს ცნობები ფასდაუდებელია როგორც საისტორიო გეოგრაფიისათვის, ისე პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებისათვის. ამასთან, იგი საშუალებას იძლევა შევსებული იქნას იმ ხანის ეთნიკური რუკა.

ძვირფასი ცნობები აქვს დაცული ჩვენთვის საინტერესო ტომებზე ბიზანტიელ ავტორებს. ამ მხრივ განსაკუთრებით პროკოპი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი, მენანდრე პროტიქტორი, თეოფანე ბიზანტიელი, იოანე მალალა, და „პასქალური ქრონიკის“ ავტორი უნდა გამოიყოს. პროკოპი კესარიელი (ავტორი შრომებისა: 1. De bello perrsico, 2. De bello vandalico, 3. De bello gothico, 4. De aedificiis, 5. Arcana historia) VI საუკუნის მწერალია. მის შრომებში დაცულია უძვირფასესი ცნობები შავი ზღვის სანაპიროს ქართველ ტომებზე. მისი ცნობები მით უფრო ძვირფასია, რომ მას თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის მეოხებით, ხელი მიუწვდებოდა ბიზანტიელი მეფეების არქივზე და საშუალება ჰქონდა იმპერიის საგარეო და საშინაო პოლიტიკის კურსში ყოფილიყო. თავისი შრომების დაწერისას იგი იყენებს როგორც საარქივო მასალებს, ისე პირად დაკვირვებებს, რომაელთა ჯარების სარდლების მოხსენებებს და წინარე ხანის ავტორთა შრომებს. იგივე შეიძლება ითქვას აგათია სკოლასტიკოსსა და მის შრომაზე

[8] ჯანაშია ს., პარიადრი, სკიდასი, მოსხური მთები, შრომები, II, თბ., 1952 წ. გვ. 268-269.

(Περί Ἰουστινιανοῦ βασιλεία). აგათიას თავისი შრომის დაწერისას დამატებით სპარსული არქივების მასალებიც გამოუყენებია (IV, 30). იგი პროკოპის უმცროსი თანამედროვეა და თავისი შრომით აგრძელებს მას. წყაროებზე (საარქივო მასალები, ელჩების მოხსენებები) ჩანს აგებული მენანდრეს შრომაც, რომელიც აგათიას აგრძელებს და მისი უმცროსი თანამედროვეა.

ჩვენს მიერ ზემოთ მითითებული ბიზანტიელი ავტორები, VI საუკუნის ლაზიკის ისტორიის შესწავლისათვის ძირითად წყაროს წარმოადგენენ. მათთან ვპოულობთ მასალებს როგორც საისტორიო გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიისათვის, ისე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის.

* * *

მიუხედავად წერილობითი წყაროების რაოდენობრივი სიუხვისა და ავტორების მრავალრიცხოვნებისა, მათი შინაარსობრივი მხარე იმდენად მწირია, რომ მათი მეშვეობით შავი ზღვის სანაპიროების ქართველ ტომთა ჩვენთვის საინტერესო ხანის ისტორიის გათვალისწინება, შეიძლება თამამად ითქვას, მიახლოებითაც კი შეუძლებელია. ნაწყვეტობა და სიმშრალე, უპერსპექტივობა, წყაროების მიუთითებლობა, ძველი ავტორების დამახინჯებული რედაქტირება, წყაროების ხელაღებით გამოყენება – აი, ანტიკური ლიტერატურის იმ ძეგლთა უმრავლესობის დამახასიათებლობანი, რომელშიც მკვლევარმა შეიძლება ქართველ ტომთა შესახებ მასალა მონახოს.

საბედნიეროდ, დღეისათვის მკვლევარი მარტო წერილობითი წყაროების ამარა არ არის დარჩენილი. ქართული არქეოლოგიის უკანასკნელი პერიოდის მიღწევებმა მას ხელთ მისცა კოლხიდის ***მატერიალური კულტურის*** ძეგლთა დიდად მრავალფეროვანი და მრავალისმეტყველი კოლექციები, რომლებიც გადამწყვეტი მნიშვნელობისანი არიან, როგორც საისტორიო წყაროები. ამ ძეგლების სამეცნიერო მიმოქცევაში შეყვანამ ბევრი, წინათ „ურყევ ჭეშმარიტებად“ აღიარებული დებულება გააცუდა და კიდევ მეტი ახლად ან ახლებურად დააყენა. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ მოპოვებული მასალის საკმაოდ დიდი ნაწილი ჯერაც არაა დამუშავებული და სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანილი, დამუშავებულ-გამოქვეყნებულთაგანაც ნაწილი მანკიერი მეთოდოლოგიური ხერხების გამოყენებითაა „შესწავლილი“. ეს განსაკუთრებით იმ ავტორთა ნაშრომებში იგრძნობა, რომლებიც კოლხიდის

ნივთიერი კულტურის მასალებს ქართველთმცოდნეობისაგან მოწყვეტილად იხილავენ.[9]

ჩვენ არაფერს ვამბობთ რევოლუციამდელ არქეოლოგთა შრომებზე, რადგან ეს ავტორები, ორიოდე გამონაკლისის გარდა, უცხონი იყვნენ არა მარტო ეროვნულად, არამედ ისინი შორს იდგნენ ქართველთმცოდნეობის მართებული გაგებისაგანაც, ურომლისოდაც, ცხადია, ქართული ნივთიერი კულტურის ძეგლების ნამდვილი მეცნიერული ანალიზი წარმოუდგენელია.[10]

დასავლეთ საქართველოს (კოლხეთის) არქეოლოგიური შესწავლა XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო, ძირითადად, არაქართველი არქეოლოგების მიერ, მაგრამ ფართო გაქანება მან XX საუკუნის 20-იან წლების შემდეგ მიიღო, როცა გამოიზარდა წარსულის მკვლევართა, ქართველმცოდნე ისტორიკოსთა, არქეოლოგთა, ენათმეცნიერთა, ეთნოგრაფთა და ა.შ. მთელი პლეადა, რომელმაც მიზნად დაისახა შეექმნა და ხალხის კუთვნილებად ექცია ქართველი ხალხის წარსულის ცოდნა.

კოლხეთის არქეოლოგიური შესწავლა ამ დანასაქმის ერთი საპატიო ნაწილია. ადრევე იგრძნობოდა, რომ კოლხეთის არქეოლოგიურ შემსწავლელს უხვი სამკალი მოელოდა. მართლაც, ჯერ „ენიმკის“, ხოლო შემდეგ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციებმა ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, გ. ნიორაძის, ა. იესენის, გ. გობეჯიშვილის, ნ. ხოშტარიას, ა. აფაქიძის და სხვათა ხელმძღვანელობა-მონაწილეობით, ძველი კოლხეთის მრავალრიცხოვანი ძეგლები გამოავლინეს და შეისწავლეს, რომლებიც ეთნოლოგიურად ადამიანის განვითარების თითქმის ყველა საფეხურს წვდებიან. დაბლაგომის, ეშერის, სოხუმის, ოჩამჩირის, ვანის, რაჭის, ქუთაისის რაიონის, კლდეთის, ურეკის, ვაშნარის, დევის ხვრელის, საგვარჯილეს გამოქვაბულის და სხვა ადგილების არქეოლოგიურმა გათხრებმა მოგვცა ქვის, სპილენძის, ბრინჯაოსა და რკინის ხანის ნივთიერი კულტურის ძვირფასი კოლექციები. მათში საკმაოდაა წარმოდგენილი ანტიკური და ადრებიზანტიური ხანის მასალაც (საერთოდ, ჯერჯერობით, ძეგლების მხოლოდ მცირე ნაწილია შესწავლილი... მხოლოდ 1952 წელს დაიწყო ბერძნული სავაჭრო კოლონიების კოლხური ჯგუფის შესწავლა (ბიჭვინთის გათხრები). ხოლო მდ. ჭოროხს იქით მდებარე ნაწილს კოლხეთისა და ტიბარენული ხალხების ადგილსაც-

---

[9] Апакидзе А., Гобеджишвили Г., Каландадзе А., Ломтатидзе Г., Против маровщины и космополитизма в археологии Грузии, газ. «Заря Востока», 1952 г., 19, VI, (№144).

[10] ბერძენიშვილი ნ., ქართული საბჭოთა არქეოლოგიის ზოგიერთი პრინციპული საკითხისათვის, „მიმომხილველი“, II, თბ., 1951, გვ. 337-347.

ხოვრისს ჯერ ნამდვილი არქეოლოგიური გათხრები არ ღირსებია,[11] რაც ამ ტერიტორიის საქართველოს გარეთ მდებარეობით არის გამოწვეული). აქ გვხვდება: სამეურნეო მდგომარეობის შესასწავლად – ცულები, თოხები, წალდები, სასხლავი დანები, ნამგლები, სატეხები, ქვევრები, ხელსაფქვავები, ცხოველთა ძვლები, ცხენის აკაზმულობანი, კარაქის სადღვებები, აგური, კრამიტი, ხის შენობათა ნაშთები, წყალსადენები, მარმარილოსა და ქვის გათლილი ფილები და კვადრები – კედლებად და მოსაპირკეთებლად, მაღაროები, მადნის სადნობი ღუმელები, ჩასასხმელი ყალიბები, ლითონის ფულები, მადნის სამტვრევი ურoები, საოჯახოდ სახმარი ინვენტარი – დოქები, ხელადები, ქოთნები, თეფშები, თასები, ჭრაქები, ხელსაბანი ტაშტები, საღვინე სურები; საბრძოლო ტექნიკისათვის: ხმლები, საომარი ცულები, ხანჯლები, შუბისა და ისრის წვერები, აკინაკები, ლახტის თავები და ა.შ. სამკაულებისა და ტანსაცმლისათვის – ქსოვილთა ნაშთები, სარტყლის ბალთები, საკიძები (ფიბულები), საავგაროზენი, ბეჭდები (ძვირფას გემიანებიც), საყურეები, სამაჯურები, ყელსაბამები (მასიური და მძივებიანი), დიადემები და ა.შ. აღებმიცემობისათვის: ადგილობრივი და უცხოური მონეტები, უცხო წარმოშობის ნივთები (ეგვიპტური სკარაბეი, ბერძნული ამფორები, ქარვა, მარმარილო და რიგი სხვა, რომელთა აღნუსხვისათვის აქ ვერ შევჩერდებით); კოლხური წარმოშობის ნივთები გვხვდება არა მარტო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ ჩრდ. კავკასიაში, ყირიმში, იბერიაში, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე და ა.შ.

მრავალფეროვანია ის მასალა, რომელსაც იმდროინდელი საზოგადოება იყენებს: ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, ბრინჯაო, რკინა-ფოლადი; თიხა, ქვის სხვადასხვა ჯიში (მარმარილო, ჭადაქვა, კონგლომერანტი, წყლის ტუფი, კირი...), მინა, ქარვა, გიშერი, ლაზური, პასტა, აქატი, ლალი და ა.შ. წარმოების ხელოვნებას უკვე დიდი ტრადიცია აქვს – გრავიურა, ფილიგრანი, მოოჭვა, სევადა და ა.შ. ამ პერიოდში უფრო იხვეწება, წინაურდება, იძენს ახალ ხერხებს.

მოპოვებული მასალა, განსაკუთრებით ნეკროპოლებიდან, ზრდის ჩვენ ცოდნას იმდროინდელი საზოგადოების წარმოდგენებზე. დადასტურებულია დამარხვის რამდენიმე წესის არსებობა (ჩვეულებრივი, „მეორადი“, კრემაციით...), მრავალგვარია თვით სამარხთა ხასიათიც (ურნები, ქვა-ყუთები, ქვევრ-სამარხები, სარკოფაგები, აგურ-ყუთები, გრუნტული, დოლმენების შემდგომი გამოყენება და ა.შ.). სამარხების ინვენტარი გვისურათებს ამ ხანის ადამიანის ავლადიდებას და გვაცნობს მის წარმოდგენებს საიქიო ცხოვრებაზე.

---

[11] Максимова М., О выходе хеттов на южный берег черного моря, ВДИ, 1948, №4, стр. 26.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ნივთიერი კულტურის შესწავლამ ქართველთმცოდნეობას შეაძლებინა ხაზი გაესვა წინარე ხანის ორი კულტურული წრის შემდგომი, უკვე საბოლოო, დაახლოებისათვის. მათ შორის დამახასიათებელი განსხვავებანი ქრება და უკვე ისახება საწყისები იმ ერთიანობისა, რომლის შესახებ გიორგი მერჩულე (X ს.) წერდა: „ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“.

კოლხიდის არქეოლოგიურმა შესწავლამ ბევრი შესძინა ქართველთმცოდნეობას, უდავოა, იგი მომავალში კიდევ მეტს შემატებს მას, რაც ბევრ ახალ დებულებას წამოაყენებს და უკვე დადგენილთ უფრო საბუთიანს გახდის.

* * *

ლიტერატურა: შავი ზღვის სანაპიროზე მოსახლე ქართველი ტომების წარსულის ამა თუ იმ საკითხს, გაკვრითა თუ სპეციალურად, მრავალი მკვლევარი შეხებია, მაგრამ, მცირე გამონაკლისს გარდა, მთავარი ყურადღება საისტორიო გეოგრაფიის საკითხების ძიებას ექცეოდა. ეს გარემოება გამოწვეული იყო როგორც ძიების ხერხების მანკიერებით, ისე წყაროების თავისებურებებით. უკანასკნელნი ძირითადად საისტორიო გეოგრაფიის შესწავლისათვის საჭირო მასალას იძლევიან, ხოლო ტომების სოციალ-ეკონომიური მდგო-მარეობის სურათი მათში მეტად სუსტად ან სრულებით არ არის წარმოდგენილი.

ბერძენ-ლათინი მწერლების ცნობების გამოყენების პირველი ცდები ქართულ ისტორიოგრაფიაში შუა საუკუნეებში გვაქვს დადასტურებული. ამ პერიოდის უდიდეს წარმომადგენლებად ვახუშტი და თეიმურაზ ბატონიშვილი უნდა ვაღიაროთ.

ჩვენთვის საინტერესო ტომების ისტორიაზე უმუშავიათ როგორც ქართველებს, ისე რუსებსა და ევროპელებს.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ევროპელები პირველობენ. შავი ზღვის სანაპიროებს სწავლობენ მეცნიერების სხვადასხვა დარ-გის წარმომადგენლები. ამ პერიოდის ყველაზე დიდი ფიგურაა ფრანგი მეცნიერი ***დიუბუა დე მონპერე***, რომელმაც თავის 6-ტომიან ნაშრომში თავი მოუყარა ყირიმსა და კავკასიაში თავისი მოგზაურობის მასალებს.

XIX საუკუნე და XX საუკუნის დამდეგი იცნობს ევროპელთა მთელ რიგს, რომლებმაც მცირე წვლილი როდი შეიტანეს ქართველი ტომების ისტორიის შესწავლაში. მათ შორის პირველ რიგში უნდა დასახელებულ იქნას ***მარი ბროსე***, რომელმაც თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის დიდი ნაწილი საქართველოს ისტორიის შესწავლას

შესწირა. ამავე პერიოდში მოღვაწეობენ: ***სენ მარტენი, ლემან-ჰაუპტი, კოხი, კიპერტი, ფორერი, ჰროზნი, გელცერი, ჰამილტონი, დე-მორგანი*** და სხვები.

დიდია რუსი მკვლევარების ღვაწლი. ამ მხრივ ცალკე უნდა გამოიყოს ***ლ. ლატიშევი,*** რომელმაც ორტომიან კრებულში თავი მოუყარა ბერძნულ და რომაულ ლიტერატურაში სკვითიასა და კავკასიაზე დაცულ ძირითად ცნობებს. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ხასიათის კრებული, მართალია, დიდი ნაკლოვანებებით, კავკასიის შესახებ პირველად შეადგინა და გამოსცა ***კ. განმა.*** მაგრამ ამ კრებულს არ ახლავს ორიგინალის ტექსტები და მისი სამეცნიერო ღირებულება ამის გამოც მეტად დაბალია.

შავი ზღვის სანაპიროს ტომების ისტორიის ცალკეულ საკითხებს სპეციალურად თუ გაკვრით ეხებიან რუსი მკვლევარები და მოგზაურები: უსლარი, ბრუნი, უვაროვები, კულაკოვსკი, თ. უსპენსკი, ლატიშევი, ალბოვი, პავლინოვი, სიზოვი, კოვალევსკი, როსტოვცევი, ორბელი, ჟებელევი, პახომოვი, ზოგრაფი, მაქსიმოვა და სხვები.

XIX საუკუნის რუს მკვლევართაგან ცალკე უნდა გამოიყოს ***პ. უსლარი,*** რომელმაც მთელი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა კავკასიური ენებისა და კავკასიის ხალხების ისტორიის შესწავლაში გაატარა. მის შრომებში გამოთქმული რიგი დებულებები დღესაც არ არის მოკლებული სამეცნიერო ინტერესს და ახალ-ახალ დასაბუთებებს პოულობენ. მისი ერთ-ერთი კაპიტალური ნაშრომის დიდი ნაწილი სწორედ შავი ზღვის სანაპიროს ქართველი ტომების ისტორიის საკითხებისადმია მიძღვნილი.

იმის გამო, რომ ქართველი ტომების წარსულის შესწავლა უმრავლესობა რუსი და უცხოელი მკვლევარების მიერ ქართველთმცოდნეობის უგულებელყოფის (შეგნებული თუ შეუგნებელი) პირობებში მიმდინარეობდა, ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ უარყო მათ მიერ არჩეული გზა და ისტორიის ქართველთმცოდნეობის სხვა დარგებთან (არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ენათმეცნიერება და ა.შ.) დაკავშირებით, ქართველი ტომების ძველი ისტორიის შესწავლა მკვიდრ და ნამდვილად მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა. საამისოდ ნიადაგი მოწინავე ქართველი ისტორიკოსების მიერ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდანვე მზადდებოდა. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს ***დ. ბაქრაძის, ე. თაყაიშვილის, ი. ყიფშიძის, ს. გიორგაძის, ალ. ხახანაშვილის, ივ. ჯავახიშვილის*** და სხვათა დიდი დამსახურება. ივ. ჯავახიშვილმა თავის შრომებში შეაჯამა ქართველთმცოდნეობის მონაპოვარი XX საუკუნის 20-იან წლებამდე და თავისი დიდი ცოდნისა და ნიჭის წყალობით დიდი ღვაწლი დასდო ქართველი ტომების ძველი ისტორიის შესწავლის საქმეს.

ქართველი ტომების ძველი ისტორიის შესწავლას ნამდვილად მეცნიერული საფუძველი ს. ჯანაშიას შრომებმა შეუქმნეს. მან არაერთი საკითხი დააყენა და გადაჭრა როგორც საისტორიო გეოგრაფიიდან, ისე, და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სოციალურ-ეკონომიური ისტორიიდან. მან, პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში, მეცნიერულად დააყენა ქართული ფეოდალიზმის გენეზისის საკითხი და წყაროების თანამედროვე შესწავლის პირობებში გადაჭრა იგი. ნაადრევმა სიკვდილმა არ აცალა მას მისთვის სასურველი სისრულით დაემუშავებინა ქართული ისტორიოგრაფიის ეს ერთ-ერთი კარდინალური საკითხი. დიდი შრომა გასწია და ეწევა ქართული ფეოდალიზმის წარმოშობისა და ბუნების შესწავლაზე ნ. ბერძენიშვილი, იგი ს. ჯანაშიასთან ერთად მონაწილეობს ქართული ფეოდალიზმის გენეზისის შესახებ იმ კონცეფციის შემუშავებაში, რომელიც უახლოეს ქართულ ისტორიოგრაფიაში სახელმძღვანელო შეხედულებადაა აღიარებული.

დიდი შრომა გასწიეს და ეწევიან ქართველი ტომების ძველი ისტორიის შესწავლისათვის არ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ს. ჟღენტი, გ. მელიქიშვილი, გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე, ს. მაკალათია, გ. ლომთათიძე, ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ალ. კალანდაძე და სხვები.

§2. ქართველ-ქართველური ტომები ძვ. წ. X-VII სს-ში

ძვ. წელთაღრიცხვის II და I ათასწლეულის მიჯნაზე ცენტრალურ და დასავლეთ ამიერკავკასიაში, იმ ტერიტორიაზე, სადაც შემდგომ ახლო აღმოსავლეთის უძლიერესი ფეოდალური სახელმწიფო – საქართველო წარმოიქმნა, გაფორმებას იწყებს ორი კულტურული წრე, რომელიც ლიტერატურაში აღმოსავლურ-ქართულად და დასავლურ-ქართულად იწოდება. ეს ძირითადად ბრინჯაოს კულტურაა და „ქართველი ტომების ორ გაერთიანებას შეესაბამება – დასავლურ-ქართულსა და აღმოსავლურ-ქართულს“.[12]

ამ ორი წრის მატერიალური კულტურის შესწავლის ისტორია გასული საუკუნის მეორე ნახევარში იწყება, ძირითადად, არაქართველი მკვლევარების მიერ, რომელთაგან ზოგი მოუმზადებელი იყო ასეთი მუშაობისათვის, ზოგიც კიდევ ცოდნით აღჭურვილი. „...საქართველოს წარსულსაც კოლონიური თვალით უცქეროდნენ: საქართველოს ისტორიაში ისინი უპირველეს ყოვლისა უცხოურს, მოტანილს,

[12] ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია, I, თბ., 1948, გვ. 27, შემდ.

ნასესხებს ეძებდნენ...“[13] ამიტომ იყო, რომ მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებიც ქართველ ხალხს შეექმნა, დიდხანს მისი შემოქ-მედისაგან მოწყვეტილად განიხილებოდა და თავის დანიშნულებას, როგორც საისტორიო წყაროსი, ვერ ასრულებდა. ასეთ მდგომარეობაში იყო დიდხანს ის მასალა, რომელიც დასავლურ-ქართული წრის რაიონში იქნა მოპოვებული. მას უსამართლოდ აღიარებდნენ უცხო, არაქართველური მოსახლეობის შემოქმედების ნაყოფად. ეს გრძელდე-ბოდა შემდეგაც, როცა დაგროვდა მდიდარი მასალა, რომელიც უკვე სავსებით საწინააღმდეგოს უჩვენებდა, მაგრამ, XX ს-ის 20-30-იანი წლებიდან, როცა ქართველი ხალხი ახალი ცხოვრების მშენებლობას შეუდგა, არნახული გაქანება მიიღო ქართველმცოდნეობამ; იგი მკვიდრ ნიადაგზე დადგა და მზრუნველობით გარემოსილმა ბრწყინვალე წარმატებები მოიპოვა. ამ წარმატებათა შედეგი იყო (ერთ-ერთი), რომ შესაძლებელი გახდა არა მარტო ქართული მატერიალური კულტურის გამოყოფა არაქართულისაგან, არამედ კვლევის იქამდე დაღრმავება, რომ თვით ქართული ბრინჯაოს ხანის კულტურის შიგნით ორი წრის გამოყოფა გახდა შესაძლებელი, რომელიც ზემორე აღვნიშნეთ.

მასალების შესწავლიდან გამოირკვა, რომ ე.წ. „ყობანური“ კულ-ტურის ძირითადი შემქმნელები და მატარებლები კოლხები იყვნენ.[14]

ს. ჯანაშიამ მიუთითა ის ტერიტორია, სადაც ეს კულტურა იყო გავრცელებული. იგი შეიცავდა დღევანდელ დასავლეთ საქართველოს, ჩრ. კავკასიის მთიანეთს თერგის დასავლეთით, ჭოროხის ხეობას და შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს, ე.ი. დაახლოებით იმ ტერიტორიას, რომელიც ანტიკურ პერიოდში კოლხეთადაა ცნობილი.[15]

ძვ. წ. VII-V საუკუნეებში დასავლურ-ქართული და აღმოსავლურ-ქართული წრის მატერიალური კულტურა იმდენად უახლოვდება ერთმანეთს, რომ მათი ცალ-ცალკე განხილვისათვის საფუძველი აღარ არსებობს – აღარ არსებობს ის სპეციფიკური რამ, რაც წინათ ცალკე წრეს ახასიათებდა.[16]

რა ნიშნების მიხედვით ხდება აღნიშნული გაყოფა?

დასავლური წრის მატერიალური კულტურისათვის ძირითადად დამახასიათებელია ე.წ. „კოლხური ცული“ და სქელპირიანი სატევარი, თოხი (წალდიც ?), ხოლო აღმოსავლურ-ქართული წრისათვის ე.წ.

---

[13] ბერძენიშვილი ნ., ქართული საბჭოთა არქეოლოგიის ზოგიერთი პრინციპული საკითხითვის. „მიმომხილველი“, II, თბ., 1951, გვ. 337.

[14] Иващенко М., Материалы к изучению культуры колхов, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, II, თბ ., 1941, გვ. 56-59.

[15] საქართველოს ისტორია, I, თბ., 1948, გვ. 27.

[16] გობეჯიშვილი გ., არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, გვ. 109.

ჩუგლუგი, წარკვეთილი მახვილი, ბრტყელი ისრის პირები, გრძელი შუბის წვერები.[17] იმისათვის, რომ გასაგები გახდეს შავი ზღვის სანაპიროზე მოსახლე ქართველური ტომების ანტიკური პერიოდის ისტორიისათვის დამახასიათებელი მოვლენები, რომლებიც, ბუნებრივია, ამოდიან უფრო ადრეული განვითარების მდგომარეობიდან და მხოლოდ მათი გათვალისწინებით შეიძლება გაგებული იქნან, ზოგად ხაზებში მოვხაზოთ დასავლურ-ქართული წრის კულტურის მატარებელი ქართველური ტომების სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა ძვ. წ. X-VII საუკუნეებში – ესაა დაწინაურებული მიწათმოქმედების, მესაქონლეობისა და მელითონეობის ქვეყანა, რომელსაც კულტურულ-ეკონომიური კავშირები აქვს აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებთან. ამ ხნის მატერიალური კულტურის ნაშთებში ვხვდებით როგორც ეგვიპტურ-ფინიკიური სამყაროდან, ისე სკვითურ-სარმატული და ასირიულ-ურარტული ქვეყნებიდან მომავალ ნივთებს.

აღმოჩენილია ამ პერიოდის სამიწათმოქმედო იარაღების საკმაოდ დიდი რაოდენობა,[18] რომელიც ბრინჯაოსაგანაა გაკეთებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია თოხები, რომელთა ფორმები დიდად როდი განსხვავდება დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონებში დღეს ხმარებული მსგავსი იარაღისაგან.[19] ის გარემოება, რომ ამ დროის მასალებში ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის სახნისი, არ უნდა მიგვითითებდეს აქ ნიადაგის მოხვნითი დამუშავების არარსებობაზე. თუ მთის მოსახლეობაზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიწის დამუშავებას იგი ძირითადად თოხით აწარმოებდა, რაც მთის განსაკუთრებული

---

[17] ლიტერატურა: ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია, I, 1948, Иващенко М., Материалы к изучению культуры колхов, 1941, (მასალების ნაკ. II). Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, изд. ГАИМК, 1935, გვ. 120. გობეჯიშვილი გ., არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952. Куфтин Б., Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941. მისივე, материалы по археологии Колхиды, т. 1, т. II, Тб., 1949-1950. ჯაფარიძე ო., კოლხური ცული, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVI, თბ., 1950, გობეჯიშვილი გ., სტალინირის ნაცარგორა, მიმომხილველი, II, თბ., 1951. ნიორაძე გ., ზემოავჭალის სამარე, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, VI, თბ., 1931. ლომთათიძე გ., არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში, თბ., 1945, მისივე, წინაპართა ნაკვალევი, თბ., 1952. Хоштариа Н., Древнее поселение в Даблагоми, Тб., 1941. აფაქიძე ა., ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1940. (ინახება თსუ ფონდ. ბიბლიოთეკაში. სად. ნაშრომი). Иессен, Древнейшая металлургия Кавказа и ее роль в Передней Азии, (доклады III международ. конгр. по Иранск. ист. и арх. М-Л., 1939). Пиотровский Б., История и культура Урарту, Ереван, 1944. Меликишвили Г., Наири-Урарту, Тб., 1954. აქ მითითებულია მხოლოდ საბჭოთა პერიოდის ლიტერატურა, ისიც მხოლოდ ნაწილობრივ. ზოგიერთი აქ მითითებული შრომათაგანი თავისუფალი არაა მანკისაგან, ზოგშიც დებულებები მოძველდა ახალი და მდიდარი მასალის მოპოვების გამო.

[18] ჯაფარიძე ო., მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ ქართულ კულტურაში, თსუ შრომები, 49, თბ., 1953, გვ. 173-212.

[19] Иващенко М., Материалы к изучению культуры колхов, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, II, თბ., 1941, გვ. 19-20; გობეჯიშვილი გ., დასახ. ნაშრ., გვ. 98.

გეოგრაფიული პირობების გამო ჩვენ დრომდეც ასევე დარჩა, არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, ბარი არ იცნობდა კავ-სახნისს. „თქმულება არგონავტებზე“ კოლხიდას უკვე მეტად დაწინაურებული მიწათმოქმედების ქვეყანად გვიხატავს. გ. ჩიტაიას აზრით, ამ დროს ქართველ ტომებში გამოყენებაში უნდა ყოფილიყო „რკინის სახნისი და ვარაუდით რკინის საკვეთელი, სახვნელი იარაღი სათესი აპარატით, შერეული თესლის გამოყენება მოსავლის გადიდების მიზნით...“ და ა.შ.[20]

მოპოვებული მასალა საშუალებას იძლევა ვილაპარაკოთ არა სოფლის მეურნეობაზე საერთოდ, არამედ მივუთითოთ მის ზოგიერთ დარგებზედაც. ასე, სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი როგორც მთაში, ისე ბარში მარცვლეული კულტურების მოყვანა იყო. ამაზე მიგვითითებს როგორც საფქვავების სიმრავლე, ისე მარცვლეულთა ნაშთების აღმოჩენა და უძველესი ტიპის სახვნელი იარაღების ქონება. გ. ჩიტაია ამ დროისათვის ქართველ ტომებში წყლის წისქვილისა და კევრის არსებობასაც ვარაუდობს.[21] მარცვლეული კულტურების მოყვანის ტექნიკის დაწინაურებაზევე მიუთითებს ბრინჯაოსა და კაჟის ნამგლების აღმოჩენა. ამ პერიოდის სოფლის მეურნეობაში აღინიშნება არა მარტო ტექნიკური გაუმჯობესებანი, არამედ სასარგებლო ფართობის გაზრდაც – ჩნდება ტყის საჩეხი მძიმე ცულები და წალდები, უკანასკნელი იმითაცაა საინტერესო, რომ მისი ფორმები დღეისთვისაც ცოცხლადაა შემონახული დასავლეთ საქართველოს სინამდვილეში. სოფლის მეურნეობის ინტენსიური დარგების არსებობაზე უნდა მიგვითითებდეს სასხლავი დანების (მოგვიანო ხანის, ჩხოროწყუ) და ყურძნის წიპწების აღმოჩენა. გარდა ამ მასალისა, ჩვენ გვაქვს წერილობითი წყაროების ცნობა, რომ ერთ-ერთი ქართველი ტომი – მესხები (მუსკები), ძვ. წ. IX საუკუნის პირველ ნახევარში ასირიის მეფეს აშურნასირპალ პირველს (884-860 წწ.) სხვასთან ერთად ღვინის ხარკსაც უხდიდა.[22] სხვა წყაროებიდან ჩვენ ვიცით, რომ ძვ. წ. VI საუკუნეში მესხები კულხა-კოლხა გაერთიანებაში შედიან.[23] მასალები უთითებენ ტექნიკური კულტურების და განსაკუთრებით სელის კულტურის გავრცელებაზე. სელის ქსოვილების ნაშთების აღმოჩენა (ოჩამჩირესთან, ე.წ. „ქსოვილიანი“ თიხის ჭურჭლები, წვერმაღალაში (სუფსის შესართავის ახლოს, მახარაძის რაიონი) – სპილენძის ცულზე...[24]) ერთი მხრით მიგვითითებენ სელის კულტურის, ხოლო მეორეს მხრივ – საფეიქრო

---

[20] ჩიტაია გ., აკად. ს. ჯანაშია და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა, „მიმომხილველი“, I, თბ., 1949, გვ. 12.
[21] იქვე, გვ. 12.
[22] ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 21.
[23] რაზედაც ყველაზე მკაფიოდ ჰეკატე მილეთელის ფრაზა – «Μόσχοι, Κόλχων ἔθνος προσεχές τοῖς Ματιηνοῖς» (ფრ.188) – უნდა მიგვითითებდეს.
[24] Куфтин Б., Материалы к археологии Колхиды, II, Тб., 1950, стр. 274-297.

დაზგის არსებობაზე. ასეთ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება თამამად გავიმეოროთ ჰეროდოტეს ცნობა კოლხური ტილოს სახელგანთქმულობაზე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში. მას დიდი ტრა-დიცია ჰქონია და მოუხიბლავს არცთუ დაბალი გემოვნების მომხმარებელი – ბერძნული არისტოკრატია, რომელიც, ალბათ, უცხოეთიდან შეტანილი საქონლის ძირითადი მომხმარებელი იყო. ცხადია, დახელოვნება საფეიქრო წარმოებაში, ისევე როგორც სხვა დარგებში, არც ერთ ხალხს და მათ შორის კოლხებსაც, ციდან არ ბოძებიათ. ეს იყო წინა თაობათა შრომითი და ინტელექტუალური გარჯის შედეგი.

განათხარი მასალებიდან ჩანს, რომ ამ პერიოდის დასავლურ-ქართული ტომები შინაური ცხოველების თითქმის ყველა სახეს იცნობენ. საკმაოდ შორს წასულა რძის პროდუქტების დამზადების ტექნიკა. არაერთგანაა აღმოჩენილი კარაქის სადღვებები. გამოიყენებოდა პირუტყვის ხორცი, რძე, მატყლი, ტყავი და რქები. რქებისაგან ზოგიერთ სამეურნეო თუ საკულტო დანიშნულების იარაღებსა და სასმისებს აკეთებდნენ, ტყავებისაგან ფეხსაცმელ-ტანსაცმელსა და ფარჩაჩქანს. სხვადასხვა წონა ჰქონდა მესაქონლეობას მთისა და ბარის მეურნეობაში. მთაში, როგორც ირკვევა, ძირითადად წვრილფეხა პირუტყვის (ცხვარი) მოშენებას მისდევდნენ,[25] ხოლო ბარში – მსხვილფეხასი. მთა ამ მხრივაც ყოველთვის დამოკიდებული იყო ბარზე, რაც საზამთრო საძოვრების საჭიროებით იყო შეპირობებული. მთის მესაქონლეობაში ცხვრის, ხოლო ბარისაში – ხარ-ძროხის უპირატესი მდგომარეობის ასახვა უნდა დავინახოთ, ალბათ, იმაში, რომ ამ და მომდევნო პერიოდის ხელოვნებაში მთაში უპირატესად ცხვრის გამოსახულებაა წარმოდგენილი, ხოლო ბარში – ხარის. ცხენი უკვე ამ პერიოდისათვის კარგა ხნის მოშინაურებულია და განათხარი მასალებიც მრავლად შეიცავენ ლაგამებს, საყბეურებსა და მორთულობას. თუმცა დასავლურ-ქართული წრისათვის ჯერ დადასტურებული არა გვაქვს, მაგრამ აღმოსავლურ-ქართული წრის მოსახლეობა უკვე იყენებს ცხენს დასაჯდომადაც და ბორბლიან ტრანსპორტშიც (გამოსახულებანი ბრინჯაოს სარტყლებზე). ბორბლიან ტრანსპორტში ცხენზე უფრო ადრე პოულობს გამოყენებას ხარი (თრიალეთის გათხრების მასალები).[26]

---

[25] გობეჯიშვილი გ., არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952 წ. გვ. 109. მისივე, მდ. რიონის სათავეებში 1952 წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები (თეზისები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, 1953 წ. 20-21 მარტი), გვ. 12.

[26] ბორბლის უძველეს სახეებზე იხ. მ. გეგეშიძე, ბორბლის უბველესი სახეების საკითხისათვის, „მიმომხილველი“, II. თბ., 1951, გვ. 431-450.

ამ პერიოდის მასალები, რომლებიც ზღვის სანაპიროებზეა მოპოვებული, უთითებენ მეთევზეობისა და მარილის წარმოების არსებობაზე (ეშერის, ოჩამჩირის ... მასალები).

დასავლურ-ქართული კულტურის წრის ტომები ცნობილი არიან მაღალგანვითარებული მემთამადნეობით. ამ ტომებს, დღეს ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, მეტალურგიის ორი ძირითადი ბაზა გააჩნიათ – ერთი დიდ კავკასიონზე – რიონ-ენგურის ზემო წელი (რაჭა-სვანეთი), მეორე მცირე კავკასიონზე – ჭოროხის აუზი (ისპირგიუმიშხანეს რაიონი, პონტოს მთაგრეხილის დასავლეთი კალთები). იმდროინდელი მეტალურგიის ეს ცენტრები არქეოლოგიურად ერთნაირად არაა შესწავლილი. თუ რიონ-ენგურის რაიონის მეტალურგიის კულტურისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციის მიერ (გ. გობეჯიშვილი), მოპოვებულია მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა, სამხრეთ (ჭოროხის აუზის) ბაზისათვის ჩვენ, ძირითადად, წერილობითი წყაროების მჭლე ცნობების ამარა ვართ ჯერჯერობით დარჩენილი.

განათხარი მასალების შესწავლიდან ირკვევა, რომ კოლხური ტომები იცნობენ ბრინჯაოს სხმულის წარმოების მთელ პროცესს, დაწყებული მადნის ამოღებიდან (მაღაროები), დამთავრებული ნივთის ჩამოსხმით (სასხმელი ყალიბები). შესწავლილია იმდროინდელი მაღაროები – მადნის სამტვრევი ურობით და ცეცხლის კვალით, რასაც გამოსამტვრევი ქანის დასარბილებლად იყენებდნენ. ამ მაღაროებიდან, სპეციალისტების გამოანგარიშებით, ასეულათასობით ტონა მადანია გამონგრეულ-გამოტანილი; აღმოჩენილია იმდროინდელი მადანსადნობი წარმოების ნაშთები და ნივთების ჩამოსასხმელი ყალიბები (ცულები, სატეხები და ა.შ.). ლითონის (ამ დროს – ძირითადად ბრინჯაოს) წარმოებაში ქართველი ტომები იცნობენ ჩამოსხმას, გრავირებას, ფილიგრანს, მოოჭვას, კვერვას, სევადას, და ამის შესახებ ქართველთმცოდნეები დღეს ლაპარაკობენ არა გუმანით, არამედ უშუალოდ ძეგლებზე დაკვირვებით, ძეგლებზე, რომელთა ნაწილი ხელოვნების შედევრად არის აღიარებული.

ბრინჯაოს ინდუსტრიას ერთდროულად მრავალი მოდგმის ტომები იცნობდნენ, მაგრამ ქართველ ტომებს ეკუთვნის ბრინჯაოს სხმულის ორიგინალური ნიმუშების შექმნა. ბრინჯაო რთული სხმულია – სპილენძისა (დაახ. 90%) და კალის (დაახ. 10%) ნაერთი. ამიერკავკასია ღარიბია კალით და ეს გარემოება დიდხანს ქართველ ტომებში ბრინჯაოს ადგილობრივი წარმოების არსებობის უარყოფის, ან კიდევ დამოკიდებული ხასიათის ურყევ საბუთად იყო აღიარებული. ქართული არქეოლოგიის უკანასკნელი ხანის მონაპოვრებმა მოშალა ეს ე. წ. „ურყევი საბუთი“ და ნათელყო, რომ დასავლურ-ქართულ ტომებს

(ჯერ მოპოვებული მასალებით რიონის აუზის მცხოვრებთ) ბრინჯაოს წარმოებაში გამოუნახავთ კალის შემცველი ნივთიერება – ანთიმონი. ანთიმონიანი ბრინჯაო თამამად დგება კალანარევი ბრინჯაოს გვერდით. მიკვლეული და შესწავლილია ანთიმონის იმდროინდელი მაღაროები და გამორკვეულია მადნის ამოღების ტექნიკა.[27] გამოანგარიშებით, ამ მაღაროებიდან ასიათასობით ტონა მადანია ამოღებული. ალბათ, ამ მადნით მარაგდებოდა ბრინჯაოს წარმოების სხვა რაიონებიც.

კოლხური ბრინჯაოს კულტურა, როგორც ორიოდ შემთხვევითი აღმოჩენის წყალობით ირკვევა, სამხრეთით ართვინ-ორდუს ხაზს იქით აღარ ვრცელდებოდა (მასალების უქონლობა საშუალებას არ იძლევა ეს საზღვარი უფრო იქით გადავწიოთ, თუმცა წერილობითი წყაროები სხვანაირი სურათის ჩვენებისაკენ გვიბიძგებს).

მეტალურგიის მეორე კერა ქართველ ტომებს ჭოროხის აუზში ჰქონიათ. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, „სპილენძ“ სახელში ქართული პროვინცია ისპირი – სპერი უნდა იყოს მიმალული.[28] შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებს ჯერ არ უნახავთ ნამდვილი, მეთოდურად გამართული არქეოლოგიური გათხრები და ამიტომ მათ შესახებ დაბეჯითებით რაიმე კონკრეტულის თქმა შეუძლებელია, მაგრამ წერილობით წყაროებში (ასურული, ურარტული, ებრაული) დაცული ცნობებით შეიძლება მისი სურათის უზოგადეს ხაზებში ჩვენება.[29]

ჩვენთვის საინტერესო ქრონოლოგიურ მონაკვეთში, ტერიტორიაზე, რომელიც მდ. ევფრატის დასავლეთით შავ ზღვამდე და სამხრეთით კუმუხის, კილიკიისა და ფრიგიის საზღვრებს შორის მდებარეობდა, ძვ. აღმოსავლეთის ხალხთა წერილობით ლიტერატურაში მითითებულია ქართველურ ტომთა რამდენიმე გაერთიანება – ***დაიაენი (დიაუხი), ტაბალი, მუსკი (მესხი), ქაშქები, კულხა (კოლხი).*** ეს ის ტომებია, რომლებთანაც მტრული თუ მეგობრული ურთიერთობა ჰქონიათ ამ ხალხებს და ცნობებში ამ ურთიერთობის ამბებია გადმოცემული. ამ წყაროებში არაერთი ძვირფასი ცნობაა შემონახული, რომელთა განზოგადება ამ ტომების სოციალური და ეკონომიკური სურათის გათვალისწინებას გვახერხებინებს.

---

[27] ამ საკითხზე სპეციალურად იხ. გობეჯიშვილი გ., არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952. მისივე, რაჭის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშები (ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში).

[28] ჯავახიშვილი ივ. , დასახ. ნაშრ. გვ. 24

[29] უახლესი ძირითადი ლიტერატურა დასავ. ქართ. ტომთა მეტალურგიაზე: საქართველოს ისტორია, I, თბ., 1948. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, изд. ГАИМК, 1935., Меликишвили Г. А., Наири-Урарту, Тб., 1954, стр. 58., Куфтин Б., Материалы к археологии Колхиды, II, Тб., 1950., Иващенко М., Материалы к изучению культуры колхов, 1941., Хоштариа Н., Древнее поселение в Даблагоми, Тб., 1941.

ძვ. წ. XII საუკუნის დამლევს ასურეთს ბრძოლა უხდება ნაირის ქვეყნის ხალხთა დიდ გაერთიანებასთან, რომელსაც დაიაენის (დიაუხის) მეფე სიენი მეთაურობს. 1112 წელს ასურეთის მეფეს ტიგლათფილესარ I-ს (1115-1077 წწ.) გადაულახავს ევფრატი და აუოხრებია ნაირის ქვეყნები დიაუხის ჩათვლით. „ნაირის ქვეყნის 60 მეფეს, მათთან ერთად ვინც მათ დასახმარებლად მოვიდა, ჩემი მახვილი წვერით თვით ზემო ზღვამდე მივსდიე. სიენი, დაიაენის მეფე, რომელიც არ დაემორჩილა აშურს, ჩემს მბრძანებელს, მე შეკრული და დატყვევებული მოვიყვანე ჩემს ქალაქს აშურში“ – იკვეხნის ასურეთის მბრძანებელი.[30] დაიაენის წონა ამ დროს იმდენად დიდი ყოფილა, რომ ტიგლათფილესარ I-ს სიენი არ დაუსჯია. მას ფიცი დაადებინა და თავისსავე ქვეყანაში გაისტუმრა.[31] მალე ასურეთი სუსტდება და სწორედ ეს პერიოდი (XI-IX სს.) დაიაენის ძლიერების გაფურჩქვნის ხანაა. ძვ. წ. IX საუკუნეში დაიაენის უკვე ორი საშიში მეზობელი ჰყავს – გაძლიერებული ასურეთი და ახალწარმოქმნილი ურარტუ. დაიაენი ცდილობს გამოიყენოს ასურეთ-ურარტუს წინააღმდეგობანი და ორიენტაციას ასურეთზე იღებს, მაგრამ გაძლიერებული ურარტუ ახერხებს დაიაენის იზოლირებას და არგიშთი I (781-760 წ.) ანადგურებს მას. არგიშთის მემკვიდრის – სარდური II დროს (760-730 წ.) დაიუხის (დაიაენის) ტერიტორიის ერთი ნაწილი ურარტუს პროვინციაა, ხოლო მეორე ნაწილი შევიდა ახალგაძლიერებული კოლხას შემადგენლობაში. ურარტელები სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ კულხასთან, მაგრამ მალე ასურეთი ძლიერდება და ურარტუ იძულებულია ყურადღების ცენტრი ასურელებთან ბრძოლისაკენ გადაიტანოს, რითაც სარგებლობს კულხა და აძლიერებს დიაუხის ნამემკვიდრევის ათვისებას.[32]

დიაუხის (დაიაენის) სამეფოს ტერიტორია გაშლილი იყო არზრუმისა და მდ. ევფრატის სათავეების რაიონში და ჩრდილოეთით იგი შორს ვრცელდებოდა, შესაძლებელია, შავ ზღვამდეც კი.[33] ასურულ-ურარტული წყაროების ცნობების შესწავლიდან ირკვევა, რომ იგი ეკონომიურად დაწინაურებული ქვეყანაა. ტიგლაფილესარ I-ს 1112 წლის ბრძოლაში, რომელიც მკვლევართა ვარაუდით მალაზგითთან მომხდარა, ხელთ უგდია 120 საომრად შეჭურვილი ეტლი, არის ცნობები, რომ ნაირის ქვეყნები ასურელებს დროდადრო ხარკის ნაწილს

---

[30] ВДИ, 1947, №1, გვ. 264.

[31] იქვე, მელიქიშვილი გ., უძველესი სამეფო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, „მიმომხილველი“, II, თბ., 1952, გვ. 216-218. მისივე, Наири – Урарту, Тб., 1954, გვ. 59 და შემდ.

[32] იქვე, გვ. 219-225.

[33] მელიქიშვილი გ., უძველესი სამეფო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, „მიმომხილველი“, II, თბ., 1952, გვ. 216.

ეტლებით უხდიდნენ.[34] ამას თუ მივუყენებთ თრიალეთისა და ნაცარგორას გათხრების მასალებს, ცხადი გახდება, თუ როგორ დაწინაურებული ყოფილა ბორბლიანი ტრანსპორტი ქართველ ტომებში. დაიაენდიაუხის სამეფოს ეკონომიური მდგომარეობის გასათვალისწინებლად ძვირფას მასალას იძლევა არგიშთი I-ის (781-760 წწ.) დიაუხის დალაშქვრის ამბების აღწერილობის შემცველი წარწერა. ამ ლაშქრობის დროს დიაუხში დაუნგრევიათ 105 ციხესიმაგრე და დაუწვავთ 453 დასახლებული პუნქტი („ქალაქი"), ტყვედ წაუყვანიათ 15181 ყრმა, 2734 კაცი და 10604 ქალი, ხელთ უგდიათ 4426 ცხენი, 10478 მსხვილფეხა და 73770 წვრილფეხა პირუტყვი, ხარკის სახით მიუღიათ 41 მინა* ოქრო, 37 მინა ვერცხლი, რამდენიმე ათიათასი მინა სპილენძი, 900 საჯდომი ცხენი, 300 მსხვილფეხა და რამდენიმე ათეული ათასი სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. ყოველწლიურ სახარკო გამოსაღებად დაუდვიათ 10000 მინა სპილენძი, ოქროს გარკვეული რაოდენობა, ხარები, ძროხები (100), ცხვრები (500), ცხენები (300).[35] დიაუხი მთაგორიანი ქვეყანა იყო და ამიტომ აქ, ისე როგორც სხვაგანაც, მთიან ქვეყნებში, შეიმჩნევა მესაქონლეობის დაწინაურება, განსაკუთრებით მეცხვარეობისა (გაიხსენეთ რაჭის არქ. ექსპედიციის მასალები). 400 წლის შემდეგაც ეს ადგილები მესაქონლეობის დონის თითქმის ასეთსავე სურათს წარმოადგენს – ქსენოფონტის ლაშქარმა ტაოხებში ხელთ იგდო დიდი რაოდენობით ცხვრები, ხარები და ვირები.[36] ცხადია, როდესაც დიაუხზე ვლაპარაკობთ, როგორც დიდ ეთნიკურ-პოლიტიკურ გაერთიანებაზე, არ შეიძლება მისი ცალკე პროვინციების სოციალ-ეკონომიური განვითარების დონე ერთნაირად წარმოვიდგინოთ. ასეთი გაერთიანება იმ ხანაში არ შეიძლებოდა არსებულიყო, განსაკუთრებით რელიეფის ასეთი მრავალფეროვნებისა და მისგან გამომდინარე მეურნეობის დარგების (მაშასადამე, ეკონომიკის) მრავალსახეობის პირობებში. ზოგი თემი მეტალურგიაშია დაწინაურებული, ზოგი მეცხოველეობაში, ზოგი კიდევ მიწათმოქმედებაში. ჩვენ, წერილობითი წყაროებიდან, ცოტა რამ ვიცით დიაუხის მიწათმოქმედებაზე, მაგრამ მძლავრი სამთამადნო წარმოების (განსაკუთრებით სპილენძის) კერის არსებობა უეჭვოა. ყოველწლიურად 5000 კილოგრამზე მეტი სპილენძის გამოღება იმ ხანაში ისეთ ქვეყანას თუ შეეძლო, რომელსაც საკუთარი წარმოება ჰქონდა.

ურარტუს მეფეთა წარწერებში გ. მელიქიშვილმა ყურადღება მიაქცია ერთ მეტად საინტერესო გარემოებას – დიაუხში შემოჭრილი

---

[34] მელიქიშვილი გ., ურარტუ, თბ., 1952, გვ. 37-38.
* მინა – დაახლ. 505 გრამს. (მელიქიშვილი, იქვე).
[35] მისივე, უძველესი სამეფო ..., გვ. 224.
[36] იქვე, გვ. 226.

ურარტუს ლაშქარი „ციხე-სიმაგრეებს“ ***ანგრევს,*** ხოლო „ქალაქებს“ ***წვავს.*** ამ ციხე-სიმაგრეთა უმრავლესობაში მან, სამართლიანად, კარგად ცნობილი „ციკლოპური ნაგებობანი“ დაინახა.[37] ჩანს, ციხე-სიმაგრეები ქვისაგან ყოფილა ნაშენები, ხოლო „ქალაქები“, ძირითადად, ალბათ, ხისაგან.

იხილავს რა დიაუხის სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონეს, გ. მელიქიშვილი წერს: „ასურული და ურარტული წყაროები მუდამ ლაპარაკობენ დაია/ე/ნი-დიაუ/ე/ხის ქვეყნის „მეფის“ (და არა „მეფეების“) შესახებ. ძნელია დაეჭვება იმაში, რომ ამ მსხვილი გაერთიანების სათავეში მდგომი ეს მეფეები სუვერენულ, მემკვიდრულ ხელისუფლებას წარმოადგენენ. ამ ქვეყნის სატომთაშორისო ვაჭრობის განვითარებისათვის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ძვირფასი ლითონების (ოქროსა და ვერცხლის) სიუხვე ... მეტალურგიის ფართო განვითარება და სხვა, აგრეთვე შესაძლებელს ხდის ვიფიქროთ, რომ აქ (ყოველ შემთხვევაში ამ გაერთიანების გაბატონებულ ტომში) ჩვენ საქმე გვაქვს საზოგადოებასთან, სადაც სოციალ-ეკონომიური დიფერენციაციის პროცესი უკვე შორსაა წასული, სადაც სახეზეა, ერთი მხრივ, რიგითი თავისუფლების მასისაგან გამოყოფილი ძლიერი არისტოკრატიული ზედა ფენა და, მეორე მხრივ, ექსპლუატირებული ტყვე-მონების ფენა“.[38]

ძვ. წ. აღ. IX საუკუნიდან მოყოლებული, ასურული წყაროები არაერთხელ მოგვითხრობენ ასირია-***ტაბალის*** ურთიერთობის ეპიზოდებზე. ტაბალის პირველი ხსენებაც სწორედ IX საუკუნეში გვხვდება, სალმანასარ III-ის დროს (860-825 წწ.).[39] ერთ-ერთ წარწერაში ასურეთის ეს მბრძანებელი მოგვითხრობს: „ქორონიკონსა მეფობისა ჩვენისასა ოცდამეორესა (ე. ი. 838-837 წწ. – დ.ხ.) მეოცდაერთეჯერ ევფრატი გადავლახე, ჩავედი ტაბალად და ტაბალის 24 მეფისაგან საჩუქარი მივიღე“.[40] ტაბალი, როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ზოგადი მნიშვნელობის სახელია – ტომთა და თემთა კრების აღმნიშვნელი. ამავე ცნობაში ჩანს, თუ როგორი განსხვავებაა, სოციალურად, ტაბალსა და დიაუხს შორის. ტაბალი ცალკე „სამეფოების“ კრებაა, ხოლო დიაუხი ერთი სამეფოა, მაგრამ ორივეგან „მეფეები“ მემკვიდრეობითაა: სარგონ II (722-705 წწ.) გვაცნობებს, რომ როცა ტაბალებმა ამრი ჰვილეს-ძე ტაბალი ***თავისი მამის ტახტზე დასვეს***, მას ჩემი ქალიშვილი მივათხოვე და მზითვად კილიკია გავატანეო. ტერიტორიუ-

---

[37] მელიქიშვილი გ., უძველესი სამეფო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, „მიმომხილველი“, II, თბ., 1952, გვ. 227-228.
[38] იქვე, გვ. 228.
[39] ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 393.
[40] ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 393.

ლად „ტაბალს აღმოსავლეთით ევფრატი საზღვრავდა, სამხრეთ-აღ-მოსავლეთის მხრით კუმუხი, ხოლო სამხრეთით კილიკია, ანუ რო-გორც მას ასურელები ეძახდნენ, ჰილლაკუ. ერთი სიტყვით, ტაბალებს სწორედ ის ადგილები ეჭირათ, რომელსაც შემდეგ დიდ კაპპადოკიას ეძახდნენ...“[41] დიდხანს გრძელდებოდა ტაბალისა და ასურეთის ბრძოლა. როგორც ასური მეფეების წარწერებიდან ჩანს, დამარცხებუ-ლი ტაბალი დროებით ემორჩილებოდა ასურთა მბრძანებლობას, მაგრამ შესაფერისი დროის დადგომისთანავე იარაღს ჰკიდებდა ხელს. ასურთა მეფეები ცდილობენ ტაბალის კეთილგანწყობილება სხვა გზებითაც მოიპოვონ. ისინი არ თაკილობენ ტაბალის მეფეებთან სამოყვრო კავშირების გაბმასაც, მაგრამ რაც იარაღით ვერ გაკეთებულიყო, ის არც მოყვრად მოკიდებით კეთდებოდა. ცნობილია, რომ სარგონ II-ის სიძემ ამრი ჰვილეს ძემ, ტაბალთა მეფემ, თავისი სიმამრის წინააღმ-დეგ ძლიერი კოალიცია შექმნა. სარგონ II-ს 714-709 წელს სასტიკი ბრძოლების ჩატარება უხდება ტაბალისა და მისი მოკავშირეების – ურარტუს მეფის რუსა სარდურის ძისა (730-714 წწ.) და მუსკების მეფის მიტასის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ასურეთის გამარჯვებით დასრულდა. იგი, როგორც ჩანს, 714-709 წლებს შორის გრძელდებო-და. სარგონ მეორემ მოკავშირეები ცალ-ცალკე დაამარცხა. 709 წელს მან ტაბალი საბოლოოდ მოსტეხა, ამრი ტყვედ წაიყვანა ნათესავებითა და დიდებულებით და ქვეყანაში თავისი მოხელეები ჩააყენა. ტაბალმა ამ ხანიდან შინაური დამოუკიდებლობაც დაკარგა.[42]

ამგვარად, ტაბალი ასურეთთან ბრძოლაში აწარმოებს აქტიურ საგარეო პოლიტიკას, ცდილობს დაუკავშირდეს ანტიასურულ ძალებს და მათზე დაყრდნობით გადაირჩინოს თავი. ყურადსაღებია, რომ იგი ასურეთის წინააღმდეგ შექმნილი კოალიციის ინიციატორია. ტაბალისა და ასურეთის ხანგრძლივ ბრძოლას ბოლო კიმერიელების შემოსევამ მოუღო. კიმერიელთა და სკვითთა ტალღებმა გრიგალივით გადაუარა წინა აზიას. ჯერ ყველაფერი მირეგვ-მორეგვეს, შემდეგ კი შეუნელე-ბელი ბრძოლებითა და თარეშებით ქანცგამოცლილნი ჩაიფერფლნენ, მაგრამ წინა აზიის პოლიტიკურ გეოგრაფიაში დიდი ცვლილებელი შეიტანეს. მათმა შემოსევებმა ნიადაგი მოუმზადა მიდიელთა გაბატონე-ბას. ამ დროს სუსტდებიან წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფოები ასურეთი და ურარტუ, ხოლო ქართველ ტომთა სახსენებელი წინა აზიაში ჰქრება. ამ ხანიდან ისინი მხოლოდ შავი ზღვის სამხრეთ-

---

[41] იქვე, გვ. 404. აგრეთვე, ჯანაშია ს., თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, ენიმკის მოამბე, I, თბ., 1937, გვ. 233; საქართველოს ისტორია, I, გვ. 35-36. ჩიტაია გ., აკად. ს. ჯანაშია და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა, „მიმომხილველი“, I, 1949, გვ. 11.

[42] ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951., ჯანაშია ს., თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, ენიმკის მოამბე, I, თბ., 1937, გვ. 233.

აღმოსავლეთ სანაპიროებზე შემორჩნენ.[43] ბიბლიური ტრადიციის ცნობით, კიმერიელთა (გოგის) შემოსევების შედეგად მოსოხი და თუბალი (ტაბალი), რომლებიც წინათ ყველას შიშის ზარს სცემდნენ, ან დაიხოცნენ, ან დამონებულ იქნენ.[44] როგორც ჩანს, ქართველ ტომთა ნაწილი სამხრეთისაკენ მოლაშქრე კიმერიელებს შეერთებია და ისრაელის დალაშქვრაში მონაწილეობა მიუღია.[45]

ასურული და ებრაული წყაროების ცნობებით, ტაბალი ეკონომიურად დაწინაურებული ქვეყანა ყოფილა. იგი განსაკუთრებით სახელგანთქმული ყოფილა მესაქონლეობითა და მემთამადნეობით. მეცხოველეობიდან განსაკუთრებით სახელმოხვეჭილი ყოფილა მეცხენეობა. აშურბანიპალი (668-626 წწ.) წერს, რომ ტაბალს ხარკად მათი ქვეყნის საუკეთესო ცხენები დავუწესეო.[46] მასზე ადრე, სარგონ II-ს (722-705 წწ.) ტაბალის დალაშქვრისას ხელთ უგდია 100 საომარი ეტლი, რომელიც ტაბალის მეფეს – ამრის ჰკუთვნებია.[47]

ტაბალი განსაკუთრებით სახელმოხვეჭილი ყოფილა მემთამადნეობით. ბიბლიური ტრადიცია თობელს (ტაბალს) მჭედლობის ხელოვნების პიონერად აღიარებს და დაბეჯითებით იმეორებს – „თობელი ესე არს კვერით ხურო Á მჭედელი რვალისა და რკინისა“.[48] ტაბალებს ლითონური ნაწარმი არა მარტო საკუთარი, შინაური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად უწარმოებიათ, არამედ ისინი მესხებთან (ბიბლ. მოსოხი) ერთად თავიანთი საქონლის აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ქალაქებშიც მიდიოდნენ ხოლმე და იქ მონებსაც იძენდნენ.[49] 837 წელს ასურეთის მეფეს სალმანასარ მესამეს (860-825 წწ.) ხელთ უგდია ტაბალის ლითონისა და ძვირფასი ქვების მაღაროები.[50]

იმდროინდელ საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობა, რაც საკუთარ წარმოებას ემყარებოდა, მემკვიდრეობითი „მეფეების“ არსებობა, შენაძენი (და ტყვე) მონების ყოლა, განვითარებული მემთამადნეობა, ძვირფასი ლითონების მოპოვება, იმდროისათვის მძიმე შეიარაღების (საომარი ეტლები) ქონება, კერძო საკუთრების (ყოველ შემთხვევაში, მის ჩანასახ ფორმებში მაინც) არსებობა (მზითვების მიცემის ფაქტები), სხვისი ტერიტორიების დაპყრობა (და არა მოთარეშება-აოხრება) საერთაშორისო შეთანხმებების მიღწევის ხერხები, ძალთა განწყობილების ცოდნით და ა.შ. უნდა მიგვითითებდეს, რომ

---

[43] იქვე, გვ. 437.
[44] იქვე, ეზეკიელი, XXX 11,26, XXXVIII 2,3.
[45] ეზეკიელი, XXIX, 1-4.
[46] ჯავახიშვილი ივ., იქვე, გვ. 21-23.
[47] იქვე, გვ. 435-436.
[48] შესაქმე, IV, 22.
[49] ეზეკიელი, XXVII, 13. ჯავახიშვილი ივ. იქვე, გვ. 23.
[50] იქვე, გვ. 435.

ტაბალის ქვეყნის რიგ „სამეფოებში“ სოციალური დიფერენციაცია საკმაოდ ღრმად უნდა ყოფილიყო წასული და იქ სახელმწიფოს ***ჩანასახთან*** უნდა გვქონდეს საქმე. მის წარმოშობაში საგარეო ფაქტორს ამაჩქარებელის (კატალიზატორის) როლი უნდა ეთამაშა.

ასირიულ და ებრაულ წყაროებში ტაბალის გვერდით ***მუშკი-მოსოხი*** იხსენიება, რომელიც მეცნიერებაში, სამართლიანად, მესხებთანაა გაიგივებული. ძვ. წ. აღ. XII საუკუნისათვის ისინი იმდენად ძლიერნი არიან, რომ ტიგლათფილესარ I-ის ერთი წარწერის ცნობით, მის მეფობამდე (1115-1077 წწ.) 50 წლით ადრე (ე.ი. დაახლოებით 1165 წლის ახლოს), თავს დასხმიან ასურეთს და მისი მოხარკე ქვეყნები ალმი და პურუკუცი დაუპყრიათ, ამით არ დაკმაყოფილებულან და ტიგლათფილესარ I მეფობის დასაწყისში კატმუხი დაუპყრიათ. კატმუხის დაპყრობაში მუშკების (მესხების) 5 მეფეს მიუღია მონაწილეობა. ძვ. წ. აღ. 1112 წლის ახლო ხანებში ასურეთის მეფე კატმუხში ჩავიდა, მუშკების ლაშქარს შეებრძოლა და დაამარცხა, ხოლო შემდეგ ქვეყანა სასტიკად დაამარცხა და ხარკი დაადო.[51] ამის შემდეგ მუშკებს ხშირად ვხვდებით ასურეთის მოხარკე ქვეყნების სიაში, მაგრამ შინაური ავტონომია მათ, როგორც ჩანს, არ უნდა დაეკარგათ და არც არასოდეს უნდა შერიგებოდნენ ასურელთა მეხარკეობას. ისინი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონაწილეობას ღებულობენ ანტიასურულ კოალიციაში ტაბალისა და ურარტუს მეფეებთან ერთად (ძვ. წ. აღ. VIII ს. დამდეგი). მუშკები, ისევე, როგორც ტაბალი და ურარტუ, სარგონ II-თან (722-705 წწ.) ბრძოლაში დამარცხდნენ და მათ ქვეყანაში ასური მოხელეები იქნენ ჩაყენებული.[52] კიმერიელთა შემოსევამ გამოუსწორებელი ზარალი მიაყენა მუშკებს და მათი ტერიტორია, რომელიც კატმუხამდე მიდიოდა (ტიგრის მარჯვენა მხარე, კაშიარის მთების, ახ. ტურ-აბდინის ჩრდილოეთით), მეტად შეამცირა. არის ცნობები, რომ ერთხანობას მათ ფრიგიაც უნდა სჭეროდათ. ძვ. წ. აღ. VI საუკუნიდან მესხები უკვე სპარსელთა მოხარკენი არიან, ამ დროს ისინი უკვე მუშკების ძველი ტერიტორიის მხოლოდ ჩრდილო ნაწილში სახლობდნენ. მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი სამხრეთიდან მოზღვავებულ უცხო ტომებს უჭირავთ.

მუშკების მეურნეობის შესახებ არსებული ცნობებიდან ირკვევა, რომ იგი საკმაოდ დაწინაურებულია და მისი სოფლის მეურნეობა იცნობს ინტენსიურ დარგებსაც, განსაკუთრებით კი – მევენახეობას. აშურნასირპალ II-ს (884-860 წწ.) მუშკები ხარკის ნაწილს ღვინითაც უხდიან. ამასთან ერთად, ხარკის სიებში იხსენიება თითბრის ჭურჭე-

[51] იქვე, გვ. 434. Меликишвили Г . Наири-Урарту, Тб., стр. 1954, 175-176
[52] იქვე, გვ. 435.

ლი, ხარები და ცხვრები.[53] ეზეკიელიც ტვიროსში „რვალის ჭურჭლისა“ და „კაცთა სულების“ მოვაჭრეებად თობელთან ერთად მოსოხსაც ასახელებს.[54]

მუშკების სოციალური მდგომარეობის შესახებ იგივე შეიძლება გავიმეოროთ, რაც ტაბალზე ვთქვით.

ძვ. წ. აღ. VIII საუკუნეში ურარტუს მიერ დიაუხის სამეფოს განადგურებამ და თვით ურარტუს შემდგომმა დაძაბულობამ ნიადაგი მოუმზადა ახალი ქართველური გაერთიანების გაძლიერებას, რომელიც ურარტულ წყაროებში ***კულხას*** (კოლხას) სახელით იხსენიება. პირველადი ტერიტორიულ-ეთნიკური ერთეული, რომელიც ამ გაერთიანების ბირთვს წარმოადგენდა, როგორც მკვლევარები ამტკიცებენ (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი), კოლას თემი უნდა ყოფილიყო, აქედანვე გამოყავთ სახელწოდება კოლხი.[55]

როგორც ჩანს, კულხა განზე იდგა და არ მოყოლია კიმერიელთა და სკვითთა თარეშის არეში, პირიქით, კიმერიელთა შემოსევებმა და შემდგომ, ნაწილობრივ ამ ნიადაგზე, წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოთა დაცემამ ხელსაყრელი ნიადაგი შექმნა კულხას გაძლიერებისათვის. მომდევნო ხანის წყაროების ცნობით (ჰეკატე), მის შემადგენლობაში მესხებიც (οἱ Μόσχοι) შედიან. ამრიგად, კულხა ძველი დიაუხისა და მუსკების მემკვიდრედ გამოდის. იგი ემეზობლება ტაბალსაც. მისი ტერიტორია მტკვრის სათავეებისა და ჭოროხ-რიონის აუზთა რაიონებშია გაშლილი.

ძვ. წ. აღ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ხეთების სახელმწიფო მძიმე ბრძოლებს აწარმოებს შავი ზღვის სანაპიროზე, პონტოს მთებში მოსახლე ქაშქთა ტომების წინააღმდეგ.[56] ქაშქები ხეთების სამეფოს ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთით სახლებულან და, როგორც გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, ეჭირათ ზოგი ის ტერიტორია ტრაპეზუნტისა და ღალისის დინებათა რაიონში შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, რომელიც შემდეგ ისტორიული კოლხეთის შემადგენლობაში შედიოდა.[57] ხეთების სახელმწიფოს განადგურების შემდეგ ქაშქების ტომები საუკუნეების სიგრძეზე ებრძვიან ასირიას.[58] ქაშქების მეურნეობაში წამყვანი დარგი მეცხოველეობა ყოფილა, ხოლო

---

[53] იქვე, გვ. 31.
[54] ეზეკიელი, XXVII, 13.
[55] ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძირითადი ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 12. Меликишвили Г. А., Наири-Урарту, Тб., 1954, стр. 59-63.
[56] Авдиев В.И., История Древнего Востока, М., 1953, стр. 345.
[57] მელიქიშვილი გ., ქაშქების ხალხის ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, „მიმომხილველი“, III თბ., 1953, 193 და შმდგ. მისივე, Наири-Урарту, стр. 73 и т.д.
[58] იქვე.

სოციალურად ისინი გვაროვნული წყობილების სტადიაზე იმყოფებიან. გ. მელიქიშვილმა წყაროებში დაცული მასალების საფუძველზე ცხადყო, რომ ქაშქებთან, მითითებულ ხანაში (ძვ.წ. XIV-XI და მომდევნო საუკუნეები), უნდა არსებულიყო გვაროვნული სამხედრო დემოკრატია, სატომო საბჭო, უხუცესთა საბჭო და სუვერენული, მემკვიდრეობითი ბელადი.[59]

ზემოთ მოყვანილი მასალების საფუძველზე, დასავლურ-ქართულ ტომთა სოციალური განვითარების სურათი ძვ. წ. აღ. X-VII საუკუნეებში, ალბათ, შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ: მთაში უკვე იგრძნობა „პირველყოფილი თემური წყობილების ბზარი – ეგრეთ წოდებული გვაროვნული არისტოკრატიის გამოყოფის პროცესი“[60] (ერთდროული სამარხების ინვენტარის სხვადასხვაობა, გადაგვარებული სახის საბრძოლო იარაღი – სარიტუალო-საკულტოდ ქცეული), მაგრამ მთა სოციალური განვითარების დონით ამ დროს დიდად ჩამორჩება ბარს. ამ დროის ბარში სოციალური დიფერენციაციის პროცესი საკმაოდ შორსაა წასული. ისახება მონობა, ტომთა გაერთიანებისათვის ბრძოლა წარმოშობს ჰეგემონ და დამორჩილებულ ტომებს, რაც აჩქარებს გაძლიერებული ტომის ბელადის პოლიტიკური ევოლუციის ტემპს. ასეთ ბელადს თანდათან უჩნდება პოლიტიკური ჰეგომონისათვის დამახასიათებელი ფუნქციები: დამორჩილებული ტომებისა და მონების მორჩილებაში ყოლა, თავდაცვისა და მეურნეობის (მეტალურგია, მელიორაცია, ტექნიკური კულტურები ...) ორგანიზაცია, საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობა და ა.შ. ჩვენ არ შეგვიძლია თვალი მივადევნოთ ამ პროცესების კონკრეტულ გამოვლინებას, მაგრამ ძვ. წ. აღ. VI საუკუნისათვის უკვე კოლხთა სახელმწიფო გამოჩნდება და ამ მრავლისმეტყველი შედეგის მიხედვითაც შეგვეძლო დაგვესკვნა, რომ სოციალური დიფერენციაციის პროცესი კულხას გაბატონებულ ტომში დიდი ხნის წინათ იყო დაწყებული. კულხა ხომ დიაუხის სამეფოს პირდაპირი მემკვიდრე იყო.

---

[59] დაწვრილებით იხ. დასახ. ნაშრომი „მიმომხილველი“, III, 193-205.

[60] გობეჯიშვილი გ., არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, გვ. 57-58.

თავი I
შავი ზღვის სანაპიროს ქართველური ტომები ძვ. წ. VI-I საუკუნეებში

§1 ქართველურ ტომთა გავრცელების რაიონი შავი ზღვის სანაპიროზე

ჩვენ დრომდე შემონახული წერილობითი წყაროების შესწავლის საფუძველზე უკვე საყოველთაოდ აღიარებულად ითვლება, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდამდე დიდი ხნის წინ ქართველური ტომების ადგილსაცხოვრებელი უფრო ფართო ტერიტორიას მოიცავდა და შორს იყო გავრცელებული სამხრეთისაკენ; იგი ძველაღმოსავლურ ხანაში შუამდინარეთისა და დასავლეთ აზიის ცნობილ მონარქიებს ემეზობლებოდა და არამცირე უსიამოვნებას აყენებდა მათ. ქართველი ერის დღევანდელი საცხოვრებელი, როგორც ს. ნ. ჯანაშიამ გამოიკვლია, ქართველ ტომთა ძველი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების ჩრდილოეთით მდებარეობდა და მის ერთ-ერთ მეტად დაწინაურებულ პერიფერიას წარმოადგენდა.

ისტორიამ იცის მაგალითები, როცა ესა თუ ის ხალხი ან ტომი სრულებით ქრება საისტორიო სარბიელიდან – ერწყმის სხვა ხალხს, კარგავს ენას, თვითმყოფობას და ალბანელი აზერბაიჯანელად, შავში თურქად და ა.შ. გვევლინება. ხდება ისეც, რომ ამა თუ იმ ხალხს სხვა ტომებისა და ხალხების მოწოლის გამო ადგილსაცხოვრისი უმცირდება, უცხოთა მიერ დაკავებული ტერიტორიის აბორიგენი მოსახლეობა ნაწილობრივ ერწყმის მოსულს, რაც მოსულის ენაში აისახება და მას საუკუნეების შემდეგაც შენიშნავენ ამ ენის ლექსიკაში, ნაწილობრივ იყრება, ან იჟლიტება. სწორედ ასეთი ბედი ეწია ქართველური ტომების დიდ ნაწილს: ჯერ სემიტური, ხოლო შემდეგ ე. წ. ინდოევროპული ტომების მოწოლის შედეგად მათი გავრცელების რაიონი სამხრეთისაკენ თანდათან მცირდებოდა. ეს პროცესი შუა საუკუნეების მიწურულამდეც არ შეწყვეტილა.

ჩვენთვის საინტერესო ხანის დამდეგს ქართველ-ქართველური ტომების გავრცელების რაიონის სამხრეთი ზღვარი შორს იყო გაწეული დღეს არსებული საზღვრებიდან. აპოლოდორის ცნობით, რომელიც სტრაბონთანაა დაცული, იბერიის სამხრეთი საზღვარი მდ. არაქსი ყოფილა. ბერძენ-ლათინ ავტორებთან დაცული ცნობები საშუალებას იძლევა, აგრეთვე, გავითვალისწინოთ ქართველ-ქართველურ ტომთა განსახლების რაიონი შავი ზღვის სანაპიროებზე, მაგრამ, სანამ ამ

ცნობების უშუალო გამოყენებას დავიწყებდეთ, საჭიროდ მიმაჩნია ზოგიერთი შენიშვნა გავაკეთო:

ბერძნების მიერ შავი ზღვის სანაპიროების გაცნობა ძვ. წ. აღ. VIII საუკუნიდან იწყება და აქედანვე ჩნდება პირველი კონკრეტული ცნობები მათ შესახებ (ჰესიოდე). მაგრამ ეს ცნობები მეტად ბუნდოვანია და თანაც განიცდის იმ წარმოდგენების გავლენას, რომლებიც ბერძნებს ამ სანაპიროების გაცნობით შეუმუშავდათ. ძვ. წ. აღ. VIII საუკუნეში ბერძნების მიერ ჩატარებული ცდა შავი ზღვის სანაპიროებზე კოლონიების დაარსებისა (სინოპი) მიდია-სპარსეთის წინა აზიის სცენაზე გამოსვლის გამო ფერხდება და ძვ. წ. აღ. VII-VI საუკუნეში ახალი ძალით ჩაღდება, რაც ეგეოსის სამყაროს სოციალ-ეკონომიური მდგომარეობითაც იყო შეპირობებული. აქედან იწყება ნამდვილი კონკრეტული და, შეიძლება ითქვას, რეალური სინამდვილის ამსახველი ცნობების გაჩენა ბერძნულ ლიტერატურაში. მაგრამ ასეთი ცნობების გვერდით, არსებობენ ზღაპრული და ხშირად ურთიერთგამომრიცხავი ცნობებიც, რომლებშიც ნამდვილის ზღაპრულისაგან გამოცალკევება სიძნელეს წარმოადგენს. ეს გარემოება შედეგია არა ამა თუ იმ ავტორის ნიჭიერება-უნიჭობისა, არამედ იმ წყაროების სიჭრელისა, რომლითაც ეს ავტორები სარგებლობდნენ. ბერძენ-ლათინი მწერლების ცნობებზე მუშაობისას თვალში გვეცემა ტომების სიმრავლე, რომელთაც ეს ავტორები შავი ზღვის სანაპიროზე ასახელებენ. როგორც ცნობების ურთიერთშეპირისპირებით შეიძლება ვიფიქროთ, აქ მოსახლე ტომების რიცხვი ისეთი დიდი არ უნდა იყოს, როგორც ამ ავტორებს აქვთ წარმოდგენილი. ეს განსაკუთრებით შეეხება შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე მოსახლე ქართველურ ტომებს. სამხრეთ სანაპიროები, სადაც ბერძენ-ლათინი ავტორების წარმოდგენით, ტომთა სიმრავლე განსაკუთრებით დიდია, მთიანი ქვეყანაა, რომელიც, ცხადია, ხეობებადაა დაყოფილი. ცალკეულ ხეობათა მოსახლეობა სხვადასხვა სახელით იწოდება, ისევე, როგორც, მაგალითად, დღეს ქართლის მთიანეთის მოსახლეობა (თუშები, ფშავები, ხევსურები, მოხევეები, მთიულები და ა.შ.). თვით თემის, ხეობის მცხოვრები, იმის მიხედვით, თუ ვისთან უხდება მას საუბარი, თავის თავს სხვადასხვა სახელით იხსენიებს: ჩოხატაურელი გურული გურიის სხვა კუთხის მცხოვრებს ეტყვის, რომ ის ჩოხატაურელია, მეგრელს ეტყვის რომ ის გურულია, ხოლო რუსთან საუბარში თავის თავს ქართველს უწოდებს და იგი ყველა შემთხვევაში მართალია. გარდა ამისა, ესა თუ ის თემი, ხეობა ან ტომი თავის თავს აღნიშნავს ერთი გარკვეული სახელით (ფშაველი, გურული, ქართლელი ...), მაგრამ გარდა ამისა, მას კიდევ აქვს რამდენიმე სახელი, რომელიც მისთვის შორეულ თუ ახლობელ მეზობლებს შეურქმევიათ: ქართველი, ივირქ, კოხივ, ქორთუ, აქრთუა;

სომეხი, ჰაᲘ, არმენი, ...; მეგრელი, მარგალი, აგრუა, მზან, ტოოლა; თუში, მოსექ, ტუსკოᲘ; სვანი, მუშვენ, აფუანუა; ღუნძი, ჰობოლალ და ა.შ. ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ მოყვანილიც საკმარისია იმის ცხადსაყოფად, თუ რა ვითარება შეიძლებოდა ყოფილიყო ძველი ავტორების შეცდომის წყარო. ბერძნებსა და რომაელებს თავიანთი საქმიანობის დროს ურთიერთობა აქვთ მრავალ ტომთან და თემთან. აქ ისინი ისმენენ მრავალ თითქოსდა ეთნიკურ სახელწოდებას, რომელთაგან ბევრი, სინამდვილეში, ერთი და იგივე შინაარსის მატარებელია. ცხადია, ადგილობრივი ენების უცოდინარ ბერძენ ვაჭარს ან მოგზაურს ვერ მოვთხოვთ სიზუსტე დაეცვა და უშეცდომოდ ეწერა. ჰეროდოტეც კი ვერ ახერხებს დააზღვევოს თავისი „ისტორია“ ზღაპრული ცნობების შეტანისაგან; მაგრამ ბერძნულ-ლათინურ ლიტერატურაზე დაკვირვებით ირკვევა, რომ მომდევნო თაობები ალღოს უღებენ წინა თაობათა მიერ დაშვებულ შეცდომებს და ცდილობენ მათ გასწორებას. ადგილობრივი ეთნოგრაფიული რუკის უფრო დაბეჯითებით გაცნობა მათთვის აშკარას ხდის, რომ, სადაც მათ წინაპრებს ტომი ეგულებოდათ, იქ სინამდვილეში თემი ყოფილა. ისინი იგებენ, რომ ხშირად რამდენიმე სახელში ერთი და იგივე ტერიტორიაა აღნიშნული. შეიძლებოდა მოგვეყვანა მაგალითი, სადაც წინა თაობათა შეცდომებს ასწორებენ მომდევნო ხანის ავტორები (სტრაბონი, არიანე, სტ. ბიზანტიელი და სხვ.) და გვაფრთხილებენ მაკრონებისა და სანების, დრილებისა და სანების, ზიდრიტების და ბიზერების და ა.შ. იგივეობაზე.

ამგვარად, ბერძენ-ლათინი ავტორების მიერ მოწოდებული ცნობები შავი ზღვის სანაპიროების ეთნიკური შემადგენლობის შესახებ დიდი სიფრთხილით უნდა იქნას გამოყენებული; ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ცნობა შემოწმებული უნდა იქნას მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობის სინათლეში, თვით გვიანფეოდალური ლიტერატურის ჩათვლით. უკანასკნელი, რიგ შემთხვევებში, გადამწყვეტი კორექტორის მნიშვნელობას იძენს (იხ. მიხაელ პანარეტის ცნობები ხალიბებზე და ხალდებზე, შეუდარეთ სტრაბონის ცნობებს იმავე ტომზე).

მაგრამ ბერძნულ-ლათინური ცნობების გამოყენებისას შეცდომებისაგან თავის დასაზღვევად მარტო ზემოაღნიშნულის გათვალისწინება არ არის საკმარისი, არამედ უნდა გვახსოვდეს, რომ დროთა ვითარებაში ხდება გარკვეული სახელის შინაარსის შეცვლა-გაფართოება ან შევიწროვება. ცხადია, ერთნაირი მოცულობის შინაარსის არ არიან ქსენოფონტისა და სტრაბონის მოსინიკები, ხალიბები, ტიბარენები და ა.შ. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ლიტერატურაში ერთბაშად ქრება მთელი რიგი ტომების ხსენება. მათ ტერიტორიაზე ახლა

სხვა სახელის ტომები ან ტომი იხსენიება. ამის მიზეზი, ჩვენ მიერ ზემოთ მითითებულ გარემოებათა გარდა, ძირითადად, პოლიტიკური ვითარების ცვლილებებში ჩანს საძიებელი: პოლიტიკურად გაბატონებული ტომი თუ თემი თავის სახელს თავს ახვევს მის მიერ დამორჩილებული ტომებისა და თემების ჯგუფს და შთანთქავს მათ სახელებს. ამის კარგ მაგალითად ზანების (ლაზების) მაგალითი იკმარებდა. პლინიუს სეკუნდთან (ახ. წ. 79 წ.) ის შავი ზღვისპირეთის ერთი ტომთაგანია, რომელიც კოლხებსა (ეთნიკური და არა პოლიტიკური მნიშვნელობით) და მდ. აფსარის სანაპიროზე მცხოვრებ ჰენიოხ-ამპრევტებს შორის არის მოქცეული.[61] დაახლოებით ისეთივე მდგომარეობა უჭირავთ მათ არიანეს დროს.[62] არიანე ასახელებს ზღვის სანაპიროზე მოსახლე ლაზების შორეულსა და ახლობელ მეზობლებს: ზიდრიტებს, აბსილებს, აბაზგებს, სანიგებს. პტოლემაიოსის დროს კოლხიდის ზღვის სანაპიროები უკვე ლაზებს უჭირავთ,[63] ხოლო არიანეს ანონიმი რედაქტორი კი გვაცნობებს, რომ „დიოსკურიიდან ანუ სევასტოპოლისიდან მდ. აბსარამდე წინად ცხოვრობდა ხალხი (ἔθνος) წოდებული კოლხებად და სახელგადარქმეული (μετονομασθεντές) ლაზებად“-ო.[64] ასე გააქრო ლიტერატურული ხსენებიდან ტომების მთელი ჯგუფი პოლიტიკური ვითარების შეცვლამ. მსგავსი მაგალითი სამხრეთ სანაპიროების ტომთა ცხოვრებიდანაც შეიძლებოდა მოგვეყვანა. სტრაბონი ერთგან გვაცნობებს, რომ ეხლანდელი ხალდები წინათ ხალიბებად იწოდებოდნენ (Οἱ δὲ νῦν Χαλδαῖοι Χάλυβες τό παλαιόν ὀνομάζοντο...).[65] ჩვენ სრული უფლება გვაქვს სტრაბონის ეს ცნობა პირდაპირი მნიშვნელობით არ გავიგოთ, რადგან სტრაბონამდელი ავტორის ქსენოფონტის ცნობიდან ვიცით, რომ ხალიბები და ხალდები სხვადასხვანი არიან. ასევე სტრაბონიდან 14 საუკუნის შემდეგ, ტრაპეზუნტელი მემატიანე მიხაელ პანარეტი გვაცნობებს, რომ ხალიბია და ხალდია სულ სხვადასხვა პროვინციებია, რომელთა მცხოვრებთ ხალიბები და ხალდები ეწოდებათ.[66] სტრაბონის ეს ცნობა ემყარება მისი ან მისი წყაროს დროისათვის ხალდების ხალიბებზე პოლიტიკური ჰეგემონობის ფაქტს და ასეთ გარემოებაშია გასაგები.

ამგვარად, ბერძნულ-ლათინურ გეოგრაფიულ ლიტერატურაში არსებული ცდომილებანი სხვადასხვა წყაროდან შეიძლება ამოდიოდეს. ყოველი კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინება-შემოწმება, ცხადია,

---

[61] Plin., VI, §11. SC. II, 178.
[62] PPE., §15. SC. I, 222.
[63] Ptol., V, 9, §5. SC, I, 241.
[64] P_S. PPE, §48. SC, I, 275.
[65] Strab., XII, 3, §19, SC, I, 158.
[66] Панарет М., Трапезунтская хроника, М., 1905, 3,15,16::34,35,38,40.

შეუძლებელია საკონტროლო მასალების უაღრესი სიმცირის გამო, მაგრამ იქა-აქ ასეთი მასალები იპოვება და საშუალება გვეძლევა ამა თუ იმ ცნობის ავკარგიანობა შევამოწმოთ.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, ჩვენ შეგვიძლია ადგილი მივუჩინოთ ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიის ტომებს, თემებს და სხვა ტომობრივ დაჯგუფებებს.

ტიბარენები: ანტიკური პერიოდისათვის შავი ზღვის სანაპიროზე მოსახლე ტომთაგან ყველაზე სამხრეთით ტიბარენები სახლებულან. მათ შესახებ ცნობას იძლევა არაერთი ბერძენი და რომაელი ავტორი: ჰეკატე მილეთელი, ჰეროდოტე, ქსენოფონტე, ფსევდო-სკილაქს კარიანდელი, აპოლონ როდოსელი, ანონიმი (სკიმნ ქიოსელი ?), სტრაბონი, პომპონი მელა, ვალერი ფლაკი, დიონისე, ზინობიოსი, პორფირი, ევსევი და სხვები.

ტიბარენების ადგილსაცხოვრისის ზოგადი განსაზღვრისათვის გადამწყვეტია ქსენოფონტის ცნობა, რომლითაც კოტიორა ტიბარენების ქვეყანაშია.[67] ჰეკატე მილეთელის ცნობით, ტიბარენებს აღმოსავლეთით მოსინიკები ესაზღვრებიან.[68] ასეთივე ცნობა აქვს ფსევდო სკილაქს კარიანდელსაც.[69] ძვ. წ. აღ. I საუკუნის უსახელო ავტორის (სკიმნ ქიოსელი?) ცნობით, ტიბარენები აღმოსავლეთით კერასუნტამდე ვრცელდებიან,[70] ხოლო სტრაბონის ცნობით, ტიბარენები მრავალტომიანები არიან. ... Προς νότον δὲ τῆς Ὑπκανίας θαλάττης, ἐκ μέρους καὶ τοῦ ἰσθμοῦ παντός, ματαξού ταύτης καὶ τοῦ Πόντου τῆς τε Ἀρμενίας ἡ πλείστη κεῖται καὶ Κολχίς καὶ Καππαδοκία σύμπασα μέχρι τοῦ Εὐξείνου Πόντου καὶ τῶν Τιβαρανικῶν ἐθνῶν...[71] მეორეგან სტრაბონი გვამცნობს, რომ ტიბარენია და კოლხიდა მოსაზღვრეები არიან. მათ შორის საზღვარი, მისი თუ მისი წყაროს ცნობით, ტრაპეზუნტის მთაა, რომელიც ტავრის მთიანეთში მდებარეობს... ἐν δὲ τῇ ὀρεινῇ τῶν Τ;;υρων καὶ τό ὄρος ἐστίν ὁ Τραπεζοῦς, ὁμώνυμον τῇ πόλει τῇ περὶ τήν Τιβαραωίαν καὶ τήν Κολχίδα...[72] მე-12 წიგნში სტრაბონი აღნიშნავს, რომ ფარნაკიისა და ტრაპეზუნტის სამხრეთის ზემოთ, მცირე არმენიამდე, ცხოვრობენ ტიბარენები და ხალდები (Ὑπέρ μέν δή τῶν περὶ

[67] Xenoph., V, 5, §2.
[68] Fr., 193. SC, I, 3.
[69] Scil., 87. SC, I, 86.
[70] Περιήγησις, §911. SC, I, 90-91.
[71] Strab., II, 5, §31, SC. I, 105.
[72] იქვე, VII, 4, §3. SC, I, 124.

Φαρνακίαν καὶ Τραπεζοῦντα τόπων οἱ Τιβαρηνοὶ καὶ Χαλδαῖοι μέχρι τῆς μικρᾶς Ἀρμενίας εἰσίν...)[73]

როგორც ზემოთ მოყვანილი ამონაწერებიდან ჩანს, სტრაბონს ტიბარენულ ტომად მიაჩნია ხალიბებიც, რომლებიც ასევე ტრაპეზუნტის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ცხოვრობდნენ.* გამოვალთ რა იმ გარემოებიდან, რომ ხალიბებიც ტიბარენულ ტომს წარმოადგენს, ჩვენ საშუალება გვეძლევა „ტიბარენული ხალხების" საცხოვრისი შემოვფარგლოთ არა მარტო სტრაბონის, არამედ გაცილებით უფრო ადრეული ხანისათვის. იგი ერთგან გადმოგვცემს, რომ ანტიოქოზ დიდის სატრაპებმა არტაქსიმ და ზარიადრიმ, რომლებმაც არმენიის ორი სამეფო დააარსეს, მეზობლებს მიწები წაგლიჯეს და კერძოდ: „იბერებს პარიადრის კალთები და კირს იქით მდებარე ხორზენე და გოგარენე, ხალიბებს და მოსინიკებს კარინიტიდა და ქსერქსენე, რომლებიც ესაზღვრებიან მცირე არმენიას, ან მის ნაწილსაც კი შეადგენენ, კატაონებს აკილისენა და ანტიტავრის მიმყოლი ოლქი".[74] არმენიის მიჯნას, მისი სიტყვით, „ჩრდილოეთით შეადგენენ კასპიის ზღვის ზემოთ მდებარე პარახოათრის მთები, ალბანები, იბერები და კავკასი, რომელიც მოიცავს ამ ხალხებს და ეკვრის არმენიის /მთებს/, იგი ეკვრის აგრეთვე მოსხურ მთებს და კოლხურსაც, ვიდრე ეგრეთ წოდებულ ტიბარენებამდე. დასავლეთით /არმენიის საზღვარს შეადგენს/ ეს ხალხები და პარიადრი და სკიდასი, ვიდრე მცირე არმენიამდე და ევფრატის ხეობამდე, რომელიც განყოფს არმენიას კაპადოკიისა და კომაგენესაგან".[75] როგორც ს. ჯანაშიამ გამოარკვია, სტრაბონის მიერ მოხსენებული პარიადრი, სკიდასი და მოსხური მთები „ეს პონტოს მთაგრეხილის სხვადასხვა ნაწილია; სკიდასი ის მთებია, რომელიც გირესუნ-კერასუნტისა და ტრაპიზონ-ტრაპეზუნტის ხაზზე გასდევს შავი ზღვის სანაპიროს: მოსხური მთები სკიდასის გაგრძელებაა აღმოსავლეთისაკენ, გადაჭიმული ტრაპეზუნტ-ბაიბურდის ხაზიდან, ვიდრე ჭოროხის ქვემო წელამდე. პარიადრი კიდევ ყველაზე დასავლეთით მდებარე ნაწილი, რომელიც, სტრაბონის წარმოდგენით, იწყება ფატისა-თერმეს რაიონიდან და გასდევს დასავლეთისაკენ."[76] კარინიტიდა და ქსერქსენე, რომელიც სკიდარის მთების აღმოსავლეთ კალთებზე და მის აღმოსავლეთით მდებარეობდა, მდინარეების არაქსისა და ევფრატის სათავეების დასავლეთით, ძველი წელთაღრიცხვის მეორე საუ-

---

[73] იქვე, XII, 3, §28. SC, I, 159-160

* ტიბარენებისა და ხალიბების შესახებ იხ. აგრეთვე პ. ინგოროყვას შრომა „გიორგი მერჩულე", მნათობი, 1950, №7

[74] იქვე, XI, 14, §5. SC, I, 155.

[75] Strab., XI, 14, § I. SC, I, თარგმანი ს.ნ. ჯანაშიასი. იხ. შრ., II, 264.

[76] ს. ჯანაშია, პარიადრი, სკიდასი, მოსხური მთები, შრ. II, 266.

კუნის 80-იან წლებამდე ქართველურ გაერთიანებათა შემადგენლობაში ყოფილა, ხოლო ამ დროიდან კი მცირე არმენიის შემადგენლობაში შესულა. სტრაბონის დროს სკიდასისა და პარიადრის მწვერვალები ჰეპტაკომიტებით, მოსინიკებით და ბიზერებით ყოფილა დასახლებული, გადაღმა კი უკვე მცირე არმენია იწყებოდა.[77]

ამგვარად, ძვ. წ. აღ. II საუკუნის დამდეგიდან „ტიბარენული ხალხების“ ადგილსაცხოვრისის აღმოსავლეთი საზღვარი პარიადრისა და სკიდასის, ანუ აღმოსავლეთ პონტოს მთაგრეხილის მწვერვალებზე გადიოდა.

„ტიბარენულ ხალხებს“ სამხრეთიდან, სტრაბონის ცნობით, კაპადოკია ესაზღვრებოდა. თუ მის ცნობას მივყვებით, მდინარე ღალისის ქვემო წელში შესართავამდე და მის აღმოსავლეთით გადილონიტიდაა, კიდევ აღმოსავლეთით კი სარამინი,[78] ხოლო კამბისინა, რომელიც ღალისისა (ყიზილ-ირმაკი) და ირისის (იეშილ-ირმაკი) სათავეებში მდებარეობდა, ამ დროს არმენიის შემადგენლობაშია.[79] ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამორიცხვის გზით მივიღებთ, რომ ტიბარენიისა და კაპადოკიის შეხებისათვის ადგილი მდ. ღალისის დიდი რკალის აღმოსავლეთით რჩება,[80] უფრო ირის-ლიკის ხაზზე. ამგვარად, გარკვეული ხანისათვის „ტიბარენული ხალხების“ საცხოვრისის სამხრეთი საზღვარი მდ. თერმოდონტის სამხრეთით ირის-ლიკის დინებას გაყვებოდა და პარიადრზე შეყოლებით ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა.. პომპონი მელასთან დაცული ერთი ცნობა ამტკიცებს, რომ ანტიკურ ლიტერატურას შემოუნახავს ცნობა, რომლითაც ტიბარენელ ხალხებს მდ. ღალისზე უცხოვრიათ. იგი, როგორც ჩანს, ძალიან ძველი წყაროდან უნდა ამოდიოდეს. “(პაფლაგონიელებთან). უახლოეს ხალხებს, – ამბობს იგი, – აქვთ უბრწყინვალესი ქალაქები ამისი და სინოპი, კინიკ დიოგენის სამშობლო, ხოლო მდინარეებიდან ღალისი და თერმოდონტი. ღალისზე მდებარეობს ქალაქი ლიკასტო, ხოლო თერმოდონტზე – ველი. მასზე იყო ქალაქი თემისკირა“ (chalybes proximi clarissimos habent[urbes] Amison et Sinopen, cynici Diobenis patriam, amnium Halyn urbs sdt Yicasto, ot Thermodonta campus in eo fuit Themiscurum oppidum...)[81]. ჩვენ მიერ აღნიშნულ მოსაზრებას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ სახელი „ღალისი“ ჭანურ ენაში მდინა-

---

[77] იქვე, XII, 3 §18. SC, I, 158.
[78] იქვე, XII, 3 §13. SC, I, 157.
[79] იქვე, XI, 14 §4. SC, I, 155.
[80] შრდ. ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, I, თბ., 1924 წ., გვ. 60 და შმდგ.
[81] Pomp. Mela, I, 105. SC, II, 117.

რის ზოგად სახელად ქცეულა.[82] ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ კონსტანტინეპოლში შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს მცხოვრებლებს, სინოპელებისა და სამსუნელების ჩათვლით, ლაზებს ეძახიან. ე.ი. ეს ადგილები მათ ქართველური მოდგმის ადგილსაცხოვრისად აქვთ წარმოდგენილი. მართლაც, როგორც ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, ძველი ტაბალის ტერიტორიას სამხრეთით კილიკია საზღვრავდა, აღმოსავლეთით – ევფრატი, სამხრეთ-აღმოსავლეთით – კუმუხი, ე. ი. მას ის ტერიტორია ეჭირა, რომელიც შემდეგ დიდ კაპადოკიად არის ცნობილი.[83] ტაბალის არსებობას მცირე აზიაში დიდი კაპადოკიის ტერიტორიაზე, როგორც ეს გელცერმა გამოთქვა პირველად, ბოლო მოუღო კიმერიელებისა და სკვითების შემოსევებმა. ამ შემოსევებით შეწუხებული თუბალური ტომები ჩრდილოეთისაკენ გაიწევენ და აძლიერებენ შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე მოსახლე ქართველ ტომებს, რომლებიც თუბალის პერიფერიას წარმოადგენდა და რომელსაც შერჩა ამ მოდგმის სახელიც – „ტიბარენი“.[84] გ. ჩიტაიას აზრით, ტიბარენებსა და მესხებს გარკვეულ პერიოდში ლიდიელებისა და თირსენ-ეტრუსკების მეზობლადაც უცხოვრიათ, რაზედაც სახვნელი იარაღების იგივეობაც მიგვითითებსო.[85] ასევე ს. ნ. ჯანაშია, ანალიზს უკეთებს რა ასურული და ებრაული წყაროების ცნობებს, მიუთითებს, რომ ებრაელ ავტორებს თუბალ-თობელთა ტერიტორია ჩრდილოეთით, ხმელთაშუა ზღვის მონაპირე ხალხების მეზობლად აქვთ ნაგულისხმევი.[86]

ტიბარენები იბერული მოდგმის წარმომადგენლები არიან, რომლებიც ისტორიულ ქარტეხილს შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მიუმწყვდევია.[87] მათი ერთი ნატეხი მცირე აზიის ცენტრალურ რაიონებში, როგორც ციცერონის წერილიდან ირკვევა, ძვ. წ. აღ. I საუკუნეში ჯერ კიდევ ყოფილა გადარჩენილი (ძვ. წ. აღ. 51 წ. კილიკიის პროკონსული მარკ ტული ციცერონი ბრძოლას აწარმოებს აჯანყებული „ტიბარენების“ წინააღმდეგ).[88] საინტერესოა, რომ IV საუკუნის ავტორი ევსევი ტიბარენებს იაფეტური მოდგმის ტომად ასახელებს.[89]

---

[82] Марр Н.Я., Из поездки в Турецкий Лазистан, ИАН, 1910, стр. 607-608. Адонц Н., Армения в эпоху Юстиниана, СПБ, 1908, стр 59. (ТР по Грузинско-Армянской филологии, XI). ადონცი სახელწოდებას „Haly-s“ უკავშირებს ლაზურ ღალა (მდინარე) და ქართულ წყალს („sgali“).

[83] ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I_4, გვ. 404 (დამატება 1).

[84] იქვე, 408-409.

[85] ჩიტაია გ., რაჭული სახვნელი, ენიმკის მოამბე, I, თბ., 1937, 287.

[86] ჯანაშია ს., თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, ენიმკის მოამბე, I, 237.

[87] მისივე, უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ, შრ. II, თბ., 1952, 65.

[88] მისივე, თუბალ-თაბალი, 232.

[89] Evseb. Chron., SC, I, 667.

ეფორის ცნობით, რომელიც სტეფანე ბიზანტიელთანაა დაცული, ტიბარენებს მეზობლად ხალიბები და ლევკოსირები ჰყოლიათ.[90]

ტაბალ-ტიბარენი შემკრებელობითი ცნებაა ჩვენთვის საინტერესო ხანაში. სალმანასარ III-ის ცნობით, მას ტაბალის 24 მეფე ჰყოლია მოხარკედ,[91] ასევე სტრაბონის მიერ „ტიბარენული ხალხების" (ტომების) მოხსენიება საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამ სახელის შინაარსი თუმც შემცირებულა, მაგრამ შემკრებლობითი ხასიათი არ დაუკარგავს. თვით ტომი ტიბარენები ჩვენთვის საინტერესო ხანაში სადღაც თერმოდონტის აღმოსავლეთით ცხოვრობს,[92] მაგრამ მისი სახელი ჯერ კიდევ აფარია მთელ ტერიტორიას კაპადოკიამდე, არმენიამდე და კოლხიდამდე. აქ სხვებს შორის ცხოვრობს ტიბარენული (იბერული) მოდგმის ტომი, რომელსაც ანტიკური ავტორები ხალიბების სახელით იცნობენ.

ხალიბები: პირველი კონკრეტული ცნობა ხალიბების შესახებ ჰეკატე მილეთელთანაა დაცული. მისი გადმოცემით, ხალიბები პონტოს ხალხია მდინარე თერმოდონტზე, რომელთაც სამხრეთით არმენები საზღვრავენ (Χάλυβες, περί τόν Πόντον ἔθνος ἐπί τῶ Θερμώδοντι... Χαλύβοισι πρός νότον Ἀρμένιοι ὁμουρέουσι).[93] შემდეგ ცნობებს ხალიბებზე ვხვდებით ესქილესთან, ჰეროდოტესთან, ქსენოფონტესთან, ფსევდო-სკილაქს კარიანდელთან, არისტოტელესთან, აპოლონ როდოსელთან, ვალერი კატულთან, ვირგინი მარონთან, მრავალგზის – სტრაბონთან, პომპონი მელასთან, ვალერი პრობთან, ვალერი ფლაკთან, კურცი რუფთან, პლინი სეკუნდთან, აპიანესთან, ამიანე მარცელინთან და მრავალ სხვა ავტორთან.[94] მათ შესახებ ცნობა უნდა ჰქონდეს ჰომეროსსაც (ილიადა, II, 856). ხალიბების ადგილსაცხოვრისის განსაზღვრისათვის ძირითადად ქსენოფონტის „ანაბასისში" დაცული ცნობები უნდა გამოვიყენოთ, რადგან იგი თვითმხილველის მიერაა დაწერილი. როგორც ჩვენ მიერ ზემოთ იყო აღნიშნული, ისტორიაში გვხვდება მაგალითი, როდესაც გაბატონებული ტომი თავის სახელს თავს ახვევს ტომების მთელ ჯგუფს და თავისი ბატონობის პერიოდის მთელ სიგრძეზე ნთქავს მათ სახელებს. ქსენოფონტის მიერ შავი ზღვის სანაპიროზე მითითებული ხალიბები მოსინიკებსა და ტიბარენებს შორის ცხოვრობენ და თანაც მოსინიკების ქვეშევრდომები არიან, ე. ი. ისინი ამ დროს თავის ბუნებრივ ჩარჩოებში არიან. უსპენსკის

---

[90] SC, I, 267.
[91] ჯავახიშვილი ივ., დასახ. ნაშრ. 404-405.
[92] შდრ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, ჟურნ. მნათობი, 1950, №7, გვ. 112.
[93] Fr., 195. SC, I, 3.
[94] იხ. SC, I, 3, 333-334, 86, 380, 413-414, 426, 155, 158, 527-528, ... SC, II, 13, 14, 117, 25, 202-203, 127-128, 178, 181, 24, 27, 276, 360, 390, 19, 22, 325, 421...

გამოკვლევით, რომელიც ტრაპეზონურ წყაროებს ემყარება, ხალიბიად იწოდებოდა ოლქი, რომელიც იასონიის კონცხის სამხრეთიით ვრცელდებოდა. ამ ხაზზე აშენებული იყო სიმაგრეები – ვონა, უნია, ლიმნია და სხვები. ხალიბიის მთავარი ქალაქი ნეოკესარიაა (ნიკსარ). ხალიბია წარმოადგენს ფართო ოლქს მდ. ლირისის დინებაზე.[95] ამასვე ადასტურებს ფსევდო სკილაქს კარიანდელის ცნობა, რომ ხალიბებს გააჩნიათ ჰავანი გენეტი, ქალაქი სტამენა და აკროპოლი იასონია.[96] ასევე ჰეკატე მილეთელი წერს, რომ სტამენა ხალიბების ქალაქიაო.[97] აპოლონ როდოსელის ცნობით ხალიბები თერმოდონტის აღმოსავლეთით ცხოვრობენ.[98] პომპინი მელასთან დაცული ცნობით, რომელზეც ზემოთ უკვე მივუთითეთ, ხალიბების ტერიტორიაზეა ამისი და სინოპი, აგრეთვე ღალისი და თერმოდონტი.[99] ამას თუ დავუმატებთ ქსენოფონტის ცნობას ხალიბების არსებობაზე სხვაგანაც, საკმაოდ ჭრელი სურათი წარმოგვიდგება, რომელთა შეთანხმება არცთუ იოლი საქმეა. მე ვფიქრობ, რომ თვითეულ შემთხვევაში ჩვენ გათვალისწინებული უნდა გვქონდეს ხალიბების პოლიტიკური მდგომარეობა. პომპონი მელასთან დაცული ცნობა, ცხადია, ეხება იმ ხანას, როდესაც ხალიბებს დაპყრობილი ყავს მეზობლები და მათ შორის ტიბარენებიც, ხოლო სტრაბონის წყაროს ხანაში ხალიბები ხალდ-ჭანებსა ჰყავთ დამორჩილებული. ხალიბები, ცხოვრობენ რა ტიბარენებსა და მოსინიკებს შორის, სამხრეთით არმენებამდე ვრცელდებიან. ხალიბია მდ. ლირისის სათავეებით უკავშირდებოდა ერზინჯანსა და კამახინას.[100] მაშასადამე, იგი სიღრმეში ვრცელდებოდა ფართოდ, ხოლო სანაპიროზე არც ისე დიდი ზოლი ეჭირა.

ლიტერატურაში ხალიბების შესახებ არაერთი აზრია გამოთქმული. მას შეხებიან სპეციალურად თუ გაკვრით თ. უსპენსკი, ალ. ხახანაშვილი, დიუბუა დე მომპერე, უსლარი, აბიხი, ჰამილტონი, ადონცი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია და სხვები. ალ. ხახანაშვილი, იყენებს რა სტრაბონის მცდარ ცნობას ხალიბებისა და ხალდების იგივეობაზე და, იშველიებს რა მოსე ხორენელის ცნობას ჭანთა და ხალდთა იგივეობაზე, ფიქრობს, რომ ხალიბები და ხალდები მდ. თერმოდონტზე ცხოვრობდნენ, ისევე, როგორც ახლა იქ ჭანები ცხოვრობენ (sic!).[101] იგი ამავ დროს ეკამათება დიუბუა დე მომპერეს, რომელიც ფიქრობდა, რომ ხალიბები მდ. ალაზნის (კახეთი) სანაპიროდან უნდა იყვნენ

---

[95] Успенский Ф., Очерки из истории Трапезунтской империи, Л., 1929, 96.
[96] Scil., 88. SC, I, 86.
[97] Fr., 196. SC, I, 3
[98] Apol. Rod., II, 372, 405. SC, I, 413.
[99] Pomp. Mela, I, 105. SC, II, 117.
[100] Успенский Ф., დას. ნაშრ., გვ. 96.
[101] Хаханов А., Древнейшие пределы расселения грузин по Малой Азии, ЗКОРГО, XXII, 6, Тб., 1903, с. 24

გადასახლებული მცირე აზიაშიო,[102] და აცხადებს, რომ ხალიბების მოძრაობა პირუკუ უნდა ყოფილიყო მცირე აზიიდან ალაზანისაკენ.[103] ცხადია, ერთიცა და მეორეც დაუსაბუთებლად გამოთქმული დებულებებია, რაც მხოლოდ იმ გარემოებას ემყარება, რომ ჰომეროსს მოხსენებული ყავს ალიძონები. სულ უკანასკნელად ხალიბებს თავის ნაშრომში „ქსენოფონტის „ანაბასისი“ და მისი ცნობები ქართველ ტომებზე შეეხო თ. მიქელაძე. ავტორი ცდება, როდესაც ცდილობს ხალიბებისა და ხალდების იგივეობა სტრაბონის ცნობაზე (XII, 3 §19) დაყრდნობით უეჭვო სინამდვილედ დაგვიხატოს[104] (ასევე ცდებიან ამ საკითხში ალ. ხახანაშვილი, უსლარი, ივ. ჯავახიშვილი და სხვები). ასევე ცდება ავტორი, როცა „ანაბასისის“ ტექსტის დამოწმებით (IV, 4 §18; IV, 5 §34; IV, 6 §5; IV, 7 §15-18; V, 5 §1), ხალიბები ოთხ სხვადასხვა ადგილას მოსახლედ ჰყავს ნაგულისხმევი. მათი ასეთი განსახლება მას, შეცდომით, ხალიბების მიერ ოდესღაც დამორჩილებული ტომების გაძლიერებით და მათ მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებით აქვს ახსნილი.[105] საკითხის ასეთი გადაჭრის უსაფუძვლობა, ვგონებ, ცხადი უნდა იყოს: „ხალიბ“ სახელს ატარებს ერთი ტომი, რომელიც, თუ დაიმორჩილებს სხვა ტომებს, თავს ახვევს მათ თავის სახელს, მაგრამ დამორჩილებულ ტომთაგან თუ რომელიმემ თავი გამოიხსნა, მაშინ მის მიღმა მდებარე ტომები ყველა გამოხსნილია და ამდენად, ასეთი ვითარება სპორადული განსახლების მიზეზი ვერ იქნება. თ. მიქელაძეს ხალიბთა ადგილსაცხოვრისის დაუჯერებელი საზღვრები აქვს წარმოდგენილი. მათი სამოსახლო, როგორც ავტორი გადმოგვცემს, თურმე, ერევნის მიდამოებსაც მოიცავდა,[106] ხოლო დასავლეთით ისინი თერმოდონტისა და იქნებ ღალისის აუზებში, ტიბარენების დასავლეთითაც კი, ცხოვრობდნენ. ხალიბები ერთ დროს, მისი წარმოდგენით, „დიდი ხალხი“ ყოფილა.[107] ხალიბების სხვადასხვა ადგილას მოხსენიება „ანაბასისში“ შეიძლება უფრო ბუნებრივად აიხსნას, თუ დავუშვებთ, რომ „10000-ის“ გზამ, რომელიც ზამთრის მძიმე პირობებში და მთებში მიემართებოდა, ტომთა საცხოვრისების საზღვრების ურთიერთშეჭრილობის გამო, რამდენჯერმე გადასერა ერთი და იგივე ტომის, ან ერთსა და იმავე ენაზე მოლაპარაკე სხვადასხვა თე-

---

[102] Dubais de Montpereux, Voyage autour du Caucase, IV, Paris, 1840, p. 139.
[103] Хаханов, იქვე, 24
[104] მიქელაძე თ., ქსენოფონტის „ანაბასისი“ და მისი ცნობები ქართველი ტომების შესახებ, თბ., 1953, გვ. 178 (ხელნაბეჭდი). აგრეთვე: Адонц Н., Армения в эпоху Юстиниана, СЛБ, 1908, стр. 58-59 (Тексты по армяно-грузинской филологии, XI). ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, I, 414.
[105] იქვე, 157-158.
[106] იქვე, 164.
[107] იქვე, 167.

მების ტერიტორია, რამაც შექმნა ილუზია იმ ტომის მრავალ ადგილას ბინადრობაზე. დაღესტნიდან მომავალი უცხო მგზავრი, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს ამიერ კავკასიის ეთნოგრაფიულ რუკაზე, გადმოივლის რა ქართლსა და იმერეთს, შეივლის სამეგრელოში, გადაივლის გურიასა და გავა ჭანეთში, ხოლო იქედან კლარჯეთში, იტყვის, რომ მეგრელები ორ სხვადასხვა ადგილას სახლებულან, ხოლო ქართლელები კი სამსაო (ქართლი, გურია, კლარჯეთი – მათ ყოფს სამეგრელო და ჭანეთი).. უკანასკნელი გარემოება ეთნოგრაფიული რუკის უცოდინარობით გამოწვეული მცდარობა იქნება, ხოლო პირველი – შემთხვევითი სინამდვილე. დაახლოებით ასეთი რამ უნდა შემთხვეოდა „ანაბასისის“ ბერძნებსაც. ი. მანანდიანი ფიქრობს, რომ ხალიბები არმენების თანამეტომეები არიან.[108] ცხადია, ამ აზრის საწინააღმდეგოდ არაერთი ფაქტი მეტყველებს, მათ შორის ის გარემოება ყველაზე მეტად, რომ ამ დებულებით არმენული ტომის საცხოვრისის საზღვრები შავ ზღვაზეა გატანილი.

მოსინიკები: მათ შესახებ ანტიკურ ლიტერატურაში მრავალი ავტორი იძლევა ცნობას: ჰეკატე მილეთელი, ჰეროდოტე, ქსენოფონტი, ფსევდო-სკილაქს კარიანდელი, ფსევდო არისტოტელე, აპ. როდოსელი, ნიკოლოზ დამასკელი, ანონიმი (სკიმნ ქიოსელი ?), სტრაბონი, პომპონი მელა, კურცი რუფი, პლინი სეკუნდი, ვალერი ფლაკი, Liber Generationis ავტორი (იპოლიტე პორტელი), ამიანე მარცელინი და სხვები. ზოგიერთი ამ ავტორთაგანი იმეორებს წინამორბედებს (ამ. მარცელინი, სტ. ბიზანტიელი, ფსევდო არიანე და სხვები), ზოგს კი ახალი ცნობებიც გააჩნია (ქსენოფონტი, სტრაბონი და სხვები).

ჰეკატე მილეთელის ცნობით, მოსინიკები ტიბარენების აღმოსავლეთით ცხოვრობენ,[109] ტიბარენები კი ყველა ავტორს ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ხალხად აქვთ წარმოდგენილი. აქედან, ჰეკატესათვის მოსინიკები ზღვის სანაპიროს მცხოვრებლები არ არიან, რადგან სამხრეთ სანაპიროზე მოსახლე ტიბარენების აღმოსავლეთით მცხოვრები მოსინიკები ზღვის სანაპიროს მცხოვრებლები ვერ იქნებოდნენ. ამასვე ადასტურებს ფსევდო-სკილაქს კარიანდელის ცნობა, რომ ისინი მთებში ცხოვრობენ (...οὗτοι ὅδη κατοιτοῦσιν).[110] ფსევდო-სკილაქსისათვისაც მოსინიკები და ტიბარენები ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობენ (Μετά δέ Μοσχύνους ἔθνος ἐστί Τιβαρηνοί).[111] ჰეკატესა და ფსევდო-სკილაქსის ცნობას მოსინიკების ზღვიდან დაშორებით მთებში

---

[108] Манандян Я., О некоторых проблемах истории древней Армении и Закавказья, Ереван, 1944, 53.
[109] Fr., 193. SC, I, 3;
[110] Scil , 86. SC, I, 86.
[111] იქვე, 87. SC, I, 86.

ცხოვრებაზე, მხარს უჭერს სტრაბონიც, რომელიც გვაცნობებს, რომ მოსინიკები, რომლებიც ამ ავტორის დროს, თურმე, ჰეპტაკომიტებად იწოდებოდნენ, სკიდასის მთის თხემებზე სახლობდნენ,[112] მაგრამ ყველა ამ ცნობას თითქოს უარყოფს ქსენოფონტის „ანაბასისში“ დაცული ცნობა, რომლითაც მოსინიკები ზღვის სანაპიროს მცხოვრებლებადაა წარმოდგენილი.[113] ქსენოფონტის ცნობას ერთი შეხედვით უპირატესობა უნდა მიეცეს სხვებთან შედარებით, რამდენადაც მან თავისი ფეხით გაიარა მოსინიკების საცხოვრისი ტერიტორია, მაგრამ მხოლოდ გაიარა და არ შეეძლო ეძია, თუ სად იყო მოსინიკების ძირითადი საბუდარი. როგორც „ანაბასისისა“ და სხვა ცნობების ურთიერთშეჯერებიდან ირკვევა, ქსენოფონტის დროს მოსინიკებს ზღვის სანაპიროები ეჭირათ, როგორც მოძალადეებს. ცდება თ. მიქელაძე, როდესაც „ანაბასისის“ ცნობაზე დაყრდნობით მოსინიკების ერთ ნაწილს ზღვის სანაპიროს აცილებს და კერასუნტის სამხრეთით 60-70 კმ-ზე ათავსებს, კიუმბერტ დაღის სამხრეთ ან სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე და მათ „პირიქეთელ“ მოსინიკებს უწოდებს, ხოლო მოსინიკების მეორე ნაწილს, რომელიც ბერძნებს მტრულად შეხვდა, ზღვის სანაპიროზე ათავსებს და „პირაქეთელს“უწოდებს.[114] მაგრამ საკითხავია, როგორ მოახერხებს ზღვას 60-70 კმ-ით დაშორებულმა „პირიქითელმა“ მოსინიკებმა ბერძნების საშველად 300 ნავით მოსულიყვნენ? ამგვარად, უეჭველია, რომ მოსინიკები ზღვის სანაპიროზე გამოჭრილან ფართო ფრონტით და მათი ორივე ნაწილი ახლა ფლობს ზღვის სანაპიროებსაც. მოსინიკების მოხსენიება ჰეროდოტესთან[115] გვაფიქრებინებს, რომ ისინი ერთ დროს დიდი გაერთიანების ჰეგემონები უნდა ყოფილიყვნენ. მართლაც, სტრაბონის ცნობით, ძვ. წ. აღ. II საუკუნის 80-იან წლებამდე მოსინიკებს ხალიბებთან ერთად კარენიტიდასა და ქსერქსენეშიც უცხოვრიათ, რის შემდეგ ეს ოლქები მცირე არმენიის შემადგენლობაში შესულა. როგორც სტრაბონის მიერ იქვე მოყვანილი ცნობიდან შეიძლება ვივარაუდოთ, მოსინიკების სახელს შეფარებული ჰყოლია ჰეპტაკომიტები-სკვითინები და ბიზერები, რომლებიც ასევე სკიდასის მთაზე ცხოვრობდნენ.[116] „ანაბასისის“ ცნობებზე დაყრდნობით, თ. მიქელაძეს მოსინიკების ტერიტორიის საზღვრად აღმოსავლეთით კერასუნტის ხაზი აქვს ნაგულისხმევი, დასავლეთით – ქ. მესუდიეს ხაზი, ხოლო სამხრეთით – ქ. სუმეხრის ქვემოთ გამავალი ხაზი;[117]

---

[112] Strab., XI, 3, §18. SC, I, 158
[113] Xenoph., V, 4 §1-34; V, 5 §1.
[114] მიქელაძე თ., დასახ. ნაშრ. 146.
[115] Herodot., III, 94, VII, 78 SC, I, 9, 57.
[116] Strab., XI, 14, §5. SC, I, 155.
[117] იქვე, XII, 3, §18, SC, I, 158, 224 შდრ. თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ. 221-223.

მოსინიკების წარმომავლობის საკითხს არაერთი ავტორი შეხებია. დიუბუა დე მომპერეს შესაძლებლად მიაჩნია მოსინიკები მესხებს გაუიგივოს.[118] ამავე აზრს იზიარებს ალ. ხახანაშვილიც. მისი აზრით, ბიბლიის მეშეხი, ასირიული წყაროების მუსკი ანუ მუშკი, ქართული წყაროების მესხი და ჰეროდოტეს მოსინიკები ერთი და იგივენი არიან.[119] ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ „მოსსინიკი" ადგილობრივი წარმოშობის სახელია, რომელიც „მო" თავსართად და „სსანიკ" სახელად დაიშლება. ბერძნულ ფორმაში დაცული ორი „ს"-ანი მიუთითებს, რომ აქ არაჩვეულებრივი „ს"-ანი ყოფილა. მართლაც, მოგვიანო წყაროები იძლევიან ფორმას „ტძანი", რაც „ჭანის" უცხოური გამოთქმა უნდა იყოსო. ამგვარად, მისი აზრით, „მოსსინიკ" ფორმაში ჭანების სახელის უძველესი ფორმა უნდა ყოფილიყო დაცული.[120]

ჭანები: იმ ტერიტორიაზე, სადაც გვიან ლაზისტანის ვილაეთი იყო, ანტიკური ავტორები ასახელებენ რამდენიმე ტომს. ისინი დღეს ერთი საერთო სახელის – ჭანის, ანუ ლაზის სახელს ქვეშ არიან გაერთიანებული. თავის დროზედაც ისინი წარმოადგენდნენ არა ენობრივად დაყოფილ კოლექტივებს, არამედ ერთ ენაზე მოლაპარაკე ტომის თემებს შეადგენდნენ. ისინი ოდესღაც გვაროვნული კოლექტივები იყვნენ, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ხანაში ამ საფეხურს უკვე დიდი ხნის გაცილებულნი არიან. ეს თემები სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა სახელით გვევლინებიან, იმის მიხედვით, თუ რომელი ტომი თუ თემი ჰეგემონობს, ხოლო როცა არ არსებობს მათი ერთობა, ან ანტიკური ავტორებისათვის ცნობების მიმწოდებლები ახლოს ეცნობიან მათ, აშკარავდება მათი დაყოფა თემებად, ხეობებად თუ ტომებად. ჰეკატე მილეთელთან ისინი მაკრონებად იწოდებიან, ასევე იხსენიებს მათ ჰეროდოტე,[121] ქსენოფონტი, აპ. როდოსელი, არიანე და სხვები. ხოლო ჰიპოკრატე, ფსევდო-სკილაქს კარიანდელი, პომპონი მელა, ფსევდო-არიანე მათ მაკროკეფალებად (Μακροκέφαλοι) იხსენიებს. სტრაბონით, ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, ახალი პერიოდი იწყება. იგი გადმოგვცემს, რომ „ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარენები, ხალდები და სანები, რომელთაც წინათ მაკრონებს უწოდებდნენ" (Τῆς δὲ Τραπεζοῦντος ὑπέρκειται καὶ τῆς Φαρνακίας Τιβαρανοί τε καὶ

[118] Dubois de Montpereux, Voyage autour du Caucase, IV, Paris, 1840, p. 339.
[119] Хаханов А., Древнейшие пределы расселения Грузии по Малой Азии, ЗКОРГО, XXII, 6, Тб., 1903, №2, с. 2, 5-6
[120] ჯავახიშვილი ივ., დასახ. ნაშრ. 395-396.
[121] Strab., XII, 3, §18, SC, I, 158.

Χαλδαῖοι καί Σάννοι οὕς πρότερον ἐκάλουν Μάκρωνας).[122] ამგვარად, სტრაბონის აზრით, ძველ მაკრონებს მის დროს თურმე სანებს ეძახდნენ. მაგრამ მარტო მაკრონები არ მონათლულან სანებად. არიანე გადმოგვცემს, რომ დრილებიც სანები უნდა იყვნენო.[123] მ. ინაძემ სამართლიანად აღნიშნა ყველა იმ ავტორების მცდარობა, რომლებიც თვლიან, რომ სახელი „სანი“ თითქოს ჰეკატე მილეთელთან იყოს პირველად მოხსენიებული.[124] სინამდვილეში „სანი“ პირველად მემნონის „ჰერაკლეუმის შესახებ“-ში უნდა იყოს მოხსენიებული, როგორც ეს ვ.პ. ძაგუროვამ აღნიშნა.[125] თ. მიქელაძეს, „ანაბასისის“ ცნობებზე დაყრდნობით, დადგენილი აქვს მაკრონთა ტერიტორიის აღმოსავლეთი (კაზიკლი-დაღი) და სამხრეთი საზღვარი (მდ. მაჩკა-დერე), ხოლო დანარჩენი საზღვრების დადგენას შეუძლებლად თვლის.[126] სან-მაკრონები, როგორც წყაროებზე დაკვირვებიდან ირკვევა, ტრაპეზუნტის მიდამოებიდან მდ. ჭოროხამდე ვრცელდებოდნენ. VI-II საუკუნეებში მათი სახელი ზღვის სანაპიროებზე „კოლხ“ სახელს ჰქონდა დაფარული და იქა-აქ თუ გაიელვებდა აქ მოსახლე ტომების ნამდვილი სახელი. სიღრმეში კი, სადაც თავისთავადი ტომები იყვნენ, მათ უცხო სახელი ვერ ფარავდა. საინტერესოა, რომ სომხურ საისტორიო მწერლობაში ტრაპეზუნტის მიმდგომი ქვეყანა „ჯანიკად“ ანუ „ხასტიკად“ იწოდება.[127] ასევე საინტერესოა, რომ ეს ოლქი მოსე ხორენელთან ერთი მხრით ტაოს („ტაიქ“) მეზობლადაა წარმოდგენილი, ხოლო მეორე მხრივ ლაზიკის.[128] მ. პანარეტის „ქრონიკიდან“ ვგებულობთ, რომ ხალდის სახელი გარკვეულმა ოლქმა ტრაპეზუნტის იმპერიის უკანასკნელ პერიოდამდე შეინარჩუნა.[129] VIII საუკუნის ქართველი ავტორი იოანე საბანის-ძე გვაცნობებს, რომ ტრაპეზუნტი „ქალდიაჲსა“ ქვეყანაში არისო.[130] ამავე აზრისაა „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორიც.[131] ხოლო ვახუშტი აღნიშნავს, რომ „ჭანეთი ... არს ესე შავი ზღვის კიდის წადევნებით, გონიიდან ტრაპეზონტის საზღვრამდე“.[132]

---

[122] ჰეროდოტეს ცნობით, მის დროს მაკრონები თერმოდონტთან მდ. პანთენოსზე მოსახლე სირიელების მეზობლად ყოფილან, („ისტორია“, II, 104. SC, I, 9) მაკრონები ამ პერიოდისათვის აქეთ გაჭრილი ჩანან.

[123] PPE, §15. SC, I, 222.

[124] დასახ. ნაშრ., 220-221.

[125] იხ. ВДИ, 1951, №1, გვ. 287. ამ ავტორის გამოანგარიშებით მემნონს თავისი შრომა ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე დაუწერია.

[126] დასახ. ნაშრ. 227.

[127] История Армении Моисея Хоренского, М., 1893, 54, 122.

[128] იქვე, გვ. 54 და 181.

[129] დასახ. ნაშრ., 31, 34-35... შდრ. დასახ ნაშრ., 65.

[130] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, 62.

[131] ქართლის ცხოვრება, თბ., 1942, 179.

[132] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, 142.

ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით მცხოვრებ ტომებზე განსაკუთრებით ძვირფას ცნობებს იძლევა II საუკუნის ავტორი ფლავიუს არიანე.[133] მისი ცნობით, ტრაპეზუნტის მახლობლად „უმეფო სანებს“ უცხოვრიათ, ხოლო მათ მეზობლად მდ. ჭორუხის მიმართულებით მაკრონებისა და ჰენიოხების სამეფო ყოფილა.[134] იმავე ადგილას პლინი სეკუნდი სან-ჰენიოხების ტომს (gens Sannorum Heniochorum) იხსენიებს. მისი ცნობით „მის (ე.ი. ტრაპეზუნტს) იქით ცხოვრობს არმენოხალიბთა ტომი და 30000 ნაბიჯზე მდებარეობს მცირე არმენია, ტრაპეზუნტამდე ნაპირ-ნაპირ მდ. პიქსიტია, ხოლო მის შემდეგ სან-ჰენიოხების ტომი“ (... ultra quod gens Armenochalybes, et maior Armenia XXX p. distams. In ora ante Trapezunta flumen est Pyxites, ultra vero gens Sannorum Heniochorum).[135] ს. ჯანაშიამ შენიშნა, რომ არიანეს მაკრონ-ჰენიოხები და პლინის სან-ჰენიოხები ერთი და იგივე მოსახლეობა უნდა ყოფილიყო. სწორი ჩანს მისი მოსაზრება, რომლითაც ფორმა მაკრონი აქ არიანეს იმიტომ უხმარია, რომ მას სანები უკვე სხვა ადგილას ჰყავდა მოხსენიებული.[136] არიანეს ცნობით, მაკრონებისა და ჰენიოხების მეფის სასახლე მდ. პრიტანისზეა,[137] რომელიც მკვლევართა მიერ მდ. ფორტუნასთანაა გაიგივებული. არიანეს ანონიმი რედაქტორის ცნობით კი მდ. არხაბედან (დღ. არქაბე) მდ. ოფიუნტამდე (არიანეს ოფისი – სულან-სუ) მაკრონებისა და ჰენიოხების საცხოვრისია.[138] მაკრონებისა და ჰენიოხების სამეფოს შემდეგ არიანეს ***ზიდრიტები*** ჰყავს მოხსენიებული. ისინი, მისი სიტყვით, ფარსმანის ქვეშევრდომები ყოფილან. მე სარწმუნოდ მიმაჩნია ნ. ლომოურის მტკიცება, რომ აქ იბერიის მეფე ფარსმანი იგულისხმება;[139] და რადგან ეს ასეა, ფარსმან იბერიელს საშუალება უნდა ჰქონოდა თავისი ხელისუფლება გაევრცელებინა ზიდრიტებზე, ე. ი. ზიდრიტების ტერიტორია იბერიის მოსაზღვრეც უნდა ყოფილიყო. ეს გარემოება თავის მხრივ I-II საუკუნის იბერიის სამეფოს ძლიერებაზე მიგვითითებს, რომელსაც შავიზღვისპირეთის გამომყოფი მთები გადმოულახავს. ფსევდო-არიანე ზიდრიტებს მდ. არქაბესა და მდ. აბსარს შორის ათავსებს და თანაც გვაცნობებს, რომ ზიდრიტების სახელს ჰქონია

---

[133] PPE, §15, SC, I, 222.
[134] PPE, §15, SC, I, 222.
[135] Plin., VI, §12, SC, II, 178.
[136] ჯანაშია ს., თუბალ-თაბალი... 201. მე არაფერს ვამბობ ავტორის მიერ იქვე გამოთქმულ სხვა მოსაზრებებზე.
[137] PPE, §8. SC, I, 219
[138] PPE, §42. SC, I, 273. ივ. ჯავახიშვილი მათ სამეფოს ოფისა და არქაბეს ხეობებს შორის ათავსებს (იხ. მისივე, საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ... დამატება 11, 265) ამავე აზრს იზიარებს მ. ინაძე (იხ. მისი – ფლავიუს არიანე, 315).
[139] კლავდი პტოლემაიოსის ... 60

დაფარული ***ბიზერების*** სახელი,[140] რომელიც ამ ტომის ერთ-ერთი თემი უნდა ყოფილიყო და რომლის ხსენება ანტიკურ ლიტერატურაში ჰეკატე მილეთელით იწყება.[141] გარდა მითითებული ტომებისა, ჭოროხის სამხრეთით სახლებულან ***ჰენიოხები***. მათი აქ გამოჩენის საკითხი ჯერ გადაჭრილად ვერ ჩაითვლება, ზოგიერთი მკვლევარი კი უფრო იქით იხრება, რომ მასში ურარტული წარწერების იგანის (იგანიოხი) ნაშთი დაინახოს (უშაკოვი, ინაძე). მ. ინაძე ფიქრობს, რომ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მოსახლე ჰენიოხები წარმოადგენდნენ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ცენტრალური რაიონების უძველეს მცხოვრებლებს, სადაც ძვ. წ. IX-VIII საუკუნეში მათ ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება აქვთ. მომდევნო ხანაში გაძლიერებულმა კოლხებმა ჰენიოხთა ერთი ნაწილი საცხოვრისიდან განდევნეს და ჩრდილოეთით მისწიეს, სადაც მათ შეინარჩუნეს თავიანთი პოლიტიკური ორგანიზაცია, ვიდრე ძვ. წ. აღ. I საუკუნემდე, ხოლო მეორე ნაწილი დაიმორჩილეს და მათი ხსენება გაქრა, სანამ კოლხთა სამეფო არ დაიშალა და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში შერჩენილმა ჰენიოხებმა სან-ჭან-მაკრონებთან ერთად თავიანთი სამეფო არ შექმნესო.[142] ცხადია, ურარტული წყაროების იგანი ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე ვერ იქნებოდა, რადგან ურარტუს მეფეები არაერთხელ იხსენიებენ იგანის დალაშქვრას, იქიდან ხალხის გადმოსახლებას და ა. შ. მაგრამ აღნიშნულ ხანაში ურარტელებს ამ მიმართულებით გზად გადაეღობებოდა ჯერ დიაუხი, ხოლო შემდეგ – კოლხას სამეფო. ისედაც, ურარტელთა ლაშქრობებზე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე წყაროებში არაფერია ნათქვამი. ამ და რიგი სხვა გარემოების გამო იგანი არ შეიძლება ასე ჩრდილოეთით ვიგულისხმოთ. მისაღებია გ. მელიქიშვილის მიერ მოცემული ლოკალიზაცია, რომლითაც იგანი ჩილდირის ტბის მიდამოებშია მოთავსებული.

ანტიკური ავტორები ტრაპეზუნტ-კერასუნტის რაიონში უთითებენ ***ხალდთა*** ტომსაც. მოსე ხორენელის და რიგი სხვა სომეხი ავტორების ჩვენებებიდან ირკვევა, რომ ხალდი ჭანების სახელი ყოფილა. საფიქრებელია ხალდები ჭანთა ერთ-ერთი თემი ყოფილიყო. ჭანები, როგორც ირკვევა, ტრაპეზუნტს იქეთაც ვრცელდებოდნენ, სადაც ისინი დღემდეც შემორჩნენ. ჯიფორდის მიერ 1868 წ. დაწერილი ანგარიშიდან ვიგებთ, რომ ტრაპეზუნტის ვილაეთის თერევას კაიმაყის ერთ-ერთ კაზაში, რომელიც ქ. კურასუნტის ახლოს მდებარეობდა, მხოლოდ

---

[140] Ps. PPE, იქვე.
[141] Fr., 190. SC, I, 3.
[142] ინაძე მ., დასახ. ნაშრ., 312 და შმდგ.

ლაზები (ჭანები) ცხოვრობდნენ.[143] პროკოპი კესარიელის ცნობით, პეტრას ბრძოლიდან უკან დაბრუნებული ჭანები რიზეს, ათინასა და ტრაპეზუნტზე გავლით ახერხებენ შინ დაბრუნებას.[144] ეს ტომი თავის თავს, როგორც ჩანს, ჭანებს ეძახდა, რასაც სახელის დღემდე შერჩენის ფაქტიც ადასტურებს. ძირითადი სატომო სახელი ყველა მათთვის ჭანი ყოფილა. ლაზები მათ მწიგნობრული გზით შეერქვათ. პროკოპი კესარიელის შრომებიდან ვგებულობთ, რომ მის დროს ბერძნულ ენაში მიღებული ყოფილა აქ მცხოვრები ტომის „ჭან“ სახელით (Τζανικιόν ἔθνος) აღნიშვნა.[145] ჭანები მის დროს უკვე ზღვის სანაპიროზე აღარ ცხოვრობდნენ, მაგრამ აღმოსავლეთით არმენებს ემეზობლებოდნენ.[146] ისინი, თურმე, მრავალ ტომად (თემად) იყოფოდნენ, მათ შორის იყვნენ Τζάνων τῶν Ὠκενεζῶν καί Τζάνων τῶν Κοξυλίνων.[147]

ანტიკურ ლიტერატურაში დაცული ცნობების შესწავლისას ამ რაიონში ტომთა ხან ერთი სახელწოდებანი იჩენენ თავს, ხან მეორენი და მესამენი. ეს გარემოება აიხსნება როგორც პოლიტიკური ვითარების ცვლილებით, ისე ანტიკურ ავტორთა წყაროების სხვადასხვაობით და ღირსება-ნაკლოვანებით.

კოლხები: კოლხების ძირითადი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრები უშუალოდ შავი ზღვის სანაპიროზე თავდაპირველად არ უნდა ყოფილიყო. მათი ძირითადი კერა მდ. მტკვრის სათავეებში მდებარე კოლას ოლქი უნდა იყოს, საიდანაც ისინი ახერხებდნენ შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროების დაპყრობას და თავიანთ სახელს აძლევენ მათ. ამით უნდა აიხსნას ჰეკატე მილეთელის ერთი ცნობა, რომლითაც მესხები კოლხურ ტომადაა დახასიათებული. ძვ. წ. აღ. VIII-VII საუკუნეებში კოლხებს უძლიერესი პოლიტიკური გაერთიანება აქვთ, მაგრამ მომდევნო ხანებში გაძლიერებული მიდია-სპარსეთი დიდ ზიანს აყენებს მათ და ართმევს მათ ძირითად ოლქებს. ამ ხანიდან (ძვ. წ. VI ს.) „კოლხ“ სახელი მხოლოდ შავი ზღვის სანაპიროზე შემორჩა. ძირითადი საბუდარის დაკარგვის შემდეგ, როგორც ჩანს, იწყებს წამოწევას სანაპიროზე მდებარე ცენტრები.

დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მათ, როგორც პლინის ცნობიდან ირკვევა, ლაზთა ტომის ჩრდილოეთით და მდ. ფასიდის სამხრეთით უცხოვრიათ.[148]

---

[143] ИКОРГО, VII, 1. დამატება, თბ., 1881 15, 17, 59-60: 68.
[144] B.P., II, 30. გეორგიკა, II, 82
[145] იქვე, I, 15 და ... გეორგიკა, II, 25-26
[146] B.G., VIII, 1. გეორგიკა, II, 91. De aedificiis, III, 6. გეორგიკა, II, 182 და შმდ. 1950,
[147] De aedificiis, III, 6. გეორგიკა, II, 185, 188; Адонц Н. დასახ. ნაშრ. 59-65.
[148] Plin., VI, 12. SC, II, 178.

ძვ. წ. VI საუკუნეში, როდესაც სახელი „კოლხი“ ანტიკურ ლიტერატურაში გარკვევით ჩნდება, იგი შემკრებლობითი ცნებაა, რომელიც ერთ რომელიმე ტომს კი არ აღნიშნავს, არამედ პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელშიც ათეულობით ტომია თავმოყრილი. ჰეკატე მილეთელთან დაცული ცნობიდან ვგებულობთ, რომ კოლხების საზღვრები ერთ დროს მატიენების საზღვრებამდე მიდიოდა (Μόσχοι, Κόλχων ἔθνος προσεχές τοῖς Ματιηνοῖς).[149] პირველი ცნობა, რომ კოლხები მდ. ფასიდზე ცხოვრობდნენ, პინდაროსთან უნდა იყოს დაცული.[150] ჰეროდოტეს დროს კოლხები თუმცა აქემენიდების მეძღვენეები არიან, მაგრამ ისინი წინა აზიის ოთხ უდიდეს ხალხთა რიცხვშია შეყვანილი. მისი ცნობით, მიდიელებსა და კოლხებს შორის მხოლოდ სასპერები ცხოვრობდნენ. კოლხები მის დროს, როგორც მისი „ისტორიიდან“ ჩანს, კავკასიის ქედამდე ვერ ავრცელებდნენ თავიანთ ბატონობას,[151] მაგრამ ფასიდი მათი სამფლობელოა.[152] სამხრეთით ისინი მაკრონების მეზობლად უნდა ცხოვრებულიყვნენ. ჰეროდოტე გადმოგვცემს, რომ მაკრონებს, მათი თქმით, წინადაცვეთა კოლხებისაგან სულ ცოტა ხნის წინათ უსწავლიათ.[153] ძველ კოლხებს აქვთ მეორე სახელიც – „ფასიანელები“ (οἱ Φασιανοί). იგი პირველად ჰიპოკრატესთან გვხვდება,[154] შემდეგ ამ სახელს ხმარობს ქსენოფონტიც, ხოლო ახ. წ. V საუკუნის ავტორი იული ჰონორი იხსენიებს „ტომ ფასიდს“ (Phasis gens).[155] თ. მიქელაძე, უშვებს რა, რომ „ფასიანი“ აღნიშნავს „წყლით მდიდარ ქვეყანაში მცხოვრებ ხალხს“, ფიქრობს, რომ რიონზე მოსახლე ფასიანელები და ერზერუმის მიდამოებში მოსახლე ფასიანელები ტერიტორიულად გათიშული ერთი და იგივე ხალხიაო.[156] ცხადია, აღმოსავლურ-ქართული და დასავლურ-ქართული ტომები ერთ მოდგმას ეკუთვნიან, მაგრამ ის ერთიანობა, რომელიც ჩვენ ავტორს აქ აქვს ნაგულისხმევი, არასოდეს არ არსებობდა ფეოდალიზმის გამარჯვებამდე, როდესაც მართლაც წარმოიქმნა მთლიანი ხალხი. მანამდე არსებობდა ერთი მოდგმის ტომების დროებითი პოლიტიკური გაერთიანება. ამასთან, სახელთა მსგავსება, ძალიან ხშირად, არ გამოდგება ნათესაობის დასადგენად.* ფსევდო-სკილაქს კარიანდელთან დაცული

---

[149] Fr., 188. SC, I, 3.
[150] SC, I, 324.
[151] Herod, III, 97. SC, I, 9.
[152] Herod., IV, 37, SC, I, 20-21
[153] Herod., II, 104, SC, I, 9.
[154] Hippocr., §22. SC, I, 58-59.
[155] Yul. Honor., 38. SC,II, 443.
[156] მიქელაძე თ., დასახ. ნაშრ., 180 და შემდ.
* ქსენოფონტის ბაზიანებში ზოგიერთი ავტორი ბასიანელებს ხედავს.

ცნობებით, კოლხების პოლიტიკური ბატონობა დღევანდელი ბზიფის ხეობისკენ ჩანს გაწეული.[157] კოლხთა სიძლიერეზე და კულტურულ დაწინაურებაზე მიუთითებს აპ. როდოსელის „არგონავტიკაში“ დაცული ცნობა, რომ კოლხებს აქვთ მათი წინაპრების მიერ შესრულებული ჩანაწერები „კირბებზე“, სადაც გადმოცემული იყო ყველა გზები და წყალთა და ხმელეთთა საზღვრებიო.[158]

სტრაბონის წარმოდგენით, კოლხიდა სამხრეთით ტრაპეზუნდამდე ვრცელდება, ხოლო აღმოსავლეთით – ლიხის მთამდე. შორაპანი, მისი ცნობით, კოლხების ციხეა.[159] პლინის ცნობით, კოლხთა მეფეს ემორჩილებოდნენ სვანებიც.[160] მისი ცნობით, რომელიც, ალბათ, რომელიმე ჩვენამდე მოუღწეველი წყაროდან არის ამოღებული, კოლხებს კოლონიზაციაც უწარმოებიათ და მათ მიერ ყოფილა დაარსებული ქალაქი პოლა ისტრიაში, ქალაქი ოლკინიუმი (ძველი კოლხინია) დალმატიაში, ქალაქი ორიკი ილირიაში.[161] ამპელიუსთან დაცული ერთი ცნობით, რომელიც მეტად ძველი ტრადიციის გადმოცემა უნდა იყოს, კოლხეთი თერმოდონტის აუზამდე ვრცელდებოდა.[162] ასევე, რომელიღაც ძველი წყაროთი სარგებლობს არიანე, როდესაც ამბობს, რომ ტრაპეზუნტიდან 270 სტადიით დაცილებული მდინარე ოფისი (სულანლუ-სუ) კოლხთა ქვეყანას თიანიკესაგან (ἀπὸ τῆς Θιαννίκης) გამოჰყოფსო.[163] „თიანიკე“ იგივე „სანიკე“-ჭანიკე-ჭანეთი უნდა იყოს. ამასთან, მას კოლხები ტრაპეზუნტის მიდამოებში ჰყავს მხოლოდ მითითებული.*

პტოლემაიოსი კოლხიდას შემდეგ საზღვრებში წარმოგვიდგენს: ჩრდილოეთით – სარმატია, აღმოსავლეთით – იბერია, სამხრეთით – კაპადოკიის პონტო და დიდი არმენია.[164] როგორც ამ ცნობის სხვა ავტორების ცნობებთან შეჯერებიდან ცხადი გახდება, კოლხიდა ამ დროს წმინდა გეოგრაფიული ცნებაა, რომელიც შავი ზღვის მთელ აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპიროს მოიცავს.

კოლხების ჩამომავლობასა და სახელის ეტიმოლოგიაზე მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული. უსლარი, ყურადღებას აქცევს რა „შესაქ-

---

[157] Scil., 81. SC, I, 85-86.

[158] SC, I, 422. სიჭინავა ვ., ძველი კოლხეთის კულტურის ისტორიიდან. რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, III, ბათუმი, 1954 წ. გვ. 81-101.

[159] Strab., XI, 3, §4. SC, I, 140; XII, 3, §13. SC, I, 157

[160] Plin., XXXIII, 52. SC, II, 197.

[161] იქვე, III, 129, 144, 145. SC, II, 168, 169.

[162] Ampel., VI, 8, SC, II, 197

[163] PPE, §8. SC, I, 219, 222;

* არიანეს ეს ცნობა, ჩემის აზრით, უფრო ქსენოფონტის განმეორებას უნდა წარმოადგენდეს, ვიდრე ახ. წ. აღ. II საუკუნის მდგომარეობის ასახვას.

[164] Strab., IX, 1. SC, I, 240-241.

მეთა“ წიგნის ცნობას (X, 13-14), რომ მიცრაიმისაგან წარმოიშვნენ ლუდიმი, ლეგავიმი, ნავტუხიმი, ნატრუსიმი და კასლუხიმი, ფიქრობს, რომ თუ „კასლუხიმ“ სახელიდან არამეული ენის ბუნების თანახმად ხმოვნებს და მრავლობითის დაბოლოებას ამოვიღებთ, დაგვრჩება „კსლხ“, რომელშიც, მისი სიტყვით, ძველი ებრაული ენის ყველა მკვლევარი სცნობს ბერძენი ავტორების კოლხებს. ამდენად, ჰეროდოტეს ცნობა კოლხების ეგვიპტელებისაგან ჩამომავლობაზე მას მისაღებად მიაჩნია.[165] ნ. მარი „კოლხ“ სახელს „ჭოროხ“-ის გზით „კოროხ“-ს უკავშირებდა. უკანასკნელი მას „კულხ“-„კოლხ“-ის ადგილობრივ ფორმად მიაჩნდა.[166] ივ. ჯავახიშვილი კოლხებს ასირიული წყაროების „კასკებს“ უკავშირებდა. ამდენად, კოლხების პირველ ხსენებას წერილობით წყაროებში იგი ძვ. წ. XII საუკუნის დამლევით ათარიღებდა.[167] ყველაზე დასაბუთებულად და მისაღებად გამოიყურება ივ. ჯავახიშვილისა (შემდგომ გამოთქმული) და გ. მელიქიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „კულხ“ სახელი ნაწარმოებია კოლას ოლქის სახელწოდებიდან, რომლის მოსახლეობა კულხა-კოლხას დიდი პოლიტიკური გაერთიანების შექმნას ჩაუდგა სათავეში.[168]

ლაზები. ძველი კოლხიდის ტერიტორიაზე მდ. ჭოროხის მარჯვენა მხარეზე და მდ. რიონის სამხრეთით ძველთაგანვე უცხოვრია ლაზთა ტომს, რომელსაც წილად ხვდა შავი ზღვის სანაპიროზე კოლხების სახელი შეეცვალა.

ლაზების პირველი ხსენება ანტიკურ ლიტერატურაში მემნონ ჰერაკლიდელთან უნდა გვქონდეს (ძვ. წ. I საუკუნის დამლევი – ახ. წ. I საუკუნის დამდეგი).[169] მემნონის ცნობით, როდესაც ძვ. წ. აღ. 70 წელს ლუკულმა სინოპში შეამწყვდია ტირანი კლეორხი, უკანასკნელი, ღამით, დაჯდება რა გემზე, გარბის პონტოს „შიგა ოლქებში“, რომლებიც სანებითა და ლაზებითაა დასახლებული.[170] პლინი სეკუნდის ცნობით, მდ. აბსარის ირგვლივ სანაპიროზე ჰენიოხები, ამპრევტები და ლაზები ცხოვრობენ, ხოლო ლაზთა ტომის ჩრდილოეთით მას კოლხთა ტომი აქვს დასახელებული,[171] უკანასკნელი, როგორც აღინიშნა, მდ. ფასიდის სამხრეთით სახლებულა. ამგვარად, მისი ცნობით, მდ. ფასიდსა და მდ. აბსარს შორის სანაპიროზე ორი ტომი ყოფილა: ლაზები

---

[165] Услар П., Древнейшие сказания о Кавказе, ЗКОРГО, XII, 1881, 404 и т. д.
[166] Марр Н., Из поездки в Турецкий Лазистан, Из. АН, СПБб 1910, 548.
[167] ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I, 405, 406.
[168] მისივე, საქართველოს, კავკასიისა და ..., გვ. 4, 12., Меликишвили Г., Наири-Урарту, стр. 63.
[169] ВДИ, 1951, №1, М.-Л., 287.
[170] SC, I, 510.
[171] Plin., VI, 12, SC, II, 178.

და კოლხები. არიანეს ცნობით, ზიდრიტების ჩრდილო მეზობლები ლაზები ყოფილან, მაგრამ აღმოსავლეთ სანაპიროს მიდევნებით სოხუმამდე გარდა ლაზებისა კიდევ სამი ტომი სახლებულა: აპსილები (აბშილები), აბაზგები და სანიგები.[172] პტოლემაიოსის დროს კოლხიდის მთელი სანაპიროები უკვე ლაზებს სჭერიათ,[173] ხოლო ფსევდო არიანე გვაცნობებს, რომ დიოსკურიიდან აბსარამდე წინათ კოლხები ცხოვრობდნენ, მაგრამ ეხლა ლაზები დაერქვათო.[174] ეს ლაზთა პოლიტიკური ექსპანსიის შედეგია. ისინი IV საუკუნისათვის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქმნიან ძლიერ სამეფოს, რომელშიც იქ მოსახლე ტომებს აერთიანებენ და ქვეყანას თავიანთ სახელს აძლევენ, ისევე, როგორც ეს უფრო ადრე კოლხებმა მოიმოქმედეს. ამ ტომის სახელის ის ფორმა, რომელიც ანტიკურ ლიტერატურას აქვს დაცული (ლაზიკა, ლაზები), რომელიღაც ქართველური ენისათვის დამახასიათებელი ფორმა უნდა იყოს. ს. ჯანაშია ფიქრობს, რომ ადგილობრივი ფორმა „ზან“ უნდა იყოს. როგორც „ზანი“, ისე „ლაზი“, ამოდის „სანიდან“. მისი აზრით, ამოსავალი ფორმა „სან“-ია, საიდანაც ახ. წ. აღ. I საუკუნეებში ყალიბდება საკუთარი სატომო სახელები, ჩრდილო კოლხეთისათვის – „ზანი“, სამხრეთისათვის – „ჭანი“. იგი, ამასთან, იქით იხრება, რომ ამ ორივე შტოს საერთო სახელად „სანი“ იქნას აღიარებული.[175] „სან“ სახელისათვის უპირატესობის მიცემისას ავტორი ამოდის იქედან, რომ ჰეკატეს ის ფრაგმენტი, სადაც მაკრონებისა და სანების იგივეობაზეა ლაპარაკი, მას მთლიანად ჰეკატეს კალმიდან გამოსულად მიაჩნია. სინამდვილეში განსაზღვრება „ეხლა სანები“ («οἱ νῦν Σαννοί») ეკუთვნის სტეფანე ბიზანტიელის კალამს, რომელსაც ეს ცნობა სტრაბონიდან ან რომელიმე სხვა ავტორიდან შეეძლო ამოეღო. ადგილობრივ „ზან“ ფორმის არსებობაზე მიგვითითებს მთელი რიგი გეოგრაფიული სახელები, რომლებიც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შემოინახენ. ასეთებია: საზანო, ზანა, ზანაძგა, ზანათი, ზანაკარი და სხვა. ამასთან აღსანიშნავია, რომ სვანები მეგრელებს ზანარ, ხოლო სამეგრელოს ზან (ერთი მეგრელი მ-ზან, მუ-ზნი) ეძახიან. სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული აზრი ლაზებისა და მეგრელების იგივეობაზე სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს. პტოლემაიოსის ცნობიდან ვგებულობთ, რომ ლაზები ძირითადად ზღვის სანაპიროს მცხოვრებლები ყოფილან, ხოლო მათ ზემოთ, ე. ი. ქვეყნის სიღრმეში, მანრალებსა და

---

[172] PPE., §15, SC, I, 222.
[173] Strab., IX, 1, SC, I, 241.
[174] Ps. PPE., §48, SC, I, 275.
[175] ჯანაშია ს., თუბალ-თაბალი ..., 206 და შმდ. განსაკ. 210. ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., 72.

ეკრიკტიკის (ეგრისის) სხვა ხალხებს უცხოვრიათ.[176] ისინი, როგორც ჩანს, ძველი კოლხიდის სამხრეთ-დასავლეთ* და აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ და ოდითგანვე თავის თავს მარგალებს ეძახდნენ, ხოლო ქვეყანას – ეგრისს (აქედან, ალბათ, ეკრიკტიკე). ამის გამო იბერიის მცხოვრებლებისათვის გარკვეულ ხანაში დასავლეთ საქართველო ეგრისად და სამეგრელოდაა ცნობილი. რამდენადაც ჩვენთვის საინტერესო გადარჩენილი ქართული წერილობითი წყაროები მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოდანაა და თანაც მოგვიანო ხანისა, ამიტომ შეიქმნა ილუზია ზანების (ლაზების) და მეგრელების იგივეობისა, რამდენადაც ამ წყაროებში დასავლეთ საქართველო წარმოდგენილია სამეგრელოდ და არა საზანოდ. ისტორიოგრაფიაში „ეგრისის სამეფოდ“ ცნობილი პოლიტიკური წარმონაქმნი სინამდვილეში „ზანთა სამეფოა“ და არა მეგრელთა. მეგრელთა პოლიტიკურ სცენაზე გამოჩენა უფრო გვიანი დროის ამბავია.

აპსილები. არიანეს ცნობით, ლაზების მეზობლად, ზღვის სანაპიროზე აპსილები (Ἀψίλαι) – აფშილები ცხოვრობდნენ.[177] ანტიკურ ლიტერატურაში აპსილების პირველი ხსენება პლინი სეკუნდთან გვხვდება. ისინი მას, ჩამოთვლის რიგის მიხედვით, დღევანდელი სოხუმის სამხრეთით ეგულება, მათ ჩრდილო მეზობლებს, მისი აზრით, სანიგები წარმოადგენენ.[178] როგორც არიანეს ცნობიდან ირკვევა, პლინის კოლხიდის სანაპიროს ეთნიკურ რუკაზე, მისი წყაროების ნაკლულევანების გამო, მთლად სწორი წარმოდგენა არ ჰქონდა. არიანე აფშილებსა და სანიგებს შორის აბაზგებს ათავსებს.[179] აფშილთა ტომის არსებობაზე მიგვითითებს როგორც გვარ აფშილავას არსებობა, რომელიც ნაწარმოებია ისევე, როგორც ქართველიშვილი, ლეკიშვილი, აფხაზავა, სვანიძე, მესხია, მესხიშვილი, თურქიშვილი, თურქია, რუსაძე, რესეიშვილი, რუსიტაშვილი (არსებობდა ქართული სახელი რუსა), ... ისე ვაზის ჯიშის „აფშილაური“ არსებობა.[180] იქნებ ვაზის ამ ჯიშის სახელი ისევე იყოს წარმოებული, როგორც აჭარაში შემორჩენილი „კლარჯული“, „ხოფათური“ და ა.შ.

---

[176] Ptol., IX, I, SC, I, 241.

* ამაზე უნდა მიგვითითებდეს სახელწოდება „ერგე“ – სოფელი მდ. ჭოროხისა და აჭარისწყლის შესაყართან. ერგე – მარგალი – მეგრელი.

[177] PPE., §15. SC, I, 222. გაითვალისწინეთ გ. მელიქიშვილი, ქაშქების ხალხის ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, „მიმომხილველი“, III, თბ., 1953, გვ. 203. შდრ. ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., 68.

[178] Plin., VI, 14. SC, II, 179.

[179] რამიშვილი მ., გურიის, აჭარისა და სამეგრელოს ვაზის ჯიშები, თბ., 1948.

[180]ინგოროყვა პ., აფშილებს მდ. კელასურის ზემო ნაწილს და გუმისთას ხეობიდან, ვიდრე კოდორის ხეობამდე ათავსებს. იხ. მისი – გიორგი მერჩულე, მნათობი, №3, 1950, გვ. 124-125, 135-137.

აბაზგები. მათი პირველი ხსენება არიანესთან გვხვდება. მის დროს ისინი სოხუმის სამხრეთით ცხოვრებულან,* მაგრამ VI საუკუნეში, როგორც პროკოპი კესარიელი გადმოგვცემს, მათ უფრო ჩრდილოეთით წაუწევიათ და დღევანდელი გაგრის (ტრაქეა) მიდამოებს გასცილებიან.[181] თავის მხრივ II საუკუნიდან ისინი ლაზების მოხარკეები არიან. VII-VIII საუკუნეებში აფხაზ-აბაზგები ჯერ მთელ დასავლეთ საქართველოს აერთიანებენ, შემდეგ კი მათი სამეფო საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში ებმება. თვით აფხაზთა ტომს წილად არ ხვდა თავისი სახე დღემდე მოეტანა. გვიან შუა საუკუნეებში ძლიერდება კავკასიის ქედს გადაღმა მცხოვრები ჩერქეზული ელემენტის თანდათანობით ჩამოწევა ძველი აფხაზეთის ადგილსაცხოვრისზე. შეჯვარების პროცესი ჩერქეზული ელემენტის გამარჯვებით მთავრდება, მაგრამ აფხაზთა აქ ცხოვრების კვალი არ მოსპობილა. გეოგრაფიული სახელწოდება „აფხაზეთი“ უცვლელად შეინახა და მისგან, მის ახალსა და ძველ მცხოვრებლებს, აფხაზები ეწოდათ.* გვიან შუა საუკუნეებში მთის მოწოლა ბარზე შეინიშნება არა მარტო დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე, არამედ საქართველოს კავკასიონის მთელ სიგრძეზე. ეს საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო დაუძლურებითაც იყო შეპირობებული.

სანიგები. სანიგები პირველად პლინისთან იხსენიებიან. ისინი, მისი წარმოდგენით, აპსილების ჩრდილოეთით სახლობენ, ზღვის ნაპირას სებასტოპოლისის (სოხუმის) მიდამოებში.[182] იმავე ადგილას ჰყავს ისინი მოთავსებული არიანესაც.[183] მისი ცნობით, სებასტოპოლისი სანიგების ქვეყანაშია.[184] სამხრეთ მეზობლად აქ უკვე აპსილები კი არა, არამედ აბაზგებია, ხოლო აპსილები აბაზგებსა და ლაზებს შორისაა მოთავსებული. ჩრდილოეთით აპსილების ტერიტორია მდ. აქეუნტამდე (შახე) ვრცელდება. ფსევდო-არიანეს დროს სანიგები მდინარეებს აბასკსა (ფსოუ) და აქეუნტს შორის შევიწროებულან.[185] საფიქრებელია, რომ სანიგების სახელი შენახული გვაქვს აფხაზური თქმულების „წანებში“.[186] „წ“-ანის „ს“-ანით გადმოცემა ბერძნულისათვის ჩვეულებრივი რამ არის. სანიგების სახელი უნდა იყოს შენახული ქართულ გვარში – „სანიგი-ძე“ – სანიკიძე.

---

* PPE., იქვე.

[181] BG, VIII, 9. გიორგიკა, II, 124 და შმდგ.

* შდრ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, მნათობი, 1950, №3, გვ. 118-134.

[182] Plin., VI, 14. SC, II, 179, 183.

[183] იქვე.

[184] ალბათ ამ ნიადაგზე აიგივებს პ. ინგოროყვა სანიგებსა და ჰენიოხებს. იხ. მისი – გიორგი მერჩულე, მნათობი, №3, 1950, გვ. 122-123.

[185] Ps. PPE., §57, SC, I, 275.

[186] ჯანაშია ს., თუბალ-თაბალი..., 195-196. შდრ. ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., 68,72.

შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მთელი რიგი ანტიკური ავტორები (ფსევდო-სკილაქს კარიანდელი, ჰერაკლიდი, ველლეი პატერკული, ოვიდი ნაზინი, სტრაბონი, პომპონი მელა, ანეი ლუკანი, პლინი სეკუნდი, იოსებ ფლავიუსი, დიონისე, ავიენი, ფსევდო-არიანე და სხვები) ასახელებენ ე. წ. ჰენიოხებს,* რომლებიც, მათი თქმით, პელაზგების ჩამომავლები არიან. ფსევდო-სკილაქსი ჰენიოხებს აქეების მეზობლად ასახელებს. მისი წარმოდგენით, დონის სამხრეთით ჯერ სარმატები ცხოვრობდნენ, ხოლო შემდეგ ერთმანეთზე მიყოლებით მეოტები, სინდები, კერკეტები, ტორეტები, აქეები, ***ჰენიოხები***, კორაქსები, კოლიკა, მელანქლონები, გელონები და კოლხები ქალაქ დიოსკურიადით.[187] როგორც ჩანს, მას პონტოს სანაპიროს ამ მონაკვეთზე მცხოვრები ტომების მიახლოებითი სია ჰქონია, მაგრამ ტომების განლაგების რიგზე მას მთლად ნათელი წარმოდგენა არ ჰქონია. არტემიდორს, ჩანს, უფრო განსხვავებული წყარო გააჩნდა. ნავსადგურ ბატას აქეთ, მისი ცნობით, ჯერ კერკეტების სანაპიროა 800 სტადიაზე, შემდეგ აქეების 500-ზე, ჰენიოხების 1000-ზე და შემდეგ მდებარეობს „დიდი პიტიუნტი“ დიოსკუროდთან 360 სტადიაზე.[188] სტრაბონი ეთანხმება მითრიდატეს ისტორიკოსებს (οἱ Μιθριδατικά συγγράψαντες), რომლებიც ჯერ აქეებს ასახელებენ, შემდეგ ზიგებს, ჰენიოხებს, კერკეტებს, მოსხებს, კოლხებს, ხოლო ქვეყნის სიღრმეში ფთეიროფაგებს, სვანებს და სხვა მცირე ტომებს.[189] სტრაბონის წარმოდგენით, პიტიუნტი და დიოსკურიადა კოლხიდაშია. ამდენად, ჰენიოხების ადგილსაცხოვრებელი მას ჩრდილოეთით აქვს წარმოდგენილი, ისევე, როგორც არტემიდორსაც[190] (სტრაბონი უკვე იცნობს გადმოცემას ჰენიოხების ბერძნულ ჩამომავლობაზე).[191] მისი წარმოდგენით, ჰენიოხები და კოლხები ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობენ.[192] ამდენად, კერკეტები, სტრაბონის ამ წყაროს ხანისათვის, სანაპიროს მცხოვრებლები არ არიან, ან ისინი ჰენიოხების მიერ არიან დამორჩილებული და მათ სახელს ეფარებიან.

ამ ცნობების პარალელურად არსებობს მეორე რიგის ცნობები, რომელთა თანახმადაც ჰენიოხები უფრო სამხრეთით ცხოვრობენ. ჰერაკლიდი (ძვ. წ. II ს.) თავის „ფასიანელთა სახელმწიფოს შესახებ“

---

* პ. ინგოროყვა მათ სანიგებთან აიგივებს. ჰენიოხეთი, მისი აზრით, 3 ნაწილად იყოფოდა: ზემო, ქვემო და შუა ჰენიოხეთი.

[187] Scil, §70-81. SC, I, 85-86.

[188] Strab., XI, 2, §14, SC, I, 135.

[189] იქვე.

[190] იქვე.

[191] Strab., XI, 2, §12. SC, I, 133-134.

[192] Strab., XI, 2, §1. SC, I, 130.

(XVIII) წერს, რომ მდ. ფასიდზე თავდაპირველად ჰენიოხები ცხოვრობდნენ, ხოლო შემდეგ – მილეთელებიო.[193] პომპონი მელას და დიონისეს „პერიეგესის“ II საუკუნის ანონიმი სქოლიასტის ცნობით, რომელსაც მოყავს ხარაქსის ცნობა, დიოსკურია ჰენიოხების ქვეყანაშია.[194] ცალკე უნდა შევნიშნოთ პლინის დაბნეულობა ჰენიოხთა ადგილსაცხოვრისის განსაზღვრაში. ერთგან ისინი ჭოროხსა და ტრაპეზუნტს შორის ცხოვრობენ „სან-ჰენიოხების“ სახელით[195] (იქვე ჰენიოხები ცალკე იხსენიებიან), რამდენიმე წინადადების შემდეგ იგი ჰენიოხებს სოხუმის ჩრდილოეთით სანიგთა ტომის შემდეგ ათავსებს.[196] სხვაგან კიდევ ჰენიოხები კოლას რაიონში ჰყავს ნაგულისხმევი. ამ ცნობით მტკვარი სათავეებს ჰენიოხიის მთებში იღებს, რომელთაც სხვები კორაქსულს უწოდებენ (Cyrus oritur in Heniochis montibus, quos alii Caraxicos vocavere).[197] უნდა ვიფიქროთ, რომ პლინის ვერ მოუსწრია მის განკარგულებაში არსებული წყაროების გულდასმით შესწავლა-გადამუშავება. ისინი, ჩანს, სხვადასხვა ხასიათის იყო და ჰენიოხებს რამდენიმე ადგილას უთითებდნენ.

სვანები. პირველ კონკრეტულ ცნობას სვანების შესახებ სტრაბონი იძლევა. მისი სიტყვით, იმ ტომების რიცხვს, რომლებიც თავს იყრიან დიოსკურიის ბაზრობაზე, ეკუთვნიან სვანები და ფთეიროფაგები (οἱ Φθειροφάγοι, οἱ Σοάνες),[198] სტრაბონს, დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ ნაწილში დასახელების ღირსად, გარდა აღნიშნული ტომებისა, არავინ მიაჩნია. „სხვა მეზობელი ხალხები კავკასთან, მისი ცნობით, ღარიბი და მცირემიწიანები არიან“ (τά μέν οὖν ἄλλα ἔθνη τά περί τόν Καύκασον λυμπρά καί μικρόχωρα).[199] შემდგომი ცნობა სვანების შესახებ პტოლემაიოსთანაა დაცული, მაგრამ იგი იხსენიებს არა სვანებს, არამედ „სვანო-კოლხებს“ (Σουαννόκολχοι).[200] ს. ჯანაშია ფიქრობს, რომ Σουαννόκολχοι წაკითხულ უნდა იქნას, როგორც Σαννόκολχοι. მისი დებულება ემყარება იმ წანამძღვრებს, რომ მისთვის ძვ. კოლხიდის მოსახლეობის ძირითადი უძველესი სახელი „სან“-ია, რომელიც პტოლემეს მოხსენიებული არ ჰყავდა. პტოლემაიოსის ამ ადგილის ასე წაკითხვით, მისი აზრით, მოცემულ ტერიტორიას

---

[193] SC, I, 447.
[194] SC, II, 118; SC, I, 215-216.
[195] Plin, VI, 12. SC, II, 178.
[196] იქვე, VI, 14. SC, II, 179; VI, 30. SC, II, 182
[197] იქვე, VI, 26. SC, II, 181.
[198] Strab., XI, 2, §19. SC, I, 138.
[199] იქვე.
[200] Ptol., V, 8, §17-25. SC, I, 239.

დაუბრუნდებოდა მისი ძირითადი ტომი.[201] ნ. ლომოურის აზრით, პტოლემაიოსის სვანო-კოლხები მდ. ბზიფის რაიონის ჩრდ. დასავლეთით „არის საძიებელი“.[202] არც ერთ ძველ ავტორს პროკოპი კესარიელამდე სვანების ადგილსაცხოვრისის განსაზღვრისათვის საჭირო ცნობა არ მოუცია, გარდა ზოგადი მითითებებისა, რომლითაც ისინი დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე მცხოვრებ ტომად წარმოგვიდგება. პროკოპი კესარიელის ცნობით, ქუთაისის მახლობლად მდებარე ციხე უქიმერიონი (Οὐχειμέριον) სვანეთისა და სკვიმნიეთისაკენ მიმავალ გზას კეტავდა.[203] როგორც პროკოპის ცნობების დღევანდელ მდგომარეობასთან შედარებიდან ირკვევა, სვანთა სამოსახლო ლეჩხუმის (სკიმნია) დასავლეთით ყოფილა.[*] სვანები, როგორც ჩანს, მრავალ თემადაა გაყოფილი. ერთ-ერთ ასეთ თემს შეადგენდა მისიმიანთა ტომი. აგათია სქოლასტიკოსის ცნობით, ისინი აფსილების მეზობლად, მათგან ჩრდილო-აღმოსავლეთით სახლებულან. ერთი მხრივ მათ ლაზები ესაზღვრებოდნენ, ხოლო მეორე მხრით – ალანები.[204] მისი ცნობით, მისიმიანების ენა განსხვავდება აპსილებისა და ლაზების ენისაგან.[205] საინტერესო ცნობებს მისიმიანთა შესახებ იძლევა მენანდრე პროტექტორი.[206] როგორც წყაროებზე დაკვირვებიდან ირკვევა, მისიმიანები მდ. კოდორის ზემო წელში და მისგან დასავლეთით უნდა სახლებულიყვნენ. პ. ინგოროყვა მათ პტოლემაიოსის „სვანო-კოლხებს“ და ფაუსტოს ბიზანტიელის „ეგერო-სვანებს“ უიგივებს.[207]

ცხადია, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომების სია ჩვენ მიერ მითითებული ტომებით არ ამოწურულა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ხანის ავტორებს მათ შესახებ ცნობები არ მოუციათ. ამის მიზეზზე თავის ადგილას უკვე გვქონდა ლაპარაკი და აქ აღარ გავიმეორებთ. ტომების ადგილსაცხოვრისის ზოგადი მითითება, ამ წყაროებზე დაყრდნობით, უმრავლეს შემთხვევაში ხერხდება, მაგრამ მათი საზღვრების დადგენა თუნდაც დავიწყებული არ იქნეს, რომ ყოველ ცალკე აღებულ პერიოდში ეს საზღვრები სხვადასხვაა, არ ხერხდება.

---

[201] ჯანაშია ს., თუბალ-თაბალი ..., 190, შენიშვნა 2.
[202] ლომოური ნ. , პტოლემაიოსის ცნობები ... 85.
[203] BG, VIII, 14, 16. გეორგიკა, II, 164-165, 171.
[*] შდრ. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, I, თბ., 1924, გვ. 57 და შმდგ.
[204] Agath., III, 15. გეორგიკა, III, 86
[205] ყაუხჩიშვილი ს., მისიმიანთა ტომი, თსუ შრომები, I, 1936, 277-280.
[206] Fr., 22. გეორგიკა, III, 236-237
[207] ინგოროყვა პ., დასახ. ნაშრ., გვ. 125, 135-140.

§2. სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა VI-I საუკუნეებში

კოლხიდა და შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროები ბერძნულ-ლათინურ მწერლობაში დახატულია, როგორც ეკონომიურად თვითკმარი რაიონი, სადაც დაწინაურებულ წარმოებაზე დამყარებული მეურნეობის გვერდით, რომელიც თავის მონაპოვარს უზიარებს სხვა ხალხებს და შემოქმედებითად ითვისებს სხვათა მიღწევებს, არსებობს ეკონომიურად შედარებით სუსტად განვითარებული ოლქებიც, რაც, ძირითადად, გეოგრაფიული პირობების განსხვავებით არის გამოწვეული. „გეოგრაფიული გარემო, უდავოა, საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ მუდმივ და აუცილებელ პირობას წარმოადგენს და იგი, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარების მსვლელობაზე, – ***იგი აჩქარებს ან ანელებს საზოგადოების განვითარების მსვლელობას*** (ხაზგასმა ჩემი, – დ.ხ.), მაგრამ მისი გავლენა ***განმსაზღვრელი*** როდია, ვინაიდან საზოგადოების ცვლილებანი და განვითარება გაცილებით უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე გეოგრაფიული გარემოს ცვლილებანი და განვითარება“.[208] ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ რაც უფრო დაბალია საწარმოო ძალების განვითარების დონე, მით უფრო ძლიერია ბუნების, გეოგრაფიული გარემოს გავლენის ხარისხი ადამიანთა საზოგადოებაზე, მით უფრო მეტადაა ადამიანი დამოკიდებული გარემოზე.

შავი ზღვის სანაპიროები ადრიდანვე იზიდავს უცხოელთა ყურადღებას, და ეს გარემოება სწორედ იმის მანიშნებელია, რომ აქ იყო ისეთი საზოგადოება, ისეთი მეურნეობა, რომელსაც შეეძლო რაიმე მიეცა უცხოეთისათვის. სხვა მასალაც რომ არაფერი გვქონოდა, სავაჭრო კოლონიების სიმრავლე (ფასიდი, დიოსკურია, პიტიუნტი, ტრაპეზუნტი, კერასუნტი, კოტიორა, აფსარი, ათინა, რიზე და ა.შ.) გვაფიქრებინებდა, რომ უცხოელ ვაჭრებს თავის დროზე აქ ღირსეული კონტრაგენტები უპოვნიათ: ამ კუთხის ეკონომიური სიღონიერითა და სოციალური დაწინაურებულობით უნდა ავხსნათ, რომ ბერძენი ვაჭრები და ახალმოშენეები აქ ზედიზედ აარსებენ კოლონიებსა და სავაჭრო ფაქტორიებს, რომელთაგან ბევრი შემდეგში სავაჭრო და ეკონომიური საქმიანობის საყოველთაოდ ცნობილ ცენტრად იქცა (ტრაპეზუნტი, ფასიდი, დიოსკურია).

მაგრამ ჩვენ გვაქვს პირდაპირი ცნობები, როგორც წერილობითი, ისე, და ეს განსაკუთრებით საყურადღებოა, მატერიალური კულტურის ნაშთების სახით შემონახული. ამ ცნობებზე დაყრდნობით ჩვენ საშუა-

---

[208] სტალინი ი., ლენინიზმის საკითხები, XI, ქარ. გამოც., თბ., 1951, გვ. 687, ნაშრომში: დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ.

ლება გვეძლევა იმდროინდელი პონტოსპირეთის ეკონომიური მდგომარეობის ზოგადი სურათი წარმოვიდგინოთ.

ბერძნულ ლიტერატურაში დაცულია არაერთი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ცნობა ძველი კოლხიდის დაწინაურებაზე მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ერთ-ერთი დარგი, რომლის შესახებ ჩვენ შედარებით საკმარისი ცნობები (წერილობითი თუ მატერიალური სახით) გვაქვს დაცული – ფეიქრობაა. ჯერ კიდევ დე-მორგანმა შენიშნა ბრინჯაოს ხანის ქართულ სამარხებში ქსოვილების ნაშთების არსებობა, რომლებიც აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, სელის, მატყლისა და ბამბისაგან იყო დამზადებული.[209] როგორც შემდგომი ხანის არქეოლოგიურმა ძიებებმა ცხადყო, ბრინჯაოს ხანაში ქართველ ტომებს უკვე სცოდნიათ სხვადასხვა ღირსების ქსოვილის დამზადება. დაბლაგომის,[210] ეშერის, წვერმაღალის,[211] ოჩამჩირის, სოხუმის,[212] ფიჭვნარის[213] არქეოლოგიური მასალები ადასტურებენ, რომ კოლხიდაში უკვე ბრინჯაოს ხანაში არსებული საფეიქრო წარმოება განაგრძობს მოქმედებასა და განვითარებას ე. წ. ანტიკურ ხანაშიაც. ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ მას განვითარება-წინსვლა განეცადოს. არქეოლოგიური მასალის გათვალისწინებით მიღებულ დასკვნებს მხარს აძლევს და ყოველმხრივ დასაბუთებულის ხასიათს სძენს წერილობითი წყაროების ცნობებიც, რომელთა მიხედვითაც ანტიკური ხანის კოლხეთი საფეიქრო წარმოების, კერძოდ, სელის დამუშავების ერთ-ერთი ძირითადი კერაა. დაწყებული ჰეროდოტით, ვიდრე სტრაბონამდე (ჩათვლით), დაინტერესებული ავტორები აღიარებენ კოლხური სელის წარმოების კარგ თვისებებს და ამით ცხადყოფენ მის სახელგანთქმულობას იმდროინდელ სამყაროში. პირველი ცნობა კოლხურ ფეიქრობაზე, როგორც აღვნიშნეთ, ჰეროდოტესთანაა დაცული (ძვ. წ. V ს.). ამ ცნობის მიხედვით, ეგეოსის სამყაროში ძვ. წ. V საუკუნეში სელის იმ ნაწარმს ეძლეოდა მაღალი შეფასება, რომელიც კოლხეთიდან ან ეგვიპტიდან იყო შემოტანილი. კოლხეთიდან შეტანილ ტილოს, თურმე, სარდონიკურს (თუ სარდონური სარდე-დან) უწოდებდნენ. ცნობაში შემდეგ მითითებულია, რომ კოლხები იმავე ხერხით ამზადებენ ტილოს, როგორითაც ეგვიპტელებიო.[214] აქებს კოლხურ სელს ქსენო-

---

[209] ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, I_2, თბ., 1930; ქართველი ერის ისტორია, I, 1951, გვ. 12, გვ. 373.

[210] Хоштария Н.В., Древнее поселение в Даблагоми. Тб., 1940, стр. 191-200; Куфтин Б.А., Материалы археологии Колхиди, II, Тб., 1950, стр. 111-112, 288-297.

[211] იქვე, გვ. 112, 292, შენიშვნა 1.

[212] Соловьев Л.Н., Следы древнего соляного промысла близ г. Сухуми и г. Очамчири. Труды Абх. Гос. Музея, 1, 1947, стр. 23

[213] იხ. ისტორიის ინსტიტუტის ფიჭვნარი (ქობულეთის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1953 წ. მასალები (ნ. ხოშტარია).

[214] Herodot., II, 105, SC, I, 9. Гаидукевич, Боспорское царство, М.-Л., 1949, стр. 113

ფონტიც,[215] ხოლო სტრაბონი პირველი საუკუნისათვის იმეორებს: კოლხიდა „აგრეთვე აწარმოებს დიდი (πολύ – მრავლად) რაოდენობის სელს (λίνον) ... სელის წარმოებამ (λινουργία) სახელიც კი გაითქვა. იგი უცხო ქვეყნებშიც კი გაჰქონდათო.[216] სტრაბონი აქვე სელთან ერთად იხსენიებს კანაფსაც (κάνναβις).[217] ამგვარად, ძვ. წ. V-I საუკუნეების სიგრძეზე ძველ კოლხიდაში სელისა და კანაფის წარმოებას სასაქონლო ხასიათიც ჰქონია და ეს არცაა გასაკვირი. რადგან, „სასაქონლო წარმოება, კაპიტალისტურ წარმოებაზე უფრო ძველია. იგი არსებობდა მონათმფლობელური წყობილების დროს და მომსახურებას უწევდა მას“.[218]

გარდა პირდაპირი ცნობებისა, ანტიკურ ლიტერატურას შემონახული აქვს არაპირდაპირი ცნობებიც, რომლებიც სელის წარმოების არსებობას პონტოსპირეთის ქართველურ ტომებში აუცილებლად გვავარაუდებინებს. ასეთებია ცნობები შეიარაღებაზე, ტანსაცმელზე, ნადირობაზე (ქსენოფონტი); ამაზევე მიგვითითებს არქეოლოგიური მასალაც, განსაკუთრებით კი ე. წ. „ქსოვილიანი კერამიკა“ (ოჩამჩირე, სოხუმი, ფიჭვნარი ...), დიდი რაოდენობა კვირისთავებისა და გვიანდელი მდგომარეობის შესახებ ცნობები: ოსმან-ბეის ცნობით, ლაზური სელის ქსოვილი, რომლის წარმოების ძირითადი ცენტრი რიზეა და მისი მიდამოები, მისი მაღალღირსების გამო აღმოსავლეთში დიდ მოწონებაშია და „ტრაპეზუნტის ტილოს“ სახელითაა ცნობილი, თუმცა იგი ტრაპეზუნტში კი არ მზადდება, არამედ სელის წარმოების ცენტრ რიზეში, სადაც მდინარე ასკურუსის შეყოლებით, რიზეს ველი მოფენილია ტილოს ფაბრიკებით (სახელოსნოებით – დ. ხ.), სადაც ადგილობრივი მცხოვრებლები მუშაობენ.[219] შემდგომში ეს წარმოება ჩაკლა ევროპიდან შეტანილმა მანქანური წარმოების ტილომ.[220]

ჰეროდოტეს ზემოთ მითითებული ცნობა საინტერესოა არა მარტო სელის წარმოების არსებობის დასადგენად, არამედ საშუალებას იძლევა გამოითქვას მოსაზრება იმ იარაღის როგორობის შესახებ, რომლითაც ქსოვილი მზადდება. როდესაც ნივთის დამზადების ხერხზე ლაპარაკობენ, მხედველობაში უმთავრესად ის იარაღი აქვთ, რომლითაც ნივთი მზადდება. ჰეროდოტეს ცნობა ჩვენ შემდეგნაირად გვესმის: კოლხებსა და ეგვიპტელებს სელის ქსოვილის დასამზადებლად ერთ-

---

[215] Xenoph., II, 4. SC, I, 359.
[216] Strab., XI, 2, §17. SC, I, 137. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, თბ., 1930, გვ. 372-4.
[217] Strab., XI, 2, §17. SC, I, 137.
[218] სტალინი ი., სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, თბ., 1952, გვ. 17.
[219] Осман-беи, Лазистан, ИРГО, X, 8, 1874, стр. 361-362.
[220] Жуковский П.М., Земледельческая Турция, М-Л., 1933, стр. 435

ნაირი იარაღი აქვთ, რომელიც არ წარმოადგენს ეგეოსის ქვეყნებში გავრცელებული საქსოვი იარაღის მსგავს ტიპს, არამედ ძირეულად განსხვავდება მისგან (ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ კოლხებისა და ეგვიპტელების ნათესაობის დასამტკიცებლად მოყვანილი ეს საბუთი დაკარგავს თავის თვისებას, როგორც საბუთი); უკვე უდავო ფაქტადაა აღიარებული ის გარემოება, რომ ეგვიპტის სელის წარმოებაში უკვე ახალი სამეფოს ხანიდან (ძვ. წ. XVI ს.) გამოყენებულია მხოლოდ ჰორიზონტალური საქსოვი დაზგა, რომელიც საბერძნეთმა აღმოსავლეთში გაიცნო და ისიც ელინისტურ ხანაში (ძვ. წ. IV-III სს.); დასტურდება, რომ მანამდე საბერძნეთი იყენებს ვერტიკალურ საქსოვ დაზგას. საბერძნეთის საფეიქრო წარმოებაში სხვადასხვა პერიოდებში ორგვარი საქსოვი დაზგის (ვერტიკალური VI-IV სს. ჰორიზონტალური – IV ს-ის შემდეგ) არსებობა კარგად ხსნის იმ განსხვავებას, რომელიც, ერთის მხრივ, ამ ქვეყნის ძვ. წ. აღ. VI-V საუკუნის და მეორე მხრივ – IV საუკუნის მომდევნო ხანის ქსოვილებს შორის არსებობს.[221] თუ ყოველივე ზემოთქმულს მივიღებთ მხედველობაში, ვგონებ, უფლება უნდა გვქონდეს ვთქვათ, რომ კოლხებს ძვ. წ. VI-V საუკუნეში საფეიქრო წარმოებაში ჰორიზონტალური საქსოვი დაზგა ჰქონიათ გამოყენებული. ბ. კუფტინი სამართლიანად ფიქრობდა, რომ დაბლაგომის მასალებში ვერტიკალური საქსოვი დაზგის „შვეულების" (отвесы) უქონლობა შეიძლება იმით ავხსნათ, რომ აქ, ამ დროს, გამოყენებაშია სწორედ ჰორიზონტალური საქსოვი დაზგა.[222] კუფტინის აღნიშნულ დასკვნას ჩრდილს აყენებს ის გარემოება, რომ იგი ერთი ძეგლის, ისიც არასრულად გათხრილის, მასალას ემყარება, ეშერის იმავე ხანის მასალებში ასეთი „შვეულები" უკვე გვხვდება.[223] კუფტინი ვერ ხსნის, თუ რატომ უნდა ყოფილიყო საქსოვი დაზგის ეს ნაწილები ეშერის მიდამოებში და რატომ არ არის იგი დაბლაგომის მასალებში. მან იცის, რომ პონტოსპირეთის ადგილობრივი ტომები VI საუკუნიდან ბერძენი კოლონისტების გაცნობასთან ერთად ეცნობიან ვერტიკალურ საქსოვ დაზგასაც. ამ გარემოებიდან დაბლაგომის მასალაზე დაყრდნობით მას ბუნებრივი იყო გაეკეთებინა დასკვნა, რომ დაბლაგომში ადგილობრივი კულტურული კერის ნაშთთან გვაქვს საქმე, ხოლო ეშერში კი – ნარევთან, ან უფრო ისეთთან, სადაც ბერძნული ელემენტი ჭარბობს. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ სანამ

---

[221] Максимова М., Техника эллинистического производства, в сборнике «эллинистическая техника», М-Л., 1948, стр. 244-245.

[222] Куфтин Б., Материалы к археологии Колхиды, II, Тб., 1950, გვ. 111-112. ჩაჩაშვილი გ., ქართული ხალხური საქსოვი დაზგები, საქ. სახ. მუზ. მოამბე, XVIII, თბ., 1954, გვ. 179-214.

[223] Куфтин Б., Материалы к археологии Колхиды, I, Тб., 1949, стр. 14-17

პონტოსპირეთის ქართული სანაპიროების ძველბერძნული სავაჭრო ქალაქების არქეოლოგიური შესწავლა მეცნიერებას შესაფერის და საკმარის მასალას არ მიაწვდის, მანამ მსჯელობა იმაზე, თუ სად როგორი კულტურა იყო გაბატონებული, ნაადრევია. თუ დადასტურდება, რომ VI-V საუკუნეებში ამ ქალაქებში გამოყენებულია ვერტიკალური საქსოვი დაზგა, მაშინ დაბლაგომის მასალები ძველი კოლხიდის ისტორიის დადგენაში კიდევ უფრო საპატიო მდგომარეობას დაიჭერს. მანამდე კი ისეთი მოსაზრება, რომელიც ეშერში აღმოჩენილ ორიოდე ცალ „შვეულას“ ემყარება,[224] ცხადია, ჰაერში გამოკიდებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ აქ ჩვენ დიდ დახმარებას გვიწევს ქართული ხალხური საქსოვი დაზგების ტიპებზე დაკვირვება; ირკვევა, რომ ქართულ სინამდვილეს შემოუნახავს საქსოვი დაზგების ორივე ძირითადი ტიპი, რომლებიც საქსოვი მასალის მიხედვით შეიძლებოდა ერთსა და იმავე რაიონში ყოფილიყო გამოყენებული.[225]

ცხადია, კოლხიდისა და პონტოსპირეთის ქართველური ტომების ადგილსაცხოვრისის არქეოლოგიური შესწავლა მომავალში მეცნიერებას ახალ-ახალ მასალებს მიაწვდის და ამით წინ წასწევს ძველი ტომების წარმოების ტექნიკის შესწავლის საქმეს, მათ შორის საფეიქრო ტექნიკის შესწავლის საქმესაც.

ანტიკური ხანის კოლხეთში სასაქონლო სელის ძირითად მწარმოებლად წარმართული ტაძრები მიმაჩნია, რომელთა მსხვილი მეურნეობების შესაძლო არსებობას პირველად ს. ჯანაშიამ მიაქცია ყურადღება.[226] სტრაბონის საყურადღებო ცნობის შემდეგ[227] მართლაც სრული უფლება გვაქვს დავუშვათ, რომ კოლხიდაში, ყოველ შემთხვევაში, ბარში მაინც, რამდენიმე ათეული დიდმნიშვნელოვანი წარმართული სალოცავი იყო, რომელთა მეურნეობას მომსახურებას უწევდა მონების გარკვეული რაოდენობა. ეს ტაძრები იყო არა მარტო როგორც ერთგვარი სახელოსნოები, არამედ სელისა და კანაფის (და საერთოდ ბოჭკოს) ნედლეულის დამამზადებელ-მომყვანები. ტაძრების მეურნეობას ქურუმები უძღვებიან და ისინივე არიან ამ დროის უმსხვილესი მონათმფლობელები. მაგრამ სატაძრო მეურნეობაში, როგორც გვიანი პარალელებით შეიძლებოდა გვეფიქრა, ხდება არა მარტო მონის შრომის ექსპლუატაცია, არამედ იმ თავისუფალი „მოთემეებისა“ თუ „ხატისყმებისა“, რომლებიც „ხატის მიწაზე“ სახლობენ, ან ამ მიწებით

---

[224] Куфтин, დასახ. ნაშრ., I, გვ. 14-15

[225] ჩაჩაშვილი გ., დასახ. ნაშრ., იქვე.

[226] ჯანაშია ს.ნ., ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში, შრ. II, თბ., 1952, გვ. 154-155. მისივე, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრ. I, თბ., 1949, გვ. 157-158

[227] Strab., XI, 2, §17. SC, I, 137

სარგებლობენ. ცხადია, „ხატის ყმის“ ექსპლუატაცია შენიღბულია და იგი გარეგნულად ხატისა თუ სალოცავისადმი სამსახურადაა აღიარებული, მაგრამ მასში ისეთი შინაარსი იმალება, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებისაგან უკვე გამოყოფილი (ხატისყმათაგან გამოყოფილი) წევრების კიდევ უფრო დაშორებას უმრავლესობისაგან. ძვ. წ. I საუკუნეში, კოლხეთის მესხეთში არსებული ლევკოთეას ტაძარი ორგზის ყოფილა გაძარცვული: ჯერ ფარნაკ და შემდეგ პოლუმონ პონტოელის მიერ.* იმის მიხედვით, რომ ტაძრის გაძარცვით მეფეებიც კი დაინტერესებულან, შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ რა დიდი სიმდიდრის პატრონი ყოფილა აღნიშნული ტაძარი. ს. ჯანაშია პარალელური მასალების მოშველიებით სატაძრო მეურნეობათა სურათს ქართულ სინამდვილეში შემდეგნაირად გვიხატავს: ესაა არათავისუფალ შრომაზე დამყარებული მსხვილი მეურნეობები, „ტაძრები ამავე დროს განძების მფლობელებიც არიან... კოლხეთშიც ტაძრებს გარკვეული მდგომარეობისათვის მიუღწევიათ – მათ ხელში უკვე დიდ განძებს მოუყრიათ თავი (მეზობელი ქვეყნის მეფეები მათ რამდენიმეჯერ ძარცვავენ).[228] ტაძრების ქონება ალბათ მარტო განძებში არ გამოიხატება – ისინი აქაც (პირველ შემთხვევაში იბერიაზეა ლაპარაკი – დ. ხ.) მამულის მფლობელნიც უნდა იყვნენ“.[229] ამგვარად, სასაქონლო სელის ძირითად მიმწოდებლებად კოლხეთიდან სატაძრო მეურნეობები არიან საგულვებელნი, რომელთა სტრუქტურაც სასაქონლო წარმოების ყველაზე უკეთესი პირობების მქონე უნდა ყოფილიყო. ბაზარზე ხვდებოდა, აგრეთვე, ალბათ, ცალკე თემებისა თუ მეურნეობათა მიერ დამზადებული საფეიქრო ნაწარმიც. რა თქმა უნდა, წარმოების ხასიათი აღებული ეპოქის მთელ სიგრძეზე ჩვენ ერთნაირად არ წარმოგვიდგენია: ერთ შემთხვევაში მონის შრომაა ნაკლები ხარისხით გამოყენებული, მეორეგან პირუკუ, იგი სჭარბობს ე. წ. თავისუფალის შრომას – ორივე ერთმანეთის გვერდით არსებობენ ამ ეპოქისათვის.

კოლხურ საფეიქრო წარმოებას ჰქონდა ის პირობები, რომლებიც აჩქარებდნენ და აიძულებდნენ მას გაფართოებულიყო. ამ პირობათაგან დამაჩქარებლის როლშიც, ცხადია, განსაკუთრებით საგარეო ბაზრის მოთხოვნილება უნდა გამოსულიყო. საფეიქრო ნაწარმი და ბოჭკოვანთა ნედლეული ანტიკურ სამყაროს სჭირდებოდა არა მარტო ტანსაცმლისათვის, არამედ იგი გამოიყენებოდა საზღვაო საქმეში (აფრები, ანძის თოკები), ნადირობაში (სათევზაო და სანადირო ბადეები) და ა.შ. ბაზარი საქონლის ღირსების საუკეთესო შემფასებელია. კოლხური საფეიქ-

* Strab., XI, 2, §17. SC, I, 137.

228 Strab., XI, 2, §17. SC, I, 137

229 ჯანაშია ს.ნ., ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში, შრ. II, გვ. 153-154.

რო ნაწარმის ასე ხანგრძლივი არსებობა იმდროინდელ მსოფლიო ბაზარზე იმის უტყუარი დადასტურებაა, რომ იგი იმდროინდელი კულტურული სამყაროს ესთეტიკურ მოთხოვნილებებს სავსებით აკმაყოფილებდა, ამას (წარმოება) კი იმით მიაღწევდა, თუ მის მომხმარებელ საზოგადოებასთან ერთად თვითონაც განვითარდებოდა. ჩანს, რომ კოლხეთის საფეიქრო წარმოება მომხმარებელი საზოგადოების განვითარების ტემპებს არ ჩამორჩენილა.

ბერძნულ-ლათინური მწერლობის შესწავლიდან ჩანს, რომ პონტოსპირეთის ქართველურ ტომებში შალის წარმოება ადგილობრივი მნიშვნელობის უნდა ყოფილიყო, რადგან მათ შესახებ რაიმე ცნობა იქ არ შენახულა. ჩვენ კი სრული უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ, თუმცა სუსტად, მაგრამ მაინც, შალის წარმოება ამ ტომებში უნდა ყოფილიყო, რაზედაც ცხვრის არსებობის შესახებ ცნობებიც უნდა გვითითებდნენ (როგორც წერილობითი წყაროები, ისე არქეოლოგიური მასალები). ცხვრის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ძველი კოლხეთის მეურნეობაში მისი კულტის არსებობა უნდა მიგვანიშნებდეს. სტრაბონის ცნობით, ლევკოთეას საკურთხეველში (კოლხეთის მესხეთი) მსხვერპლად ცხვრის შეწირვა აკრძალული ყოფილა.[230]

ბერძნულ-ლათინურ მწერლობაში გვხვდება არაერთგზისი მითითება შავი ზღვის სანაპიროების, განსაკუთრებით, სამხრეთ სანაპიროების, ტომების დაწინაურებულობაზე ***სამთამადნო წარმოებაში***. არქეოლოგიის მიერ უკანასკნელ პერიოდში მოპოვებული მასალების შესწავლიდან ცხადი ხდება, რომ ანტიკურ ლიტერატურაში დაცული ცნობები საფუძვლიანია, მაგრამ იმ შენიშვნით, რომ მათში ასახულია მხოლოდ ის რაიონები და იქ მოსახლე ტომები, რომლებიც იმდროინდელ დასავლეთ სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობაში იმყოფებიან, ხოლო სამთამადნო წარმოების ის ცენტრები, რომელთაც ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდათ, ან სხვა ბაზრებთან იყვნენ დაკავშირებული (ჩრდ. კავკასია, ჩრდ. პონტოსპირეთი, იბერია და ა. შ.), იქ არ არის ასახული.

ბერძნულ-ლათინურ მწერლობაში დაცული ცნობების შესწავლა ცხადყოფს, რომ ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში განსაკუთრებით მოწონებაში ყოფილა ხალიბთა ტომის სამთამადნო ნაწარმი.[231] ხალიბების ხსენება ბერძნულ ლიტერატურაში ბერძენთა კოლონიზაციის დაწყებამდეც გვხვდება, მაგრამ გარკვეული მითითება მათ შესახებ მხოლოდ ჰეკატე მილეთელიდან იწყება.[232] პირდაპირი მითითება ხალიბების

---

[230] Strab., XI, 2, §17. SC, I, 137

[231] Гайдукевич В., Боспорское царство, М., 1949, 117, Максимова М., Техника эллинистического производста, М.-Л., 1948.

[232] Fr., 193, 195. SC, I, 3.

მეტალურგიაზე პირველად ქსენოფონტთან გვხვდება. „ანაბასისში“ იგი გადმოგვცემს, რომ ხალიბები, რომლებიც მოსინიკებსა და ტიბარენებს შორის ცხოვრობენ, მცირერიცხოვანნი არიან და მათი უმრავლესობა რკინის დამუშავებით (σιδηρείας) ცხოვრობსო.[233] ფსევდო-არისტოტელე კი გადმოგვცემს იმ ხერხებზე, რომლითაც ხალიბები პოულობენ და ამუშავებენ ფოლადის იმ სახეობას, რომელსაც ასე გაუთქვამს სახელი ანტიკური მსოფლიოს დასავლეთ ცენტრში. იგი წერს, რომ ხალიბური რკინა, როგორც გადმოგვცემენ, მდინარის ქვიშიდან მოიპოვება. ქვიშას რამდენჯერმე რეცხავენ და მიღებულ მადანს ადნობენ რაღაც „ცეცხლგამძლე“ (πυρίμαχον) ქვის შერევის შემდეგ, რის შედეგადაც მიღებული რკინა, რომელიც „ხალიბურის“ სახელს ატარებს, ერთადერთია, რომელიც არ იჟანგება, მაგრამ მისი მოპოვება უმნიშვნელო რაოდენობით ხდებაო.[234] ფსევდო-არისტოტელეს აქ ფოლადის ერთი სახეობის შესახებ აქვს ლაპარაკი, რომელიც, როგორც მისი სიტყვებიდან ჩანს, ყველაზე უფრო პატივში იყო მისი დროისათვის უჟანგველი ლითონის თვისებების ქონებისათვის, ხოლო ძირითადი წარმოების შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი, რადგან იქ მოპოვება რაიმე უცნაური ხერხით არ წარმოებდა. არისტოტელეს ცნობებით, თუ ხალიბები რკინის წარმოებით იყვნენ ცნობილი, მოსინიკებს ბრინჯაოს და სპილენძის ორიგინალური წარმოებით გაუთქვამთ სახელი: მოგვითხრობენო, – წერს იგი, – რომ მოსინიკური სპილენძი გამოირჩევა მკვეთრი ელვარებით და განსაკუთრებული სითეთრით. მასში მოსინიკები კალის მაგიერ, თურმე, რაღაც მიწას ურევდნენ გამოდნობის დროს და ამის გამო აქვს მას ასეთი თვისებებიო.[235] ფსევდო-არისტოტელე გადმოგვცემს, რომ მოსინიკები ასეთი შენადნობის დამზადებას მის დროს თურმე აღარ აწარმოებდნენ, რასაც იმით ხსნის, რომ ამ ტექნოლოგიური პროცესის გამომგონებელმა საიდუმლოება არავის გაანდო და მიწაში ჩაიყოლა.[236] ფსევდო-არისტოტელეს ეს ცნობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ არქეოლოგიური მასალის შესწავლისას, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის რაჭის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერაა მოპოვებული. ექსპედიციამ მდ. რიონის სათავეებში მიაკვლია ძველი მეტალურგიის ერთ-ერთ ცენტრს და დაადგინა, რომ ბრინჯაოს წარმოებაში აქ კალა შეცვლილია ანთი-

[233] Xenoph., V, 5, §1; SC, I, 83.
[234] Ps. Arist., II, §48. SC. I, 380.
[235] იქვე, II, 62. SC, I, 380. Гаидукевич, იქვე, стр. 117.
[236] იქვე.

მონით, რომლის შენარევი მართლაც თეთრი ფერით გამოირჩევა.[237] ფსევდო-არისტოტელეს მიერ მითითებული მოსინიკური ხერხი შესაძ-ლებელია სწორედ იმასვე გულისხმობდეს, როგორიც გ. გობეჯიშვილ-მა რაჭაში დაადგინა. ელინისტური ხანისათვის, როგორც წერილობითი წყაროების ჩვენებიდან ირკვევა, ხალიბების მეტალურგიული წარმოება ფართოვდება და უფრო მნიშვნელოვანი ხდება. აპოლონ როდოსელი უკვე იმეორებს, რომ ხალიბები არ მისდევენ არც მიწათმოქმედებას, არც მებაღეობას და არც მესაქონლეობას – ისინი რკინას ამზადებენ და ცვლიან პროდუქტზეო.[238] როგორც ზემოთ დავინახეთ, ასეთი ცნობა ხალიბების შესახებ ქსენოფონტის „ანაბასისშია“ დაცული (V, 5, §1). ამასვე I საუკუნისათვის იმეორებს სტრაბონიც. მისი ცნობით, ხალი-ბები ის ხალხია, რომელიც მის დროში ხალდებად იწოდება და რო-მელთა ქვეყანაშიც ფარნაკია მდებარეობს. ფარნაკიის კეთილდღეობის ერთ-ერთი წყარო სამთამადნო წარმოება ყოფილა. მთის მცხოვ-რებლებს, თურმე, მაღაროები აძლევდა ცხოვრების სახსარს, ხოლო აქაური მთები მდიდარი ყოფილა რკინის მადნეულით, წინათ კი ვერცხლის მოპოვებაც უწარმოებიათ.[239]

ამგვარად, როგორც ვხედავთ, მთელი ანტიკური და ელინისტური ხანის სიგრძეზე ხალიბია ერთნაირი წარმატებით გამოდის იმდროინ-დელ მსოფლიო ბაზარზე, რის გამოც ხდება მისი ასახვა ელინური და ელინისტური ხანის ლიტერატურაში, როგორც სამთამადნო წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და უპირველესი ცენტრისა იმდროინდელ მსოფლიოში.

ელინისტურ ხანაში რკინის წარმოებით განსაკუთრებით განთქმული იყო ლაკონია, ლიდია და ხალიბია, სადაც ელინისტური სამყაროს მეურნეობისათვის ყველაზე მაღალი ხარისხის ფოლადი მზადდებოდა.[240] ხალიბია მდიდარი იყო არა მარტო რკინის საბადოებით, არამედ ქვანახშირითაც,[241] რაც მეტალურგიისათვის საკმაო ბაზას ქმნიდა. ზო-გიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ელინისტური ხანისათვის ხალი-ბური ფოლადი ძირითადად სადურგლო იარაღების გასაკეთებლად იხმარებოდა.[242]

შემოწმებით დასტურდება, რომ ანტიკური ავტორების ცნობა პონ-ტოს სამხრეთ სანაპიროზე მოსახლე ქართველური ტომების მეტალურ-გიურ დამსახურებაზე უდავოა. ლითონის დამზადება აქ წარმოებდა

---

[237] გობეჯიშვილი გ., არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, გვ. 54-56.
[238] Ap. Rod., SC, I, 414.
[239] Strab., XII, §19. SC, I, 158.
[240] იხ. კრებული: Эллинистическая техника, М-Л., 1948, стр. 17, 18, 29, 207.
[241] Успенский Ф., Очерки из истории Трапезунтской империи, Л., 1929, стр. 124
[242] დასახ. კრებული, გვ. 29

როგორც ადრე, ისე გვიან საშუალო საუკუნეებში: 1869 წელს ლაზისტანში მოგზაურობის დროს ი. დეილორს უჩვენეს (ს. ყარაჩუკურში მდ. შერშიუთ-ჩაის ანუ ტრიპოლი-ჩაის ხეობაში) სპილენძის ბევრი უმოქმედო მაღარო, რომლებშიც დეილორს უპოვნია რკინის ქანის ნამტვრევები და ურიები. იქვე მთების მწვერვალებზე მას უპოვნია მაგნეტური რკინის შესანიშნავი ნიმუშები. მაღაროებში, მისი სიტყვით, თავდაღუნული თუ შეძვრებოდა ადამიანი.* მდ. შერშიუთ-ჩაის (ტრიპოლი ჩაის) ხეობა სწორედ ძველი ხალიბების ადგილსაცხოვრისია. ჰამილტონს მდ. უნიესუს ხეობაში ს. კალე-კეის მიდამოებში უნახავს მის დროსაც მოქმედი სამჭედლოები (καμινοςίδηροι). გამცილებელმა და მასპინძელმა (უნიაში) მას უთხრეს, რომ ირგვლივ მთები სავსეა რკინის მადნით (εἶναι ὅλοι σιδήρου).[243]

აქვე, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე, წარმოებდა ვერცხლის მოპოვებაც.[244] ვერცხლის უძველესი მომპოვებლები, როგორც სტრაბონის შრომის ჩვენ მიერ მოყვანილი ადგილიდან ჩანს (XII, 3, §19), იგივე ხალიბები ყოფილან (უნდა შევნიშნოთ, რომ ანტიკურ ლიტერატურაში ქართველური ტომების მთელი მეტალურგიული შემოქმედება, თითქმის უკლისად, ხალიბებზეა, თუ შეიძლება ითქვას, უსამართლოდ მიწერილი). მისი ცნობით, მის დროს ვერცხლის მოპოვება აღარ უწარმოებიათ. სტრაბონი არ აღნიშნავს, თუ რა მიზეზით იქნა მიტოვებული მაღაროები, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქაც ის მიზეზი მოქმედებს, რომელიც საერთოა მთელი იმდროინდელი სამყაროსათვის: საბადოების მტაცებლური ექსპლუატაცია, რაც ტექნიკის განვითარების დაბალი დონით იყო გამოწვეული, ადრე ფიტავდა საბადოებს და არარენტაბელურს ხდიდა მის დამუშავებას. როგორც ქვემოთ დავინახავთ, სამთამადნო წარმოებაში მთელი რიგი საუკუნეების სიგრძეზე ტექნიკური სიახლე არ ყოფილა შეტანილი. არაფერი გაუკეთებია ამ მხრივ ელინისტურ საზოგადოებასაც „...В области техники за исключением военного дела и строительства – эллинистическая наука заметных успехов не делала; в рабовладельческом обществе мысль ученого не направлялась в эту сторону“.[245] 1869 წ. მდ. ხარშიტ-დერეს ხეობაში ტრაპეზუნტიდან გადასულ დეილორს გიუმიშ-

---

* Дейлор Г., Путешествие в Лазистан и Армению, Тб., 1871, стр. 18-26.

[243] Успенский Ф., Очерки из истории Трапизунтской империи. Л., 1929, стр. 24, 95.

[244] იქვე, წერს, რომ ტრიპოლიდან 25 კმ-ის დაშორებით პეტრომას ციხის მიდამოებში, თურქთაგან ტრიპოლის დაპყრობის ხანაში ყოფილა ვერცხლის წარმოება (ἀργυρεῖα ἔραγα) რაც XX საუკუნისათვის უკვე მიტოვებული ყოფილა. გვ. 89.

[245] Ранович А., Эллинизм и ее историческая роль, М.-Л., 1950, გვ. 36; აგრეთვე: Эллинист. Техника, М-Л, 1948, стр. 21-22.

ხანესთან უნახავს ვერცხლის მიტოვებული მაღაროები,[246] თვით სახელწოდება „გიუმიშ-ხანე“-ც ვერცხლის სახელწოდებიდანაა წარმომდგარი (gümüş – ვერცხლი, ვერცხლის; ĥane – სახლი, სადგომი, ადგილი).[247]

არქეოლოგიური მასალების შესწავლის საფუძველზე არქეოლოგი-მკვლევარები ადასტურებენ, რომ ჭოროხის აუზი ქართული მეტალურგიის ერთი ძირითადი კერაა, როგორც სპილენძ-ბრინჯაოს, ისე რკინა-ფოლადის წარმოების ხაზით.[248] მაგრამ ამ რაიონის ძველი მეტალურგიული წარმოების შესწავლას აფერხებს ის გარემოება, რომ მეცნიერულად (მეთოდურად) ჩატარებული გათხრები შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე ამ მიზნით ჯერ არავის უწარმოებია. მკვლევარები აქ წერილობითი წყაროებისა და დასავლეთ საქართველოს სამხრეთ რაიონებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის (ისიც შემთხვევიდან-შემთხვევაზე აღმოჩენილის) ამარადღა არიან დარჩენილი, ამიტომ ბევრი მათი დასკვნა „ალბათ“-სა და „შესაძლებელია“-ზეა აგებული. სხვანაირად დგას საქმე ძველი კოლხიდის მეტალურგიული წარმოების შესწავლაში: ანტიკური ავტორების ცნობების თითქმის უქონლობას არქეოლოგიური მასალის შედარებითი სიუხვე ავსებს. ეს მასალა, ძირითადად ქართული საბჭოური არქეოლოგიის მიერ მოპოვებული, შესაძლებლობას იძლევა დაისვას მეტალურგიის ისტორიასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები, ხოლო ზოგჯერ ზოგიერთი მათგანის გადაჭრაც კი მოხერხდეს. 1935 წ. ა. იესენმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ე. წ. კოლხური კულტურის (გვიანი ბრინჯაოს ხანა) ძირითადი მწარმოებელი ცენტრი ჭოროხის აუზში უნდა ყოფილიყო, ხოლო ლეჩხუმი უნდა წარმოადგენდეს წვრილ კერას ასეთი წარმოებისაო.[249] შემდეგში ო. ჯაფარიძემ სცადა ეჩვენებინა, რომ კოლხურ კულტურას მეტალურგიური წარმოების ძირითადი ცენტრი ერთი კი არ უნდა ჰქონოდა, არამედ, გარდა ჭოროხის აუზისა, ასეთ ცენტრებად ლეჩხუმი და „ეგებ“ აფხაზეთიც უნდა მივიჩნიოთ.[250] იესენთან შედარებით მისი მასალა უფრო მდიდარიცაა და უეჭვოც. მაგრამ როგორც ერთ, ისე მეორე მკვლევარს ხელთ მხოლოდ წარმოების პროდუქცია გააჩნიათ, რის გამოც არაფერი შეუძლიათ თქვან მადნის მოპოვებისა

---

[246] Дейлор Т., დასახ. ნაშრ. გვ. 34-35.

[247] Турецко-русский словарь, М., 1931, стр. 365, 383.

[248] Иессен А. А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, ИГАИМК, 1935, в. 120, стр. 129. ჯაფარიძე ო., მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, თსუ შრომები, 49, თბ., 1953, გვ. 188-191 ... და სხვა შრ.

[249] Иессен А. А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, ИГАИМК, 1935, в. 120, стр. 129.

[250] ჯაფარიძე ო., კოლხური ცული, საქ. სახ. მუზ. მოამბე, XVI–B, 1950, გვ. 52. მისივე, მიწათმოქმედების იარაღები ..., გვ. 188.

და დამზადების პროცესზე, სამთო-მოპოვებითი წარმოების ტექნიკაზე და ა.შ.

კოლხური მეტალურგიის ერთ-ერთი ცენტრი გამოვლინებული იქნა უკანასკნელ ხანებში რაჭის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (გ. გობეჯიშვილი). „1952 წელს მდ. ზოფხითურის სათავესთან გაწმენდილი იქნა ანთიმონის ორი ძველი მღვიმე, ბრილში გამოვლინდა მადნისსადნობი წარმოების ნაშთები ... მღვიმეში აღმოჩნდა ხის ნახშირი და ქვები, რომლებიც ძველად გამოუყენებიათ მადნის მოსანგრევად. მადნისსადნობი წარმოების გადანაყარის ფენაში აღმოჩენილია ლითონის წიდა და, აგრეთვე, გამდნარი ლითონით გაჟღენთილი თიხის ჭურჭლის ნატეხები... მდ. რიონის სათავეები შუა ბრინჯაოს ხანიდან წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას ძველი ქართული მეტალურგიისა, რომელიც ვითარდებოდა ადგილობრივი სამთამადნო წარმოების ბაზაზე. ეს უკანასკნელი, ეპოქის შესაფერისად, დამყარებული იყო მადნის მოპოვების პრიმიტიულ ტექნიკაზე. გაზრდილ მოთხოვნილებას ლითონზე, გამოწვეულს ხელოსნობის დაწინაურებით და საგარეო კავშირ-ურთიერთობის გაფართოებით, ძვ. წ. VII-VI საუკუნიდან აკმაყოფილებდნენ არა ტექნიკის განვითარების გზით, არამედ, საფიქრებელია, უფრო მუშახელის რაოდენობის გაზრდის გზით“.[251] მე შეგნებულად მოვიტანე ეს გრძელი ამონაწერი რაჭის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის გ. გობეჯიშვილის იმ მოხსენების თეზისებიდან, რომელიც რაჭაში 1952 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიშს წარმოადგენს. როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, ექსპედიციას მიუგნია არა მარტო მაღაროებისთვის, არამედ წარმოების მთელი პროცესისათვის მიუდევნებია თვალი – მადნის მომტვრევიდან მის გამოდნობამდე. 1952 წლამდეც ექსპედიციას დიდი წარმატებები ხვდა წილად აქაური სამთამადნო წარმოების გამოვლენის საქმეში. ექსპედიციის მიერ გამოვლენილი იქნა ბრინჯაოს ქართული მეტალურგიის ერთი ორიგინალური თავისებურება, რომელსაც ზემოთ გაკვრით შევეხეთ ფსევდო-არისტოტელეს ცნობასთან დაკავშირებით. გამოირკვა, რომ კალის ნაკლებობა, რაც ბრინჯაოს შენადნობის მიღების ერთი ძირითადი დაბრკოლებათაგანია, კოლხ მეტალურგებს თავიდან აუცილებიათ წარმოებაში სიახლის შეტანით – კალა ანთიმონით შეუცვლიათ. როგორც ანალიზმა დაადასტურა, ანთიმონიანი ბრინჯაო, კალიანი ბრინჯაოსაგან განსხვავებით, მოთეთრო ფერისაა, ხოლო სხვა მხრივ მას არ ჩამოუვარდება.[252] რაჭის არქეოლოგიური ექსპედიციის

---

[251] თეზისები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიისა, თბ., 1953, გვ. 13-14.

[252] გობეჯიშვილი გ., არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, გვ. 54-56.

მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით შეიძლება ზოგი რამ აღვნიშნოთ მადნის მოპოვების ტექნიკურ მხარეზეც. მივმართოთ ისევ გ. გობეჯიშვილის შრომას: „დიდი შრომა უხარჯავთ ძველ მელითონეებს, – წერს იგი, – სალ კლდეებში, ზღვის დონიდან 2000 მეტრ სიმაღლეზე, მცირე ბილიკები გაუკვეთიათ მადნის ძარღვებამდე. ამ ბილიკებით ტყის ზონიდან შეშა უზიდავთ და ***მადნიანი ქანები ცეცხლით უხურვებიათ. გავარვარებულ ქანებზე წყალი უსხამთ და ამგვარად დანაპრალებული კლდიდან მადანი მოუტეხიათ გრანიტის დიდი ურიებით, რომელთაც ხის ტარი გარედან ჰქონიათ მიმაგრებული.*** შრომის ასეთი პროცესის გამოცნობის საშუალებას გვაძლევს მაღაროებში შემონახული დიდძალი ნახშირი და ქვის ურიები. ჩანს, ჩვენს წინაპრებს პრაქტიკულად კარგად სცოდნიათ მაგარ სხეულებზე სითბო-სიცივის მოქმედების კანონი. მადნის ძარღვები ხშირად მეტად ღრმად ჩასდევს ფუჭ ქანებს. ამიტომ მაღაროები ზოგჯერ ღრმად იჭრებოდა კლდეში და ჭერის ჩამონგრევის საფრთხეც არსებობდა. საფრთხის თავიდან ასაცილებლად საჭირო ხდებოდა ჭერის გამაგრება. ახლა ამ მიზნით ხის ბოძებსა და ძელებს იყენებენ, ძველად კი კლდის ბუნებრივი სვეტები დაუტოვებიათ“.[253] მადნის მოპოვების (მაღაროს გაყვანა, მადნის მომტვრევა და ა.შ.) ეს ხერხი ელინისტურ ხანაშიც განაგრძობს არსებობას. ძვ.წ. III-II სს. ბერძენი გეოგრაფის ***აგათარხიდის*** ცნობით, ელინისტური ხანის ეგვიპტურ მაღაროებში მემაღაროე იყენებდა ცეცხლს ქანების დასარბილებლად.[254] როგორც არსებული მასალების შესწავლიდან ირკვევა, რაჭა და საერთოდ დასავლეთ კავკასიონი რკინის მეტალურგიის ერთ-ერთ კერასაც წარმოადგენდა. რკინა ქართული სინამდვილისათვის არქეოლოგიურად IX საუკუნის შემდეგ დასტურდება, ასეთივე ასაკისას გვავარაუდებინებს მის განვითარებულ წარმოებას ბიბლიური ტრადიციაც. განსაკუთრებით მდიდარია მასალა დასავლეთ საქართველოს რკინის წარმოებაზე განვითარებული შუა საუკუნეებიდან, გათხრილია ზოგიერთი საწარმოო კერის წარმოების ნაშთები (შხიბარი, ზემო სვანეთი),[255] მათ შორის X-XI საუკუნით დათარიღებულები. მაგრამ ლითონსადნობი საწარმოების ნაშთი შენახული უნდა გვქონდეს უფრო ადრინდელი ხანისათვის, კერძოდ, ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1953 წ. ფიჭვნარში

---

[253] იქვე, გვ. 55. აგრეთვე მისივე, ძველი ქართული სამთამადნო და მეტალურგიული წარმოების ნაშთები სოფ. ღებთან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XIII, 3, თბ., 1952, გვ. 183-190.

[254] Diodor., III, 12-14.

[255] Деген-Ковалевский Б. Е., Из истории железного производства Закавказья, МГАИМК, 120. По материалам раскопок Чуберской железноплавильни, М.-Л., 1935, стр. 247 и след.

აღმოჩენილ ბორცვ „ნამჭედურზე“.[256] საშუალო საუკუნეებში ქართულ სინამდვილეში რკინის წარმოების რამდენიმე დაწინაურებული კერა არსებობს; ასეთებია: ქართლში – სარკინეთი, სადაც არქეოლოგმა ნ. ღამბაშიძემ რკინის საკმაოდ დიდი საწარმო გათხარა, რომელსაც თან ახლავს ელინისტური ხანის შენობის ნაშთები ნაგები ანტიკური კრამიტით, დამწვარი ალიზით და ქვის კვადრებით, რომელიც არქეოლოგიურ ლიტერატურაში ელინისტური ხანითაა დათარიღებული; რაჭაში – წედისი, რომელსაც ნ. რეხვიაშვილმა სპეციალური მონოგრაფია უძღვნა;[257] სვანეთში – შხიბარი (ჭუბერის თემი), რომელიც დეგენ კოვალევსკიმ გამოარკვია; იმერეთში – საწირე და ოკრიბა და ა.შ. გარდა ზემოთ დასახელებული მსხვილი საწარმოო ცენტრებისა, იყო ადგილობრივი მნიშვნელობის ცენტრებიც,[258] რომლებიც ადგილობრივ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა და საგარეო ბაზარზე არ გადიოდა.

ცხადია, ჩვენ მიზანს ქართული მეტალურგიის ისტორიის მიმოხილვა არ შეადგენს. ჩვენ გვინდოდა მხოლოდ გვეჩვენებინა, რომ პონტოსპირეთის ქართველურ ტომებს ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის, იმდროინდელ მსოფლიოში, ეპოქის შესაფერისად დაწინაურებული სამთამადნო წარმოება ჰქონია. აქაური ნაწარმის მნიშვნელობა იმდენად დიდი ყოფილა ეგეოსის ქვეყნების მეურნეობაში, რომ იქ გაჩნდა აზრი ხალიბთაგან რკინის გამოდნობის გამოგონებაზე, ხოლო ხალიბების სატომო სახელი ბერძნულ ენაში ფოლადის აღმნიშვნელ სახელად იქცა.[259] ივანე ჯავახიშვილმა, ანალიზი გაუკეთა რა მადნეულთა სახელებს სხვადასხვა ენებში, მივიდა დასკვნამდე, რომ „უმთავრესი და კაცობრიობის წარმატებისათვის აუცილებლად საჭირო მადნების სახელები ან ქართველი ტომებისაგან არის შეთვისებული, ან არა და მათი სატომო სახელწოდებისაგან არის წარმომდგარი“.[260]

ამგვარად, მასალების მთელი რიგი (წერილობითი, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ენობრივი) სრულ თანხმობაშია ქართველურ ტომთა დაწინაურებულ მემთამადნეობაზე, როგორც წინაანტიკური, ისე ანტიკური ხანისათვის.

სურათი სრული არ იქნებოდა, თუ ორიოდე სიტყვით არ შევეხებოდით იმ ცნობებს, რომლებიც კოლხიდაში ოქროს მოპოვებას შეეხება.

---

[256] იხ. ქობულეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1953 წლის მასალები. ნ. ხოშტარიას მასალის გაცნობისათვის უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

[257] რეხვიაშვილი ნ., მჭედლობა რაჭაში, თბ., 1953.

[258] ჩუბინიშვილი ტ., სოფ. გოგოლეისუბანში გვიანი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კომპლექსის აღმოჩენის გამო, მიმომხილველი, I, თბ., 1949, გვ. 295-296 და სხვა მასალებიც.

[259] Услар П., Древнейшие сказания о Кавказе, ЗКОРГО, XII, Тб., 1881, стр. 467. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 24.

[260] ჯავახიშვილი ივ., იქვე, გვ. 23-24.

თქმულება არგონავტებზე ცხადყოფს, რომ ბერძნებს კოლხიდის, როგორც ოქროთი მდიდარი ქვეყნის შესახებ ცნობები კოლონიზაციამდე ჰქონიათ. ბერძნულ ლიტერატურაში არსებობს შეხედულება, თითქოს კოლხებს ოქროს მოპოვების წესი ტყავებზე ჰქონოდათ დაწერილი (ეს ცნობა, დაცული ევსტათი თესალონიკელთან, ეკუთვნის ხარაქსს), რის გამოც მომხდარა არგონავტების ლაშქრობა.[261] სტრაბონთან დაცული გადმოცემით, თქმულება ოქროს საწმისზე წარმოშობილია იმ ფაქტის არსებობიდან, რომ სვანები მდინარის მიერ ჩამოტანილ ოქროს აგროვებენ ვარცლებითა და ბეწვიანი ტყავებით.[262] ანტიკური ავტორები, ლაპარაკობენ რა კოლხეთის ოქროს სიმდიდრეზე (სტრაბონი, პლინი, ხარაქსი, ევსტათი ...), მუდამ უთითებენ სვანთა მიწა-წყალს, სადაც ნაკადულებს ჩამოაქვთ ოქროვანი ქვიშა. პლინი სეკუნდის ცნობით (ა.წ. I ს.) მის დროს არსებულა ზეპირი გადმოცემა, რომ აიეტის შთამომავალ სავლაკს, მიუღია რა სამეფოს ხელუხლებელი მიწები სვანეთში და საერთოდ ოქროს საწმისებით მდიდარ თავის სამეფოში, მოუპოვებია ოქროსა და ვერცხლის დიდი რაოდენობა.[263] როგორც შემოწმებით დასტურდება, ანტიკური ავტორების ცნობები კოლხიდის და კერძოდ სვანეთის შესახებ საფუძველს არაა მოკლებული:[264] ენგურის სათავეებში ოქროს მოპოვება ჩვენ დრომდეც გრძელდებოდა.[265] ჩვენ ზემოთ აღვნიშნავდით, რომ ტომების მეურნეობის ის დარგები, რომლებიც VI-I საუკუნის მსოფლიო ბაზარზე თავისი ნაწარმით არ იყო წარმოდგენილი, ანტიკურ მწერლობაში ან სულ არ არის, ან მეტად სუსტადაა ასახული. უკანასკნელ შემთხვევაში ეს ცნობები გაკვრითია და მეურნეობათა ამ დარგების შესწავლისათვის ჩვენ არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით გვიხდება უპირატესად მსჯელობა. ეს გარემოება განსაკუთრებით პონტოსპირეთის ქართველური ტომების სოფლის მეურნეობას შეეხება: თუ თვალს გადავავლებთ ანტიკურ ლიტერატურას, დავინახავთ, რომ იქ სულ რამდენიმე პირდაპირი თუ არაპირდაპირი ცნობაა დაცული ამ ტომების სოფლის მეურნეობაზე, მაგრამ ეს გარემოება სრულებითაც არ გვეუბნება, თითქოს მათი სამიწათმოქმედო წარმოების დონე დაბალი ყოფილიყოს, პირიქით, ჩვენ გვაქვს მასალები, რომლებიც ცხადყოფს, რომ კოლხეთის ტომების სამეურნეო იარაღები უახლოეს მსგავსებას ამჟღავნებს

[261] Evstath., §I, 89. SC, I, 203-204.
[262] Strab., XI, 2, §19. SC, I, 138.
[263] Plin., XXXIII, 52, SC, II, 197-198.
[264] შდრ. Гайдукевич, Боспорское царство, М-Л, 1949, стр. 118.
[265] საქართველოს ისტორია, I, 50-51.

მცირე აზიის უძველესი ხალხების სამიწათმოქმედო იარაღებთან, მათ შორის – ეტრუსკების სამიწათმოქმედო იარაღებთან.[266]

პირველი მითითება ანტიკურ ლიტერატურაში კოლხების მიწათმოქმედებაზე ოქროს საწმისზე თქმულებაში გვაქვს დაცული. თქმულების სიუჟეტი, ჩემის აზრით, მაშინ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, როდესაც რკინას ან სულ არ ჰქონდა სამეურნეო დანიშნულება, ან იგი ჯერაც კარგად არ იყო ცნობილი ადამიანისათვის. თქმულებიდან ვგებულობთ, რომ მოხვნა, როგორც ნიადაგის დაფხვიერების ხერხი (მიუხედავად იმისა, თუ რას თესავენ შიგ – დრაკონის კბილებს თუ ასლის მარცვალს) ამ დროინდელ საზოგადოებას უკვე სცოდნია.

ქსენოფონტის „ანაბასისში“ დაცული ცნობების შესწავლიდან ვგებულობთ, რომ შავი ზღვის სანაპიროების ტომების მეურნეობა გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით იყო მოწყობილი: მთაში მესაქონლეობა იყო წამყვანი, ხოლო მიწათმოქმედება, ალბათ, დამხმარე მნიშვნელობისა (ასევე მელითონეობაც). მას ამის შესახებ პირდაპირ არაფერი აქვს ნათქვამი, მაგრამ უკან დახევისას მთის ტომების საცხოვრისებზე გავლისას ბერძნები მარცვლეულს ვერ შოულობენ და მხოლოდ პირუტყვის ხელთგდებაზეა ლაპარაკი. ბარში წამყვანი მიწათმოქმედებაა, ხოლო მეურნეობის სხვა დარგები დამხმარეა. საერთოდ კი, ჩემის აზრით, იმდროინდელი მეურნეობა ყოველთვის შერწყმულია (მხედველობაში მაქვს დამჯდარი, ბინადარი ცხოვრების მქონე ტომები), რომელიმე დარგის უპირატესობით. არ მიმაჩნია მისაღებად მ. მაქსიმოვას მტკიცება, დამყარებული „ანაბასისის“ ცნობის არასწორ გაგებაზე, თითქოს პონტოსპირეთის ტომებში, მოსინიკების ჩათვლით, მეურნეობის ძირითადი დარგი მესაქონლეობა ყოფილიყოს. რამდენადაც მოსინიკებზე „ანაბასისში“ არსებობს გარკვეული მითითება, რომ „ძველი პურიც“ გააჩნდათო. იგი ეძებს საბუთებს თავისი ზემომოყვანილი დასკვნისათვის და ასეთებად მიაჩნია მოსინიკთა ადგილსაცხოვრისის რელიეფის მთაგორიანობა და მოსინიკების მიერ საჭმელად პურის მაგივრად წაბლის გამოყენება.[267] აღნიშნული საბუთები თვით „ანაბასისისავე“ ცნობებით ბათილდება, ქსენოფონტს არსად არ აქვს ნათქვამი, რომ მოსინიკები წაბლის ნამცხვარს პურის ნაკლოვანების გამო ამზადებენო. პირიქით, მისი თქმით, წაბლის ნამცხვარით კვება აქ სიმდიდრის ნიშნადაა აღიარებული. იგი პირდაპირ აღნიშნავს, რომ მდიდართა შვილები, რომლებიც მე მაჩვენეს, **წაბლით** იყვნენ კვებულიო.[268] წაბლის ნამცხვარი შესაძლებელია ამ ტომისათვის დამახასიათებელი

---

[266] ჩიტაია გ.ს., რაჭული სახვნელი, ენიმკის მოამბე, I, თბ., 1937, გვ. 284.

[267] Максимова М., Местное население юго-восточного Причерноморья по «Анабасису» Ксенофонта, Дрилы и Моссиники, ВДИ, 1951, №1, стр. 259.

[268] Xenoph., V, 5, §32,

ტაბლა იყოს, წარმოშობილი, იქნებ, მარცვლეულის ნაკლოვანების ნიადაგზე, მაგრამ არა იმ ტერიტორიაზე, სადაც ბერძნებმა გაიარეს, არამედ მაღალ მთებში, სადაც ველური ნაყოფების საჭმელად გამოყენებაზე არაერთი წერილობითი თუ ეთნოგრაფიული ცნობა გვაქვს. მოსინიკებში მესაქონლეობის უპირატესი როლის დასადასტურებლად არც რელიეფის მოტანა გამოგვადგება, რადგან მოსახლეობის სიმჭიდროვე და მოსინიკების მეურნეობის ხასიათი (მეთევზეობა, ფლოტის ყოლა, ვაზის კულტურის არსებობა) სრულებით არ ეგუება მეჯოგე ტომის მეურნეობის ხასიათს. ამასთან, მაქსიმოვას საერთო დასკვნას „საერთო" ხასიათს უკარგავს ხალიბების მაგალითიც, რომლებიც, უპირატესად, ლითონის დამუშავებით იპოვებენ ცხოვრების სახსარს.[269]

ამგვარად, პონტოსპირეთის ტომების მეურნეობაზე „საერთოდ" ლაპარაკი მეცნიერულად გაუმართლებელია და არ შეეფერება რეალურ სურათს. უფრო სწორი იქნებოდა აქაურ მეურნეობაში სამი სახის ფორმა გამოგვეყო: 1. უპირატესად სამიწათმოქმედო; 2. შერეული (შერწყმული); 3. უპირატესად მესაქონლეობითი ან მემთამადნეობითი. როგორც ეთნოგრაფიული მასალების შესწავლით ირკვევა, თითოეულ მათგანს დასახლების თავისებური ტიპიც შეესაბამება.[270]

„ანაბასისის" ცნობიდან ირკვევა, რომ ქართველური ტომები მარცვლეულ მეურნეობას იცნობენ, ხოლო ზოგიერთ მათგანში იგი წამყვანი დარგი ჩანს. ასევე ამ ტომებს ცნობიათ ***ვაზის*** კულტურაც.

ჰეროდოტეს, ქსენოფონტის, სტრაბონის და სხვა ავტორების ცნობები კოლხური საფეიქრო წარმოების შესახებ არაპირდაპირ მიგვითითებენ, რომ სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ დარგს ***ტექნიკური კულტურები*** წარმოადგენდნენ.

როდესაც ისმება საკითხი მეურნეობის შესახებ, მისი მდგომარეობისა თუ დონის შესახებ, ძირითადი კითხვა უპირატესად წარმოების იარაღებს შეეხება. ანტიკურ ლიტერატურას ჩვენთვის საინტერესო ხანის სამეურნეო იარაღების შესახებ თითქმის არავითარი ცნობები არ შემოუნახავს, მაგრამ აქ ნაწილობრივ გვშველის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის მონაპოვრები. არქეოლოგიამ მოიპოვა მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული მთელი რიგი იარაღები: ცულები და წალდები (ახოების გასაჩეხად), თოხები და ბარები (მიწის დასამუშავებლად, სარეველებთან ბრძოლისათვის), ნამგლები და სასხლავი დანები (პურეულის ასაღებად, ვაზის გასასხლავად), კევრის ნაშთები, ხელსაფქვავები, მარცვლის შესანახი ჭურჭელი და ა.შ. ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ შემოგვინახა სახვნელი იარაღების „მთელი მუზეუმი",

---

[269] იქვე, V, 5, §1.

[270] ჩიტაია გ., დასახლების ტიპი მთიულეთში, თეზისები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მეოთხე სამეცნიერო სესია, თბ., 1953, გვ. 9-10.

აგრეთვე მრავალი ძველი წეს-ჩვეულება, რომელიც მოსავლის მოყვანას, აღებასა და შენახვასთანაა დაკავშირებული.[271]

არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის ურთიერთმიშველიებისას ირკვევა, რომ მიწის დასამუშავებელ ძირითად იარაღს შავიზღვისპირეთის მთიანეთში თოხი წარმოადგენდა. მისი არსებობის ზედა თარიღად ზოგადად გვიანი ბრინჯაოს ხანაა აღიარებული. არქეოლოგები, გამოდიან რა იქიდან, რომ თოხს მხოლოდ და მხოლოდ კოლხიდის არქეოლოგია იცნობს, ასკვნიან, რომ იგი დასავლურ-ქართული კულტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი იარაღი უნდა იყოს.[272] იგი მთის მეურნეობაში როგორც სახნელი იარაღის, ისე სარეველებთან საბრძოლველი და გასაიშვიათებელი (გასამეჩხრებელი) იარაღის მოვალეობას ასრულებს. საინტერესოა, რომ იგი დღემდე ხმარებაშია და მისი ფორმებიც, არ ჩანს, რომ ძალიან შეცვლილიყოს; ბარში თოხი სარეველა ბალახებთან ბრძოლისა და მიწის გასაფხვიერებლადაა გამოყენებული. ჩვენთვის საინტერესო ხანის (VI-I) ბარის მიწათმოქმედებაში თოხის სახვნელ იარაღად გამოყენება უკვე საჭიროებას არ წარმოადგენდა (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ახალგატეხილ ტყიან მასივთან ჰქონდათ საქმე. ახალგაჩეხილი მიწები რამდენიმე წელი თოხით უნდა დამუშავებულიყო („მოთოხნა"), რადგან ფესვების ამოლპობამდე სახვნელის გატარება შეუძლებელია). გ. ჩიტაიამ თავის გამოკვლევებში ცხადყო, რომ ქართველ ტომებს სახვნელი იარაღი (გამწევი ძალით) ძველთაგანვე ჰქონიათ გამოყენებული და ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული დასავლურ-ქართული სახვნელები („აფხაზური სახვნელი", აგაფა, „იმერული კავი", ოჩაჩა, რაჭული სახვნელი და ა.შ.) ძალიან ახლოს დგანან შუამდინარეთისა (ური) და მცირე აზიის კულტურული ხალხების (ეტრუსკების) სახვნელ იარაღებთან. „რაჭული სახვნელის"[273] შესახებ მსჯელობისას პატივცემული მკვლევარი წერს: არსებითად, რაჭული სახვნელი, როგორც სახვნელი იარაღების გარკვეული სახე, წარმოადგენს სახვნელთა იმ ძირითად ტიპს, რომელიც შექმნილია წინა აზიაში და ეკუთვნის წინა აზიის უძველეს კულტურულ მოსახლეობას, ქართველ ტომთა წინაპრებს ალაროდიულ-სუბარული ტომების სახით საზოგადოდ, ხოლო თუბალ-

---

[271] Читая Г., Земледельческие системы и пахотные орудия Грузии, Вопросы этног. Кавказа, 1952, стр. 101.

[272] ჯაფარიძე ო., მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, თსუ შრომები, 49, თბ., 1953, გვ. 174-202 (თავმოყრილია ლიტერატურაც).

[273] ჩიტაია გ., რაჭული სახვნელი, ენიმკის მოამბე, I, 1937, გვ. 284. მისივე, К вопросу о происхождении абхазских пахотных орудии, стр. 375. Земледельческие системи и пахотные орудия Грузии, კრებულში Вопросы этнографии Кавказа, Тб., 1952, стр. 110 и след.

მუსკ თირსენებს (ეტრუსკებს) კერძოდ".[274] ივ. ჯავახიშვილი, იძლევა რა სახვნელი იარაღების დათარიღების ცდას, ყურადღებას აქცევს „ერქვანის" „დაბადების" ქართველ მთარგმნელთაგან ზოგადი მნიშვნელობით ხმარებას, იმ დროს, როცა, იგი სპეციალურ პირობებში გამოსაყენებელი სახვნელია.[275]

უმდიდრესი არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მასალა ქართულ სახვნელებზე და სამიწათმოქმედო კულტურებზე წარმოდგენილია გ. ჩიტაიას ნაშრომებში და კერძოდ „Земледельческие системы и пахотные орудия Грузии"-ში.[276] აქ განსაკუთრებით განზოგადებულია სახვნელი იარაღების შესახებ დაგროვებული მასალა და მოცემულია კლასიფიკაცია, აგებული ამ იარაღის, როგორც სახვნელის, დანიშნულებაზე.

კულტურული მარცვლეულის არსებობა ქართულ სინამდვილეში ენეოლითური ხანის სადგომებშია დადასტურებული, ხოლო ახალი ქვის ხანის სადგომებში ხელსაფქვავებისა და ქვის თოხების არსებობა[277] გვაფიქრებინებს, რომ პრიმიტიული მარცვლეული მეურნეობა ამ ეპოქის ადამიანისათვის უცნობი არ უნდა ყოფილიყო. ბოტანიკოსების, ეთნოგრაფების, ისტორიკოსების, არქეოლოგების და რიგი სხვა დარგების სპეციალისტთა გარჯის შედეგად გამოვლენილია ქართული პურეული მცენარეების ათეულობით უძველესი ჯიში, შესწავლილია თანამედროვე უხვმოსავლიან პურეულთა წინაპრები, და ის ღონისძიებები, რომლითაც საქართველოს აბორიგენი მოსახლეობა საუკუნეების სიგრძეზე აუმჯობესებდა კულტურულ მარცვლეულთა ჯიშებს, უგუებდა რა მას თავის მოთხოვნებს.[278] ბევრი ამ ჯიშთაგანი ძვ. კოლხიდის ტერიტორიაზეა დადასტურებული[279] (მახა, ხორბალი, ქერი, ფეტვი, ქვრიმა), სადაც კლიმატური პირობების გამო ისეთი მძლავრი მარცვლეული მეურნეობა, როგორიც ძვ. იბერიას უნდა ჰქონოდა, არ არსებობდა.

---

[274] იქვე, გვ. 291

[275] ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, თბ., 1930, გვ. 201.

[276] Читая Г., Земледельческие системы и пахотные орудия Грузии, Вопросы этног. Кавказа, 1952.

[277] კილაძე ნ., ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 29, თბ., 1951, გვ. 251, 255 ...

[278] Читая Г. С., იქვე, გვ. 105-109. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 1930, 11, 1935. Менабде Е., Пшеницы Грузии, Тб., 1948. მისივე, საქართველოს ქერები, თბ., ბოტანიკური ინსტ. შრომები, VI, 1938. მისივე, ботанико-систематические данные о хлебных злаках древней Колхиди, საქ. სსრ მეც. აკად. მოამბე I, №9, თბ., 1940; Жуковский П., Культурные растения и их сородичи, М., 1950. стр. 65.

[279] საქართველოს ისტორია, I, 52.

ცოტა რამ ვიცით შავიზღვისპირეთის ქართველურ ტომებში მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ. მათში ანტიკურ ლიტერატურაში რამდენიმე არაპირდაპირი ცნობაა შემონახული. სამხრეთ სანაპიროების შესახებ ცნობა „ანაბასისშია“ დაცული: ლაპარაკობს რა მოსინიკების ღვინოზე, ქსენოფონტი აღნიშნავს, რომ წყლით გაზავებული ის სასიამოვნო სასმელი იყო, ხოლო ისე კი არაო.[280] აღწერს რა სინოპელთა ელჩების პატივსაცემად კოტიორასთან გამართულ ლხინს, ამბობს, რომ ღვინოს ვსვამდით რქის სასმისებით (ყანწებით) ამ ქვეყნის (ე.ი. ტიბარენიის) ჩვეების მიხედვით.[281] „ანაბასისში“ არ არის მითითება, თუ სადაური იყო ის ღვინო, რომელსაც ბერძნები იქ შეექცეოდნენ, მაგრამ ყანწების დასახელება, როგორც ისეთი ფიალისა, რომლითაც ღვინის სმა ამ ქვეყანაში მიღებული ჩვეულება ყოფილა, ვფიქრობ, საფუძველს უნდა გვაძლევდეს ტიბარენებში საკმაოდ დაწინაურებული მევენახეობა ვიგულისხმოთ. აქეთკენვე უნდა გვითითებდეს ტიბარენიის რელიეფის შესახებ დაცული ცნობები და შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს სუბტროპიკული ჰავა, რომელიც ვაზის კულტურისათვის ხელსაყრელი პირობა უნდა ყოფილიყო. და მართლაც, არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს, რომ მევენახეობას მეურნეობაში და ყოფაში საპატიო ადგილი ჰქონდა მიჩენილი. აღმოჩენილია დიდი რაოდენობა ქვევრებისა, რომელთა ნაწილი, ჩანს, არადანიშნულებისამებრ ყოფილა გამოყენებული, სასხლავი დანები,[282] რომელიც ვაზის მოვლისათვის ასე აუცილებელია, გადარჩენილია უნიკალური მონოლითური საწნახელი (სოფ. ზენითი, ქობულეთის რაიონი), რომლის ირგვლივ მიწის სამუშაოების წარმოებისას არაერთი ქვევრი გამოჩენილა. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოყოფილია აბორიგენული ჯიშების ათეულობით უძველესი სახე, რომლებშიც გვხვდება როგორც სუფრის ყურძნის მომცემი ჯიშები, ისე საღვინე ჯიშებიც. დღეს გადარჩენილი უძველესი ჯიშები მაღლარია, მაგრამ როგორც ცდებმა ცხადყო, ბევრი მათგანი შეიძლება დაბლარადაც იქნეს მოშენებული.[283] მაღლარის სიჭარბე დასავლეთ საქართველოს ბარში კლიმატური პირობების არახელსაყრელობით უნდა იყოს გამოწვეული. იქნებ ამის გამოც იყო, რომ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში „ვენახი“ „ვენახოვანის“ შემცვლელად ვერ გამოვიდა და, ისევე როგორც ძველად, ახლაც ერთ ძირ ვაზს აღნიშნავს. ცხადია, დასავლეთ საქართველო

---

[280] Xenoph., V, 4, §29.

[281] იქვე, VI, 1, §4.

[282] Хоштария Н., Археологические разведки, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის. II, თბ., 1941, გვ. 80, 91-92.

[283] რამიშვილი მ., გურიის, აჭარისა და სამეგრელოს ვაზის ჯიშები, თბ., 1948; ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, თბ., 1935, გვ. 289; იხ. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 176.

იცნობდა დაბლარსაც, ისევე, როგორც აღმოსავლეთი – მაღლარს, მაგრამ დასავლეთ საქართველო აშკარად გაყოფილი იყო ორ ზოლად: 1. შედარებით ზეგნოვანი რაიონები, სადაც შერეულ მევენახეობასთან გვაქვს საქმე; და 2. კოლხიდის დაბლობი, სადაც მხოლოდ მაღლარია დადასტურებული.

პონტოსპირეთის ქართველური ტომების ადგილსაცხოვრისის კლიმატური პირობების გამო, აქ მოსახლე ტომებისათვის ყოველთვის მწვავედ უნდა მდგარიყო ხვნა-თესვისა თუ საძოვრებისათვის გამოსადეგი მიწის ფართობის საკითხი. ეს განსაკუთრებით კოლხეთის მიმართ უნდა აღინიშნოს, რომელსაც გამოუდეგარი მიწების დიდი მასივები გააჩნდა (ჭაობები, ტყეები). გამოსაყენებელი ფართობის გადიდებისათვის ბრძოლა განსაკუთრებით უნდა გაეძლიერებინა როგორც პურეულზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების სურვილს, რაც მოსახლეობის რიცხვის სწრაფი ზრდით იყო შეპირობებული (ბუნებრივი მატება, მთის მოსახლეობის ჩამოსახლება), ისე საგარეო ბაზრის გავლენასაც. მე მიმაჩნია, რომ ტექნიკური კულტურების ფართობი ძველ კოლხიდაში მნიშვნელოვნად დიდი უნდა ყოფილიყო და მისი ზრდა იქნებ მარცვლეული კულტურების ქვეშ არსებული ფართობის საზიანოდაც წარმოებულიყო, ხოლო საკვები მარცვლეულის დანაკლისი ჩრდილო და სამხრეთ პონტოსპირეთიდან შემოტანილი პურით შეივსებოდა. ძველი კოლხიდის ეკონომიურ კავშირზე ჩრდილოეთსა და სამხრეთთან არაერთი ცნობაა შენახული. მათ ასაბუთებს და ამაგრებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნების მატერიალური კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთების (ამფორები, მონეტები და ა.შ.) აღმოჩენა კოლხეთის ტერიტორიაზე (დაბლაგომი ...) და პირუკუ (ნიმფეა).

ძველ კოლხიდას სასარგებლო ფართობისათვის ბრძოლა ძირითადად ჭაობებთან უნდა ეწარმოებინა და უწარმოებია კიდეც. ჰიპოკრატე გადმოგვცემს, კოლხიდაში იმდენად ბევრი არხია, რომ მცხოვრებლები ფეხით იშვიათად დადიან, ისიც ბაზრობაზე, ხოლო სხვა დროს ნავებით დასეირნობენო.[284] ჰიპოკრატეს ეს ცნობა საფუძველს არაა მოკლებული და დასტურდება ძველი კოლხიდის ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლითაც. ირკვევა, რომ წყლისა და ჭაობის წინააღმდეგ ბრძოლა აქ მოსახლე ტომებს ჯერ კიდევ მეორე ათასწლეულიდან უწარმოებიათ. მათ მიერ სამოსახლოების ირგვლივ გაყვანილი არხები, როგორც გ. ნიორაძემ გაარკვია, ასრულებდა როგორც თავდაცვითი თხრილის მოვალეობას, ისე სატრანსპორტო გზასაც წარმოადგენდა და

[284] Hippocr., §22, SC, I, 58.

უკავშირდებოდა რომელიმე მდინარეს.[285] ამ ძველი სამოსახლოების გათხრისას არქეოლოგები პოულობენ როგორც ხელოსნობის ნაწარმს, ისე სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნაშთებს: ფეტვს, ხორბალს და ა.შ. ასევე, ამავე ნამოსახლარებზე გვხვდება სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული იარაღები, მეცხოველეობის არსებობის მანიშნებელი მასალები, მონადირეობის როლის შესახებ მასალები, მასალები ფეიქრობაზე და ა.შ. ასეთია ნამოსახლარები, რომელთა კულტურული ფენები (შესწავლილთა მიხედვით) ნეოლითის შემდეგი ხანიდან დაწყებული ანტიკურ პერიოდამდე არსებულ მასალას შეიცავენ. ამ დროს მოსახლეობა, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, უფრო უკან იხევს ზღვის სანაპიროდან,[286] ალბათ, რაიმე დღეს ჩვენთვის უცნობი საფრთხის გამო. თუ ეს აზრი მართალია, ბუნებრივია მისი დაკავშირება ბერძნების გამოჩენასთან შავი ზღვის სანაპიროზე. მაგრამ გადაჭრით რისამე თქმა დღეს ჩვენ ხელთ არსებული მასალით შეუძლებელია.

ორიოდე ცნობაა დაცული მეცხოველეობაზე, ისიც სამხრეთ სანაპიროზე მოსახლე ტომებისათვის, რომელიც ქსენოფონტს ეკუთვნის.[287] ძველი კოლხიდის შესახებ წერილობითი ცნობები თითქმის სულ არ გვაქვს, მაგრამ, სამაგიეროდ, არქეოლოგიური მასალა მდიდრადაა წარმოდგენილი. როგორც ამ მასალების შესწავლიდან ირკვევა, ტომების მეურნეობაში მეცხოველეობა ყველგან ერთნაირი მნიშვნელობისა არ არის. ბარში იგი დამხმარეა მიწათმოქმედების უპირატესობის პირობებში, ხოლო მთაში საქმიანობის ძირითადი დარგია, რიგ ტომებში – მეტალურგიული წარმოების შეთავსებით. ჩვენთვის საინტერესო ხანის არქეოლოგიურ მასალაში გვხვდება შინაურ ცხოველთა თითქმის ყველა წარმომადგენლის ნაშთები. როგორც ირკვევა, მეცხოველეობის პროდუქტები მრავალგვარ გამოყენებაში ყოფილა: ხორცი, რძის პროდუქტები (კარაქი, ყველი, რძე), ტყავი (ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, შეიარაღება), რქა (შეიარაღება, ფიალები-ყანწები) და ა.შ. როგორც მასალების შესწავლა ცხადყოფს, მთაში ძირითადად წვრილფეხა პირუტყვის მოშენებას მისდევდნენ,[288] თუმცა არც მსხვილფეხა პირუტყვი უნდა ყოფილიყო მათთვის უცხო. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ის გარემოება, რომ კოლხიდის მთის ტომები მისდევდნენ მეცხვარეობას, იყვნენ რა დაწინაურებული მეტალურგები, ხელს უწყობდა კოლხების

---

[285] ნიორაძე გ., არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში, ენიმკის მოამბე, X, თბ., 1941, გვ. 326;

[286] ხოშტარია, დიხა გუძუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლობა, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, №2, თბ., 1944, გვ. 209. იქვე, გვ. 207-215.

[287] იხ. „ანაბასისის“ შესაბამისი ადგილები.

[288] გობეჯიშვილი გ., მდ. რიონის სათავეებში 1952 წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები, თეზისები ..., გვ. 14.

კულტურული მონაპოვრის გავრცელებას სხვა ქვეყნებში და კერძოდ, ჩრდ. კავკასიაში, რამდენადაც მათი ცხვრის ჯოგები საძოვრებზე იქ გადადიოდა.[289] ანტიკური ტრადიცია არაფერს ამბობს აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომების შესახებ, მაგრამ სამხრეთ სანაპიროზე იხსენიებიან „ჯოგებით მდიდარი ტიბარენები“,[290] ხოლო სტრაბონის ერთ ცნობაზე[291] დაყრდნობით ვგებულობთ, რომ ძველი კოლხიდის ერთ ნაწილში, კერძოდ, მესხეთის მთიანეთში, ცხვრის კულტი უნდა არსებულიყო, ხოლო გამოსახულებანი უძველეს ქართულ ფულზე – „კოლხურ თეთრზე“[292] უნდა მიგვითითებდეს, რომ ხარი (და საერთოდ მასში ნაგულისხმევი მსხვილფეხა საქონელი) აქ დიდ პატივისცემაში ყოფილა. ეს ბარის მეურნეობაში მსხვილფეხა პირუტყვის წვრილფეხასთან შედარებით უპირატესი როლის დამადასტურებელია, რამდენადაც ის საზოგადოება, რომელსაც „კოლხური თეთრი“ ეკუთვნის, სწორედ ბარში უნდა ჩამოყალიბებულიყო. ხარის კულტი კოლხიდის ბარში (გაიხსენეთ თქმულება არგონავტებზე) მეურნეობის ხასიათთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, კერძოდ, მეურნეობაში მიწათმოქმედების უპირატეს როლთან. ამაზე უნდა მიგვითითებდეს მონეტებზე ხარის გამოსახულების არსებობაც.

ბერძენ-ლათინი ავტორები დიდად აქებენ კოლხიდის სატყეო მეურნეობას და აღნიშნავენ მისი პროდუქციის მნიშვნელობას სხვა ქვეყნების მეურნეობისათვის. სტრაბონი, აღწერს რა კოლხიდას და ეხება რა მის სიმდიდრეებს, გადმოგვცემს, რომ აქ ყველაფერი იშოვება ტყის ნაწარმთაგან, რაც მშენებლობისათვის და განსაკუთრებით გემთმშენებლობისათვის არის საჭირო: ხე-ტყე ადგილობრივაც (ბარში) იწარმოება და მდინარეებითაც იღებენ, ხოლო სელი, კანაფი, სანთელი და ფისიც უხვადაა.[293] ძვ. წ. I საუკუნის ავტორის ***ვირგილი მარონის*** ცნობით, კავკასიიდან შემავალი ხე-ტყიდან გემთმშენებლობაში ფიჭვი (pinus), ხოლო საბინაო მშენებლობაში კედარი (cedrus) და კვიპარისი-გუნდის ხე (cupressus) გამოიყენებოდა.[294] მოთხოვნილება კოლხურ ხე-ტყეზე ეგეოსის ქვეყნებში წინაელინისტურ ხანაშიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ელინისტურ ხანაში მოთხოვნა იზრდება, განსაკუთრებით აღმოსავლეთში დიდი ფლოტილიების მშენებლობასთან დაკავშირებით. ამ ხანაში თვით გემების წყალწყვაც სწრაფად იზრდება და შედარებით გრანდიოზულ მასშტაბებს აღ-

---

[289] იქვე, გვ. 14.
[290] Strab., XI, 2, §17. SC, I, 137.
[291] დიონისე, დასახლებული სამყაროს აღწერა, V.V, 766-774. SC, I, 186.
[292] კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950, გვ. 25-27.
[293] Strab., XI, 2, §17. SC, I, 137.
[294] Verg. Maron., II, §§440-443. SC, II, 14.

წევს.[295] სტრაბონის ცნობით, მითრიდატე VI ევპატორი მთავარ შემწეობას თავისი საზღვაო ძალების ორგანიზაციისათვის კოლხიდიდან იღებდა.[296] ცხადია, აქ სხვასთან ერთად გემები და ხე-ტყეც იგულისხმება. ხე-ტყის ტრანსპორტირება, როგორც ირკვევა, მდინარეების შემწეობით ხდებოდა, რაც დღესაც არაა უცნობი ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის, როგორც კავკასიონსა და სამხრეთ მთიანეთში, ისე კოლხიდის ბარში (გაიხსენეთ თუნდაც „პალიასტომის ტბა", ეგნატე ნინოშვილისა). ხის ძვირფასი ჯიშები კი (ბზა, უთხოვარი ...), ალბათ, საზიდარი ცხოველებითაც გადაიტანებოდა, როცა ისინი მდინარეს მოშორებული იყვნენ. ამასთან, ხის ეს ჯიშები არ შეიძლება მდინარით უმეშვეოდ გადაიზიდოს, რადგან ისინი წყალში იძირებიან და ამდენად, ნავებით ან სხვა ხეებისაგან შეკრული ტივებით უნდა იქნეს გადატანილი. ხე-ტყის ცხოველებით (ცხენი, ჯორი, ვირი) ტრანსპორტირება იქა-აქ დღესაც შემორჩა ეთნოგრაფიულ სინამდვილეს (გურია-აჭარის მთების მიდამოები ...); ხშირად, ხე-ტყის ამ გზით ტრანსპორტირება 50-60 კმ-ის მანძილზე წარმოებს, რისთვისაც შექმნილია სპეციალური საკიდარი (გურია-აჭარაში „კეხი"). ჩვენ აღვნიშნეთ კოლხიდიდან უცხოეთში გასული ხე-ტყის გამოყენება, მაგრამ უაღრესად მრავალგან გამოყენებაშია ხე-ტყე საკუთრივ კოლხიდაში და სამხრეთ სანაპიროს ტომებში. სამხრეთ სანაპიროზე მოსახლე ტომების შესახებ გვაქვს ქსენოფონტის, სტრაბონისა და სხვა ავტორების ცნობები, ხოლო კოლხიდისათვის ვიტრუვის ცნობების გვერდით გვაქვს არქეოლოგიური მასალაც, რომელიც ქართველ ტომთა საბინაო და თავდაცვით ნაგებობებში ხე-ტყის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიგვითითებს. „ანაბასისის" ცნობით, პონტოსპირეთის ტომების სათავდაცვო და საცხოვრებელი ნაგებობები, იქაც კი, სადაც ქალაქური ტიპის დასახლებები გვაქვს, ხისაგანაა ნაშენები (დრილები, მოსინიკები ...). უფრო მეტიც, არიანე გადმოგვცემს, რომ ფასიდის ციხესაც კი წინათ ქვის კედლების ნაცვლად მიწაყრილი იცავდა თურმე, რომელზეც ხის კოშკები ყოფილა აღმართული.[297]ვიტრუვი გადმოგვცემს, თუ როგორ აშენებდნენ კოლხები მთლიანი მორების სახლებს;[298] მისი ცნობით, კოლხები პარალელურად ალაგებენ ხის მორებს, რომელთა შორის, თავებთან, ალაგებენ სხვა წყობას, რომლითაც იკვრება ოთხკუთხედი. ასე აყავთ კედელი განსაზღვრულ სიმაღლემდე, რის შემდეგ გასწვრივი ხეების შემოკლებით ქმნიან პირამიდის მსგავს სახურავს, რომელსაც ფოთლებითა და მიწით ხურავენ, ხოლო ფარღალალა ადგილებს ნაფოტებითა და

[295] კრებულში: Эллинистическая техника, М-Л, 1948, стр.
[296] Strab., XI, 2, §18. SC, I, 137.
[297] PPE, §12. SC, I, 221.
[298] Xenop., V, 2, §25 ...

ტალახით ავსებენ.[299] ვიტრუვი მშენებლობის ამ წესს ადგილობრივს (ბარბაროსულს) უწოდებს, მაგრამ იგი ეთნოგრაფიულ სინამდვილეს, ოდნავ სახენაცვალი, ჩვენ დრომდე შემორჩა, ხოლო მისი ფესვები ძვ. წ. III-II ათასწლეულის სიღრმეში იკარგება. გათხრებმა კოლხიდის დაბლობში ცხადყო, რომ მრგვალი ხის მორების ნაგებობანი შენახული გვაქვს იმ უამრავ ხელოვნურ ბორცვებში, რომლებიც ძველ მოსახლობებად არის აღიარებული.[300] სამგორის ერთ-ერთი ყორღანის გათხრამ 1950 წელს ცხადყო, რომ ასეთი ნაგებობანი არც აღმოსავლეთ საქართველოსთვის (იბერიისთვის) ყოფილა უცხო, ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულში (პროფ. გ. ნიორაძის გათხრები სამგორში 1950 წლის შემოდგომაზე). რაც შეეხება ვიტრუვის ცნობას, იგი სრულებითაც არ აღწერს ისეთ ნაგებობას, როგორიც ლ. სუმბაძესა და დ. მშვენიერაძეს აქვს მოცემული.[301] ჩვენთვის საინტერესო ხანისათვის კოლხებს მშენებლობის ის პრიმიტიული საფეხური (კედლების აყვანაში), რომელიც მათ აქვს მოცემული, ვითომც და ვიტრუვის მიხედვით, უკვე დიდი ხნის გავლილი აქვთ.

ხის მასალების სიუხვე მშენებლობაში შეპირობებულია როგორც სხვა სამშენებლო მასალის შედარებით სიღარიბით, ისე კლიმატური პირობებითაც; სუბტროპიკული, მაგრამ მეტად ნესტიანი ჰავის პირობებში ხის ბინების მშენებლობა ჯანმრთელობისათვის სავსებით გამართლებულია, ხოლო იმავე პირობებში ქვის შენობები რიგ ავადმყოფობათა გამომწვევ მიზეზად იქცევა. ჩანს, ძველ კოლხებს ამ ტერიტორიაზე ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ჰავაზე დაკვირვება უწარმოებიათ და შესაფერისი დასკვნებიც გაუკეთებიათ. გარდა საბინაო და თავდაცვითი ნაგებობებისა, ხე გამოიყენებოდა: 1. შეიარაღებაში (შუბის ტარები, ფარები, მუზარადები, ისრის ღეროები); 2. გემთმშენებლობაში: მოსინიკების ერთ-ერთ ნაწილს „ანაბასისის“ ცნობით, 300-ზე მეტი ნავის გამოყვანა შესძლებია, თითოეულ მათგანში სამი კაცი შეიძლებოდა თურმე მოთავსებულიყო.[302] სულ სხვა ზომისაა აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომების „ნავები“. სტრაბონის ცნობით, ჰენიოხების ნავებში 25-30 კაცი ეტეოდა და ბერძნები მას „კამარებს“ უწოდებდნენ. ასეთ ნავებზე ამხედრებული ჰენიოხები შიშის ზარს სცემდნენ თურმე იმდროინდელ ზღვაოსნებს და ზღვის სანა-

---

[299] Vitruvius Pollio – De architectura, II, 1, §4, SC, II, 42-43.

[300] ნიორაძე გ., არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში, ენიმკის მოამბე, X, თბ., 1941, გვ. 335, 342. ხოშტარია ნ., დიხა გუძუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლობა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად. მოამბე, V, №2, თბ., 1944, გვ. 210, 214, 216.

[301] Мшвениерадзе Д. Л., Строительное дело в древней Грузии, Тб., 1952, стр. 60-61 и рис.96. სუმბაძე ლ., კოლხური საცხოვრებელი სახლი ვიტრუვის მიხედვით. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, I, №6, თბ., 1945, 491 და შმდ. სურ. 1.

[302] Xenoph., V, 4, §11.

პირო ქალაქებს.[303] ოვიდი ნაზონის მხატვრული თქმით, ჰენიოხები და აქეები უფრო მეტ ვნებას აყენებდნენ ზღვაოსნებსა და პონტოსპირეთის ქალაქებს, ვიდრე სტელას ურჩხულები ან ხარიბდა. მისი თქმით, ისინი, თავისუფლად დაეხეტებიან რა პონტოს მარჯვენა სანაპიროებზე, არც მარცხენა სანაპიროებს ანატრებენ თავიანთ სტუმრობას.[304] ჰენიოხების თარეშებზე უნდა მიგვითითებდეს პლინის ჩვენება – „უდიდესი ქალაქი პიტიუნტი გაძარცვული ჰენიოხების მიერ“.[305] აღმოსავლეთ სანაპიროზე დადასტურებული ნავების ამ სახეობის ელინური სახელწოდება „კამარა“,[306] შემდგომში ტომის სახელწოდებადაც იქცა.

მაშასადამე, ხე-ტყე ძვ. კოლხიდის საბინაო და თავდაცვით მშენებლობაში ძირითადი საშენი მასალა იყო; საერთოდ, მთელს მეურნეობაში მას უაღრესად საპატიო ადგილი ეჭირა და მასზე მოდიოდა საგარეო ვაჭრობის ერთი ნაწილიც.

ჩვენთვის საინტერესო ხანის ანტიკურ ლიტერატურას შემონახული აქვს არაერთი ცნობა, რომელიც პონტოსპირეთის ქართველურ ტომებში ხელოსნობის არსებობაზე მიგვითითებს. ჩვენ არა გვაქვს თითქმის არც ერთი პირდაპირი მოწმობა, რომელიც ხელოსნურ ორგანიზაციებს ეხება, მაგრამ მატერიალური კულტურა და წერილობითი ძეგლები მიგვითითებენ არაერთ ნივთზე, რომლებიც ხელოსნური შრომით უნდა იყოს შექმნილი (წარმოების და საბრძოლო იარაღები, სამკაულები და ა.შ.). მაგრამ აქ ერთი, ჯერ დაუძლეველი, დაბრკოლება გველოდება წინ: სპეციალისტ-არქეოლოგებს სრული უეჭველობით დღემდე ვერ მოუხერხებიათ ადგილობრივი ტომების ნაწარმი უცხოურისაგან გამოაცალკევონ, „ხოლო ამა თუ იმ არქეოლოგიური ფაქტის ქართულად გამოცხადება მარტო იმის გამო, რომ ის აწინდელი საქართველოს მიწის წიაღშია მოპოვებული, ვერაფერი მეცნიერებაა“. უკვე ძვ. წ. V საუკუნისათვის, ჰეროდოტეს ცნობაზე დაყრდნობით, შეიძლება კოლხიდაში საფეიქრო სახელოსნოების (სართავი, საქსოვი) და ფეიქარ ხელოსნების (და მონა-ფეიქრების) არსებობა დავუშვათ. ეს სახელოსნოები ქალაქებში და ტაძრებთანაა თავმოყრილი. ტაძრებში

---

[303] Strab., XI, 2, §12. SC, I, 134.
[304] Dvid. Nas., Epist., IVm 10, SC, II, 100-101.
[305] Plin., VI, §16, SC, II, 179.
[306] კორნელი ტაციტი (ახ. წ. 55-117) თავის „Historiae“-ში (111, 47. SC, II, 249) აღწერს „კამარების“ იმ სახეს, რომელიც I საუკუნეში ყოფილა გავრცელებული. ანიკეტის ფლოტი შემდგარი ყოფილა გემებისაგან, რომლებსაც ბრტყელი ძირი და მაღალი კიდეები ჰქონებია. ძელები ერთმანეთზე ლითონის გარეშე ყოფილა დამაგრებული. ამ გემებს „კამარები“ (Camara) ეწოდებოდათ და დიდი ღელვების დროს მისი გვერდები ფიცრების (tabulis) დამატებით მაღლდებოდა, ისე რომ ბოლოს სახურავივით შეიკვროდა. მათი ნიჩბები გადასაადგილებელი ყოფილა და ამის გამო გემი ნაპირს ორივე მხრით შეიძლებოდა მისდგომოდა. ნ. ბერძენიშვილი, ქართული საბჭოთა არქეოლოგიის ზოგიერთი პრინციპული საკითხი, მიმომხილველი, II, თბ., 1951, გვ. 338.

არსებული სახელოსნოები, ალბათ, მონების შრომის პარალელურად „ხატის ყმათა“ ექსპლუატაციასაც ეწევიან. ტაძრებთან საქსოვი სახელოსნოების არსებობა დადასტურებულია ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში (ეგვიპტე, ...) როგორც ანტიკურ, ისე ელინისტურ ხანაში. სახელოსნოები ტაძრების (ქურუმების) შემოსავლის ერთ-ერთი დიდი წყაროა. არქეოლოგები ძველ მოსახლობათა გათხრის დროს დიდი რაოდენობით ნახულობენ კვირისთავებს.* კვირისთავების შედარებით ვიწრო ადგილებზე (მოსახლობებში) თავმოყრა იქნებ საფეიქრო სახელოსნოების არსებობის მატერიალური დადასტურება იყოს. რა თქმა უნდა, საფეიქრო სახელოსნოები წარმოებაში არ იყო ძირითადი, მაგრამ ისინი არიან სასაქონლო ქსოვილის ძირითადი მწარმოებლები, ხოლო ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი მასა საოჯახო წარმოებით იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნებს, როგორც ეს XIX საუკუნის მთიელებში არის დადასტურებული. ხელოსნობის ზოგიერთი დარგის არსებობაზე უნდა მიგვითითებდეს, ალბათ, ჰეროდოტესთანვე დაცული ცნობა შეიარაღებაზე.[307] მაგრამ ასეთი ცნობების გამოყენება „ფართოდ განვითარებული“ რაიმე წარმოების არსებობის დასასაბუთებლად, ცხადია, არ გამოდგება. თ. მიქელაძე შრომაში „ქსენოფონტის „ანაბასისი“ და მისი „ცნობები ქართველ ტომებზე“, ეხება რა მთის ხალიბების შეიარაღების შესახებ დაცულ ცნობებს, ფიქრობს, რომ მათ (ხალიბებს) უნდა სცოდნოდათ სელის მოშენება, „ფართოდ ყოფილა განვითარებული საფეიქრო წარმოებაც“ და ლითონის „მრეწველობა“.[308] ასეთი ცოდვისაგან არც მ. მაქსიმოვას ზოგიერთი სტატიაა თავისუფალი.[309] წერილობით წყაროებში დაცული ასეთი ცნობები, ცხადია, მიუთითებს ხელოსნობის იმ დარგების შესაძლებელ არსებობაზე (მოცემულ რაიონში), რომლის ნაწარმიც წარმოდგენილია, მაგრამ ისინი არაფერს გვეუბნებინ წარმოების ხასიათის, მისი მოცულობის შესახებ. ჩვენ ვიცით სელის ფართო წარმოებაზე კოლხიდაში საერთოდ, მაგრამ ვიცით არა იმ ცნობებით, რომლებიც მის მოხმარებაზე მიგვითითებენ კოლხურ სინამდვილეში, არამედ იმით, რომ იგი (წარმოება) იმდროინდელ მსოფლიო ბაზარზე ერთ-ერთ ძირითად მიმწოდებლად გამოდის. იოლი დასაშვებია, რომ ე. წ. „მთის ხალიბებს“, რომელთაც ლითონის „მრეწველობა“ ჰქონდათ, სელის საკუთარი წარმოება არ ჰქონოდათ და ქსოვილები და სხვა პროდუქტებიც გაცვლის გზით მიეღოთ. ასეთი

---

* Хоштария Н., Древнее поселение в Даблагоми, Тб., 1941, стр. 200., Куфтин Б. А., Материалы к археологии Колхиды, II, Тб., 1950, стр. 111.

[307] Herod., VII, 78. SC, I, 56-57.

[308] მიქელაძე თ., ქსენოფონტის „ანაბასისი“ და მისი ცნობები ქართული ტომების შესახებ“, თბ., 1953, გვ. 169-1780 (ხელნაბეჭდი)

[309] Максимова М., Местное население …, ВДИ, 1951, №1, стр. 259-260.

მაგალითები პონტოსპირეთის სინამდვილეში დადასტურებული ფაქტებია, როგორც წერილობით (იგივე ქსენოფონტი, აპოლონ როდოსელი, სტრაბონი), ისე მატერიალური კულტურის ძეგლებითა (რაჭის გათხრები) და ეთნოგრაფიული მასალებით. ჩვენ გვაქვს ცნობები რიგ ქართველ ტომებში მეტალურგ-ხელოსნების არსებობაზე. სამხრეთ სანაპიროს შესახებ ძირითადად წერილობითი ცნობებია შენახული (ქსენოფონტი, აპოლონ როდოსელი, ფსევდო-არისტოტელე, სტრაბონი, ...), ხოლო კოლხიდისათვის ძირითადად არქეოლოგიური მასალა (ძველი მაღაროები, ნივთის ჩამოსასხმელი ყალიბები, მადნის სადნობი წარმოების ნაშთები და ა.შ.). საერთოდ, წერილობითი და არქეოლოგიური მასალების მიხედვით ჩანს, რომ პონტოსპირეთის ქართველურ ტომებს მეტ-ნაკლები სიძლიერით გააჩნიათ ხელოსნობის რიგი დარგები: მადნის მომპოვებლობა-გამოდნობა, მჭედლობა, ოქრომჭედლობა, ფეიქრობა, შეიარაღება (მეტყავე-მეიარაღე, მჭედელი-მეიარაღე), დურგლობა, მენავეობა, მექოთნეობა და აგურ-კრამიტის წარმოება, რქის ოსტატობა (ყანწები, იარაღის ტარები და ა.შ.) და ა.შ. ცხადია, ცხოვრება წინ მიდიოდა, დღევანდელი არ ჰგავდა გუშინდელს, ხოლო გუშინდელი – გუშინწინდელს, რის გამო არც ჩვენ გვაქვს უფლება ისინი ერთ ტაფაში მოვათავსოთ, ერთნაირი შინაარსი ჩავდოთ მათში; მაგრამ საამისოდ არქეოლოგიური მასალის მოპოვება და დამუშავება შესაფერისად უნდა დაწინაურდეს, რომ მსჯელობა ხელოსნური დარგების განვითარების შესახებ ქართველურ ტომებში საბუთიერ (სანდო) ნიადაგებზე იყოს დამყარებული. მანამდე კი შეიძლება მხოლოდ მივუთითოთ ხელოსნობის მოცემული დარგის არსებობასა, ან შესაძლო არსებობაზე და ზოგჯერ მის მნიშვნელობაზე კონკრეტული ტომის მეურნეობაში.

ძველი კოლხიდისა და შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროების შესახებ დაცული მასალების შესწავლიდან ირკვევა, რომ ეს ტერიტორიები აქ მოსახლე ხალხებით ძველი დროიდანვე ეკონომიურ და კულტურულ კავშირშია თავის ახლობელ თუ შორეულ მეზობლებთან. იგი უზიარებს მათ და იზიარებს მათგან კულტურის მონაპოვრებს. ეს გაზიარება იმ ხანაში სწორედ ეკონომიური ურთიერთობით დაინტერესების მეშვეობით ხდება შესაძლებელი და ძირითადად მატერიალურ კულტურაში ჩანს შენახული, რასაც ავსებს წერილობითი წყაროების ცნობები. არქეოლოგიური მასალა მოპოვებული ჩრდილო შავიზღვისპირეთის ქალაქების გათხრების შედეგად, ადასტურებს, რომ კოლხიდის სავაჭრო ეკონომიური ურთიერთობა ჩრდილოეთის სანაპიროებთან ძვ. წ. VI საუკუნეში ნივთიერად დადასტურებული გარემოებაა. ნიმფეის ნაქალაქარში ძველი საკურთხევლის გათხრისას ძვ. წ. VI საუკუნის ფენაში სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა ორი ცალი ,,კოლხური თეთ-

რი“ და პითოსების ნამტვრების დიდი რაოდენობა, რომლის ანალოგიები მრავლადაა წარმოდგენილი დაბლაგომის მასალებში. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ჩრდილო შავიზღვისპირეთში პითოსები კოლხიდიდან უნდა იყოს გავრცელებული.[310] როგორც ირკვევა, კოლხიდიდან ჩრდილოეთში გაჰქონდათ ძირითადად გემთმშენებლობისათვის ხე-ტყე; აგრეთვე თაფლი, სელი, კანაფი, ცვილი, ფისი და ა.შ.[311] კოლხიდის ეკონომიური ურთიერთობა ჩრდ. შავიზღვისპირეთთან დასტურდება ჩვენთვის საინტერესო ხანის მთელ სიგრძეზე, მაგრამ იგი განსაკუთრებით უნდა გაძლიერებულიყო ელინისტურ ხანაში. ამ ხანაში ჩრდილოელი ვაჭრები აქ უნდა მოეზიდა აღმოსავლურ საქონელსაც, რომლის დასავლეთისაკენ მოძრაობის ერთ-ერთი არხი სწორედ ფაზისში მთავრდებოდა. ჩრდილოეთის ეკონომიურ ცენტრებთან კავშირზე მიგვითითებენ დაბლაგომის სხვა მასალებიც.[312] 1895 წელს ვანში აღმოჩენილი იქნა კუნძულ სამოსის ოქროს სტატერი, რომელიც ძვ. წ. VI საუკუნეს ეკუთვნის.[313] კოლხიდის სიღრმეში ასე შორეული, ეგეოსის სამყაროსთან დაკავშირებული მონეტის აღმოჩენა ამ ხანის კოლხეთის ეგეოსის სამყაროსთან ეკონომიური ურთიერთობის ნივთიერი დადასტურებაა. მაგრამ არა მარტო მონეტები, არამედ იმდროინდელი წარმოების მრავალრიცხოვანი ნაშთები კოლხიდიდან ცხადად მეტყველებენ ამ კავშირზე. ამ მასალათაგან პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს კერამიკული ნაწარმი და კერძოდ, შავლაქიანი ჭურჭლის სიმრავლე ანტიკური ხანის კოლხიდის მოსახლობებში, როგორც ზღვის სანაპირო ზოლში, ისე ქვეყნის სიღრმეშიც. ელინისტური ხანა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკონომიურსა და კულტურულ ურთიერთობაში სრულებით ახალი საფეხურია და კავშირები სხვადასხვა ქვეყანას შორის ამ ხანებში ძლიერდება. იქმნება სრულიად ახალი სავაჭრო-ეკონომიური ცენტრები, ძლიერდება ძველად არსებული რიგი ქალაქებისა, ხოლო ნაწილი კი ეცემა და გადის საისტორიო სცენიდან. კოლხეთის კავშირი ელინისტურ აღმოსავლეთთან მრავალმხრივაა დადასტურებული როგორც ეკონომიურ, ისე კულტურულ სფეროში. ელინისტური ხანის კოლხეთში შედარებით დიდი რაოდენობით გვხვდება უცხო სახელმწიფოთა მონეტები, ვიდრე წინა ეპოქაში, ხოლო ადგილობრივი მონეტების წარმოება, როგორც ჩანს, ძლიერდება და

---

[310] Скуднова В. М., Находка Колхидских монет и пифосов в Нимфее, ВДИ, 1952, №2, стр. 238-242.

[311] Гаидукевич, დასახ. ნაშრ., გვ. 92

[312] Хоштария Н. В., Древнее поселение Даблагоми, (ხელნაბეჭდი), თბ., 1940, გვ. 214-216.

[313] ხოშტარია ნ., არქეოლოგიური გათხრები სოფ. ვანში 1947 წელს, მიმომხილველი, I, 1949, გვ. 303. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиди, II, 145-146.

ცვლის ძველად მიღებულ ფორმებსა და ლითონს.[314] სწორედ ელინისტურ ხანაში ხდება წინწამოწევა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ერთ-ერთი იმ უდიდესი სავაჭრო გზისა, რომელიც ინდოეთში იწყებოდა და მტკვარ-რიონის გზით ფოთთან შავ ზღვაზე გამოდიოდა. ეს ცნობა, ძვ. წ. III საუკუნის დამდეგის ავტორს პატროკს ეკუთვნის, რომელიც სელევკ I ნიკატორის დროს (312-280 წწ.) ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთის ოლქების სატრაპი იყო და მინდობილი ჰქონდა კასპიის ზღვის შესწავლა. ამ ცნობას, რომელიც არისტობულის მეშვეობით სტრაბონთანაა დაცული,[315] არაერთი მკვლევარი შეხებია (უსლარი, ტარნი, მანანდიანი, რანოვიჩი, ს. ჯანაშია, ივ. ჯავახიშვილი და მრავალი სხვა). ზოგიერთი მათგანი, მათ შორის ი. მანანდიანი, 1930 წელს დაწერილ წიგნში უარყოფს ამ გზის დიდ მნიშვნელობას ელინისტურ ხანაში და საამისო საბუთად შუა აზიაში ამიერ კავკასიური და ამიერ კავკასიაში შუააზიური მონეტების უქონლობა მიაჩნია (ემყარება გურკო-კრიაჟინს – Хр. Вост. 1928 г. Кн. 16-17, ст. 203).[316] მანანდიანის მსჯელობიდან ისე გამოდის, რომ ან ფასიდ-ჰირკანიის გზა უნდა ყოფილიყო ძლიერ დატვირთული, ან ეკბატანა-განძაკის გზა, რომელიც შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროებზე გავიდოდა.[317] მაგრამ წერილობით წყაროებზე დაკვირვებიდან ირკვევა, რომ თვით ელინისტურ ხანაში, მის დასაწყისშივე, შეგნებული იქნა ფასიდ-პონტოს დამაკავშირებელი საწყლოსნო გზის უპირატესობა, წინააღმდეგ მანანდიანის მტკიცებისა, რომელიც თავს ახვევს იმდროინდელ საზოგადოებას საქარავნო გზის უპირატესობის აღიარებას საწყლოსნო გზის წინაშე. ჩვენი მოსაზრების დასადასტურებლად შეიძლებოდა პლინი სეკუნდთან დაცული კლავდი ცეზარის ცნობა მოგვეყვანა, რომლის თანახმადაც ძვ. წ. IV საუკუნის დამლევს თუ III საუკუნის დამდეგს, სელევკ ნიკატორს (312-280 წწ.) გადაუწყვეტია შავი და კასპიის ზღვები არხით დაეკავშირებინა, მაგრამ ნაადრევ სიკვდილს ამ გეგმის განხორციელება არ დაუცლია.[318] ცხადია, ამ ფანტასტიური გეგმის ავტორებს მიახლოებით წარმოდგენილი ექნებოდათ, თუ რა დიდი სახსრები იქნებოდა საჭირო მის განსახორციელებლად, მაგრამ მიღებული სარფა, იმედი იყო, დაფარავდა გაწეულ ხარჯებს (ძველი ხალხების ეს ლამაზი ოცნება სინამდვილედ იქცა XX საუკუნეში ვოლგა-დონის სანაოსნო არხით, მოხდა რა ამ გზით – კასპიისა და

---

[314] კაპანაძე დ. ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950, გვ. 25-32.
[315] Strab., XI, 7, §3. SC, I, 149-150.
[316] Манандян Я., О торговле и городах Армении, 1930, стр. 45-47. Услар П., Древнейшие сказания о Кавказе, ЗКОРГО, XII, Тб., 1881, стр. 419, 424.
[317] იქვე, 45-46.
[318] Plin., VI, 31. SC, II, 182.

შავი ზღვების დაკავშირება). ფასიდ-ჰირკანიის სავაჭრო გზის მნიშვნელობა განსაკუთრებით რომაელთა აქ ბატონობის ხანაში იზრდება, მაგრამ გარდა ამ გზისა, კოლხიდაზე გადაივლიდა ჩრდილოეთიდან მომავალი გზა, რომელიც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებს და სამხრეთ-დასავლეთ ამიერ კავკასიას, ჩრდილო კავკასიასა და სამხრეთ რუსეთს უკავშირდება. ეს გზა, იწყებოდა რა ჩრდილოეთში, სანაპიროებით (ან კარების გზით) შემოდიოდა კოლხიდაში.[319] ფასიდთან შტოვდებოდა – ერთი ხაზი რიონს აღმა შეყვებოდა და იბერიის გზით აღმოსავლეთ ამიერ კავკასიას უკავშირდებოდა, ხოლო მეორე შტო შავი ზღვის სანაპიროებს მიყვებოდა და გონიოსთან კვლავ იტოტებოდა: ერთი შტო აჭარისწყლის ხეობით სამცხე-ჯავახეთში გადადიოდა, მეორე – ჭოროხის ხეობით ართვინზე გაივლიდა და არტანუჯში ჩავიდოდა, ხოლო მესამე ზღვის სანაპიროს გაყვებოდა კვლავ და ამისსონიპის დეფილეთი მცირე აზიის ცენტრალურ რაიონებში შედიოდა. სამხრეთ სანაპიროზე მას კვლავ გამოეყოფა რიგი გზებისა, რომლებიც აღმოსავლეთ პონტოს მთაგრეხილზე გადადიოდა (კარჩხალის გზა, ზიგანის გზა და ა.შ.). ჩრდ. ტავრეთის მთებს შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროები მოწყვეტილი აქვს დანარჩენი აღმოსავლეთიდან, მაგრამ აქ არსებობს რიგი გადასასვლელებისა, რომლებზეც უძველესი დროიდანვე სწარმოებს ადამიანთა მოძრაობა.[320] მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ზინგანის გადასასვლელი (2036 მ სიმაღლეზე), რომელზეც დღეს ტრაპეზუნტ-ბაიბურთის გზატკეცილი გადაივლის. ესაა ერთადერთი კარი, რომელიც ზამთრის პერიოდში იშვიათად იკეტება. იგი XIX საუკუნეში საუკეთესო საქარავნო გზად ითვლებოდა.

ქართველურ ტომებს, ჩვენთვის საინტერესო ხანაში, საგარეო ბაზრისათვის შეეძლოთ მიეწოდებინათ როგორც ხელოსნობისა და სოფლის მეურნეობის ნაწარმი, ისე ბუნებრივი სიმდიდრეების დამუშავებით მიღებული ნედლეული:[321] რკინა-ფოლადი და მათი ნაწარმი (იარაღი – საბრძოლო და სამეურნეო), სპილენძი, ბრინჯაო და მათი ნაწარმი (ჭურჭლეული, იარაღი, სამკაულები), ოქრო-ვერცხლი და მათი ნაწარმი (სამკაულების დიდი ასორტიმენტი), სელი, კანაფი და საფეიქრო ნაწარმი (მრავალგვარი ქსოვილი), ტყავი და ტყავის ნაწარმი; დიდი

---

[319] ჯანაშია ს., ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრ. II, 44-47. Манандян Я., О местонахождение Caspia via u Caspia porta, Ист. Зап. 25, 1948, 59 и след. Цель и направление подготовлявшего Нероном Кавказского похода, Вопр. Ист., 1946, №7. 74 и след. მ. ინაძე, ფლავიუს არიანე და მისი ცნობები ..., 46-49, 113 ...

[320] ლიტერატურა: Осман-бей, Лазистан, ИРГО, X, 8, 1874, 358-359. Деилор, Путешествие в Лазистан и Армению, 44-45. Успенский Ф., Очерки из истории Трапезундской империи, Л., 1929, 90, 118-121. Максимова, О выходе хеттов на южный берег Черного моря, ВДИ, 1948, №4, стр. 32. Матвеев, Турция, М-Л, 1946, 14, 115 и др.

[321] საქართველოს ისტორია, I, 1948, გვ. 44.

რაოდენობით ხე-ტყე (ძირითადად გემთმშენებლობისათვის, ხოლო ძვირფასი ჯიშები – ავეჯისა და იარაღისათვის), თაფლი, თევზი, ცვილი, ფისი, სურინჯი, მონები და ა.შ. რა თქმა უნდა, საგარეო ბაზარი ცალკეულ სახეს მეტ-ნაკლები ოდენობით ითვისებდა, ხოლო ვაჭრობის მასშტაბი სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირი იყო. ელინისტურ ხანაში, მაგალითად, იგი უფრო ფართო და დიდი რადიუსის მქონებელი ხდება, ვიდრე მის წინა ხანაში იყო. ერთ-ერთ ძირითად საშუამავლო როლს ადგილობრივი ტომების საგარეო ვაჭრობაში პონტოს-პირეთის ბერძნული სავაჭრო ქალაქები ასრულებენ, რომლებიც ძვ. წ. VIII-VII საუკუნიდან იხსენიებიან წერილობით წყაროებში. პ. უსლარმა, დააკვირდა რა ანტიკურ ლიტერატურას, შენიშნა, რომ ძველმა ავტორებმა არ იცოდნენ, თუ როდის და ვის მიერ იყო დაარსებული სავაჭრო კოლონიები. აქედან მან გააკეთა ლოგიკური დასკვნა, რომ შავი ზღვის სანაპიროზე არსებული სავაჭრო ქალაქები საფუძველ-ჩაყრილი ბერძნების მიერ კი არაა, არამედ მათ აქ მოსვლამდე ამ ადგილებში არსებობდა ქალაქები (მოსახლობანი), სადაც ბერძნები პირველ ხანებში დროდადრო მოდიოდნენ, შემდეგ სახლდებიან აქ და იპოვებენ რა საკმაო სიძლიერეს, ბატონდებიან, ხოლო ქალაქები თანდათან კარგავენ ადგილობრივ ხასიათსა და თვისებებს.[322] მილეთელები, მისი აზრით, კოლხების მემკვიდრეები არიან ვაჭრობაში.[*] ეს მოსაზრება, ვფიქრობ, პრინციპულად გასაზიარებელია, რაზედაც ზოგიერთი არქეოლოგიური მასალაც უნდა მიგვითითებდეს, რომელიც ზღვის სანაპიროებზე ბერძნული ქალაქების ტერიტორიებზე ან მათ მახლობლად უფრო ადრინდელი მოსახლეობის არსებობაზე მიგვითითებენ. ცხადია, ზღვისპირა ქალაქების არქეოლოგიური გათხრების გარეშე მათ როლსა და ისტორიაზე გაბედულად მსჯელობა ძნელია; საბედნიეროდ, ასეთი მუშაობა უკვე დაიწყო[323] და ახლო მომავალში კოლხეთის სანაპიროს ქალაქების შესწავლისათვის მეცნიერება ახალი, ძვირფასი მასალებით გამდიდრდება. ჩვენთვის საინტერესო ხანაში, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე ყველაზე მნიშვნელოვან სავაჭრო ქალაქებად ფაზისი (დღევანდელი ფოთის ადგილას) და დიოსკურია (დღევანდელი სოხუმის ადგილას) გვევლინებიან. ანტიკურ ლიტერატურაში ისინი დიდი სახელგანთქმულობით სარგებლობენ. სტრაბონი ფასიდს „კოლხთა სავაჭრო ქალაქს“ (... Ἐμπόριον τῶν Κόλχων...)

---

[322] Услар Н., დასახ. ნაშრ. გვ. 434, 440-441. უსლარი ფიქრობს, რომ შავი ზღვის სანაპიროებზე კოლონიების გაშენების პირველობის პალმა ბერძნებს კი არ ეკუთვნით, არამედ სხვა ხალხებს, კერძოდ ფინიკიელებსო.

[*] იქვე, გვ. 416-417.

[323] აფაქიძე ა., ბიჭვინთა, 1952 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები – თეზისები, თბ., 1953, გვ. 16.

უწოდებს.[324] აქედან გადიოდა, ალბათ, კოლხეთის მეურნეობის ნაწარმის ძირითადი ნაწილი: ხე-ტყე, საფეიქრო ნაწარმი, თაფლი, ცვილი და ა.შ. დიოსკურია კი, სტრაბონის ცნობით, მის ზემოთ და მის ირგვლივ მცხოვრები ტომების თავშესაყარი პუნქტია. „ამბობენო, – გადმოგვცემს სტრაბონი, – რომ აქ 60 ტომის წარმომადგენელი იყრის თავს“,[325] ხოლო პლინი იმეორებს სტრაბონის მიერ უკუგდებულ ტიმოსთენეს აზრს, რომლის ცნობით აქ 300 ტომის წარმომადგენლის თავმოყრა ხდებოდა თურმე და რომაელები თავიანთ საქმეებს 130 თარჯიმნის მეშვეობით აწარმოებდნენ.[326] ასევე დიდი მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო დიასკურიადის ჩრდილოეთით მდებარე „მდიდარი პიტიუნტი“ (დღევანდელი ბიჭვინთის ადგილას), რომელიც, პლინის ცნობით, ადგილობრივი ტომების მიერ ყოფილა გაძარცვული.[327] სამხრეთ სანაპიროზე თავისი მნიშვნელობით ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სინოპი (ძვ. წ. VIII ს), მისი კოლონია ტრაპეზუნტი და ამისი. ცხადია, ჩვენ აღვნიშნავთ მთავარ სავაჭრო ქალაქებს. მათი რიცხვი გაცილებით დიდია, რომელთა ნაწილის მხოლოდ სახელებია დღეისათვის ცნობილი და მათი ადგილმდებარეობის გარკვევაში გადამწყვეტ სიტყვას ისევ არქეოლოგია თუ იტყვის. სინოპი, ამისი და ტრეპეზუნტი ის არხები იყო, საიდანაც სამხრეთ მეტალურგიული ბაზის ნაწარმი გადიოდა, რის გამოც ხალიბურ რკინასა და ფოლადს ანტიკურ ლიტერატურაში სინოპურისა და ამისურის სახელიც შეერქვა. აქედანვე გადიოდა აგრეთვე მონებიც, რომელთა არსებობაზე გვაქვს არაერთი წერილობითი ცნობა როგორც მოგვიანო ხანის, ისე ძვ. წ. VI-V საუკუნისათვის.[328]

სხვადასხვანაირი იყო პონტოსპირეთის ქართველურ ტომთა ურთიერთობა ბერძნულ სავაჭრო ქალაქებთან. „ანაბასისის“ ცნობებიდან ირკვევა, რომ ადგილობრივი ტომების ერთი ნაწილი მეგობრულადაა განწყობილი ბერძნულ ქალაქებთან, მეორე ნაწილი კი – მტრულად. ასევე, ანტიკურ ლიტერატურაში იქა-აქ გაპარულა ცნობა ადგილობრივი ტომების ქალაქებთან დამოკიდებულების შესახებ (პლინის ცნობა ჰენიოხებზე[329] და ა.შ.). ერთი დასკვნა ამ ურთიერთობის შესახებ, რომელიც ყველა დროისათვის შეიძლება გამოდგეს, ცხადია, არ შეიძლება არსებობდეს. კოლხეთის სამეფოს არსებობის პერიოდში, მაგალითად,

---

[324] Strab., XI, 2, §17. SC, I, 136-137.
[325] იქვე, XI, 2, §16. SC, I, 136.
[326] Plin., VI, §15, SC, II, 179.
[327] იქვე, §16. გვ. 179.
[328] Xenoph., IV, 8, §4. Граков, Материалы по истории Скифии в греческих надписах, ВДИ, 1939, №3, стр. 290-305 и след. Максимова М., Местное население..., ВДИ, 1951, №1, стр. 262
[329] Plin., VI, 15. SC, II, 179.

ურთიერთობის რეგულირებაში ძირითადი როლი სამეფო ხელისუფ-ლებას ეკუთვნის, ხოლო სამეფოს დაცემის შემდეგ – ტომებს თუ ტომთა გაერთიანებების წინამძღოლებს. საერთოდ, ძველი ბერძნული ქალაქი შემოზღუდული არ არის მისი კედლებით და არც ახლომახლო ტერიტორიებით. ზოგჯერ მისი საზღვრები შორს ვრცელდება და ახერხებს მთელი რიგი ქალაქების თავისი ჰეგემონობის ქვეშ გაერ-თიანებას. ასე წარმოიქმნა ჩრდილო შავიზღვისპირეთში ბოსფორის სამეფო. შავი ზღვის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ასეთი მსხვილი პოლიტიკური გაერთიანება, რომლის ბირთვი ბერძნუ-ლი ქალაქი ყოფილიყო, არა გვაქვს, მაგრამ აქაური და ამდროინდელი ქალაქების მეურნეობა არ შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ ვაჭრობასა და ხელოსნობას. მას უცილობლად კავშირი აქვს სოფლის მეურნეო-ბასთან. თუ ისეთ ძლიერ სავაჭრო ცენტრში, როგორიც იყო ბიზან-ტიონი, სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო,[330] ცხა-დია, მიწათმოქმედებისა და მეურნეობის რიგ სხვა დარგებს სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთს სანაპიროზე განლაგებული ბერძნული სა-ვაჭრო ქალაქებისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ამაზე პირდაპირი ცნობების სიმცირისას იქნებ განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყოს სტრაბონის ცნობა ფარნაკიის შესახებ, რომელიც, მისი აზრით, კეთილდღეობის წყაროებს ხმელეთზე მადნეულის დამუ-შავებით იპოვებს, ხოლო ზღვიდან – თევზჭერით.[331] იქნებ აქეთკენვე უნდა გვითითებდეს ქსენოფონტის ცნობა ტრაპეზუნტელების შესახებ, რომლებმაც ბერძნებს ბაზარი გაუხსნეს და საჩუქრად ხარები, პური და ღვინო გაუგზავნეს.[332] ეს ცნობა ტრაპეზუნტელების სოფლის მეურ-ნეობასთან კავშირზე უნდა მიგვითითებდეს. ცხადია, ბერძნებს მიწა ბალკანეთიდან ან მცირე აზიიდან არ მოტანიათ, ის მათ ადგილობრივ კოლხებს წაართვეს და წაართვეს, ალბათ, ძალით. „Отношение к земле, как собственности, всегда опосредствовано захватом (мирным или насильственным) земель племенем, общиной, имеющей более или менее естественно сложившуюся или уже исторически развитую форму“.[333]

ასე სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე მდებარე ბერძნული ქალაქები, იმავ დროს, მიწათმფლობელებიც არიან. მათი ექსპანსია სხვადასხვა დროს და პირობებში სხვადასხვანაირია. ადგი-ლობრივი ტომების რეაგირება ამაზე ამის მიხედვით სხვადასხვაგვა-

---

[330] Невская В. П. Византия в классическую и эллинистическую эпохи, М., 1953, стр. 37-42.
[331] Strab., XII, 3, §19. SC, I, 158.
[332] Xenoph., IV, 8, §23, 24.
[333] Маркс К., Формы предшествующие капиталистическому производству, ВДИ, 1940, №1, стр. 15

რია. ზღვისპირა ქალაქების შემსწავლელთათვის ამ საკითხის გადასაჭრელად საჭირო მასალების მოპოვება, ალბათ, ერთი მნიშვნელოვანი ამოცანათაგანია.

ჩვენ გავაკეთეთ მოკლე მიმოხილვა საგარეო ვაჭრობისა, მაგრამ ტომების მეურნეობაში გადამწყვეტი როლი საშინაო ბაზარს ეკუთვნოდა. პირობები ბაზრის არსებობისათვის პონტოსპირეთის ქართველურ ტომებში ჩვენთვის საინტერესო ხანამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა, მაგრამ არის საბუთები, და საკმაოდ შეურყეველიც, რომლებიც მიგვითითებენ, რომ ეს ურთიერთობანი ჩვენთვის საინტერესო ხანაში განსაკუთრებით ინტენსიური ხდება: ამ ხანის კოლხიდაში, ძვ. წ. VI საუკუნისათვის, მიმოქცევაში უცხოური ფულის ნიშნების გვერდით ადგილობრივი გამოშვების მონეტებიც არსებობენ. ეს საშინაო ბაზრის მოთხოვნილებით გაჩენილი ფულის ნიშნებია, რომლებიც ძირითადად ძველი კოლხიდის ტერიტორიაზეა გავრცელებული[334] და მეცნიერებაში „კოლხური თეთრის“ სახელითაა ცნობილი. წყაროებში პირველი მონეტის გაჩენის თარიღად ძვ. წ. VII საუკუნეა მითითებული. მის სამშობლოდ ეგეოსის სამყაროა (ლიდია ან კ. ეგინა) აღიარებული.[335] ძვ. წ. VI საუკუნეში კოლხიდას უკვე გააჩნია საკუთარი გამოშვების მონეტა, რომლის ზოგიერთ ცალს უკვე მოუსწრია ყირიმში (ნიმფეა), ძველბერძნული ქალაქის VI საუკუნის ფენაში მოხვედრილიყო, კოლხური წარმოშობის სხვა ნივთებთან ერთად.[336] როგორი იყო ის საფუძველი, წინაპირობები, რომლებმაც ძველ კოლხიდაში ფულის ნიშნების (მონეტების) გაჩენა შეაპირობა? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კოლხიდისა და სანაპირო ტომების მეურნეობა ამ ხანისათვის საკმაოდ დაწინაურებულის სურათს იძლევა. ცალკეული ტომი ხშირად მეურნეობის რაიმე დარგში ავლენს თავის შესაძლებლობებს, რაც მას საშუალებას აძლევს თავისი ნაწარმიდან გამოყოს ნაჭარბი, რომელიც შეიძლება საქონლად მოგვევლინოს. ასეთ ტომებად წერილობითი წყაროების ჩვენებით ხალიბები და მოსინიკები ყოფილან, ხოლო არქეოლოგიური მასალების მიხედვით მდ. რიონის სათავეებში მოსახლე ტომი თუ ტომები (იხ. ქსენოფონტი, ფს. არისტოტელე, ა. როდოსელი, სტრაბონი; გ. გობეჯიშვილი ...). სამაგიეროდ, ბარში მოსახლე ტომები სოფლის მეურნეობის ნაწარმით იყვნენ მდიდარი. მთა ნანადირევითა და მესაქონლეობის პროდუქტებით იყო უხვად უზრუნველყოფილი, ხოლო ბარი – მეთევზეობით, მარილის საწარმოებით, საფეიქრო ნაწარმით და ა.შ. მითითებული გარემოებანი ქმნიდა საკმაო საფუძველს განვი-

---

[334] საქართველოს ისტორია, I, 1947, გვ. 56.
[335] კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950, გვ. 12-13.
[336] Скуднова, დასახ. ნაშრ., გვ. 238-242.

თარებული საშინაო ბაზრის არსებობისათვის. ამ ბაზრის მომსახურებისათვის ჩნდება ფულის ის ნიშნები, რომელთა შესახებ ზემოთ მივუთითებდით. ბაზრობები უფრო ხშირად, ალბათ, წარმართულ დღესასწაულებზე და სალოცავებთან იმართებოდა. ბაზრობათა არსებობაზე მიუთითებს ჰიპოკრატეს ცნობა. იგი გადმოგვცემს, რომ კოლხები მხოლოდ ბაზრობებზე დადიოდნენ ფეხით, სხვა დროს ნავებით დასეირნობენო.[337] ჰიპოკრატეს ცნობიდან ირკვევა, რომ ქალაქებში ბაზრობები არ ან თითქმის არ იმართებოდა. იგი გადმოგვცემს, ფეხით მხოლოდ ქალაქში და ბაზრობებზე დადიოდნენო.[338] ცნობაში თითქოს გამორიცხულია შესაძლებლობა ქალაქში ბაზრობის გამართვისა. მართალია, ამდროინდელი ქალაქები უკვე სავაჭრო და სახელოსნო პუნქტებია, სადაც წარმოებს აღებ-მიცემა, მაგრამ ჰიპოკრატის ამ ცნობაში, ალბათ, მასიურ ბაზრობაზეა ლაპარაკი, რომლებიც დროდადრო იმართებოდა კოლხიდის სხვადასხვა ნაწილში. ასეთი ბაზრობის ქალაქის ტერიტორიაზე გამართვა, იმდროინდელი ქალაქის ტერიტორიული სიმცირის გამო, შეუძლებელი იქნებოდა. მეორე მხრივ, იგი საშიში იყო ქალაქის თავდაცვის თვალსაზრისით და ამიტომ, ჩვეულებრივ, ქალაქებთან ახლოს იმართებოდა, მის კედლებს გარეთ.

წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის ჩვენებით ირკვევა, რომ აღებულ პერიოდში, კოლხიდაში და სამხრეთ სანაპიროებზე უკვე არსებობენ ქალაქები, რომლებიც ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. თუმცა ჰეკატე მილეთელთან მოხსენებულია ხალიბების ქალაქი სტამენა (ფრ. 196) და მოსინიკების ქალაქი ხოირადა (ფრ. 193),[339] ხოლო თქმულებაში არგონავტებზე იხსენიება კოლხური ქალაქი *ეა*, მაგრამ პირველი კონკრეტული და უეჭველი მითითება შავი ზღვის სანაპიროს ტომების ქალაქებზე „ანაბასისშია“ დაცული. ქსენოფონტი შკვითინების მიწაზე ასახელებს „დიდ: მდიდარ და დასახლებულ“ ქალაქად გიმნიადას.[340] „ანაბასისის“ ტექსტზე დაკვირვებიდან ირკვევა, რომ იგი ასეთ შეფასებას განურჩევლად არ ხმარობს. მაგ. ტრაპეზუნტზე ნათქვამი აქვს „დასახლებული“ (οἰκουμένην), ხოლო კერასუნტი და კოტიორა უეპითეტოდ არიან მოხსენებული. ეს გარემოება უნდა მიგვითითებდეს, რომ მას გიმნიადა დიდ ქალაქად აქვს წარმოდგენილი. ასეთი ქალაქების არსებობა დაწინაურებული სოციალ-ეკონომიური ცხოვრების მანიშნებელია.

---

[337] Hippocr., 22, SC, I, 58.

[338] ...ὀλίγη τε χρέονται τῇ βασίδι κατὰ τήν πόλην καί τό ἐμπόριον, ἀλλά μονοξύλοισι διαπλέουσι ἄνω καί κάτω διώριχες γάρ πολλαί εἰσι...

[339] SC, I, 3.

[340]... ἐντεῦθεν διῆπλον σταθμούς τέτταρας παραςάγγας εἴκοσι πρός πόλιν μαγάλην καί εὐδαίμονα καί οἰκουμένην ἥ ἐκαλεῖτο Γυμνιάς ... IV, 7, §19. SC, I, 73.

ისინი აქტიურად მონაწილეობენ სავაჭრო-ეკონომიურ ცხოვრებაშიც. ქალაქური ტიპის მოსახლობათა ნაშთები დადასტურებულია ვანში, დაბლაგომში, კლდეეთში და სხვაგან.

მდ. რიონის სათავეების არქეოლოგიური შესწავლა ცხადყოფს, რომ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა, ჩვენთვის საინტერესო ხანაში, მთაშიც უნდა ყოფილიყო შეჭრილი; ეს გარემოება იმდენად მთის სოციალური განვითარებით არაა გამოწვეული, რამდენადაც ბართან ეკონომიური ურთიერთობის მოწესრიგების საჭიროებით, ბარის გავლენით.

საშინაო ბაზრის არსებობა შეპირობებული უნდა ყოფილიყო ტომებს შორის სამიმოსვლო გზების არსებობითაც; მიმოსვლისათვის, უნდა ვიფიქროთ, გამოიყენებოდა როგორც მდინარეები და ზღვა, ისე სახმელეთო გზები. გზების წესრიგში ქონებაზე იმდროინდელ კოლხიდაში, ჩანს, ზრუნავდნენ. სტრაბონის ცნობაზე დაკვირვებიდან ირკვევა, რომ გზები განსაკუთრებული ზრუნვის საგანი ყოფილა.[341] სტრაბონის (და პლინის) ცნობა კოლხიდაზე გამავალ საერთაშორისო გზის აღწერას წარმოადგენს, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის მათში ძველ კოლხებში გზების წესრიგში ქონებისადმი ზრუნვა დავინახოთ, გზების არსებობაზე გვაქვს ქსენოფონტის ცნობაც,[342] რომელიც უკვე სამხრეთ სანაპიროებს შეეხება და უფრო ადრინდელ მდგომარეობას გვაცნობს.

ამგვარად, ძვ. წ. VI-I საუკუნეებში შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ტომების ეკონომიური განვითარების დონე დაწინაურებულობის ნიშნების მატარებელია. გეოგრაფიული პირობების მრავალგვარობა მეურნეობის დარგთა მრავალსახეობას იძლევა მიკრორაიონების მიხედვით (მთის, მთის ძირის და ბარის მეურნეობა). უკვე აშკარადაა გამოსახული სასაქონლო მეურნეობა, რომელიც აქტიურად მონაწილეობს იმდროინდელ საერთაშორისო ვაჭრობაში, ხოლო შინაური გაცვლითი ურთიერთობისათვის მონეტის გამოჩენა რაიონებს შორის შრომის დანაწილების უცილობელი დადასტურებაა და განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია.

* * *

პონტოსპირეთის ქართველური ტომების სოციალური განვითარების დონე ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ერთნაირი არ არის არც ჰორიზონტალურ (გეოგრაფიულ), და მით უფრო, არც ვერტიკალურ (ქრონოლოგიურ) ჭრილში.

ქართველური ტომების ჩვენთვის საინტერესო ჯგუფის სოციალური მდგომარეობის გასათვალისწინებლად ანტიკური ლიტერატურა არ

---

[341] Strab., XI, 3, §4. SC, I, 139. Plin., VI, §13. SC, II, 178.
[342] Xenoph., V, 1, §13-14.

იძლევა რამდენადმე ხელჩასაკიდ ცნობებს, და ეს ითქმის არა მარტო შავიზღვისპირეთის, არამედ საერთოდ ყველა ქართველურ ტომზე. სტრაბონი აღწერს იბერიის სოციალურ სურათს, მაგრამ არაფერს ამბობს კოლხეთის ბარში სოციალური მდგომარეობის ამსახველ სურათზე. სამაგიეროდ, მისი ცნობები სვანების შესახებ საშუალებას იძლევა იმდროინდელი მთის სოციალური განვითარების დონე გავითვალისწინოთ და ეს სურათი სხვა ტომებზეც გავავრცელოთ. სამხრეთ სანაპიროს მთიანეთზე კი ქსენოფონტის „ანაბასისში" დაცული ცნობებია გადარჩენილი, ხოლო ბარის სოციალურ განვითარებაზე აქაც გუმანითა და პარალელების მეშვეობით გვიხდება მსჯელობა.

წერილობითი წყაროების სიმცირის პირობებში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს დამხმარე დისციპლინების – არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ნუმიზმატიკის მონაპოვრები, მაგრამ აქაც, სამხრეთ სანაპიროების შესახებ, ჩვენ განკარგულებაში მეტად მცირე მასალაა წარმოდგენილი.

წერილობით წყაროებში შენახული ცნობებიდან ირკვევა, რომ სამხრეთ სანაპიროს მთიანეთში მოსახლე ქართველური ტომები ძვ. წ. VI-I საუკუნეებში გვაროვნული წყობის ჩარჩოებიდან ჯერ არ გამოსულან, მაგრამ უკვე კლასობრივი საზოგადოების ზღურბლთან იმყოფებიან. ცხადია, შექმნილი პირობები მეტად ანელებს მათ განვითარებას. II საუკუნის 30-იანი წლების მდგომარეობით, ტრაპეზუნტის მიდამოებში მოსახლე ჭანები (სანები), არიანეს ცნობით, უმეფონი ყოფილან (ἔθνος ἀβασίλευτον).[343] დაახლოებით იგივე სურათი უნდა იყოს მოცემული VI საუკუნის ავტორის პროკოპი კესარიელის აღწერილობებში.[344] თუ ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნეში ჭანები განვითარების გვაროვნულ საფეხურზე არიან, ცხადია, წინარე ეპოქაში ისინი ცხოვრების ამავე წესით განაგრძობდნენ არსებობას. ჩვენ უფლება გვაქვს ეს ვითარება დანარჩენ, თითქმის ასეთსავე პირობებში, აქ მცხოვრებ სხვა ტომებზეც გავავრცელოთ, მით უფრო, რომ ამაზე უნდა მიუთითებდეს ქსენოფონტის „ანაბასისში" დაცული ცნობები. „ანაბასისში" აღწერილი პონტოსპირეთის ტომების ერთი ნაწილი გვაროვნული წყობის საფეხურზეა, მეორენი კი კლასობრივი ცხოვრების წესს იცნობენ (ტიბარენები, ბარის კოლხები), ხოლო ზოგიც გარდამავალ სტადიაზე იმყოფება. უკანასკნელთაგან ყველაზე მეტი ცნობები „ანაბასისში" მოსინიკებზეა დაცული. მოსინიკების საზოგადოება კლასობრიობის სწორედ კარებთან იმყოფება, მაგრამ ქონებრივი უთანასწორობა მათში საერთო მოვლენა არ გამხდარა, რის გამოც კლასობრივი ბატონობის

[343] PPE., §15, SC, I, 222.
[344] BP, I, 15; De αedificiis, III, 6.

ინსტიტუტს აქ თავისებური სახე მიუღია. ცდება თ. მიქელაძე, როდესაც ფიქრობს, რომ მოსინიკები ერთგვარი მონათმფლობელები უნდა ყოფილიყვნენ და ხალიბების სახით ჩვენ მონებთან უნდა გვქონდეს საქმეო.[345] მართალია, მოსინიკებს დაუმორჩილებიათ მემთამადნე ხალიბები, მაგრამ მათი ურთიერთობა არ შეიძლება მონისა და მონათმფლობელის ურთიერთობას გავუიგივეოთ: მონა, ცნობილია, არ სარგებლობს ოჯახის ყოლის უფლებით და ამდენად, არ ახდენს ახალი მოდგმის რეპროდუქციას. აქედან გაუგებარია მათი ხანგრძლივი არსებობა ჰეკატე მილეთელის ხანიდან (ძვ. წ. VI ს.), ვიდრე გვიან შუა საუკუნეებამდე (იხ. მიხაილ პანარეტი). თ. მიქელაძე გრძნობს ამ გარემოებას და თავისი დასკვნის გადარჩენას ხალიბების შემადგენლობაში სხვა ტომების წარმომადგენელთა შეყვანით ცდილობს,[346] მაგრამ მას ავიწყდება, იმავ დროს აქ სახელმწიფოს არსებობაც დაუშვას. მოსინიკებისა და ხალიბების ურთიერთობის ხასიათი ახსნას პოულობს ხევსურული ჯვარისყმობის ინსტიტუტში და რიგ სხვა ფაქტებში კავკასიის მთიელთა ეთნოგრაფიული ყოფიდან. ვ. ბარდაველიძე, ეხება რა ხევსურთა ჯვარისყმობის ინსტიტუტს, აღნიშნავს, რომ ხევსურების სამი სახის ლაშქრობიდან ერთ-ერთი ეწყობოდა ... მუდმივი საშემოსავლო ბაზის შექმნის მიზნით. ამ ბაზას შეადგენდა ყოვლწლიური გადასახადი, რომელსაც დამპყრობელი თემი დამორჩილებულ თემს აკისრებდა. ასეთ შემთხვევაში დაპყრობილ მიწებს დამპყრობელი თავის ადგილმამულს უერთებდა და ამგვარად, საკუთარი თემის ტერიტორიას საგრძნობლად აფართოებდა. ამავე დროს დაპყრობილი ხალხი დამპყრობელი თემის მოსახლეობის რიცხვში შეჰყავთ, რის შემდგომ დამორჩილებული თემი მთლიანად გამარჯვებული ჯვარის საყმო-საგლეხოდ ცხადდებოდა.

საყმო-საგლეხო თავის შიგნით თვითმართველობას ინარჩუნებდა და მისი თემური ცხოვრების მთელი წყობა გარეგნულად ხელუხლებელი მოჩანდა, მაგრამ ეკონომიურად იგი ნახევრად კაბალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა...[347] ასეთი ურთიერთობა შეიძლებოდა წარმოქმნილიყო არა მარტო ძალმომრეობის გზით, არამედ „ნებაყოფილებითაც“, როდესაც სუსტი თემი იძულებულია შევიდეს ძლიერის მფარველობაში და იკისროს გარკვეული ვალდებულებანი. დაახლოებით ამ სახით გვაქვს ჩვენ წარმოდგენილი მოსინიკებისა და ხალიბების ურთიერთობა. მემთამადნე ხალიბები მოსინიკებისათვის სანუკვარი მოხარკენი უნდა

---

[345] მიქელაძე თ., ქსენოფონტის „ანაბასისი“ და მისი ცნობები ქართული ტომების შესახებ, თბ., 1953, 289-290 (ხელნაბეჭდი).
[346] იქვე, 290.
[347] ბარდაველიძე ვ., ხევსურული თემი, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XIII, 8, 1952, 500-501.

ყოფილიყვნენ. სხვა თემებისა თუ ტომების დამორჩილებისათვის ბრძოლის კვალზე „ანაბასისში“ მრავალგანაა მითითება (მოსინიკებში, შკვითინებში ...).

ამგვარად, სამხრეთ სანაპიროს მთიანეთის ქართველური ტომები ჩვენთვის საინტერესო ხანაში გვაროვნული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებიან. დროდადრო მათი კლასობრივ საზოგადოებათა პოლიტიკური წარმონაქმნების შემადგენლობაში ჩართვა (აქემენიდური ირანი, პონტოს სამეფო, კოლხეთის სამეფო) მდგომარეობას არ ცვლის. მათი სოციალური აღნაგობა ბუნებრივ-ისტორიული პირობების გადაწვნის წყალობით ძლიერ ნელა იცვლება და თემურობის რიგი ნიშნები მათ გვიანობამდე მოაქვთ.

სამხრეთ სანაპიროს მთიელების ცხოვრების წესისაგან დიდად როდი განსხვავდება ძველი კოლხიდის ჩრდ. მთიანეთის (კავკასიონის) ტომების ცხოვრების წესი. ჩვენთვის საინტერესო ხანაში მათი მდგომარეობის გასათვალისწინებლად სანდო ცნობებს იძლევა სტრაბონის „გეოგრაფია“. „...მათ (სვანებს – დ.ხ.) ყავთ მეფე (Βασιλέα) და 300 კაცისაგან შემდგარი საბჭო (συνέδριον). ხოლო ჯარს, როგორც ამბობენ, 200 000-იანს აგროვებენ, რამდენადაც ყველა მცხოვრები მეომრობით გამოირჩევა, მწყობრს გარეშეც“.[348] იხილავს რა სტრაბონის ამ ცნობას, ს. ჯანაშია შენიშნავს, რომ „ეს ცნობები ეკუთვნიან ხანას ***არა უგვიანეს I საუკუნის პირველი ნახევრისა*** ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდე, და შესაძლოა საუკუნე-საუკუნენახევრით უფრო ადრინდელიც იყვნენო“.[349] როგორც არ უნდა იყოს სტრაბონის თუ სტრაბონთან დაცული ამ ცნობის ხნოვანება, ს. ჯანაშიას სამართლიანი შენიშვნით, იგი ***„უეჭველად მოქმედ გვაროვნულ საზოგადოებას ახასიათებს:*** ტომს მოეპოვება ის ორგანო, რომლითაც ხალხი თავის სუვერენულ უფლებებს ახორციელებს, სატომო საბჭო; მისი 300 წევრი – ეს ცალკე გვართა წარმომადგენლებია, მამასახლისები თუ სხვა დელეგატებიც; ჯარს თვით ხალხი შეადგენს...“[350] სვანეთის ასეთი ინსტიტუტების მოხსენიება სტრაბონთან არ არის მოულოდნელი რამ და გვიანი მდგომარეობის შესწავლა ცხადყოფს, რომ თემურობის ბევრი გადმონაშთი სვანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში თითქმის ჩვენ დრომდეც შემორჩენილა.[351] საინტერესოა ამ მხრივ სვანური დიდი ოჯახი. „***სვანუ-***

---

[348] Strab., XI, 2, §19. SC, I, 138.

[349] ჯანაშია ს. ნ. , გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში, შრ. II, 119.

[350] იქვე, 118.

[351] წყაროები და ლიტერატურა: სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, თბ., 1941; Харадзе Р., Структура семейной общины в Картли, Вопросы этнографии Кавказа, Тб., 1952, 253…; მისივე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1940, ს. ჯანაშიას მითითებული შრომები და სხვა.

რი ქორი წარმოადგენდა პატრიარქალური ოჯახის თავდაპირველ სახეს, სადაც უფროსად უხუცესი მამაკაცი, ქორა – მახვში, ითვლებოდა და რომლის უფლებები ძირითად საკითხებში ოჯახის დანარჩენი წევრების სურვილით განისაზღვრებოდა.[352] ... სვანური ქორის შესწავლა სავსებით ადასტურებს სვანეთში გვაროვნული წყობილების დროს გაჩენილი დიდი ოჯახის გადმონაშთების არსებობის ფაქტს, რაც თავისთავად ინდივიდუალური ოჯახის უწინარეს საფეხურს ააშკარავებს".[353] კიდევ ბევრი რამ შემოინახა სვანურმა სინამდვილემ თემურობიდან: შრომის განაწილება ოჯახში, ქორწინება-შეუღლების წესი, თემური ყრილობები, სისხლის აღება და ა.შ.[354] სტრაბონის ცნობით, სვანები მბრძანებლობენ მეზობელ ხალხებზე. სვანების ბატონობის ფორმა მეზობლებზე (ტომები, თემები) ისეთივე უნდა ყოფილიყო დაახლოებით, როგორიც ხევსურების თემებისათვის (ზემოთ აღვნიშნეთ), და ასეთი ურთიერთობანი სვანეთს XIX საუკუნემდე უნდა ჰქონოდა შემონახული.[355] სტრაბონთან დადასტურებულ სვანების მეფეში ს. ჯანაშიამ სამართლიანად „მახვში" დაინახა.[356] ხევის მამასახლისის ევოლუციისათვის ჩვენ დაცული გვაქვს საშუალო საუკუნეების (XIV ს.) მასალებიც, რომლითაც ხევის მამასახლისი ხევის მამად – მამობილად ითვლება, ხოლო ხევი მის შვილობილად („შენითა ნებითა მთავარმოწამე სეტისა და ერთობული ხევი გვიშველე").[*] „ერთობული ხევი" თავისი მახვშით 1869 წლამდე არსებობდა, სანამ მახვშის ხელისუფლება გარეშე ჩარევით არ იქნა გაუქმებული.

ახალი წელთაღრიცხვის მიჯნამდე თემურობის სტადიაზე ჩანს ჰენიოხთა მოდგმა. სტრაბონის ცნობით, ჰენიოხები ტყვედგდებულ ადამიანებს მონებად კი არ აქცევდნენ, არამედ, თუ პატრონი გამოსყიდვას ისურვებდა – ისინი ცნობას აძლევდნენო.[357] ე.ი. ჰენიოხებში, ჩანს, არ არსებობს ისეთი მეურნეობა, სადაც მონის შრომა რენტაბელური იქნებოდა. ეს მეურნეობა, როგორც ჰენიოხების მოსაქმეობაზე დაკვირვებიდან ჩანს, მეტად ღარიბია და სუსტად განვითარებული. ეს, ძირითადად, ჩანს, დასამუშავებლად გამოსადეგი მიწის ფართობის სიმცირითა და სიმწირით აიხსნება. აქ იაფი მუშახელის გამოყენებისათვის საფუძველი არ არსებობს – ქვეყანა თავისი მკვიდრების გამოკვებასაც

---

[352] ხარაძე რ., დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1940, გვ. 61.
[353] იქვე, 108. აგრეთვე, ს. ჯანაშია, იქვე, 123.
[354] ჯანაშია ს. , იქვე, 123-124; რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., იქვე.
[355] Тенцов В. Я. Сванетия (географ. Очерк.) СМОМПК, X, Тб., 1890, стр. 56 и след.
[356] იქვე, 117-124.
[*] სვანეთის საისტორიო ძეგლები, 6-7.
[357] Strab., XI, 2, §12. SC, I, 135.

კი ვერ ახერხებს. ასეთსავე მდგომარეობაში მყოფებად წარმოგვიდგენს სტრაბონი სხვა მთიელებსაც.[358]

ამგვარად, ძვ. წ. I საუკუნისათვის, როგორც სამხრეთ სანაპიროს მთიანეთში, ისე კოლხიდის მთებში მოსახლე ტომები თემური ცხოვრების წესით ცხოვრობენ; წყაროებზე დაკვირვება მათში განვითარების სხვადასხვა საფეხურს ადასტურებს.

ძვ. წ. VI საუკუნის კოლხიდასა და სამხრეთ სანაპიროების ბარში უკვე კლასობრივი საზოგადოება გვაქვს მოცემული. მაგრამ ეს არ არის საბოლოოდ გაფორმებული, კლასიკურ ფორმებში ჩამოყალიბებული საზოგადოება, არამედ ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მონათფლობელურ-თემური საზოგადოებაა, სადაც წარმოებს არა მარტო მონის, არამედ თავისუფალი შრომის ექსპლუატაციაც, თუმცა თავისუფალი მწარმოებლები თავისთვის თემურ წყობასა და თემობრივობის ინსტიტუტებს ინარჩუნებენ. ასეთი ფორმები მცირე აზიამ ელინისტურ და რომაულ ხანაშიც კი შეინარჩუნა.[359] როგორი სოციალური ერთეულები გვეგულება ჩვენ ჩვენთვის საინტერესო ხანის ბარში? საკითხის გადმოცემას საზოგადოების ყველაზე დაბლა მდგომი მასის – მონათა არსებობის შესახებ მსჯელობით დავიწყებთ: მონების არსებობა ძვ. წ. VI საუკუნის კოლხიდაში სრულებით არ წარმოადგენს მოულოდნელ რამეს. როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, „გვაროვნული საზოგადოების განვითარების უკანასკნელ პერიოდში მონობა საყოველთაოდ გავრცელებული მოვლენაა“.[360] კოლხიდას კი აღებულ ხანაში განვითარების ეს საფეხური, როგორც თანდათანობით დავინახავთ, გავლილი აქვს უკვე და აქ, არცთუ მცირე რაოდენობით, მსხვილ მონათმფლობელურ მეურნეობებთან უნდა გვქონდეს საქმე, რომლის მეპატრონეებადაც მსხვილი ტაძრები და სამეფო საგვარეულო უნდა ყოფილიყო. მოსაქმეობის რა დარგებში უნდა ყოფილიყო გამოყენებული მონის შრომა? ჩვენ ზემოთ აღვნიშნავდით, რომ კოლხიდა ძვ. წ. აღ. VI-V საუკუნეში ეგეოსის სამყაროში სელისა და სელის ნაწარმის ერთ-ერთ ძირითად მიმწოდებლადაა ცნობილი. იგი სელის ერთ-ერთ მთავარ მიმწოდებლად ჩანს ძვ. წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეშიც. ცხადია, კოლხიდის აქტიური მონაწილეობა იმდროინდელ საერთაშორისო ვაჭრობაში სასაქონლო მეურნეობის შედარებით სიძლიერეს უნდა დაყრდნობოდა. „სასაქონლო წარმოება კაპიტალისტურ წარმოებაზე უფრო ძველია, იგი არსებობდა მიწათმფლობელური წყობილების დროს და მომსა-

---

[358] იქვე, XI, 2, §12, 13, 14, 15, 16 და განსკ. 19. SC, I, 135 და შემდ.

[359] ჯანაშია ს. ნ., ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში, X, 140 და შემდ.

[360] იქვე, 144.

ხურებას უწევდა მას".[361] სასაქონლო მეურნეობა თემური წარმოების წესის არსებობისას გაუგებარია, იქ იგი უაღრესად სუსტადაა წარმოდგენილი. ქსოვა, წარმოების იარაღების განვითარების იმდროინდელ პირობებში, უაღრესად შრომატევადი სამუშაოა და იძლევა საშუალებას იაფი მუშახელის დიდი რაოდენობით გამოყენებისათვის. მართლაც, ძვ. აღმოსავლეთის ქვეყნებში მრავლადაა დადასტურებული საქსოვი სახელოსნოების არსებობა, სადაც ძირითადად მონა-მქსოველებია გამოყენებული (ეგვიპტე). ასეთივე სახელოსნოები არსებობდა კოლხიდაში. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ისინი ტაძრებს უნდა ჰქონოდათ. მონური შრომის ფართოდ გამოყენება შესაძლებელი იყო აგრეთვე სელისა და კანაფის პლანტაციებში. ასეთ მეურნეობათა ქონება – წარმოების საშუალება ისევ ტაძრებსა და სამეფო საგვარეულოს აქვს.

კოლხიდის ბარისათვის, კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების გამო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არხების მშენებლობას (იხ. ზემოთ). არხები წარმოადგენდა როგორც ჭაობებთან ბრძოლის საშუალებას, ისე სანაოსნო გზებსაც. ჰიპოკრატის ცნობის ანალიზისას, ჩვენ მოვიტანეთ არქეოლოგიური მასალაც, რომელიც კოლხიდაში არხთმშენებლობის დიდ ტრადიციაზე მიუთითებს. არხების მშენებლობა იდი რაოდენობით და მათი მოვლა, ცხადია, მოითხოვთ გარკვეულ ორგანიზაციას და სახსრების ისეთ ოდენობას, რაც თემისა და ტომის შესაძლებლობას აღემატება. კოლხიდაში ასეთი ორგანო არსებობს. ეს კოლხეთის სახელმწიფოა, მეფეა, რომელსაც მონების გარკვეული რაოდენობა და სახსრები შეუძლია დაანდოს არხების მშენებლობასა და მოვლაში. ცნობილია, თუ რაოდენ შრომატევადი სამუშაოა არხების მშენებლობა და, განსაკუთრებით, მოვლა ისეთ ოლქებში, როგორიცაა კოლხიდა. ძვ. აღმოსავლეთის ისტორიიდან (შუამდინარეთი, ეგვიპტე) ცნობილია, თუ როგორ წარმოებდა იქ საირიგაციო სამუშაოები და რა როლი ითამაშა მან უძველესი სახელმწიფოების წარმოქმნის საქმეში.

მონის შრომის გამოყენებისათვის კარგი პირობები არსებობდა სამთო მოპოვებით წარმოებაში და ხელოსნობაში. არქეოლოგიური მასალისა და წერილობითი წყაროების ჩვენებით ამდროინდელ კოლხიდაში შეიძლებოდა ხელოსნობის მრავალი დარგი მიგვეთითებინა; მართალია, ჩვენ არ ვიცით მათში არსებული შრომის ორგანიზაციის ხასიათი, მაგრამ იქ მონის შრომის გამოყენება დიდ დავას არ უნდა იწვევდეს.

მონური შრომის ხვედრითი წონა მეურნეობაში განსაკუთრებით ელინისტურ ხანაში იზრდება. ეს გარემოება მთელ ელინისტურ აღმოსავლეთში შეინიშნება და, ცხადია, საქართველო მისგან გამონაკლისს

[361] სტალინი ი. ბ., სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში, თბ., 1953, გვ. 17.

არ წარმოადგენს – იბერიისა და კოლხეთის ტერიტორიაზე შესწავ-ლილი ელინისტური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები ამის უტყუარი დადასტურებაა. ბაგინეთის, მცხეთის, წიწამურის „სერის", სარკინეთ-გრძელი ველის, ურბნისის, ვანის და ა.შ. ნაგებობანი ცხადად ადასტურებენ, რომ ამ ძეგლების შემქმნელი საზოგადოებანი იცნობენ არა მარტო ელინისტური ხუროთმოძღვრების მიღწევებს, არამედ შრომის ისეთსავე სახეობას იყენებენ, როგორიც ელინისტურ მონარქიებში გამოიყენება – კვადრების ფაქიზად გათლა, აგურის გაკეთება, კრამიტის დამზადება, შემკობა, აშენება, წყალსადენების გაყვანა და მრავალი სხვა დარგი შეიძლება აღინიშნოს, სადაც შეიძლებოდა მონური შრომის გამოყენება. ს. ჯანაშიამ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა მიანიშნა იმ განსხვავების ძირითად მიზეზზე, რომელიც მონათფლობელურსა და ფეოდალური ხანის მშენებლობათა ტექნიკას შორის არსებობს – ესაა განსხვავება იმ შრომის ფორმებს შორის, რომლის გამოყენებითაც ხდება მშენებლობა.[362] იგივე შეიძლება ითქვას ხელოსნობის დარგებზე და, კერძოდ, კერამიკულ წარმოების პროდუქციაზე: თუ დავაკვირდებით ანტიკური (ელინისტური, რომაული) ხანის კერამიკას (ვლაპარაკობთ კონკრეტულად ქართული მასალით), ვნახავთ, რომ აქ ნივთი დამზადებულია უაღრესი გულმოდგინებით – თიხა გაცრილია კარგად, ფორმები გამოყვანილია გემოვნებით, გამოწვა იმდენად კარგია, რომ საუკუნეების სიგრძეზე წყალში დებაც კი ვერ ახდენს მასზე ზემოქმედებას. ხშირად გამოყენებულია სამკაული; არ არის უცნობი ლაქი და გაპრიალება; კრამიტი ანგობწასმული ან წითლად შეღებილია – ყველაფრიდან ჩანს, რომ მის გამკეთებელს დრო და ძალა არ დაუზოგავს, და არც ჰქონდა დასაზოგი – მონის შრომა მუქთი ან თითქმის მუქთი იყო და ეფექტიც სწორედ მისი უზომო და უანგარიშო ფლანგვით მიიღწეოდა; მეორე მხრივ, თუ დავაკვირდებით ფეოდალური ხანის კერამიკულ ნაწარმს, ვნახავთ უხეშად გაცრილი თიხისაგან ტლანქად შემზადებულ ჭურჭლეულს, კრამიტს და ა.შ., რომლებიც გარეგნულად უფრო ადრეული საფეხურის შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ სინამდვილეში იმ საზოგადოების წარმოების პროდუქტია, რომელმაც მონური წარმოების წესს აუგო ანდერძი.

ს. ჯანაშიამ ყურადღება მიაქცია მონების ფართო გამოყენებას ტრანსპორტში, კერძოდ ნაოსნობაში. საქართველოს მდინარეებში ნაოსნობის განვითარება, მისი აზრით, მონური შრომის გამოყენების დაშვებისასაა მხოლოდ გასაგები.

ამგვარად, მონური შრომის გამოყენების შესაძლებლობა არსებობს მეურნეობის მთელ რიგ დარგებში, ხოლო რიგი დარგების არსებობა

---

[362] ჯანაშია ს. ნ. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრ. I, 293. შენიშ. 1.

მონური შრომის გამოყენების დაშვებისასაა გასაგები (ფეიქრობა, ფართო მელიორაცია, ნაოსნობა...).

კოლხეთის ბარის მოსახლეობის ძირითად მასას ჩვენთვის საინტერესო ხანაში ***თავისუფალი მწარმოებლები,*** ე.წ. „თავისუფალი ერი“ შეადგენს. ისინი იმავ დროს ქვეყნის შეიარაღებულ ძალასაც წარმოადგენენ. სტრაბონი იბერიაში ასეთსავე სოციალურ ფენას „მეომრებსა და მიწათმოქმედთ“ უწოდებს.[363] საზოგადოების ამ ნაწილისაგან გამოიყოფა, ერთი მხრივ, არათავისუფალთა ფენა, მეორე მხრივ – ჯერ მონათმფლობელური არისტოკრატია, ხოლო გვიან – ფეოდალური საზოგადოების ზედა ფენა.[364] ეს იყო კოლხური საზოგადოების ის ნაწილი, რომელთანაც გვაროვნულობის ნიშნები ყველაზე მეტად და ყველაზე დიდხანს, თვით ფეოდალიზმის საბოლოო გამარჯვებამდე იყო შემონახული. ეს ის ფენაა, რომელზეც მოცემული საზოგადოების ისტორიის მსვლელობა ყველაზე უკეთაა ასახული და რომლის წიაღშიც იშვა ყველა ის საზოგადოებრივი ჯგუფი, რომლებიც აქ მოცემულ თუ შემდგომ ხანაშია დადასტურებული.[365] ძვ. წ. VI საუკუნიდან I საუკუნემდე ერის აღნაგობაში ღრმა ცვლილებები უნდა მომხდარიყო, რომლის შესახებ საუბარს იქ გავაგრძელებთ, სადაც ფეოდალიზმის გენეზისის საკითხს განვიხილავთ.

კოლხური საზოგადოების ერთ ფენას უშუალო მწარმოებელთა ის ჯგუფი წარმოადგენდა, რომელსაც ელინისტურ ხანაში λαοί ეწოდებათ. იქ ისინი დამოკიდებულ გლეხობას შეადგენდნენ. ძვ. წ. II საუკუნის დამდეგისათვის ასეთი ფენა დადასტურებულია იბერიისათვის, ხოლო ს. ჯანაშიას მიერ მოცემული მითითებების თანახმად, ამ ცნობის მიყენება იმდროინდელ კოლხურ საზოგადოებაზეც შეიძლება. კოლხური და იბერული საზოგადოებების ადრინდელი და შემდგომი მდგომარეობის გათვალისწინებით თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთვის საინტერესო ხანაშიც მათ შორის სოციალური მდგომარეობის მხრივ დიდი განსხვავება არ უნდა ყოფილიყო. λαοί-ის, როგორც სოციალური ჯგუფების არსებობა, დადასტურებულია როგორც მცირე აზიაში (ეპიგრაფიული მასალები და წერილობითი წყაროები), ისე იბერიაში (სტრაბონის ცნობა). ორივეგან ისინი სამეფო გვარეულობის

---

[363] Strab., XI, 3, §6, SC, I, 140. τρίτον δέ τό τῶν στρατευομένων καί γεωργούντων... მესამე (γένος) არის მხედართა და მიწათმოქმედთა... (თ. ყაუხჩიშვილი) ... მესამე – მეომრებისა და მიწათმოქმედთაგან ... (ს.ნ. ჯანაშია)

[364] ჯანაშია ს., ადრეული ფეოდალიზმი, შრ. II, 174.

[365] იქვე, 163-164.

საკუთრებაა.[366] ს. ჯანაშია ვრცლად შეეხო λαοί-ის საკითხს. მანვე დააყენა მათი წარმოშობის გზების საკითხიც. მისი აზრით, ასეთ დამოკიდებულებაში მყოფი ფენის გაჩენა შეიძლება სამი გზით მომხდარიყო. „1. სოციალური დიფერენციაციის შედეგად „ყოველი ერიდან" გამოყოფა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში დასახელებულ გზას ჩვენ უარვყოფთ, ვინაიდან ამ პროცესის შედეგად „მდაბიო ხალხი", უწინარეს ყოვლისა, ტაძრების ყმებად უნდა ქცეულიყო, და არა მარტო სამეფო სახლისა, როგორც გადმოგვცემს სტრაბონი. რამდენადმე გაუგებარი იქნებოდა აგრეთვე „მესამე გენეს" მოცემული ხასიათი; 2. მეფის მონების მიწაზე დასმა. ეს სავსებით შესაძლებელია, მხოლოდ არ მოგვეპოვება საკმაო საბუთი; 3. უცხო თემების დაპყრობა კლასობრივად საკმაოდ დიფერენცირებული საზოგადოების ხელისუფლების მიერ, დაპყრობილ თემთა მიწების სამეფო ფონდში გადარიცხვა და ამ ნიადაგზე თვით დამპყრობელთა ჩაყენება ყმურ მდგომარეობაში მეფის, როგორც სამხედრო ხელისუფლების უზენაესი წარმომადგენლისა და დასახელებული მიწის ფონდის უზენაესი პატრონის, მიმართ. ჩვენ უფრო ამ შესაძლებლობისაკენ ვიხრებით..."[367] ასეთია ს. ჯანაშიას დასკვნა. ამ საკითხზე ძიებისას საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული თვით λαοί-ის ინსტიტუტის ბუნება. როგორც მცირე აზიაში,[368] ისე იბერიაში λαοί მხოლოდ სამეფო საკუთრებად ითვლებიან.[369] ამავე დროს იქაც[370] და აქაც[371] ისინი გვაროვნულად ფლობენ ქონებას. უკანასკნელი გარემოება გადამწყვეტად უნდა იქნას მიჩნეული მათი წარმომავლობის ძიებისას. აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა უარვყოთ, თითქოს მათი წარმოშობა მეფის მონების მიწაზე დასმასთან იყოს რაიმე კავშირში. მიწაზე დამჯდარ მონებს, ცხადია, გვაროვნული საკუთრება მიწაზე არ შეეძლოთ ჰქონოდათ. მათ არ შეიძლება ჰქონოდათ, აგრეთვე, გვაროვნული ინსტიტუტები (სახალხო კრება), ხოლო ელინისტურ აღმოსავლეთში არსებული λαοί მიმაგრებული არიან თავიანთი მიწის ნაკვეთებზე ἰδία-ზე; ეს ἰδία, ა. ზ. რანოვიჩის აზრით, ძველი თემური საკუთრების გადმონაშთია.[372] უკვე ელინისტურ ხანაშივე იწყება თავის ἰδία-ზე მიმაგრებული λαοί-ის ლტოლვა მიწიდან და

---

[366] ჯანაშია ს., საქართველო ადრინდელი ფეოდალიზმის გზაზე, 150; ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში, 140; ადრეული ფეოდალიზმი, 161 და შემდ., Ранович А. Б. დას. ნაშრ., 147 და შემდ.
[367] ჯანაშია ს., ადრეული ფეოდალიზმი, 166-167.
[368] Ранович, იქვე, 147 და შემდ.
[369] Strab., იქვე; ს. ჯანაშია, იქვე.
[370] Ранович, იქვე, 155
[371] Strab., იქვე; ს. ჯანაშია, იქვე.
[372] Ранович, იქვე, 155.

უკვე ანტიოქოზ I-ის დროსვე იხსენიებიან λαοί, რომლებიც საკუთარი ἰδία-საგან მოწყვეტილად ცხოვრობენ.[373] ამგვარად, რჩება ერთადერთი გზა λαοί წარმოსაქმნელად: „უცხო თემების დაპყრობა კლასობრივად დიფერენცირებული საზოგადოების ხელისუფლების მიერ...“ მაგრამ ეს არ არის ერთადერთი გზა ასეთი სოციალური კატეგორიის წარმოშობისათვის. აქ საქმე მხოლოდ დაპყრობებამდეა დაყვანილი. მართალია, დაპყრობების გზით შეიძლება მოხდეს ასეთი რამ, მაგრამ ასეთი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია, როგორც ს. ნ. ჯანაშიამ მიუთითა, საკუთრება მიწაზე. ელინისტურ მცირე აზიაში (და საერთოდ, აღმოსავლეთში) მიწის უზენაესი მესაკუთრე მეფეა, ხოლო λαοί მეფისაგან დამოკიდებულ ურთიერთობაში მყოფი მეთემეები ჩანან.[374] ასეთ დამოკიდებულებაში შეიძლებოდა აღმოჩენილიყო არა მარტო დაპყრობილი თემების მოსახლეობა, არამედ ყველა, ვინც მიწაზე ნაკლოვანებას გრძნობდა და სარგებლობისათვის მფლობელობაში იღებდა მიწის ნაკვეთს სამეფო საგვარეულოს ფონდიდან. ასეთად შეიძლებოდა გამოსულიყო, როგორც თავისუფალი თანამეტომე თუ თანამეთემე, ისე უცხოც. განსაკუთრებით დიდი უნდა ყოფილიყო ამათში მთის ნაჭარბი მოსახლეობა. შესაძლებელია, ჩვენთვის საინტერესო ხანაში ხდებოდა არა ოჯახებად ჩამოსვლა ბარში, არამედ გვარებად ან გვარის განაყოფებად. ეს მცირე უჯრედები ესახლებიან სამეფო მიწაზე, თავისთვის განაგრძობენ თემური წესით ცხოვრებას, მთიდან რომ ჩამოიტანეს, ხოლო მეფისადმი, მიწით სარგებლობისათვის, გარკვეულ ვალდებულებებს კისრულობენ როგორც ნატურით, ისე ფულად და სამსახურით (სამხედრო ძალა, პირადი მცველები). და ბოლოს, λαοί-ს რიცხვი შეიძლება გაიზარდოს ბუნებრივი გამრავლების გზით. როგორც ს. ჯანაშიამ უჩვენა, λαοί შემდგომ განვითარებაში უკვე ფეოდალიზმის ხანის ყმას იძლევა.[375] λαοί-ს, როგორც სოციალური კატეგორიის ჩამოყალიბების პროცესის დასაწყისი, პირადად იმ ეპოქაში მაქვს ნაგულისხმევი, როდესაც კოლხთა ტომი იწყებს სამხრეთ-დასავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთ პოლიტიკურ ერთეულში გაერთიანებას და ქმნის კოლხას გაერთიანებას, რომლის სიძლიერე ძვ. წ. VIII საუკუნისათვის დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტია. ცხადია, თავდაპირველად ეს დამოკიდებულება არ იყო ისე მძიმე, როგორიც ის ელინისტურ ხანაში გვაქვს დადასტურებული, მაგრამ თანდათანობით, სამეფო ხელისუფლების გაძლიერების, აპარატის

[373] იქვე, 156. შენიშ. 1.
[374] მეფისაგან დამოკიდებული მეთემეები არიან იბერიის λαοί-ც.
[375] ჯანაშია ს. ნ., საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, 170-171.

გამრავალრიცხოვანების, სამეფო საგვარეულოს რიცხობრივი ზრდის, აღებ-მიცემობის გაცხოველებისა და რიგი ეკონომიური თუ პოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენით ექსპლუატაციის ხარისხი თანდათან იზრდება. λαοί თავისი უფლებებისათვის ბრძოლაში, როგორც ჩანს, იყენებს თავის თემურ ინსტიტუტებს, ხოლო როდესაც და სადაც მისი მდგომარეობა აუტანელი ხდება, იგი სარგებლობს თავისი ნახევრად-თავისუფალი მდგომარეობით და ტოვებს იმ ობიექტს (ἰδία), რომელიც მისი დაკაბალების საფუძველია. უნდა ვიფიქროთ, რომ თვით λαοί შიგნით კიდევ გაიყოფებოდნენ რიგ კატეგორიებად (ძალით დაპყრობილი, ნებით შესული, ნასყიდი და ა.შ.).

სტრაბონის ცნობით, იბერიის საზოგადოებაში ერთ-ერთ გაბატონებულ ფენას ქურუმები შეადგენდნენ. მათ (მეფის საგვარეულოს წევრების შემდეგ) ქვეყანაში მეორე ადგილი ჰკავებიათ და მეზობლებთან სადავო საქმეების მოწესრიგება სდებიათ ვალად. ს. ჯანაშიამ ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით უჩვენა, რომ ქურუმთა ბატონობას, მოცემულ ხანაში, კოლხიდაშიც უნდა ჰქონოდა საფუძველი. აღნიშნული სოციალური კატეგორიის წარმოშობა ქართულ სინამდვილეში ჯერ კიდევ თემური წყობილების წიაღში იწყება და თანდათანობით იგი კლასობრივ გაფორმებას იღებს. განვითარების ამ ხაზის წარმოსადგენად ძვირფას მასალას იძლევა ქართველ ტომთა ეთნოგრაფიის სინამდვილეში დაცული გადმონაშთები. მაგრამ სანამ ამ მასალას გავიცნობდეთ, მანამ უნდა შევნიშნოთ, რომ ქურუმების პოლიტიკური სიძლიერე მათი ეკონომიური სიძლიერითაა შეპირობებული და მას ეყრდნობა. გვიან, ქრისტიანობის გაბატონების ხანაში, ქურუმთა კლასის წინააღმდეგ გადამწყვეტი დარტყმა სწორედ ეკონომიურ სფეროში იქნა მიყენებული, რის შემდეგ ისინი წელში ვეღარ გასწორდნენ.

ქართულ ეთნოგრაფიულ მასალებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ წარმართული სალოცავების მსახურები აქ დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ, ხოლო სალოცავები დიდი ადგილ-მამულის მფლობელები არიან. რამდენადაც კოლხური საზოგადოება უფრო ახლოს ძველ-აღმოსავლურ საზოგადოებებთან უნდა მდგარიყო, ამიტომ ეთნოგრაფიული ანალოგიებისათვის უფრო ის მასალები უნდა გამოვიყენოთ, რომლებიც იმ ტომებს ეხება, რომელთა ინსტიტუტები სიახლოვეს სწორედ ძველ-აღმოსავლურ საზოგადოებათა შესაბამის ინსტიტუტებთან იჩენს. როგორც ვ. ბარდაველიძემ გამოარკვია, ერთ-ერთ ასეთ უჯრედად ხევსურული თემი წარმოგვიდგება, რომელიც თავისი ბუნებით, სიდიდით, მიწათმფლობელობისა და მეურნეობის ფორმებით, სტრუქტურით და სამოხელეო ინსტიტუტებით, ყველაზე მეტად ძველაღმოსავლურ საზოგადოებათა შესაბამის ინსტიტუტებს უახლოვ-

დება.[376] „ხევსურული თემის მახასიათებელ მხარეს შეადგენდა ის, რომ თითოეული მათგანის ცენტრში მოთავსებული იყო ***ჯვარი*** სათემო ღვთაების საკულტო და სამეურნეო ნაგებობათა სახით,[*] რომელიც საერო და სასულიერო ხელისუფლების თავყრილობის ადგილს შეადგენდა...[377] თემის მოსახლეობა სათემო მიწაზე იჯდა, რომელიც არა მარტო ამ ქართველი ეთნიკური ერთეულის ცხოვრების ჩვენთვის საინტერესო ხანაში, არამედ გაცილებით უფრო ადრეც გაგებული უნდა ყოფილიყო, როგორც თემის ერთობლიობის განმასახიერებელი ჯვარის საკუთრება.“[378] თემში ორგვარი მიწებია დადასტურებული: თემის მიწები და ჯვარის მიწები. თემის თეოკრატიულ ხელისუფლებას „ჯვარიონი“ ეწოდება, საიდანაც აირჩევა თემის უმაღლესი ხელისუფლება. ხოლო თემის მეორე ძირითად ნაწილს, რომელიც რიცხობრივად უმრავლესობას შეადგენს, „ერისგანნი“ ეწოდებათ. ჩვენ მოცემულ შემთხვევაში „ჯვარიონი“ გვაინტერესებს. როგორც აღვნიშნეთ, ჯვარიონიდან აირჩევა თემის უმაღლესი სასულიერო ხელისუფალი და, აგრეთვე, „ჯვარის მეენე“. ისინი ამავ დროს ითვლებიან სათემო ჯვარის მთავარ ქურუმებადაც. თემის უფროსს ხუცი ეწოდება, ხოლო ზოგიერთი მსხვილი თემის უფროსი ხევისბერის სახელს ატარებს. ზოგიერთ მსხვილ თემში ხუცების რიცხვი 4-მდე ადიოდა, რომელთაგან ერთი თავ-მორიგე იყო. „თავ-მორიგეთა“ (ე. ი. თემის უფროსისა და ჯვარის მეენის) ხელისუფლება მუდმივი, ხოლო მათი თანამდებობა რიგ თემებში მემკვიდრეობითი იყო...[379] ხუცესი წარმოადგენდა თემის საერო და სასულიერო ხელმძღვანელს. ამავ დროს იგი სათემო ჯვარის მთელი მეურნეობის გამგებელია და ყველგან ხელი მიუწვდება. ჯვარი თემის მასშტაბით მსხვილი მამულების მფლობელია, რომელზეც ძირითად მწარმოებლად „ერისგანნი“ გვევლინებიან.[380] ქურუმთა შემდგომი გაძლიერება კოლხეთის სინამდვილეში ჩვენ პოლიტიკური ამბების შემდგომ განვითარებასთან კავშირში გვაქვს წარმოდგენილი: ის ხანა, როდესაც იწყება ბრძოლა თემების ტომებად გაერთიანებისათვის, ხასიათდება ძველი თემის სალოცავების გავლენების გაფართოებით; ეს განსაკუთრებით გამარჯვებული თემის სალოცავს შეეხება. შემდგომი ხანა უკვე ტომობრივ გაერთიანებათა წარმოებას იძლევა. ამ

---

[376] ბარდაველიძე ვ., ხევსურული თემი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIII, №8, 495-502. XIII, №10, 623-630.

[*] მცირეაზიური თემებიც თავმოყრილია თავიანთი სალოცავების გარშემო. იხ. Ранович, იქვე, 156.

[377] იქვე, 497.

[378] იქვე, 623-624.

[379] ბარდაველიძე ვ., ხევსურული თემი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIII, 626.

[380] იქვე, 625.

ხანაში გამარჯვებული ტომის მთავარი სალოცავი შეიძლება მთელი პოლიტიკური გაერთიანების სალოცავი გახდეს (ასირიის აშური, იბერიის არმაზი და ა.შ.), მაგრამ ერთი რომელიმე სალოცავის უზენაესობის აღიარება არ ნიშნავს სხვა სალოცავების მოსპობას. ახალწარმოქმნილი პოლიტიკური გაერთიანების ღვთაებათა პანთეონი შედგება არა მარტო გამარჯვებული ტომის კერპებისაგან, არამედ იგი შეივსება დამორჩილებული ტომებისა და თემების ღვთაებებით, რომლებიც ეგუებიან ახალ ვითარებას, ხოლო მათი მსახურები გამარჯვებული ტომის სალოცავების მსახურთა გვერდით საპატიო ადგილს იჭერენ. და ბოლოს, პოლიტიკური ერთობის დიდი ტრადიციების პირობებში დავიწყებას ეძლევა, თუ რომელი ღვთაება-სალოცავია გამარჯვებული ტომის და რომელი – დამარცხებულის. სალოცავის მსახურნი პოლიტიკურ გაერთიანებათა წარმოქმნებში თავიანთ შემდგომი გაძლიერება-გამდიდრების წყაროს ხედავენ, რაც სალოცავისათვის ახალდაპყრობილი მიწის ფონდის ნაწილის, განძის, მონების შეწირვაში შეიძლება გამოიხატებოდეს. სწორედ ეკონომიურ ნიადაგზე იბმება ამ ხანაში კავშირი საერო ხელისუფლებასა და ტაძრის მსახურებს შორის, ხოლო შემდეგში, როდესაც ტაძრები მონებისა და დიდი სიმდიდრის მფლობელები ხდებიან, საერო ხელისუფლების სიძლიერე მათთვის კვლავ აუცილებელი გარემოებაა, რაც მათ სამეფო ხელისუფლების დასაყრდენ ძალად აქცევს. უკვე ელინისტური ხანის მცირე აზიაში ტაძრები და მისი ქურუმები უდიდესი მაწათმფლობელ-მონათმფლობელები არიან. ამ მხრივ განსაკუთრებით ბევრ მასალას იძლევა სტრაბონი. იგი გადმოგვცემს, რომ ღვთაება მა-ს ტაძარს ქ. კომანაში ჩემი იქ ყოფნის დროს 6000 მონა ჰყავდა ორივე სქესისო. ტაძარს დიდი მამული ჰქონია, რომლის შემოსავლითაც ქურუმი სარგებლობს, რომელიც მეფის შემდეგ მეორე პირი ყოფილა კაპადოკიაში.[381] ზევსის ტაძარს ვენაზში ჰყოლია 3000 სატაძრო მონა და დიდი მამული, რომლის შემოსავალი 15 ტალანტს აძლევდა ქურუმს[382] და ა.შ. მცირე აზიური ტაძრები თავიანთ მიწებს ამუშავებენ როგორც „თავისუფალი" მოსახლეობის, ისე მონების გამოყენებით.[383] სტრაბონი გზადაგზა იძლევა ცნობებს სხვა ქვეყნებში მდებარე სალოცავებზეც. კერძოდ, იგი გვაცნობებს, რომ კოლხეთის მესხეთში ყოფილა ლევკოთეას საკურთხეველი, რომელიც ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევარში ორჯერ გაძარცვულა – ჯერ ფარნაკის, ხოლო შემდეგ პოლემონ პონტოელის მიერე.[384] ამ ცნობაზე დაყრდნობით ს. ჯანაშიამ მიუთითა, რომ ქუ-

[381] Strab., XII, 2, §3. SC, I.
[382] იქვე, §5.
[383] XII, 2, §3. SC, I.
[384] იქვე, XI, 2, §17, SC, I, 137.

რუმების გავლენა კოლხიდაშიც ძლიერი უნდა ყოფილიყო. აქაური ტაძრების სიმდიდრეზე გვითითებს ის გარემოება, რომ ისინი მეზობელი ქვეყნების მეფეთა ყურადღების (ძარცვის) საგანი ხდება. ქურუმთა შემდგომი ევოლუცია ქვემოთ იქნება განხილული, მაგრამ აქ დასკვნის სახით უნდა ვთქვათ, რომ მათი განვითარება, რომელიც ჯერ კიდევ გვაროვნულობის ადრეულ საფეხურებზე იწყება, ძვ. წ. I საუკუნის იბერიასა და კოლხეთში სავსებით დასრულებულია და იწყება მისი დაღმასვლა, იწყება ისეთი სოციალური ძალების წარმოქმნა, რომელთა განვითარებისათვის სატაძრო საკუთრება და ქურუმების არსებობა შემაფერხებელის როლს ასრულებს.

* * *

სტრაბონის მიერ მოცემული იბერიის საზოგადოების აღწერილობიდან ჩანს, რომ მისი წყაროს დროისათვის იბერიაში რაღაც განსაკუთრებული სახის სამეფო ინსტისტუტი არსებულა. ნ. ა. ბერძენიშვილმა პირველმა დაასაბუთა, რომ სტრაბონის მიერ მოცემული იბერიის მეფე შეუსაბამობაშია სხვა წყაროებით ცნობილ იმდროინდელი იბერიის მეფესთან და ანტიკურ ლიტერატურაში დაცული ამ ცნობების შეთანხმება შეუძლებელია (ერთის მხრივ – სტრაბონი, ხოლო მეორე მხრივ დიონ კასიუსი, ტაციტი) „...ან სტრაბონი მის დრომდის რაღაც დიდი ხნის წინ არსებულ მდგომარეობას გადმოგვცემს, ან კიდევ შეცდომაში შეიყვანეს ზეპირად ცნობების მიმწოდებლებმა“.[385] თუ გადავხედავთ ანტიკურ ლიტერატურულ ცნობებს ქართველურ ტომებზე, დავინახავთ, რომ სტრაბონის იბერიის მეფე ყველაზე ახლოს მოსინიკების მეფეს უახლოვდება – ორივე, თითქმის ერთნაირად, უშინაარსო სახელის მატარებლები არიან. მათ მხოლოდ ის განასხვავებს, რომ იბერიის მეფე პირადად თავისუფალია, ხოლო მოსინიკების მეფე ჩაკეტილია და დაცვის (იძულებითი) ქვეშ ცხოვრობს. ისეთი ინსტიტუტი, როგორიც მოსინიკებშია, ალბათ, სხვა ქართულ ტომებსაც ექნებოდათ, რომელიც აღწერილი იყო რომელიმე ჩვენამდე მოუღწეველ შრომაში, რომელსაც სტრაბონი ბრმად ეყრდნობოდა. სტრაბონის მიერ იბერიის საზოგადოების აღწერილობა, ჩანს, ლიტერატურული გადამუშავების ნაყოფია – იგი ერთი რომელიმე წყაროდან კი არ მომდინარეობს, არამედ აქ შენაჯამებია ცნობები, რომლებიც აღმოსავლურ-ქართულ გაერთიანებაზე არსებობდა, რის გამოც ერთ კონტექსტში მოხვედრილია სხვადასხვა ეპოქის ამსახველი ცნობები. რეალურ მდგომარეობას არ შეესაბამება არა მარტო იბერიის

[385] ბერძენიშვილი ნ. ა., ჯანაშია ს., საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, „მიმომხილველი“, III, თბ., 1953, 293 და შმდგ.

ბასილევსი, არამედ, როგორც ნ. ბერძენიშვილმა აჩვენა, ქურუმთა მდგომარეობაც. სტრაბონის ხანის იბერიაში ქურუმების ხელში აღარაა მეზობლებთან სადავო საქმეების მოწესრიგება; ამავ დროს აღარც მეფის შემდეგ „მეორე პირი“ ჩანს უკვე, რომელიც მოსამართლეობდა და მხედართმთავრობდა. პირველი საუკუნის იბერიაში ყველა ეს ფუნქცია უკვე მეფის ხელში ჩანს გაერთიანებული.[386] ამგვარად, კვლავ დგება სტრაბონის ამ ცნობის თარიღის საკითხი: ივ. ჯავახიშვილის აზრით, აქ ძვ. წ. I საუკუნის დამლევის სურათია მოცემული.[387] ს. ჯანაშია სტრაბონის წყაროს ძვ. წ. I საუკუნის დამდეგით ათარიღებს,[388] ი. მანანდიანის აზრით, აქ ახ. წ. I საუკუნის დამდეგის საზოგადოებაა ასახული,[389] ა. ბოლტუნოვას ეს ცნობა პოსიდონიოსის (ძვ. წ. 140-57 წწ.) „ისტორიიდან“ მომდინარედ მიაჩნია,[390] ხოლო თ. ყაუხჩიშვილი ეთანხმება იმ მკვლევართ, რომლებიც სტრაბონის ამ ცნობის წყაროს ძვ. წ. II საუკუნის 40-30-იანი წლებით ათარიღებენ.[391] როგორც აღვნიშნეთ, სტრაბონის „იბერიის მეფე“ გაუგებარია I საუკუნის იბერიისათვის, ამასვე ადასტურებს მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ეპიგრაფიკული მასალები, სადაც იბერთა „დიდი მეფეც“ იხსენიება. „ანაბასისში“ დაცული ცნობა და რიგი ეთნოგრაფიული მასალები ცხადყოფს, რომ უაღრესად შეზღუდული საერო ხელისუფლება ქართული სინამდვილისათვის უცხო არ არის, მაგრამ მოსინიკების „ბაზილევსის“ ევოლუცია ვერ მოგვცემს იბერების რეალურ მეფეს. უფრო შესაძლებელია მოსინიკების „არქონტი“ განვითარდეს ისეთ მეფედ, როგორიც არტოკი, ფარსმანი და სხვანია, ვიდრე კოშკში გამოკეტილი ტომის ბელადი, რომელიც ქსენოფონტს მეფედ ყავს მოხსენიებული. ელინისტური ხანის იბერიაში ასეთი მეფე არ შეიძლებოდა არსებულიყო. იგი კლასობრივ საზოგადოებაში არც არის გასაგები, ამიტომ ასეთი მეფე არც ერთ კლასობრივ საზოგადოებაში ჯერ დადასტურებული არ არის, რის გამოც ან სტრაბონის ცნობის ამ ნაწილის თარიღი უნდა გადავწიოთ ძვ. წ. აღ. VI-V საუკუნის იქით, ან ვაღიაროთ, რომ იბერიის მთიანეთის რომელიმე ტომში მაშინ (სტრაბონის წყაროს ხანაში) არსებობდა ისეთი „ხელისუფალი“, რო-

---

[386] იქვე, 296.

[387] ქართული სამართლის ისტორია, I, თბ., 1928, 137 და შ.

[388] ჯანაშია ს., ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში, შრ. II, 137 და სხვა შრომები.

[389] Манандян Я., Заметки о феодальном войске Парфии и аршакидской Армении, Ер., 1932, 15-17.

[390] Болтунова А., Описание Иберии в «Географии» Страбона XI, 1-6, ВДИ, 1947, №4, стр. 159.

[391] ყაუხჩიშვილი თ., γένος ტერმინის მნიშვნელობისათვის სტრაბონთან, „მიმომხილველი“, III, 248.

გორიც იქაა აღწერილი. მე უფრო იმ აზრისაკენ ვიხრები, რომ ამ ცნობაში (მთლიანად აღებულში) ავტორის მიერ თვითნებურად სხვადასხვა ხანის და იქნებ სხვადასხვა ეთნიკური უჯრედის შესახებ ცნობებია გაერთიანებული. ჩვენ შორს გავყევით სტრაბონის ცნობას, რაც არცთუ ძალიან აუცილებელი იყო ჩვენი მიზნისათვის. იმავე ხანის სხვა ავტორებისა და მასალების ჩვენებებიდან ირკვევა, რომ იბერიაში იმ დროს კლასობრივი საზოგადოება გვაქვს წარმოდგენილი, განვითარებული სახელმწიფო აპარატით (მეფე, დიდი და მცირე ერისთავები (პიტიახშები), ეზოს მოძღვარი (ეპიტროპი) და ა.შ.).

სოციალური მდგომარეობის მხრივ ასეთივე ვითარება გვაქვს წარმოდგენილი კოლხეთშიც. დაცული ცნობებით, კოლხეთის სამეფოსა და სამეფო ხელისუფლების ჩამოყალიბება ადრე იწყება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი წარმოდგენით, ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში კოლხიდის ბარში და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რიგ დაწინაურებულ რაიონებში, რომლებიც ერთ პოლიტიკურ გაერთიანებაში შედიან, უკვე გადამწყვეტი მომენტი დამდგარა. ჩვენი მოსაზრება იმ სურათს ემყარება, სადაც მოვლენები, ჩვენის აზრით, ერთმანეთთაგან ლოგიკურად გამომდინარეობენ და ახსნას პოულობენ ეთნოგრაფიული მასალებით. ძვ. წ. II და I ათასწლეულის მიჯნაზე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მტკვრის სათავეების რაიონში არსებობს ეკონომიურად დაწინაურებული ტომი კოლხები, რომელშიც უკვე გვაროვნული არისტოკრატია გამოყოფილად უნდა ვიგულისხმოთ (შეადარეთ მასალები ურარტული, ასირიული და ხეთური ეპიგრაფიკიდან), მაგრამ კლასობრივამდე საზოგადოებას ჯერ კიდევ ბევრი აკლია. ამ დროისათვის ეს ტომი შეიძლება დაიაენის სამეფოს (ა/კავკასიის უძლიერესი გაერთიანება) შემადგენლობაში ვიგულისხმოთ.[392] მაგრამ, ჩანს, იგი სარგებლობს (ძვ. წ. IX ს.) დაიაენის და ასირიის ომებითა და ახერხებს თავისუფლების მოპოვებას. აქედან იწყება მისი გაძლიერების ხანა, კოლ-ების (კოლ-ხი) ტომი ახერხებს მეზობელი ტომების თანდათანობით დამორჩილებას და დაიაენის ჩრდილო-დასავლეთით დიდი პოლიტიკური გაერთიანების წარმოქმნას. გ. მელიქიშვილი შენიშვნით, „არის იმის ნიშნები, რომ უკვე ძველ აღმოსავლურ ხანაში უნდა დაწყებულიყო დიაუხის დიდი გაერთიანების ტერიტორიაზე ჰეგემონობის გადასვლა ხურიტული ელემენტიდან დასავლურ-ქართული წარმოშობის ტომების ხელში, რომლებშიც შემდეგ ამ ადგილებში მცხოვრები ხურიტული მოსახლეობა გაითქვიფა.[393] ძვ. წ. IX საუკუნის შუახანებში კულხა-კოლხა გაერთიანება იერთებს

[392] მელიქიშვილი გ., ურარტუ, 141; მისივე, უძველესი სამეფო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, „მიმომხილველი“, II, თბ., 1951, 216.
[393] იქვე, 141-142.

ურარტელების მიერ განადგურებული დიაუხის (დაიაენის) ტერიტორიის ნაწილს (ხუშა-ნის ქვეყანა); იწყება ბრძოლა კოლხას გაერთიანებასა და ურარტელებს შორის, მაგრამ ასირიის ახალი გაძლიერება და სარგონ II-ის ლაშქრობები ურარტუში, უკანასკნელთა ყურადღებას აცილებს კოლხასთან ბრძოლას, სარგონ II-ის ლაშქრობების შემდეგ ურარტუ წელში ვეღარ გაიმართა, რაც კოლხას სამეფოს ძლიერებისათვის საუკეთესო ტაროსს ჰქმნის.[394] VIII-VII საუკუნე გაერთიანების ძლიერება-გაფურჩქვნის ხანაა. იგი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უდიდესი და უძლიერესი პოლიტიკური გაერთიანებაა. ცხადია, მას ჰყავს თავისი პოლიტიკური აპარატი – პირველ ყოვლისა, სამეფო დინასტია, რომელიც ტომის ბელადის ბუნებრივი განვითარებითაა წარმოქმნილი: განვითარების უძველეს სტადიაზე მტკვრის სათავეებში მოსახლე ერთ-ერთი თემი ახერხებს კოლას ტომის თემებზე გაბატონებას. ამ ტომის ბელადი იწყებს ბრძოლას მეზობელი ტომების გაერთიანებისათვის და, როგორც ჩანს, საკმაო წარმატებითაც. მის მიერ ახალ-ახალი ტომების დაპყრობა ზრდის მის როგორც ეკონომიურ შესაძლებლობას, ისე პოლიტიკურ წონას. ძვ. წ. II-I ათასწლეულის მიჯნაზე იგი უკვე საკმაოდ ძლიერი გაერთიანების – დიაუხის სამეფოშია ისევ, მაგრამ ორი საუკუნის შემდეგ იგი სამხრეთ-დასავლეთ ა/კავკასიის უძლიერესი და უდიდესი პოლიტიკუ-რი გაერთიანების ჰეგემონია და ურარტუს მეფეების (განსაკუთრებით სარდური II-ის, 760-730 წწ.) ღირსეულ მოწინააღმდეგედ გამოდის. ასეთ დიდ გაერთიანებას, რომელმაც თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა ძვ. წ. I საუკუნემდე შემოინახა, ცხადია, გააჩნდა თავისი სახელმწიფო აპარატი. ასეთი დიდი პოლიტიკური ერთეულის მეფის მიერ უაპარატო გაძღოლა წარმოუდგენელია. აქ ჩვენ მივადექით კოლხიდაში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს. VIII-VII საუკუნე კოლხას არა მარტო ბრწყინვალე ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების ხანაა, არამედ იგი, აგრეთვე, სოციალური ძვრების ხანაცაა. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, უკვე VI საუკუნისათვის კოლხიდაში მონური შრომის საკმაოდ ფართო გამოყენებას აქვს ადგილი, იმავ დროს უკვე ჩამოყალიბებულია ქურუმთა ფენა და სამეფო საგვარეულო. სახელმწიფოს საჭიროება ძვ. წ. VI საუკუნიდან შეპირობებულია არა მარტო საგარეო, არამედ საშინაო განვითარებითაც. რა ფუნქციები უნდა ჰქონოდა VI საუკუნის კოლხურ სახელმწიფოს? კოლხას გაერთიანება, ცხადია, არ წარმოადგენდა იმ ტომთა ორგანულ გაერთიანებას, რომლებიც მასში შედიან. ტომებს შენარჩუნებული აქვთ დამახასიათებლობანი და ინსტიტუტები, მაგრამ ახლა ისინი გარკვეული

[394] მელიქიშვილი გ., ურარტუ, 142.

ვალდებულებებით არიან დაკავშირებული გაერთიანების პოლიტიკურ აპარატთან. ამ აპარატის ერთ-ერთ მთავარ მოვალეობად, ჩვენის აზრით, სწორედ ამ ცალკეული ტომობრივი ერთეულების მორჩილებაში შეკავებაა. ამ ტომებს, განსაკუთრებით მათი არისტოკრატიული ზედა ფენის სახით, ძველი მდგომარეობისაკენ დაბრუნების ტენდენციები არასოდეს გამოლევიათ და შესაფერისი პირობების დადგომისას მათ მოახერხეს კიდეც ჯერ ნახევრად დამოუკიდებელი, ხოლო შემდეგ – დამოუკიდებელი მდგომარეობის მოპოვება. როგორც ს. ჯანაშიამ აღნიშნა, სტრაბონთან დადასტურებული კოლხური სკეპტუხიები ასეთი ტომობრივი ორგანიზაციის ბელადები უნდა იყვნენ. ამგვარად, კოლხეთის სამეფოს პოლიტიკურ აპარატს ამ მხრივ საკმაო საზრუნავი ჰქონდა. ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას უკვე გამოყოფილი მქონებელი ფენების (ქურუმები, მეფე, მხედართმთავრები, მონათმფლობელები, ვაჭრები და ა.შ.) ინტერესებისა და საკუთრების დაცვა შეადგენდა. ამით იყო შეპირობებული მეფის ხელისუფლების კავშირის სიმტკიცე აღნიშნულ ძალებთან. მეფეს ესაჭიროება დასაყრდენი, მხარის მიმცემი, მქონებელთ ესაჭიროებათ დამცველი – აი, საფუძველი, რომელსაც ემყარება, ჩვენის აზრით, ეს კავშირი.

სამეფო ხელისუფლების ერთ-ერთ ამოცანას სამეურნეო ცხოვრების რეგულირება და მისი წინსვლისათვის ხელის შეწყობა წარმოადგენდა. მისი როლი განსაკუთრებით ისეთი ღონისძიებების გატარებისასაა საგრძნობი, სადაც ტომისა და თემის ძალები უკმარია (მელიორაცია-არხთმშენებლობა და მოვლა, გზების წესრიგში ქონება, ფართო სამთამადნო წარმოება და ა.შ.). სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი კარგად ჩანს ძვ. წ. VI საუკუნეში აღებ-მიცემობის მოწესრიგებისათვის, მონეტის გამოშვებაში, რომელიც, როგორც ირკვევა, ძირითადად შინაური ბაზრის საჭიროებისათვით იყო გამოწვეული „...როგორც მონეტის ფასის განსაზღვრა, ისე მონეტის მოჭრის ტექნიკური საქმეც სახელმწიფოს ხვედრია... ის სფერო, სადაც ფული მონეტის სახით მიმოიქცევა, გამოიყოფა საქონელთა სამყაროს ***საყოველთაო*** მიმოქცევიდან როგორც საქონელთა შინაგანი მიმოქცევა, რომელიც შემოფარგლულია ამა თუ იმ სახელმწიფოს საზღვრებით“.[395] ამავე დროს გვაქვს მითითებანი საქალაქო ცხოვრების არსებობაზე (ეა, ხირადა, სტამენა, გვიმნიადა და ა.შ.). რიგი ადგილობრივი ქალაქებისა, ბერძნული ტრადიციის მიერ დაყენებულია ძველბერძნული პოლისების გვერდით (ეა, გვიმნიადა ...). მონეტის არსებობა წინაკლასობრივ საზოგადოებაში გაუგებარია. იგი მხოლოდ კლასობრივად აგებულ საზოგადოებაშია გასაგები. მისი არსებობა, იმავ დროს, იმდროინდელ კოლხურ სა-

[395] მარქსი კ., პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, 135.

ზოადოებაში ვაჭართა ფენის არსებობაზე უნდა მიგვითითებდეს, მაგრამ ამ მხრივ ანტიკურ ლიტერატურაში ჩვენთვის საინტერესო ხანისათვის რაიმე ცნობა არ შემონახულა.

იმდროინდელი კოლხეთის სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ მოვალეობას საგარეო მტრებისაგან სახელმწიფოს დაცვა და ახალი ტერიტორიების დაპყრობა შეადგენდა. ამ მხრივ უნდა შევნიშნოთ, რომ ძვ. წ. VI საუკუნისათვის კოლხას დიდი ტერიტორიული დანაკლისი აქვს განცდილი – დაკარგა ყველა ის ტერიტორია, რომლებიც პონტოს მთების სამხრეთით მდებარეობდა. მესხები, რომლებიც ჰეკატეს ცნობით (მისი წყაროს ცნობაა), კოლხური ტომია, აქემენიდური ირანის ადმინისტრაციულ დაყოფაში შედის და მისი მოხარკეა. ამ ხანაში, კოლხას საზღვრების გარეთაა ის ოლქი, საიდანაც კოლხას გაერთიანება დაიწყო (მტკვრის სათავეები). ამგვარად, ძვ. წ. VI საუკუნისათვის კოლხიდა ეკონომიურად და სოციალურად დაწინაურებული ქვეყანაა. ბარში კლასობრივი საზოგადოებაა, ხოლო მთის ტომები გვაროვნულობის სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებიან. სახელმწიფო,[396] რომლის წარმოქმნა VI საუკუნეში დასრულებული ჩანს, შინაგანი განვითარების წყალობით, რასაც არაკეთილსასურველი საგარეო პირობები ემთხვევა, ძვ. წ. I საუკუნის დამდეგისათვის ეცემა, რათა რამდენიმე საუკუნის შემდეგ უკვე ახალ (ფეოდალურ) საფუძველზე მოეწყოს.

§3. პოლიტიკური მდგომარეობა ძვ. წ. VI-II სს.

ბერძნულ და ლათინურ მწერლობაში დაცული ცნობები საშუალებას არ იძლევა დამაკმაყოფილებელი სისრულით გავითვალისწინოთ შავიზღვისპირეთის ქართველურ ტომთა პოლიტიკური თავგადასავალი, მაგრამ გადარჩენილი ცნობები უაღრესად ძვირფასია და შესაძლებელს ხდის გავითვალისწინოთ პოლიტიკური მდგომარეობის სურათი დროის განსაზღვრული მონაკვეთისათვის.

ავტორთა რიცხვი, რომელთაც ჩვენთვის საინტერესო თემისათვის ასე თუ ისე ხელმოსაკიდი ცნობები მოეპოვებათ, რამდენიმეა და მათ შორის ყველაზე მეტი ცნობა ჰეროდოტესა და ქსენოფონტს აქვთ დაცული.

ჰეროდოტეს (484-425 წწ.) ცნობები საერთოდ შეეხება თითქმის ყველა ქართველურ ტომს, ტომობრივ გაერთიანებებს თუ სახელმწი-

[396] ჯანაშია ს. ნ., ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში, 153 და შმდგ.

ფოებრივ წარმონაქმნებს და ასახავს ამ ტომების პოლიტიკურ მდგომარეობას აქემენიდთა ხანაში, ვიდრე ჰეროდოტეს დრომდე.[397]

ჰეროდოტეს ცნობები, როგორც შემოწმებით ირკვევა, სანდოა და სათანადო ოფიციალური თუ სხვა სახის წყაროებზე დაყრდნობითაა დაწერილი. მისი ცნობების ღირებულება მით უფრო ძვირფასია, რომ ეს არის ანტიკურობის პირველი ისტორიკოსი, რომელმაც თავის შრომაში ასეთი ადგილი დაუთმო ქართველური ტომების თავგადასავლის გადმოცემას და რომლის შრომაც ჩვენამდე შემოინახა.

დიდი ღირებულებისაა V-IV საუკუნის ბერძენი ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის ქსენოფონტის ცნობები, რომლებიც, ძირითადად, თავმოყრილია მის „ანაბასისში“ და ეხება შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მოსახლე ქართველურ ტომებს, თანაც, ალბათ, უმთავრესად იმ ტომებს და ტომობრივ გაერთიანებებს, რომლებთანაც შეხება მოუხდა კუნაქსას ველიდან უკანდახეულ 10000 ბერძენ მოლაშქრეს. ქსენოფონტის ცნობები ერთგვარად აგრძელებენ ჰეროდოტეს მონათხრობს და გვისურათებენ იმ ევოლუციას ქართველური ტომების პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელიც ჰეროდოტეს მიერ აღწერილი მდგომარეობის შემდგომ მომხდარა; ეს ევოლუცია, როგორც ქვემოთ დავინახეთ, აქემენიდური ირანის საზიანოდ წარმართულა. ქსენოფონტი გზადაგზა იძლევა ცნობებს ზოგიერთი ტომის პოლიტიკური ინსტიტუტის შესახებაც.

ჩვენ ხელთ არსებული მასალების საფუძველზე პოლიტიკური განვითარების სურათი ძველი წელთაღრიცხვის VI-II საუკუნეებში შემდეგნაირად გვესახება:

VI საუკუნეში აქემენიდური ირანის გავლენა, როგორც ჰეროდოტის ცნობით დასტურდება, კავკასიის ქედამდე ვრცელდება,[398] მაგრამ ტომების ერთი ნაწილი სხვაგვარ პოლიტიკურ დამოკიდებულებაში არიან აქემენიდებთან, ვიდრე მეორე ნაწილი. ამიერკავკასიის სამხრეთი ნაწილი უშუალოდ შედის აქემენიდთა იმპერიაში და დარიოს I-ის ხანაში (521-485 წწ.) ქმნის რიგ სატრაპიებს. აქ მოსახლე ქართველური ტომები XVIII და XIX სატრაპიებში ყოფილა გაერთიანებული და 500 ტალანტის გადახდა ჰკისრებია ყოველწლიურად.[399] სულ სხვანაირ დამოკიდებულებაშია აქემენიდებთან კოლხეთი. მას ძღვნის მირთმევა და აქემენიდების სამხედრო მოკავშირეობა უკისრია.[400]

სამხედრო ძალების გამოყვანა აქემენიდური ირანის ყველა ქვეშევრდომი ტომისა და „მოკავშირის“ პირველი მოვალეობა იყო. ასეთი

---

[397] Herod., III, 94, 97. SC, I, 9; IV, 37, 38, 40. SC, I, 20-21; VII, 78, 79. SC, I, 56-58.
[398] Herod., III, 97. SC, I, 9.
[399] იქვე, III, 94. SC, I, 9.
[400] Herod., III, 97. SC, I, 9 და VII, 79. SC, I, 57.

მოვალეობა ეკისრათ ქართველურ ტომებს და მათ შორის კოლხეთის სამეფოსაც.[401]

როგორ უნდა ავხსნათ აქემენიდების (და მათი წინამორბედების) დამოკიდებულების თავისებურება კოლხეთისადმი?

VIII-VII საუკუნეები კოლხას სამეფოს ძლიერების ხანაა, როდესაც იგი მონაწილეობას იღებს სამხრეთ ამიერკავკასიის ტერიტორიულ-პოლიტიკურ გადანაწილებაში და ამ ნიადაგზე მედგარ ბრძოლებს აწარმოებს გაძლიერებულ ურარტუსთან, რომელმაც გაანადგურა დიაუხის სამეფო და მისი დიდი ნაწილი თავის პროვინციად აქცია.[402] ქართველურ ტომთა ის ჯგუფები, რომლებიც ძველი ასირიისა და ურარტუს შემადგენლობაში შედიოდა, ძვ. წ. VI საუკუნის დამდეგს შედის მიდიის სამეფოს შემადგენლობაში, რომელმაც, გაანადგურა რა ასურეთის სამეფო, დაიპყრო კაპადოკია და არმენია.[403] მალე (547-546 წწ.) მიდიის სამეფო და მისი დანაპყრობი ტერიტორიები გადადის კიროსის (558-529 წწ.) მიერ შექმნილ სპარსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში. კიროსი კაპადოკიასა და არმენიას იარაღით იმორჩილებს და თავისსავე სიცოცხლეში ახერხებს ლიდიისა და ბაბილონის სამეფოების განადგურებას.[404]

კულხა ამ დროსაც დამოუკიდებელი გაერთიანებაა; იგი თვალს ადევნებს ამბების განვითარებას წინა აზიაში და ხედავს რა მიდია-სპარსეთის ძლიერი იმპერიის შექმნას, ცდილობს შესაფერისი პოლიტიკური ხაზი გაატაროს. მაგრამ, ეტყობა, კულხა იოლად ვერ გადარჩენია ახალი იმპერიის შემოტევას. სპარსელებს ძალა შესწევდათ ამ ქართული გაერთიანების დამარცხება-განადგურებისათვის, მაგრამ მათ ამისაგან თავი შეუკავებიათ – კულხასთვის ტერიტორიის დიდი ნაწილი ჩამოუშორებიათ (მესხეთი, კოლა და ა.შ.), მათ შორის ის პროვინციაც, რომელიც კულხას გაერთიანების წარმოქმნისათვის ბრძოლის ცენტრს, დამწყებს წარმოადგენდა, და რომელმაც სახელი მისცა მთელ გაერთიანებას (ჰეკატე მილეთელის მესხები – ეს „კოლხური ტომი“, ჰეროდოტის ცნობით, დარიოს I-ის სატრა-პიაში შედის და აქემენიდების მოხარკეა) და კოლხეთის სამეფო დაუტოვებიათ, როგორც მეძღვნე ქვეყანა. უკანასკნელი ვალდებულება მოწმობდა კოლხეთის დამოკიდებულ მდგომარეობას აქემენიდე-ბისადმი. კოლხეთის გადარჩენაში, ცხადია, მთავარი როლი იმ შეუპოვარმა ბრძოლამ შეასრულა, რომელიც ქართველურ ტომებს სპარსელების წინააღმდეგ

---

[401] იქვე, VII, 78. SC, I, 57.

[402] მელიქიშვილი გ., უძველესი სამეფო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, „მიმომხილველი“, II, თბ., 1951, გვ. 219-225.

[403] Авдиев В. И., История древнего Востока, М., 1953, стр. 534.

[404] იქვე, გვ. 536.

უწარმოებიათ. მძიმე ბრძოლებით შეწუხებულ სპარსელებს გადაუწყვეტიათ კოლხეთის სამეფო დაეტოვებინათ, როგორც საფარი ჩრდილოეთის ნომადების წინააღმდეგ. (მომთაბარე ტომები გამუდმებით ებრძვიან და იჭრებიან იმპერიის ტერიტორიაზე. იმპერიას სისხლისმღვრელი ბრძოლების წარმოება უხდება. ასეთ ბრძოლაში იღუპება სპარსეთის იმპერიის ფუძემდებელი კიროს II (529 წ.).[405]

ქართველური ტომები, როგორც ირკვევა, ადრე განთავისუფლებულან აქემენიდთა ბატონობისაგან. ქსერქსეს (486-465 წწ.) „დევების წარწერაში", რომელიც ძვ. წ. 485 წლითაა დათარიღებული, უკვე არც ერთი ქართული ტომი აღარ იხსენიება.[406] აქედან შეიძლება დაგვესკვნა, რომ 485 წლისათვის ქართველი ტომები უკვე ავტონომიური უნდა ყოფილიყვნენ. ეს აზრი მით უფრო მისაღები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ აქემენიდების იმპერია განუწყვეტლივი აჯანყებების ალში იყო გახვეული; იგი ერთმანეთისაგან ეთნიკურად განსხვავებულ, სხვადასხვა სოციალ-ეკონომიურ საფეხურზე მდგომი ხალხების ხელოვნური ნაკრები იყო, რომელშიც სეპარატისტული ტენდენციები არასოდეს გამოლეულა. ალბათ, იმპერიისათვის ერთ-ერთ მძიმე მომენტში ქართველურ ტომებს უსარგებლიათ ხელსაყრელი ვითარებით და თავისუფლება აღუდგენიათ, რისი ფასიც მათ ადრევე იცოდნენ და რისთვისაც ასურეთთან, ურარტუსთან და სხვა მოძალადეებთან საუკუნეების სიგრძეზე უბრძოლიათ.

ქართველ ტომებს რომ ჰეროდოტის დროისათვის მეხარკეობისაგან თავი დაუღწევიათ, ამას გვავარაუდებინებს მისივე (ჰეროდოტის) ერთი ცნობა: გადმოგვცემს რა, რომ კოლხებმა ნებაყოფლობით იკისრეს საჩუქრების (ἡ δωρεά) მირთმევაო, აგრძელებს, ***ისინი ჩვენ დრომდეც კი ასევე იქცევიანო.***[407] ჰეროდოტეს ეს გარემოება, როგორც ტექსტიდან ჩანს, ხაზგასმით აქვს აღნიშნული, ხოლო როდესაც ლაპარაკობს სხვა ქართველური ტომების მოხარკეობაზე, გადმოგვცემს ნამყო დროის ფორმით და საჭიროდ არ ცნობს რაიმე განმარტება მისცეს. როდესაც მის მიერ დარიოს I ხანისათვის აღწერილი ამბავი მის დროსაც განაგრძობდა არსებობას, იგი ამის შესახებ საჭიროდ ცნობს შენიშვნა გაუკეთოს, ხოლო როდესაც აღწერილი ვითარება უკვე აღარ არსებობს, იგი საკმარისად მიიჩნევს გადმოგვცეს მის შესახებ ნამყო დროის ფორმით.[408] ამგვარად, „დევების წარწერის" (485 წ.) მონაცემები

---

[405] Авдиев В., დასახ. ნაშრ., 538.

[406] Струве А., Надписи Ксеркса «о дэвах» и религиозные верования персов, ИАН, II, 3, 1944. აფაქიძე ა., შენიშვნები Scithica et Caucasica-ს ახალი გამოცემის გამო, საქ. მუზ. მოამბე, XV-B, თბ., 1948, 91

[407] Herod., III, 97. SC. I, 9.

[408] Herod., III, 97. SC, I, 9.

ჰეროდოტის ცნობის შინაარსზე დაკვირვებითაც მართლდება, მაგრამ ამ გარემოებას საეჭვოს ხდის ქართველური ტომების მონაწილეობა ქსერქსეს არმიაში;[409] აქ შეიძლება ორი გარემოება დავუშვათ: 1. ქართველური ტომებისაგან შემდგარი ნაწილები შეადგენენ მოქირავნეებს, ან 2. ეს ტომები აქემენიდთა „მოკავშირეები" გამხდარან, ე.ი. მათი ბრძოლა განთავისუფლებისათვის კომპრომისული მორიგებით დამთავრებულა: აქემენიდებს უარი უთქვამთ ხარკის მოთხოვნაზე, ხოლო ქართველური ტომები „მოხარკის" მდგომარეობიდან „მოკავშირის" მდგომარეობამდე ამაღლებულან.

ძვ. წ. V საუკუნის დამლევისათვის შავი ზღვის სანაპიროების ქართველური ტომები აქემენიდთა შესახებ ცოტას თუ ფიქრობენ და მათგან სრულ დამოუკიდებლობაში არიან. აქემენიდთა სატრაპიების შემადგენლობაში მხოლოდ არმენები და ზოგიერთი მათი მეზობლები არიან.[410]

მართალია, ძვ. წ. V საუკუნის დამლევს შავიზღვისპირეთის ტომების აქემენიდებისაგან დამოუკიდებელი მდგომარეობა უცილობელი ფაქტია, მაგრამ ეს ტომები პოლიტიკურ ერთეულებად გაერთიანებული არ ჩანან. მათი დაქუცმაცებულობა ხშირად თემობრივ დანაწილებამდეც არის მისული, როგორც ამის შესახებ მოსინიკების მაგალითიდან შეიძლება ვივარაუდოთ.[411] მართალი უნდა იყოს თ. მიქელაძე, როდესაც ასეთსავე მაგალითს შკვითინებშიც ხედავს, სიტყვა „სკვითინის" ეტიმოლოგიის ძიებისას.[412] მ. მაქსიმოვა, იხილავს რა ძვ. წ. V-IV ს.ს. პონტოს სანაპიროების ტომების პოლიტიკური ყოფის ფორმებს, ამბობს, რომ ეს ტომები მსხვილ სატომო გაერთიანებებად არიან უკვე გაფორმებული და თავიანთ საგარეო ურთიერთობაში სრული დამოუკიდებლობით სარგებლობენ; თუმცა ისინი ხშირად ერთი გაერთიანების შიგნითაც ებრძვიან ერთმანეთს, მაგრამ სხვა ტომებისა და ხალხების მიერ ერთგვარ მთლიანობად აღიქმებიან.[413] ამ აზრს, მაგრამ სხვა დასაბუთებით, ეთანხმება თ. მიქელაძეც.[414]

ირკვევა, რომ ძვ. წ. V-IV სს. მიჯნაზე პონტოს სანაპიროს ქართველური ტომები ერთნაირი პოლიტიკური ინსტიტუტების მქონენი არ არიან. ამ ინსტიტუტების ფორმები დამოკიდებულია ამ ტომების სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონეზე. თ. მიქელაძის შრომის

---

[409] იქვე, II, 79. SC, I, 57.
[410] იხ. „ანაბასისის" შესაბამისი ადგილები, და განსაკუთრებით VII, §25.
[411] იქვე, V, 4, §3.
[412] მიქელაძე თ., ქსენოფონტის ანაბასისი" და მისი ცნობები ქართველი ტომების შესახებ (ხელნაბეჭდი), თბ., 1953, გვ. 286.
[413] Максимова М., Местное население юго-восточного Причерноморья по «Анабасису» Ксенофонта, ВДИ, 1951, №1, стр. 258.
[414] დასახ. ნაშრ., გვ. 286 და სხვა.

„ქსენოფონტის „ანაბასისი“ და მისი ცნობები ქართველი ტომების შესახებ“ ნაკლი იმაშიც მდგომარეობს, რომ მასში ერთ სიბრტყეშია განხილული მთისა და ბარის სოციალური მდგომარეობის სურათი და მხედველობაში არ არის მიღებული ის განსხვავება, რომელიც ამ მხრივ მთასა და ბარს შორის არსებობს. მთა სოციალური განვითარების მხრივ, როგორც ცნობილია, ამ დროს დიდად ჩამორჩება ბარს და ამა თუ იმ ტომის ცხოვრებაზე დაკვირვებისას ეს გარემოება მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ.

თვით იმდროინდელი ბარის მოსახლეობაც არ წარმოადგენს ერთ მთლიანს. ზოგიერთი ნაწილი ზღვის სანაპიროებისა ადრე ებმება კლასობრივი საზოგადოების ჭაპანში, ზოგიერთი კი უფრო დიდხანს ინარჩუნებს თემურობისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. პონტოს ტომების პოლიტიკური მდგომარეობა არც მთლად ისეთია, როგორადაც მას ზოგიერთი მკვლევარი გვიხატავს (მაქსიმოვა, მიქელაძე); თითქოს V-IV საუკუნეების მიჯნაზე ისინი პოლიტიკურად თავისუფალი არიან და თავის საქმეებს თვითონ განაგებენ: VI-V საუკუნეებში აქ უკვე მრავალი ძველბერძნული სავაჭრო ფაქტორია-ქალაქია, რომლებიც იმავ დროს მცირე მასშტაბის სახელმწიფოებიც არიან; ისინი ნაწილობრივ ადგილობრივი მოსახლეობის ექსპლუატაციის ხარჯზე ცხოვრობენ და ჰყავთ პოლიტიკურად დაქვემდებარებული ადგილობრივი მოსახლეობით დასახლებული ოლქები. „История классической древности – это история городов, но история городов основанных на земельной собственности и на земледелии“.[415] მიწათმოქმედების საკმაოდ დიდი როლი შეიმჩნევა თითქმის ყველა ძველბერძნულ ქალაქში, მათ შორის ისეთებშიც, რომელნიც უპირატესად სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებად იყო ცნობილი.[416] ყოველი კოლონია-ქალაქის დაარსებას თან ახლდა ადგილობრივ ტომთა მიწა-წყლის დაკავება-დაპყრობა და მისი გადაქცევა ქალაქ-სახელმწიფოს საკუთრებად. „Отношение к земле, как к собственности, всегда опосредствованно захватом (мирным или насильственным) замель племенем, общиной, имеющей более или менее естественно сложившуюся или уже исторически развитую форму“.[417] პონტოში ჩვენთვის საინტერესო ბერძნული კოლონიების შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ, ვითვალისწინებთ რა სხვა შესაბამის მაგალითებს, მივდივართ დასკვნამდე, რომ ქართველური

---

[415] Маркс К., Формы, предшествующие капиталистическому производству, ВДИ, 1940, №1, стр. 15.
[416] Невская В. И., Византия в классическую и эллинистическую эпоху, «Причерноморье в античную эпоху», №4, М., 1953.
[417] Маркс К., ЦИТ, труд. стр. 17.

ტომების საცხოვრისის ერთი ნაწილი, რომელიც ბერძნული სავაჭრო ფაქტორია-ქალაქების ირგვლივ მდებარეობდა, პოლიტიკურად ამ ქალაქების საკუთრებას წარმოადგენდა. სიტყვამ მოიტანა და ზედმეტი არ იქნება აქვე შევნიშნოთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება მოახალშენე ბერძნებისადმი სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირია – ქალაქის დაარსებისას შევიწროებით გამოწვეული „წყენა", როგორც ჩანს, მალე „მეგობრული" (საქმოსნური) ურთიერთობით იცვლება, მაგრამ ბრძოლისა და შუღლისათვის ნიადაგი მუდამ მზადაა. პონტოს სანაპიროებზე ეს შუღლი შეპირობებულია მთისა და ბარის წინააღმდეგობით, ბარის მიერ მთის შევიწროებით, რაც ძირითადად ტყვეთა ვაჭრობაში პოულობს გამოხატულებას. „ანაბასისში" დაცულია ცნობა, რომლის მიხედვითაც პონტოს სამხრეთ სანაპიროს ბერძენ მოახალშენეებს განსაკუთრებული მტრობა მთის მცხოვრებლებთან ჰქონიათ (ტრაპეზუნტელების მტრობა დრიალებთან).[418] თ. მიქელაძე ფიქრობს, რომ ეს მტრობა ტრადიციულია და წარმოიშვა კოლონიების დაარსებისას, როდესაც ადგილობრივ მცხოვრებლებს მიწები წაართვეს.[419] მაგრამ იმ წანამძღვრებიდან, რომლებიც მას „ანაბასისიდან" აქვს აღებული, ასეთი დასკვნა არ გამომდინარეობს: კოლონია-ქალაქი მდებარეობს ზღვის ნაპირას: კოლონიის მეზობელი, ირგვლივ მცხოვრები კოლხები, რომელთაც, ალბათ, კოლონიის დაარსებისას მართლაც წაართვეს მიწები, მათთან კეთილმეგობრულ განწყობილებაში არიან, ხოლო სადღაც მთაში მცხოვრები დრიალები მტრობენ მათ. აქ მტრობა, ცხადია, მიწის (ტერიტორიის) მიტაცებით კი არაა შეპირობებული, არამედ იმ ურთიერთობით, რაც მთასა და ბარს ოდითგანვე ახასიათებს. იმ ხანის მთა ეკონომიურად სუსტია და ნიადაგის სიმწირის გამო შეუძლია დაიტიოს მოსახლეობის მკაცრად განსაზღვრული რაოდენობა. ამიტომ ძარცვა-გლეჯა ამ მოსახლეობის საარსებო მარაგის შევსების ერთ-ერთი გზაა. ჩვენ ვიცით, რომ „ანაბასისიდან" 1000 წლის შემდეგაც აქ მოსახლე მთის ტომები ცნობილი იყვნენ თავიანთი თარეშით და ძალიან აწუხებდნენ რომაულ ქალაქებს. იმპერატორები იძულებული გამხდარან მათთვის ყოველწლიურად ოქრო ეგზავნათ, ოღონდაც ძარცვა-გლეჯაზე ხელი აეღოთ.[420] პროკოპი კესარიელი ჭანებში ძველ სანებს ხედავს, ხოლო არიანე დრილებს მიჩნევს სანებად,[421] ასე რომ ჭანები ისედაც (ლიტერატურულადაც) დაკავშირებული არიან დრილებთან და ანტიკურ

---

[418] Xenoph., V, 2, §2.
[419] მიქელაძე თ., დასახ. ნაშრ., გვ. 300.
[420] Proc. Caess., 1) BP, 1, 15. გეორგიკა. II, საქ. მუზ. მოამბე, VI, გვ. 329. 2) De aedificiis, III, 6. გეორგიკა, II. საქ. მუზ. მოამბე, VIII, გვ. 266-272.
[421] PPE., §15. SC, I, 222.

ლიტერატურაში არცთუ „წესიერი“ ხალხის სახელი აქვთ მოპოვებული. მეკობრეობისაკენ მთის მცხოვრებლებს, როგორც აღვნიშნეთ, ცხოვრების პირობები უბიძგებდა, ხოლო მეკობრეობა, თავის მხრივ, ხელს უშლიდა, აფერხებდა კოლონიის სავაჭრო-ეკონომიურ საქმიანობას (ტრაპეზუნტსა და ზღვისპირა სხვა ქალაქებს არ შეეძლოთ მარტო საზღვაო ვაჭრობით დაკმაყოფილებულიყვნენ. ისინი ახდენენ საქონლის გაცვლას შიდამატერიკულ ცენტრებთან, საითკენაც გზები პონტოს მთაგრეხილებზე გადადის). აი, კოლონიებისა და მთის მცხოვრებლების მტრობის ერთ-ერთი ნამდვილი მიზეზი. თუ ბერძნულ კოლონიებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის მიწისთვის წარმოშობილი მტრობის ტრადიცია V საუკუნის დამლევამდე უნდა ყოფილიყო შემონახული, ის, პირველ ყოვლისა, ბარის მცხოვრებლებთან უნდა შენახულიყო.

სულ სხვა საფუძველზეა აგებული ტომებისა და ტომობრივი გაერთიანებების ურთიერთობანი. პროფ. მ. მაქსიმოვას აზრით, პონტოს სანაპიროს ტომების ურთიერთობის ღერძი საძოვრებისათვის ბრძოლაა, რისი მაგალითიც, მისი აზრით, „ანაბასისში“ მრავლად გვხვდება.[422] ეს აზრი ჯერ კიდევ 20 წლის წინათ იყო წამოყენებული საბჭოთა ისტორიოგრაფიაში,[423] მაგრამ ჯერჯერობით მხარდაჭე-რა მხოლოდ მაქსიმოვას მითითებულ ნაშრომში ჰპოვა. პონტოს სანაპიროს ქართველური ტომების ურთიერთობის ღერძი საძოვრების საკითხი ვერ იქნებოდა, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ ეს ტომები ბინადარ, დამჯდარ ცხოვრებას ეწევიან. ამასთან, მ. მაქსიმოვა ზოგიერთ ასეთ ტომს თვლის მომთაბარე-მესაქონლედ, რომელიც სინამდვილეში შერწყმული ტიპის მეურნეობის მქონეა (მათ შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი და აქ აღარ შევეხებით).

„ანაბასისის“ ცნობებით ირკვევა, რომ დამორჩილებულის ინსტიტუტი ამ დროს ქართველურ ტომებში არ არის უცხო რამ და ბრძოლა წარმოებს არა მარტო ტომობრივ კავშირებსა თუ ცალკეულ ტომებს შორის (მოსინიკები – ხალიბები, კარდუხები – არმენები), არამედ ტომობრივი კავშირებისა თუ ცალკეული ტომების შიგნით – თემებს შორის (შკვითინებში, მოსინიკებში). ეს ბრძოლა, როგორც ირკვევა, პოლიტიკური ჰეგემონის მდგომარეობის მოპოვების, შენარჩუნების ან უკან დაბრუნებისა და მუდმივი შემოსავლის წყაროს მოპოვებისათვის წარმოებს. საინტერესოა დაკვირვება, როგორი გულმოდგინებით ცდილობენ ეს ტომები და თემები (შკვითინები, მოსინიკები, არმენები) 10000 უკანდახეული მეომარი ამ ბრძოლაში გამოიყენონ.

---

[422] Максимова М., Местное население … ВДИ, 1951, №1, стр. 258.
[423] Манандян Я., О торговле и городах Армении, Эр. 1930, стр. 16-17.

„ანაბასისში“ მოიპოვება ერთადერთი ცნობა, რომელიც პონტოს სანაპიროს ერთ-ერთი ქართველური ტომის პოლიტიკურ ინსტიტუტს ეხება – ესაა ცნობა მოსინიკების „მეფეებზე“. მ. მაქსიმოვამ მათში „მეფე-ქურუმი“, „მეფე-ღმერთი“ დაინახა, რომელიც დადასტურებულია სხვა ხალხების ეთნოგრაფიული მასალით.[424] მაქსიმოვას აზრს უშენიშვნოდ იზიარებს თ. მიქელაძეც.[425] მოსინიკების ეს ვითომდაც მეფეები რაღაც უდღეური ჰეგემონები არიან, რომელთაც სიკვდილიც კი არ შეუძლიათ თავისი სურვილის მიხედვით. მოსინიკებში ნამდვილი სამხედრო-პოლიტიკური ჰეგემონები ისინი უნდა იყვნენ, რომელთაც ქსენოფონტი „არხონტებად“ იხსენიებს (ὁ ἄρχων).[426]

ამდროინდელი კოლხეთის შესახებ ქსენოფონტს მხოლოდ ის აქვს აღნიშნული, რომ ისინი „ავტონომიური“ იყვნენ,[427] მაგრამ აქ მას მხედველობაში ე. წ. „მცირე კოლხეთი“ აქვს. ე. წ. „დიდ კოლხეთს“ იგი სხვა სახელით იცნობს.

კოლხეთის სამეფოს შესახებ ძვირფასი ცნობა სტრაბონს აქვს დაცული თავის „გეოგრაფიაში“. იგი ერთგან გადმოგვცემს, რომ მედეას მამის – აეტის მომდევნო მეფეებს, „ფლობდნენ რა სკეპტუხიებად დანაწილებულ ქვეყანას, არ გააჩნდათ განსაკუთრებული ძლიერება“.[428] აკად. ს. ჯანაშია, ანალიზს უკეთებს რა ამ ცნობას, შენიშნავს, რომ „...სკეპტუხიებად დაყოფა“ ნიშნავს არა ჩვეულებრივ ადმინისტრაციულ დანაწილებას (ასეთი რამ არ შეიძლებოდა გამხდარიყო მეფეთა დასუსტების მიზეზი), არამედ მოასწავებს ცენტრალური ხელისუფლების დაქუცმაცებასა და დაქსაქსვას, გარკვეული სახის დეცენტრალიზაციასაც“.[429] სწორედ ასეთი დასუსტება იყო ის ხელსაყრელი ვითარება, რომელმაც ასე იოლად შეაძლებინა მითრიდატ VI ევპატორს კოლხეთის სამეფოს დაპყრობა.[430]

სტრაბონის აღნიშნული ცნობა დადასტურებას პოულობს კოლხეთის შემდგომი დროის სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაში, აქედანვე შეიძლება მისი ახსნაც.

---

[424] Максимова М., Местное население…, ВДИ, 1951, №1, стр. 260.
[425] მიქელაძე თ., დასახ. ნაშრ., გვ. 297.
[426] Xenoph., V, 4, §3. SC, I, 79.
[427] იქვე, VII, 8, §25.
[428] Strab., XI, 2, §18. SC, I, 137.
[429] ჯანაშია ს. ნ., ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრ. II, თბ., 1952, გვ. 311.
[430] Strab., იქვე.

§4. პონტოს სამეფო და კოლხეთი

ძვ. წ. II-I საუკუნეებს მიჯნაზე შავი ზღვის სანაპიროს ქართველური ტომები ერთ პოლიტიკურ გაერთიანებად არის წარმოდგენილი – ესაა პონტოს სამეფო, ელინისტური აზიის ერთ-ერთი დიდი პოლიტიკური ერთეული.

დიადოხური ომების დასასრულისათვის უკვე მოიხაზა ახალი ელინისტური სახელმწიფოების კონტურები: სირია და მცირე აზიის სამხრეთი ნაწილი სელევკს ხვდა წილად, ხოლო მცირე აზიის დიდი ნაწილი ლისიმახმა შეუერთა თავის სამფლობელოს.

ძვ. წ. IV საუკუნის დამლევსა და III საუკუნის დამდეგს მცირე აზიაში ლისიმახის სამფლობელოთაგან რამდენიმე დამოუკიდებელი ადგილობრივი პოლიტიკური ერთეული წარმოიქმნა. მცირე აზიის ბევრ ადგილობრივ ტომს უკვე აშკარად გამოხატული კლასობრივი სტუქტურა ჰქონდა და პოლიტიკური ერთეულის გაფორმებისათვის ბრძოლის მეთაურის როლის შესრულება აშკარად შეეძლო. მეორე მხრივ, მცირე აზიაში უკვე ძველი აღმოსავლეთის ხანიდან მონათმფლობელური სახელმწიფოები და ქალაქ-სახელმწიფოები არსებობდნენ.

ძვ. წ. IV საუკუნის დამლევს პერდიკას დევნისაგან არმენიაში თავშეფარებული კაპადოკიის მეფის შვილი არიატი ახერხებს ანტიგონის (ძვ. წ. 301 წ.) კაპადოკიიდან განდევნას, იბრუნებს მამულს და სამხრეთ კაპადოკიაში დამოუკიდებელ სამეფოს აარსებს.[431] ცოტა ხნის შემდეგ, კერძოდ ძვ. წ. 297 წელს, ფორმდება ბითინიის სამეფო, რომელშიც ბითინია და პაფლაგონია ერთიანდებიან. ლისიმახის სამფლობელოს გამოეყო, აგრეთვე, მეორე ადგილობრივი დინასტი აქემენიდთა სახლიდან, მითრიდატი, რომელმაც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე (პონტოს ანუ ჩრდილო კაპადოკია) შექმნა დამოუკიდებელი სამეფო, რომელიც ისტორიაში პონტოს სამეფოს სახელითაა ცნობილი.

პონტოს სამეფოს დამაარსებელი მითრიდატე I ჯერ ანტიგონის სარდალი იყო, შემდეგ კი ლისიმახის. იგი სარგებლობს ლისიმახის დამარცხებითა და სიკვდილით (ძვ. წ. 281 წ.) და თავს საგამგეოდ გადაცემული ოლქის მეფედ აცხადებს.[432] ასე წარმოისახა სამეფო, რომელსაც ისტორიის ჩარხის ტრიალმა, შემდეგში, ანტირომაულად განწყობილი ელინისტური აღმოსავლეთის მედროშეობა არგუნა.

მითრიდატე I ჩქარა ერევა ელინისტური სახელმწიფოების ურთიერთბრძოლაში და უკვე ძვ. წ. 278 წელს ნიკომედ ბითინიელთან კავშირში ქირაობს გალატთა ტომების სამხედრო ძალებს და ორი

---

[431] Ранович А. Б., Эллинизм и ее историческая роль, М-Л, 1950, стр. 94-96.
[432] იქვე, 95.

წლის განმავლობაში აოხრებს ანტიოქოზ I-ის (280-262 წწ.) მცირეაზიულ სამფლობელოებს. შემდეგ კი ამ ტომებს ჩრდილოეთ ფრიგიაში ასახლებენ და ამით ქმნიან ერთგვარ ბარიერს ანტიოქოზ I-ის წინააღმდეგ.[433] სელევკ II (247-226 წწ.) იძულებულია ხელშეკრულებებითა და საქორწინო კავშირით უზრუნველყოს კაპადოკიისა და პონტოს ნეიტრალიტეტი, რაც მას ეგვიპტის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სჭირდებოდა.[434]

როდესაც მითრიდატე I და ნიკომედ ბითინიელი ფრიგიას გალატებით ასახლებდნენ, მათ აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ეს მიზეზი გახდებოდა პერგამის მნიშვნელობის ზრდისა, რომლის მმართველებმა III საუკუნის შუახანებში მოახერხეს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, რომელმაც არაერთი უსიამოვნება მიაყენა პონტოსა და ბითინიას.[435]

ძვ. წ. III საუკუნის დამლევს ელინისტური აღმოსავლეთის ჰორიზონტზე სრულიად ახალი ძალა გამოჩნდა – რომაელებმა პირველად შედგეს ფეხი აზიაში საომარი ოპერაციების საწარმოებლად. ძვ. წ. 190 წელს მაგნეზიასთან ისინი ამარცხებენ ანტიოქოზ დიდს (223-187 წწ.), რაც კიდევ უფრო აძლიერებს პერგამის სამეფოს და ასუსტებს პონტოს მეფის პოზიციებს, რომელსაც დასავლეთისაკენ ტერიტორიული ინტერესები უჩნდება. მიუხედავად იმისა, რომ ძვ. წ. 179 წელს რომაელების „ხათრით“ პონტოს, მცირე არმენიის, კაპადოკიის, ბითინიის და პერგამის მეფეები დებენ სამშვიდობო ხელშეკრულებას,[436] პონტოსა და პერგამის ურთიერთობა მაინც დაძაბული რჩება. პერგამის მეფე ევმენ II (197-160 წწ.) ჯერ ბითინიის მეფეს ამარცხებს (ცხადია, რომაელთა დახმარებით, რომელთა აგენტიც პერგამი იმთავითვე გახდა), ხოლო შემდეგ ებრძვის ფარნაკ პონტოელს.

ამ დროს პონტოს სამეფო ცდილობს თავისი საზღვრები დასავლეთისაკენ გადასწიოს, რაც პერგამის სასტიკ წინააღმდეგობას იწვევს. ფარნაკი ბრძოლიდან გამარჯვებული გამოდის, ევმენ II-ის ართმევს სინოპს და მას პონტოს სამეფოს დედაქალაქად აქცევს.[437] ყურადსაღები გარემოებაა!.. პონტოს მეფეს დედაქალაქი დასავლეთისაკენ გადააქვს. დედაქალაქის ღალისს იქით გადატანა პონტოს დასავლეთისაკენ ექსპანსიის მაუწყებელია. ამ ხანებში პონტოს შემდგომი წაწევა დასავლეთისაკენ აღარაა მოსალოდნელი, რადგან მომდევნო პერიოდებ-

[433] Тарн В., Эллинистическая цивилизация, М., 1949, стр. 30.
[434] Ранович, დასახ. ნაშრ., გვ. 117.
[435] Тарн, დასახ. ნაშრ., გვ. 33-34.
[436] Ранович, დასახ. ნაშრ., გვ. 127.
[437] Тарн, დასახ. ნაშრ., 45.

ში პერგამი ახერხებს გალატიის დამორჩილებას და თავის გავლენაში აქცევს კაპადოკიას.[438]

პონტოს სამეფო ძლიერების ზენიტზე მითრიდატე VI ევპატორის ხანაში ავიდა, მის დროსვე მოეღო ბოლო მის არსებობასაც. ამ პერიოდის შესახებ წყაროები განსაკუთრებით მრავლდება და კოლხეთის სამეფოს ისტორია ამ ხანაში პონტოს სამეფოს ისტორიის ნაწილია.

* * *

ტერიტორია, სადაც პონტოს სამეფო წარმოიქმნა, ძველთანაგვე ქართველური ტომების ადგილსაცხოვრისია. ეს ტომები პონტოს სამეფოს ეთნიკურ ბირთვს შეადგენენ.[439] თავდაპირველად პონტოს სა-მეფოში ე. წ. ტიბარენული ხალხები (ტომები) არიან გაერთიანებული, შემდეგ კი მათ ირგვლივ ხდება სხვა ქართველური ტომების შემოკრება. ***პონტოს სამეფოს ისტორია, იმავე დროს, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს ქართველური ტომების ისტორიაა*** და ამ ისტორიის გადმოცემით ჩვენ ოდნავადაც არ გავდივართ ჩვენი თემის ფარგლებიდან.

ქართველური ტომების სოციალ-ეკონომიურ განვითარებაზე VI-I საუკუნისათვის ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი, მაგრამ აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ მითრიდატე I-ს სახელმწიფოს შესაქმნელად ქართულ ტომებში შესაფერისი ნიადაგი უპოვნია – სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის ეს ტომები სავსებით მომზადებულნი ყოფილან. ეს გარემოება კიდევ ერთი საბუთია იმათ წინააღმდეგ, ვინც ამ ხანის ქართულ სინამდვილეში სახელმწიფოს არსებობის შესაძლებლობას უარყოფს.

ძვ. წ. II-I საუკუნეების მიჯნაზე, როგორც აღნიშნული იყო, გაძლიერებული მითრიდატე VI ევპატორი (120-63 წწ.) სარგებლობს კოლხეთის პოლიტიკური დასუსტებით და მას პონტოს სამეფოს უერთებს.[440] მითრიდატე VI თავისი ეპოქის (ელინიზმის ხანის) ერთ-ერთი ბრწყინვალე პოლიტიკური მოღვაწეა. ანტიკური ისტორიკოსების ცნობით, მას 22 ენა სცოდნია და მის მიერ დაპყრობილ ხალხებს თავიანთ ენებზე ელაპარაკებოდა თურმე. მითრიდატე VI თავისი ნიჭით, გამჭრიახობით და მოხერხებით ახერხებს უზარმაზარი იმპერიის შექმნას, რომლის შემადგენლობაში შედის: ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული ქალაქები, მცირე აზიის ჩრდილოეთი ნაწილი, რიგი სკივთურ-სარმატული ტომები, მცირე არმენია და ა.შ. ამავ დროს მას სამეგობრო კავშირი აქვს იბერიის, არმენიის და მიდიის მეფეებთან, რასაც ნათესაური ძაფების გაბმითაც

---

[438] იქვე.
[439] საქართველოს ისტორია, I, თბ., 1948, გვ. 60.
[440] ჯანაშია ს. ნ., ადრეული ფეოდალიზმი, შრ. II, 176.

ამაგრებს და აზღვევს. იმავ დროს ტიგრან II – დიდი არმენიის მეფე, ახერხებს სელევკიდების სახელმწიფოს საბოლოოდ განადგურებას (ძვ. წ. აღ. 83 წ.) და არმენიაზე მიერთებას.

როდის დაუპყრია მითრიდატე VI-ს კოლხეთი?

სტრაბონის ცნობით, მას კოლხეთი თავის განსაკუთრებული ძლიერების ხანაში დაუპყრია.[441] პლუტარქის ცნობით, ძვ. წ. 87 წლისათვის მითრიდატეს დაპყრობილი ჰქონდა რომაელთა სამფლობელოები მცირე აზიაში, ბითინია, კაპადოკია და ბოსფორი.[442] აპიანეს ცნობით, 89 წლისათვის კოლხეთი უკვე პონტოს შემადგენლობაშია.[443] ამ ცნობების საფუძველზე, ვგონებ, შეიძლება დასკვნა, რომ კოლხეთის პონტოსთან შეერთება II საუკუნის დამლევს ან I საუკუნის პირველ ათეულში უნდა მომხდარიყო.[444]

კოლხეთის დაპყრობას მითრიდატესათვის მრავალმხრივი მნიშვნელობა ჰქონდა:

ა) კოლხეთი ამ ხანისათვის ეკონომიურად დაწინაურებული ქვეყანაა, რომელსაც ეკონომიური კავშირები აქვს როგორც დასავლეთთან და სამხრეთთან, ისე აღმოსავლეთთან და ჩრდილოეთთან, რაზედაც არა ერთი ნუმიზმატიკური თუ სხვა რიგი არქეოლოგიური მონაპოვარი მიგვითითებს. ამდროინდელი კოლხეთი ცნობილი იყო განვითარებული მემთამადნეობით, სოფლის მეურნეობით, საფეიქრო წარმოებით, სატყეო მეურნეობით, მონათვაჭრობით და ა.შ. სტრაბონი გადმოგვცემს, რომ მითრიდატე VI ფლოტის ორგანიზაციისათვის ძირითად დახმარებას სწორედ კოლხეთიდან იღებდა.[445] რისი მიწოდება შეეძლო საამისოდ იმდროინდელ კოლხეთს? – ხე-ტყე, ლითონის სამაგრები, საიალქნე ტილო, თოკები, ფისი, ცვილი, ტყავეული და ტანსაცმელი, სამხედრო შენაერთები და გემების გაწვრთნილი ეკიპაჟები, ფულადი გამოსაღები, მონები, სელის ნედლეული და ა.შ.

ბ) კოლხეთი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო წარმოადგენდა ხიდს, რომლითაც შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროები სახმელეთო გზით ჩრდილო შავიზღვისპირეთს უკავშირდებოდა.[446] მას შემდეგ, რაც მითრიდატ ევპატორმა მოახერხა ბოსფორის სამეფოსა და საერ-

---

[441] Strab., XI, 2, §18. SC, I, 137.
[442] Plut., Sulla, SC, I, 488.
[443] APP, SC, I, 526.
[444] შდრ. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 438; მ. ბერძენიშვილი, ქ. ფოთის ისტორიისათვის, გვ. 129; მ. ინაძე, ფლავიუს არიანე ..., გვ. 87.
[445] Strab., იქვე, SC, I, 137. ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრ. II, 44-47.
[446] ლიტერატურა: Манандян Я., О местонахождении …, Историч. Записки, №25, М., 1948, 59. მისივე, Цель и направление подготовлявшегося Нероном Кавказского похода, Вопросы Истории, 1946, №7, 74. მ. ინაძე, ფლავიუს არიანე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, ხელნაბეჭდი, თბ., 1953, 46-49, 113...

თოდ ჩრდილო შავიზღვისპირეთის ხელში ჩაგდება, ზოგიერთი სკვითურ-სარმატული ტომების ჩათვლით, კოლხეთმა მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა,[447] როგორც სტრატეგიულმა პლაცდარმმა ჩრდილოეთის მორჩილებაში ყოლის საქმეში და როგორც სტრატეგიულმა რეზერვმა საგარეო საფრთხის შემთხვევაში, რაც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ არაერთხელ დაადასტურა.

გ) კოლხეთში, ქალაქ ფასიდთან მთავრდებოდა ელინისტური ხანის ერთი უდიდესი სავაჭრო გზათაგანი, რომელიც აღმოსავლეთს დასავლეთთან აკავშირებდა. პატროკლის (ძვ. წ. III ს. პირველი ნახევარი) ცნობით, ეს გზა ინდოეთში იწყებოდა და კასპიის ზღვიდან მტკვარზე შემოყოლით პონტოსკენ გადადიოდა.[448] სტრაბონი აღწერს ამ გზის იმ მონაკვეთს, რომელიც კოლხეთის ფარგლებში მდებარეობდა.[449] სტრაბონისა და პლინი სეკუნდის ხანისათვის[450] ეს გზა კეთილმოწყობილი ყოფილა. შავი და კასპიის ზღვის დამაკავშირებელ გზებს ელინისტური სამყარო დიდ მნიშვნელობას აძლევდა. პლინი სეკუნდთან დაცულია კლავდი ცეზარის ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ სელევკ ნიკატორს სურდა კასპიისა და შავი ზღვის არხით დაკავშირება, მაგრამ მოკლული იქნა (280 წ. – დ.ხ.) პტოლემეოს კერავნის მიერ და განზრახვა შეუსრულებელი დარჩა.[451] ამ გზის დიდ მნიშვნელობაზე ის გარემოებაც მიგვითითებს, რომ მის მიყოლებით დიდი რაოდენობით გვხვდება ელინისტური ხანის მცირე აზიასა და შავიზღვისპირეთში საყოველთაოდ გავრცელებული ე.წ. „ლისიმახის“ მონეტები,[452] რომელთა მიბაძვითაც ადგილობრივ, კერძოდ, კოლხეთში წარმოებს მონეტის გამოშვება.[453]

ფასიდ-კასპიის სავაჭრო გზის ერთი ძირითადი მონაკვეთის ხელში ჩაგდებით მითრიდატე ევპატორი თავს ითავისუფლებდა ტიგრანიდებისა და არშაკიდების შუამავლობისაგან აღმოსავლეთთან ურთიერთობაში, კერძოდ, ვაჭრობაში, რასაც პონტოსათვის მცირე მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა.

პონტოს სამეფოს ადმინიტრაციული აპარატი დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც იმ ეპოქის სხვა ელინისტური სახელმწიფოებისა. პროვინციების მმართველად ან უფლისწულები იგზავნებიან, ან მეფის

---

[447] APP, 64, SC, I, 527. 83 წ. მითრიდატე მანამდე ვერ ახერხებს აჯანყებული ბოსფორელების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას, სანამ კოლხიდას არ იმორჩილებს.
[448] Strab., XI, 7, §3. SC, I, 149-150.
[449] იქვე, XI, 2, §17. SC, I, 136; XI, 3, §4. SC, I, 139.
[450] Plin., VI, 13. SC, II, 178.
[451] იქვე, VI, 31. SC, II, 182.
[452] შდ. Пахомов, Монетные клады Азербайджана и Закавказья, 1927, стр. 16. კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950, გვ. 27.
[453] იქვე.

მეგობრები. კოლხეთში, როგორც სტრაბონი გადმოგვცემს, მეფის მეგობრები იგზავნებოდნენ ნაცვლებად; ერთხელ თვით სტრაბონის დედის ბიძა (მამის ძმა) მოაფერანი ყოფილა კოლხეთის მმართველი.[454]

ძვ. წ. I საუკუნის დამდეგს რომისა და პონტოს სამეფოს წინააღმდეგობის კვანძი მტკიცედ გაინასკვა. დაიწყო ე. წ. „მითრიდატეს ომების" სერია, რომელიც მთელი 30 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. მეომარი მხარეები აწყობდნენ შესვენებებს, რათა ახალი ძალები შემოეკრიბათ, შეევსოთ გამოფიტული რეზერვები და შეთხელებული არმიები, დაეთრგუნათ მოჯანყეები და შინაური მოწინააღმდეგეები და ა.შ. ეს ომები შავიზღვისპირეთის იმ ხალხებს აწვა მძიმედ, რომლებიც პონტოს სამეფოში შედიოდნენ. თითქმის ყველაფერი უექვივალენტოდ გადიოდა ამ ქვეყნებიდან და პონტოს მეფის ხაზინაში შედიოდა, რომელიც უძირო ქვაბს დამსგავსებოდა. იგი განუწყვეტლივ ცარიელდებოდა საომარ სამზადისში თუ ომების წარმოებისას. ხაზინის შესავსებად და საომარი ხარჯების დასაფარავად პონტოს მეფე, ბუნებრივია, არ ერიდებოდა განსაკუთრებული ზომების მიღებასაც. ასეთი შევიწროება არა ერთი აჯანყების საბაბი გამხდარა. ამასთან, ე. წ. „მითრიდატეს ომები" არღვევენ იმ ეკონომიურ კავშირს, რომელიც ეგეოსის აუზის ქვეყნებსა და შავი ზღვის სანაპიროების ქვეყნებს შორის ადრიდანვე არსებობდა. ესეც ერთ-ერთი ძირითადი მიზეზთაგანია, ჩემი აზრით, შავიზღვიპირეთში პონტოს საწინააღმდეგო განწყობილების ზრდისა. უკანასკნელი განსაკუთრებით იმ პროვინციებში შეიმჩნევა, რომლებიც პონტოსთან სუსტი ეკონომიური ძაფებით არიან დაკავშირებული და თანაც პოლიტიკური თვითმყოფობის ტრადიცია აქვთ. ერთ-ერთ ასეთ პროვინციათაგანს კოლხეთი წარმოადგენდა. პონტოს მეფეს აქ თავისი ნაცვალი ჰყავდა, რომელიც სამხედრო შენაერთებზე დაყრდნობით ქვეყანას მორჩილებაში აკავებდა. რომაელებთან პირველი ომის დროს, როგორც ჩანს, მითრიდატეს პროვინციების გარნიზონები შეუსუსტებია. ეს ხელსაყრელ ვითარებას ქმნიდა აჯანყების გამარჯვებისათვის, აჯანყების, რომელიც ზემოთ ხსენებული მიზეზების საფუძველზე წარმოიშობოდა.

ძვ. წ. 83 წელს, აპიანეს ცნობით, რომაელებთან ომიდან დაბრუნებული მითრიდატე ევპატორი ებრძვის აჯანყებულ კოლხეთსა და ბოსფორელებს. კოლხები თხოვდნენ მეფედ თქვენი შვილი მითრიდატე დაგვინიშნეთო. ამავე ცნობით, ამავე ცნობით მითრიდატე ევპატორს მათი თხოვნა დაუკმაყოფილებია და კოლხებიც დამშვიდებულან, მაგრამ შვილზე ეჭვი მიუტანია, ყველაფერი ეს მისი ჩაგონებით მოხდაო და

[454] Strab., XI, 2, §18. SC, I, 137.

სიკვდილით დაუსჯია.[455] რომაელი ისტორიკოსი აქ რაღაცას უნდა ურევდეს. არა მგონია, აჯანყებულ კოლხებს იმისთვის გამოედოთ თავი, რომ როგორმე ვეღირსოთ მითრიდატე მითრიდატის-ძე ჩვენი მეფე გახდესო. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ კოლხეთი და ბოსფორი ერთდროულად არიან აჯანყებული. ბოსფორის მონაწილეობა ამ აჯანყებაში გვაფიქრებინებს, რომ აქ საქმე გვაქვს არა რომელიმე სტიქიურ აფეთქებასთან, არამედ წინასწარ დაგეგმილ აჯანყებასთან, სადაც სამი ძალა იღებს მონაწილეობას – კოლხეთი, ბოსფორის სამეფო და ბერძნული სავაჭრო ქალაქები. ამ სამი მონაწილიდან ჩვენ არ გვეგულება არც ერთი, რომელიც პონტოსაგან განთავისუფლებაში უპირველეს ყოვლისა ეკონომიურ სარგებელს არ ხედავდეს. აჯანყებები პონტოს სამეფოს წინააღმდეგ – ეს სცენიდან გამავალი ელინიზმის წინააღმდეგ აჯანყებებიცაა, რომელმაც შავიზღვისპირეთის ეკონომიური განვითარების დამუხრუჭება დაიწყო, განვლო რა თავისი პროგრესულობის სტადია. ჩვენ შემთხვევაში, როგორც ჩანს, საქმე ერთგვარი კომპრომისული შეთანხმებით გათავებულია: მითრიდატე აღიარებს, რომ კოლხეთი სამეფოა, ხოლო კოლხები თანხმდებიან, რომ მეფედ მითრიდატეს შვილი დაჯდეს (მეფედ არამეფური ჩამომავლობის მქონის დანიშვნა უხერხული იყო). მითრიდატე, დგება თუ არა შესაფერი მომენტი, სარგებლობს რაღაც შემთხვევით და კოლხების „მეფეს“ სიკვდილით სჯის. ცნობა იმის შესახებ, თუ როგორი გამოხმაურება ჰპოვა ამ აქტმა კოლხებში, არ მოგვეპოვება, მაგრამ კოლხეთისა და მითრიდატეს ურთიერთობის შემდგომი განვითარებიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მითრიდატეს კოლხეთისადმი შერბილებული პოლიტიკის წარმოება გადაუწყვეტია, რითაც კოლხეთის მისდამი კეთილგანწყობილი დამოკიდებულების მოპოვება სურდა.* ამით იგი ერთბაშად რამდენიმე მიზანს ისახავს: ა) უპირიპირებდა ერთმანეთს ბოსფორსა და კოლხეთს, უფრო კი თიშავდა მათ, სპობდა მათი გაერთიანების (პონტოს წინააღმდეგ) საფუძველს. ასევე იქცეოდა ამ აქტით ბერძნული ქალაქების მიმართაც. ბ) ქმნიდა დასაყრდენს, რომელიც საიმედო და ერთგული იქნებოდა. მომდევნო ხანებში ჩვენ ვხედავთ, რომ კოლხეთი მითრიდატეს ერთგულია: კოლხები და სხვა ქართველური ტო-

---

[455] APP., 64, SC, I, 527.

* იქნებ ერთ-ერთ ღონისძიებად კოლხეთში ნაცვლის ინსტიტუტის მეფის ინსტიტუტად შეცვლაც ყოფილიყო. ფლორთან (ახ. წ. II ს.) დაცულია ტიტე ლივიუსის შემოკლებანი, სადაც პომპეუსის ლაშქრობის ხანისთვის (ძვ. წ. 65 წ.) მოხსენებულია კოლხეთის მეფე ოროზი (... regen Colchorum Orozen., I, 40, §27. SC, II, 258). აპიანე, აღწერს რა პომპეუსის ტრიუმფს რომში, გადმოგვცემს, რომ მასში მონაწილეობას იღებდა კოლხეთის მეფე ოლთაკი. (აპიანე – მითრიდატეს ომები. 117 SC, I, 537-538). როგორც ლივიუსთან (ძვ. წ. 59 – ახ. წ. 17 წ.), ისე აპიანესთან კოლხეთის მეფის შესახებ დაცული ცნობა არ უნდა იყოს დაუჯერებელი.

მები აქტიურად მონაწილეობენ მითრიდატეს მესამე ომში (74-63 წწ.), ხოლო პომპეუსისაგან დამარცხებული მითრიდატე ევპატორი გარბის კოლხეთში და 66-65 წლის ზამთარში ქ. დიოსკურიადაში რჩება, სადაც ატარებს სამზადისს და აწყობს გეგმებს რომში შესაჭრელად.[456] ცოტა ხნის შემდეგ კოლხეთში შემოიჭრა მითრიდატეზე დადევნებული პომპეუსი, რომელსაც ფასიდთან სერვილიუსის ფლოტი ელოდებოდა;[457] ფლოტს შავი ზღვის სამხრეთი და აღმოსავლეთი სანაპირო უნდა შეეკრა. 63 წელს მითრიდატე ევპატორი იღუპება – ელინისტური აზია რომთან ბრძოლაში მარცხდება. მითრიდატე ევპატორის დამარცხებამ ცხადყო, რომ ელინიზმს რომთან წინააღმდეგობის ძალა არ შესწევდა, რომ მას ადგილი უნდა დაეთმო ახალისათვის, მონათფლობელური პოლიტ-ეკონომიური წყობის უფრო მაღალი საფეხურისათვის. „... Причины успеха римлян на Востоке надо искать в первую очередь не в римской военной доблести, дипломатической ловкости, войнской выучке, а в том, что эллинистический мир быстро исчерпал себя и его включение в состав новой мировой державы стало исторической необходимостью“.[458]

პონტოს სამეფოსთან ერთად ახალი მსოფლიო იმპერიის შემადგენლობაში კოლხეთიც მოექცა. კოლხეთის ამდროინდელი საშინაო ვითარება არ აძლევდა ქვეყანას საშუალებას უცხო მოძალადისაგან თავი დაეცვა, ამიტომ კოლხეთს დამოუკიდებელი განვითარების საშუალება არ ეძლეოდა.

§5. ელინისტური კულტურა და კოლხეთი

ძვ. წ. აღ. IV საუკუნეში ბერძნული მონათმფლობელური საზოგადოების კრიზისი დროებით გადაჭრას აღმოსავლეთის ლაშქრობაში პოულობს, სადაც აღმოსავლეთის იმდროინდელი იმპერიების სისუსტე ბერძენ-მაკედონელთა იოლ გამარჯვებებსა და ახალ, ჯერარნახულ მსოფლიო იმპერიის შექმნას აპირებს. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამ აღმოსავლეთში გამოიწვია აღმოსავლეთისა და დასავლეთის მანამდე არნახული დაახლოება, რასაც შედეგად მოჰყვა

[456] APP., 101. SC, I, 529.
[457] Plut., Pomp., XXXIV, SC, I, 492.
[458] Ранович А.Б., დასახ. ნაშრ. გვ. 31. შდრ. ჯანაშია ს., საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაყიის გზაზე, შრ. I, 175, 176. ინაძე მ., ფლ. არიანე ..., გვ. 88. შენიშვ. 2 და გვ. 88-91.

თავისებური კულტურის შექმნა, რომელიც თავისი ბუნებით სრულად არც ბერძნული იყო და არც აღმოსავლური, არამედ მათ ნაკრებს (არა მექანიკურს) წარმოადგენდა. ბევრი რამის მიცემა შეეძლო დასავლეთს აღმოსავლეთისათვის, თითქმის უფრო მეტი ვალი დასდო აღმოსავლეთმა დასავლეთს. ეს კულტურა, თავისი ნიშნებით, მისი შემოქმედი საზოგადოების მოსპობის შემდეგაც (ძვ. წ. I ს.) განაგრძობს არსებობას და თავის კვალს აჩენს მის ორბიტაში მოხვედრილ ხალხთა კულტურას. იგი მეცნიერებაში ელინისტური კულტურის სახელითაა ცნობილი.

ელინიზმი მონათმფლობელური საზოგადოების არსებობის მთელი მონაკვეთია, ეპოქაა, დაწყებული ძვ. წ. 336 წლით, როდესაც ალექსანდრე მაკედონელი ტახტზე ავიდა, და დამთავრებული ძვ. წ. 31 წლით, როდესაც რომმა ბოლო მოუღო ელინისტური სამყაროს უკანასკნელი პოლიტიკური ერთეულის – ეგვიპტის პოლიტიკურ თვითმყოფობას. ელინიზმის ისტორია წარმოადგენს იმ პერიოდის თითქმის მსოფლიო ისტორიას, რადგან ელინიზმი მოიცავს იმდროინდელ ცივილიზებულ მსოფლიოს ნუბიიდან სკვითიამდე და სიცილიიდან ჩინეთამდე.[459]

მიუხედავად იმისა, რომ ელინიზმის ისტორიის შესწავლაზე მუშაობდა მთელი რიგი მეცნიერებისა – დროიზენი, ბელოხი, როსტოვცევი, ტარნი, მეიერი, ხვოსტოვი და სხვები, მათ არ მოუხერხდათ რომელიმე საკვანძო საკითხის გადაჭრა. უფრო მეტიც, მათ ვერ მოახერხეს ერთიანი აზრის გამომუშავება თვით „ელინიზმის“ ცნების შინაარსის შესახებ. მხოლოდ მოგვიანებით ისტორიკოს-ელინისტები ახერხებენ დასმას და გადაჭრას ელინიზმის ისტორის მთელი რიგი საკვანძო საკითხებისა. განსაკუთრებით დიდი დამსახურება ელინიზმის რაობის შესწავლაში მიუძღვის ისტორიკოსს აბრამ ბორისის ძე რანოვიჩს, რომლის შემაჯამებელი ნაშრომი “Эллинизм и его историческая роль” (М.-Л., 1950 г.) იძლევა ელინიზმის არსის გაშლილ დახასიათებას. „Изучить эллинизм как историческую эпоху и понять его во всем его своеобразии нельзя без учета того основного факта, что эллинизм – этап в истории античного ***рабовладельческого*** общества, что он, следовательно, не представляет какого-то неисповедимого сцепления случайностей, а был исторически необходимым результатом всего предшествующего развития античной Греции с ее специфическими закономерностями рабовладельческого строя жизни. Конечно, многое эллинизм сохранил классического периода.

[459] Ранович А.Б., Эллинизм и его историческая роль, М-Л, 1950, стр. 10-11.

Эллинизм же в целом представлял хотя общественный переворот, но не революцию, так как оставил в неприкосновенности основную структуру общества, и изучить его следует в связи с историей рабовладельческого общества в целом“.[460]

ელინიზმი წარმოადგენდა მონათმფლობელური საზოგადოების განვითარების ახალ საფეხურს, მაგრამ მისი შედეგები აღმოსავლეთისათვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე დასავლეთისათვის. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობიდან ამ ხანაში მოგებული აღმოსავლეთი გამოდის, როგორც კულტურულად (ცენტრების გადანაცვლება აღმოსავლეთში ამის მანიშნებელი ვითარებაა), ისე სოციალურ-ეკონომიურადაც. ელინისტური კულტურის შექმნაში მონაწილეობას იღებს აღმოსავლური კულტურის არა ერთი მოღვაწე (ზენონ ჩინელი, ბიონ ბორისთენელი, ხრიბიპ სოლელი, პოსიდონ ამაპეელი, ფილოდემ გადარელი და ა.შ.), ხოლო ელინისტური კულტურის გავრცელებამ აღმოსავლეთში ხელი შეუწყო პიროვნების ერთგვარ განთავისუფლებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს გარემოება საზოგადოების მხოლოდ ზედა ნაწილს შეეხო, იგი მაინც პროგრესული იყო სოციალური თვალსაზრისით, რამდენადაც აღმოსავლეთის დესპოტია თავისი რელიგიური საფუძვლითა და ქურუმთა ყოვლისშემძლეობით საშინლად სტანჯავდა მასებს, როგორც სულიერად, ისე ეკონომიურად.[461] ბევრი რამ მისცა ელინიზმს აღმოსავლეთმა: პოლიტიკურ სფეროში მან მსოფლიო სახელმწიფოს იდეა უკარნახა, რელიგიურ სფეროში – დაცემული პოლისის ღმერთების ნაცვლად უნივერსალური ღმერთები შესთავაზა, ეკონომიურ სფეროში – წარმოების, მიმოსვლისა და კავშირის უფრო მაღალი დონე გააცნო. გა-დასცა თავისი მონაპოვრები ასტრონომიაში, მათემატიკაში, მედიცინაში, სოფლის მეურნეობაში და ა.შ.[462] საკმარისია აღინიშნოს, რომ ჰორიზონტალურ საქსოვ დაზგას ელინიზმის ხანამდე საბერძნეთი არ იცნობს, იგი ბერძნებმა აღმოსავლეთში გაიცნეს.[463] ასევე ამ ხანაში ეცნობა დასავლეთი ოქროქსოვილს,[464] ალმასსა და მის მტვერს,[465] გამომწვარ აგურს;[466] აღმოსავლურ შეიარაღებას: ცხენოსან მშვილდოსნებს (კონ-

[460] Ренович А., დასახ. ნაშრ., გვ. 16.
[461] Ранович А., დასახ. ნაშრ., გვ. 33.
[462] Ранович А., გვ. 34-37.
[463] Максимова М., Техника (эллинистического) производства, Эллинистическая техника, М-Л, 1948, стр. 244-245.
[464] იქვე, გვ. 245-246.
[465] იქვე, 239.
[466] იქვე, 45.

ные лучники), აქლემთა რაზმებს, მეშურდულეებს (прашники), საბრძოლო ეტლებს ცულებით, საბრძოლო სპილოებს და ა.შ.[467]

ელინიზმი აჩქარებს აღმოსავლეთის სოციალურ განვითარებას, ცვლის მის სოციალურ სურათს. ქალაქების გამრავლებამ გაზარდა მონური შრომის ხვედრითი წონა და დააჩქარა თემური საკუთრების ფორმების მოშლა; აამოძრავა მიწები, ერთი მხრივ ხდება მესაკუთრეთეთემის მიკვრა მიწაზე, ხოლო მეორე მხრივ – მისი მიწისაგან გათავისუფლება. აღმოსავლეთი კერძო საკუთრებას მიწაზე არ იცნობდა – არსებობდა მხოლოდ მიწათმფლობელი სხვადასხვა ფორმა. ელინისტურ ხანაში აღმოსავლეთი ეცნობა მიწაზე ანტიკური საკუთრების ფორმას, რომელიც მანამდე აღმოსავლეთში ბერძნულ პოლისებში არსებობდა მხოლოდ.[468]

ელინიზმი, მართალია, მოასწავებდა აღმავლობას, მაგრამ ეს აღმავლობა არ იყო არც მტკიცე და არც ხანგრძლივი. მან ვერ მოახერხა შეექმნა საფუძველი მონათმფლობელური საზოგადოების დასანგრევად, თუმცა საამისოდ დაიწყო პირობების შემზადება. ვერც ერთი თავისი ასე თუ ისე დიდი წამოწყება ელინიზმმა ბოლომდე ვერ მიიყვანა, ბოლოს თვითონვე შევიდა კრიზისის ხანაში და დაეცა. რომაელთა დაპყრობები აღმოსავლეთში ამ კრიზისის გარდუვალი შედეგი იყო.[469]

ამიერკავკასია ელინისტური მსოფლიოს ერთი შემადგენელი ნაწილთაგანია და ელინიზმის, როგორც სოციალ-ეკონომიური და კულტურული მოვლენის, გავლენა, მასთან ნაცნობობა არა ერთი ფაქტითაა დადასტურებული. ელინისტური ხანის დასაწყისისათვის ამიერკავკასიაში ქართველთა ორი სახელმწიფოებრივი გაერთიანება არსებობდა: აღმოსავლეთში იბერია, ხოლო დასავლეთში კოლხეთი. იბერია თავიდანვე აღმოსავლური ქვეყანაა და, როგორც წყაროების შესწავლიდან ირკვევა, კულტურულად აღმოსავლეთთანაა უფრო დაკავშირებული. განსაკუთრებით მდიდარი მასალა ელინისტური ხანის იბერიის შესასწავლად მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ იქნა მოპოვებული. აქ მოპოვებული ეპიგრაფიკული მასალის შესწავლა იბერიას კულტურულად სწორედ არამეულ სამყაროსთან აკავშირებს. გ. წერეთელი აღნიშნული მასალის საფუძველზე გამოჰყოფს სემიტური ენების განსაკუთრებულ განშტოებას, რომელიც ძვ. იბერიაში იყო

---

[467] Болдырев А.Б., Боровск И.М., Военная техника, «Эллинистическая техника», М-Л, 1948, стр. 273-275.

[468] Ранович А., დასახ. ნაშრ., გვ. 157. Невская В., Византия в классическую и эллинистическую эпоху, М., 1953, стр. 37-42. Гаидукевич В.Ф., Боспорское царство, М-Л, 1949, стр. 94.

[469] Ранович А., დასახ. ნაშრ., გა. 29.

ხმარებაში და მას არმაზულს უწოდებს. იგი შესაძლებლად მიიჩნევს დასვას საკითხი არმაზული და ქართული ანბანის ერთი ძირიდან ჩამომავლობაზე.[470] მართალია, არმაზული ეპიგრაფიკის ძეგლები ახ. წ. აღ. I-III საუკუნეებით თარიღდებიან, მაგრამ ამ ხანებში ისინი განაგრძობენ არსებობას იმ დიდი ტრადიციის ნიადაგზე, რომელიც მათ გააჩნიათ. ელინისტურ ხანაში იწყება დასავლური კულტურული ნაკადის უფრო გაძლიერებული შემოდინება, რის ერთ-ერთ გამოხატულებას ბერძნული ენის გავრცელება წარმოადგენს. მცხეთის ეპიგრაფიკის ბერძნული ძეგლები, ისევე, როგორც არმაზული, ახ. წ. I საუკუნით თარიღდებიან,[471] მაგრამ მათი აქ გავრცელება სწორედ ელინისტური ხანიდან უნდა ვივარაუდოთ. ბერძნული ენის აღმოსავლეთში საკმაოდ ძლიერ გავრცელებაზე (განსაკუთრებით საზოგადოების ზედა ნაწილში) მიუთითებს არა ერთი უეჭვო გარემოება – არშაკიდების მონეტებზე წარწერები მხოლოდ ბერძნულ ენაზეა შესრულებული. 1909 წ. ზაგროსის მთებში, ს. ავრომანთან აღმოჩენილი იქნა ქვის ჭურჭელი, რომელშიც ტყავზე შესრულებული სამი ხელნაწერი ინახებოდა, რომელთაგან ორი ბერძნულ ენაზე შესრულებულ საიჯარო ხელშეკრულებას წარმოადგენდა; ერთი ძვ. წ. 88 წლით, ხოლო მეორე - ძვ. წ. 22 წლით თარიღდება.[472] ცხადია, ბერძნული კულტურული ნაკადის შემოღწევა იბერიას ვერ უცვლის თავის სახეს; უფრო მეტიც, იბერია ისევ აღმოსავლეთთან ტრადიციულად არსებულ ურთიერთობას აგრძელებს და სხვა ხალხების კულტურულ მონაპოვრებს თავის კულტურას მექანიკურად კი არ უერთებს, არამედ შემოქმედებითად ამუშავებს. ეკონომიურადაც იბერია ელინისტურ ხანაში უფრო აღმოსავლეთთანაა დაკავშირებული, ვიდრე დასავლეთთან, რაზედაც, იქნებ, ნუმიზმატიკური მასალებიც უნდა მიგვითითებდეს.[473] უცხო ენებს, რომლებიც იბერიის მხოლოდ ზედა ფენებში უნდა ყოფილიყო გავრცელებული, იბერიის საზოგადოების კულტურული განვითარების მსვლელობაზე რაიმე მნიშვნელოვანი კვალის დაჩნევა, ცხადია, არ შეეძლო, მაგრამ მათი აქ არსებობა, კერძოდ, ბერძნული ენის არსებობა, ცხადყოფს იბერიის ნაცნობობას ელინისტურ კულტურასთან.

---

[470] Церетели Г.В., Эпиграфические находки в Мцхета, ВДИ, 1948, №2, стр. 49-57. მისივე, არმაზის ბილინგვა, ენიმკის მოამბე, XIII, თბ., 1943, გვ. 48. მისივე, Армазская билингва, Тб., 1941. მისივე, Армянское письмо и проблема происхождения Грузинского алфавита, «Эпиграфика Востока», II, 1948, III, 1949.

[471] ყაუხჩიშვილი თ. ს., ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 234 და შემდეგი. იქვე ბიბლიოგრაფია.

[472] Бузескул В., Открытия XIX и начало XX века в области истории Древнего мира, 1. Восток, ПБ, 1923, стр. 190-191

[473] Пахомов Е.А., Монетные клады Азербайджана и Закавказья, Труды общ. обсл. и изуч. Азербаиджана, Баку, 1927, выпю 3, стр. 16.

ელინისტური ხანის საქართველოს ნაცნობობას იმდროინდელი კულტურული სამყაროს მონაპოვრებთან ცხადყოფს არა მარტო და არა იმდენად ეპიგრაფიკული მასალები, რამდენადაც მატერიალური კულტურის სხვა ძეგლები, და კერძოდ, მშენებლობისა და წარმოების ტექნიკა. როგორც სათანადო ძეგლების შესწავლიდან გაირკვა, ელინისტური ხანის ხუროთმოძღვრებას და წარმოებას აქვს თავისი მახასიათებლები, რომლითაც ისინი გამოიყოფიან კლასიკური და რომაული ხუროთმოძღვრებისა და წარმოებისაგან: კლასიკური ხანის არქიტექტურული სტილისაგან განსხვავებით, თლილი ქვის შენობებში ელინისტურ ხანაში არ ხდება ჰორიზონტალური რიგის სიმაღლეთა და თანასწორობის დაცვა. ყველაზე გულმოდგინედ ნაგებ კედლებშიც კი ჰორიზონტალურ წყობათა სიმაღლე ერთნაირი არაა;[474] კედლის წყობათა ასეთი სხვადასხვაობით გამოწვეულია ქვებზე ნიშნების გაკეთება, რომ ქვები ერთმანეთს იოლად მოერგოს. კლასიკურ ხანაში, როცა ყველა ქვა ერთი ზომისა იყო, ასეთი ნიშნები საჭიროებას არ წარმოადგენდა;[475] ელინისტური ხანა ქმნის ქვის გადაბმის რამდენიმე მისთვის დამახასიათებელ ხერხს (მერცხლისკუდა, I ან II ფორმა და ა.შ.);[476] ფართოდ ვრცელდება კოლონადებისა და თაღების მშენებლობა. ხშირად ქალაქების კარებიც კი თაღურადაა ნაგები, იმავ დროს, გვიან ელინისტურ ხანაში ჩნდება მონოლითური კოლონები, რომლებიც ფართო გავრცელებას უფრო გვიან, რომაული ხანის არქიტექტურაში იღებენ;[477] უმჯობესდება კრამიტის დამზადების ხერხი და იგი საღებავით იფარება.[478] იქმნება მხატვრული მინის წარმოება (მოზაიკური, მოოქროვილი, მოხატული, გრავირებული და ა.შ., თუმცა მინის გამჭვირვალობა და დაბერვის ტექნიკა ჯერ მიღწეული არ არის;[479] ჩნდება ცალმხრივ ამოზნექილი მონეტა, რაც მონეტისათვის მეტი სიმტკიცის მიცემითაა ნაკარნახევი,[480] იწყება მოზაიკური იატაკის შექმნა (მოზაიკა წვრილი ნივთების წარმოებაში საშუალო სამეფოს ეგვიპტიდანაა ცნობილი), რომელიც განსაკუთრებულ აყვავებას რომაულ და ბიზანტიურ ეპოქაში აღწევს,[481] ხდება ხელოსნური წარმოების ძველი ცენტრების მონოპოლისტური მდგომარეობის მოსპობა[482] და ა.შ.

---

[474] Максимова М., Техника эллинистического производства, 65
[475] იქვე, 71.
[476] Максимова М., Техника эллинистического производства, 54.
[477] იქვე, 11, 71.
[478] იქვე, 45.
[479] იქვე, 233-235.
[480] Зограф А.Ф., Распространение находок античных монет на Кавказе, Труды отдел. нумизм. Гос. Эрмитажа, Л., 1945, 257
[481] Максимова М., იქვე, 120 შმდგ.
[482] იქვე, 217-218.

მცხეთის ძეგლების ერთი ნაწილი სწორედ ჩვენ მიერ ზემოთ მითითებული თავისებურებებით ხასიათდება. აქ გვხვდება იბერიულ-ელინისტური სტილით შესრულებული ნაგებობები[483] (ბაგინეთი, წიწამურის სერი, მცხეთის სადგური, არმაზის ხევი და ა.შ.), სააღმშენებლო მასალა (კრამიტი, ალიზის აგური, მერცხლისკუდა ფოსოებიანი კვადრები) და ა.შ. ელინისტური მშენებლობის სტილი, როგორც ირკვევა, ელინისტური საზოგადოების დაცემის შემდეგაც განაგრძობს არსებობას. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა სადგურ მცხეთის აღმოსავლეთით (300-მდე მეტრზე) 1951 წელს აღმოჩენილი აკლდამა. მან თითქმის დაუზიანებლად მოაღწია ჩვენ დრომდე და შემოგვინახა ახ. წ. I საუკუნის დამლევის იბერიის ისტორიის მეტად ძვირფასი მასალა. ძეგლი ქართული და ელინისტური ტრადიციების შერწყმითაა აგებული. „Особенно надо подчеркнуть то обстоятельство, что благодаря этому открытию оживает и приобретает свежую осмысленность сообщение знаменитого географа I века Страбона о зданиях в городах Иберии (Картли), построенных «по всем правилам зодчества» и покрытых черепицей. Под этими «правилами» надо подразумевать «правила» эллинистической архитектуры, в те времена еще господствовавший во всех переднеазиатских странах и резко отличающиеся от «правил» Римского зодчества, распространившихся позже. Новооткрытое сооружение, не нося никаких признаков римской архитектуры, тяготеет к формам именно эллинистическим. Таким образом, перед нами еще один яркий факт, вещественно доказывающий живые связи Грузии с эллинизованным миром, в котором теснейшим образом переплетались достижения местных, восточных культур и западной культуры. Этот факт, в совокупности с рядом первоклассных памятников (в том числе памятников письменности), открытых за последнее время археологами Грузии, наводит на далеко

---

[483] Бердзенишвили Н.А., Ломтатидзе Г., Новые раскопки в Мцхета, “Заря Востока”, 1951, №183, стр. 3. ლომთათიძე გ., ციციშვილი ირ., ახალაღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XII, №10, თბ., 1951, 642-648. Цицишвили И.И., Гробница античного времени в Багинети. საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, XI, №3, თბ., 1950, 189-194. მისივე, მცხეთის ანტიკური კრამიტის შესწავლისათვის. საქ. სსრ, მეცნ, აკად. მოამბე, IX, №8, თბ., 1948, 517-524. აფაქიძე ა., არქეოლოგიური გათხრები საქართველოს უძველეს დედაქალაქში, „ბოლშევიკი“, 1945, №6. მისივე, ანტიკური წყაროების „სევსამორას“ ლოკალიზაციის საკითხისათვის, თეზისები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მეოთხე სამეცნიერო სესიისა, თბ., 1953. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1944. მისივე, История Грузинского искусства, М., 1950. Мшвениерадзе Д.М., Строительное дело в древней Грузии, Тб., 1952. გობეჯიშვილი გ., არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, გვ. 110-135.

идущие выводы и предположения. Все четче вырисовывается в свете этих открытий культурный облик Грузии в последние века до нашей эры и начала нашей эры. Они придают особый интерес и все большую весомость сообщениям древнегрузинских летописей, отражающих тесные культурные взаимоотношения дохристианской Грузии с эллинистической Передней Азией, и в частности, сообщению об изобретении грузинского алфавита царем Фарнавазом, деятелем именно эллинистической эпохи.“[484]

ელინისტური ხანის იბერიაში შეიმჩნევა ცვლილებები ყოფა-ცხოვრებაშიც, კერძოდ, არქეოლოგიური მასალით შესაძლებელი ხდება თვალის მიდევნება ცვლილებებზე დასაფლავების წესში – ვრცელდება (ყოველ შემთხვევაში ქალაქებში მაინც) ე. წ. ქვევრ-სამარხები, რომლებიც კოლხეთის გზით საბერძნეთიდან უნდა იყოს შემოსული (იხ. ეშერის, დაბლაგომის, ჩხოროწყუს და ა.შ. მასალები). ამ ხანის სამარხებს მის წინარე ხანის სამარხებისაგან ასხვავებს იარაღ-საჭურველისა და სურსათის ჩატანების წესის გაუქმება, შავი კერამიკის გაქრობა და განსხვავებული ფორმის წითელი კერამიკის გაჩენა, ოქროს სამკაულების, გემმების, განსხვავებული ფორმის მონეტების და ა.შ. გაჩენა.[485]

ელინისტურ კულტურასთან გაცნობა იბერიისათვის ხდებოდა ორი გზით: 1) სელევკიდური აზიის ქვეყნებთან ურთიერთობაში, რაც იბერიას ელინისტური აღმოსავლეთის მიღწევებს აცნობდა, და 2) კოლხეთის გზით, საიდანაც იბერია ელინისტური დასავლეთის მიღწევებს ეცნობოდა. რაც შეეხება კოლხეთისა და შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებს, ისინი ადრევე იცნობენ ელინურ კულტურას იქ არსებული ბერძნული სავაჭრო ქალაქების მეშვეობით, რომლებთანაც ურთიერთობა მათ ძვ. წ. VIII – VII საუკუნიდან აქვთ. ელინური კულტურის რიგი მონაპოვარი იბერიას სწორედ კოლხეთის, ან სამხრეთ საქართველოს გზით უნდა მიეღო, მაგრამ ელინისტური აღმოსავლეთის კულტურული მონაპოვარის კოლხეთში შეღწევის ერთ-ერთი გზა სწორედ იბერიაზე გადადიოდა. იბერიაზე გადაივლიდა ელინისტური სოფლის ერთ-ერთი უდიდესი სავაჭრო გზა, რომელიც აღმოსავლეთ აზიას დასავლეთთან აკავშირებდა (იხ. ზემოთ).

---

[484] Бердзенишвили Н.А., Ломтатидзе Г., Новые раскопки в Мцхета, «Заря Востока», 1951, №188, стр. 3

[485] ლომთათიძე, გ, არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში, თბ, 1945, 33-34. Максимова М., Геммы из некрополя Мцхета-самтавро, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVI-B თბ, 1950წ. 221-274. გობეჯიშვილი, გ, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ, 1952წ, 112-113.

ეს უძველესი სავაჭრო გზები იმავ დროს კულტურულ მონაპოვართა გაზიარების არხებიც იყო. იქნებ ბორის არამეულწარწერიანი ლანგარი ერთეულ გამონაკლისად არ დარჩეს ძველი კოლხიდის ტერიტორიისათვის და მომავალმა არქეოლოგიურმა ძიებებმა დაადასტუროს არამეული დამწერლობის სხვა ძეგლების არსებობაც. ელინისტურ კულტურასთან ნაცნობობა კოლხეთში ვლინდება მატერიალური კულტურის მთელ რიგ ძეგლებში, რომლებიც მოპოვებულია: ვანში, დაბლაგომში, კლდეეთში, ბორში, ჩხოროწყუში, რაჭაში და ა.შ. ვანში აღმოჩენილია ელინისტური ხანის ისეთი ნაგებობის ნაშთები, როგორიც დამოწმებული გვაქვს ბაგინეთში. ნ. ხოშტარია ამ ძეგლს ძვ. წ. II და წინარე საუკუნეებით ათარიღებს.[486] ელინისტური ხანის კოლხეთი და სამხრეთ სანაპიროს ქართული ტომები აფართოებენ სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობას ელინისტური სამყაროს მრავალ ქვეყანასთან.[487] სამხრეთ სანაპიროების შესახებ ჩვენ ძირითადად რამდენიმე წერილობითი ცნობის ამარად ვართ, რომლებიც ხალიბური ფოლადის და მოსინიკური სპილენძ-ბრინჯაოს წარმოებას და ექსპორტს შეეხება (ფსევდო არისტოტელე, აპოლონ როდოსელი, სტრაბონი...), ხოლო კოლხეთისათვის წერილობითი წყაროების გვერდით, გვაქვს შედარებით მდიდარი ნივთიერი მასალაც, როგორც ნუმიზმატიკური ძეგლების, ისე უცხოური ნივთების სახით, რომლებიც ამ ხანის კოლხიდის საზოგადოების გემოვნებისა და სოციალური დონის შესახებაც გვაძლევენ ცნობებს. ნუმიზმატიკური მასალის შესწავლა ცხადყოფს, რომ კოლხიდის საგარეო ვაჭრობაში ძირითადი წილი ისევ დასავლეთზე მოდიოდა. ძვ. წ. IV საუკუნიდან აქ ხმარებაში შემოდის ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმახის მონეტები, რომლებიც ჩქარა, ცხადია, ეკონომიური აუცილებლობის გამო, მიბაძვის საგანი ხდება, რადგან დედნები უკვე ვეღარ აკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნილებებს. დასავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით ზღვის სანაპირო ტერიტორიებზე ვრცელდება ლისიმახის მონეტების მინაბაძები, რომლებიც ლიტერატურაში კოლხურ მინაბაძებად (კოლხურ სტატერებად) არიან ცნობილი. ისინი კოლხეთში „დაახლოებით ძვ. წ. III საუკუნეებში გაჩენი-

---

[486] ხოშტარია, ნ., არქეოლოგიური გათხრები სოფ. ვანში 1947წ, „მიმომხილველი", I. 1949წ. 297-308; გობეჯიშვილი გ., დასახ. ნაშრ., 139. /თუმცა აქ ეს თარიღი გ. გობეჯიშვილს რატომღაც შეუბრუნებია და ამბობს, თითქოს ნ. ხოშტარია მას ძვ.წ. IV და მომდევნო საუკუნეებით ათარიღებდეს, – დ.ხ./.

[487] საქართველოს ისტორია, I თბ, 1948წ. 61.

ლა".[488] ელინისტურ დასავლეთთან კავშირზე მანიშნებელი ნივთების გვერდით გვაქვს, თუმცა უფრო სუსტად შემორჩენილი, ელინისტურ აღ-მოსავლეთთან კავშირზე მიმანიშნებელი მასალებიც (დაბლაგომი, კლდეე-თი, ბორი...), მათ შორის წერილობითი წყაროების ჩვენებები (პატროკლი, არისტობულე, სტრაბონი...). როგორც უკვე აღინიშნა, აქ გაივლიდა, უფრო სწორედ, მთავრდებოდა, ჰირკანია-ფასიდის გზა:

სამხრეთ სანაპიროს ქართველურ ტომთა დიდი ნაწილი (ტიბარენები, ხალიბები, ხალდები...) ძვ. წ. III საუკუნის დამდეგს შეადგენენ ახლად წარმოქმნილი ელინისტური სახელმწიფოს – პონტოს სამეფოს ეთნიკურ ბირთვს. ძვ. წ. I საუკუნის დამდეგისათვის პონტოს სამეფო ძლიერების მწვერვალზეა და ახერხებს კოლხეთის სამეფოს დაპყრობასაც.

ამგვარად, ძვ. წ. I საუკუნეში შავი ზღვის სანაპიროების ქართ-ველური ტომები პოლიტიკურად ელინისტური პონტოს სამეფოს შემად-გენლობაში არიან გაერთიანებული. პონტოს სამეფო ელინისტური აზიის უკანასკნელი დიდი წარმომადგენელია, რომელმაც ანტირომაულად გან-წყობილი აზიის მედროშეობა იკისრა, მაგრამ რომთან ბრძოლაში და-მარცხებული, დროშასთან ერთად საკუთარ დამოუკიდებლობასაც თმობს. რომთან წარმოებულ ომებში მითრიდატე VI ევპატორის მარცხი ელინისტური აზიის დამარცხების აუცილებლობის დადასტურება იყო.

ამ ბრძოლის უკანასკნელი აქტის გათამაშებაში შავიზღვისპირეთის ქართველური ტომები უშუალო მონაწილეობას იღებენ და ამგვარად, ეს ტომები არა მარტო მონაწილეობენ ელინისტური კულტურის შექმნაში, არამედ უნებურად მის დამცველებადაც გამოდიან.

---

[488] კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, 27. . .

თავი II

შავი ზღვის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ქართველური ტომები ახ. წ. I-VI სს.

§ 1. სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა I-IV სს.

ს. ჯანაშია, ეხება რა ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნის ქართული საზოგადოების შინაგან განვითარებას, აღნიშნავს, რომ „ამ სამნახევარი საუკუნის (ძვ. წ. I ს-ის დამდეგის შემდგომი ხანა – დ.ხ.) განმავლობაში განვითარების მთავარ ფაქტს შეადგენდა „მესამე გენეს", „ერის" შემდგომი დიფერენციაცია. აქ, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, უკვე I საუკუნის დამდეგს ჩვენს ერამდე (და იქნებ უფრო ადრეც) ერთგვარი ბზარია გავლებული „მეომრებსა" და „მიწათმოქმედთა" შორის,[489] შემდეგ ავტორი აღნიშნავს „მძიმე აბჯრის" და საერთოდ, შეიარაღების, მეურნეობის, შრომის საზოგადოებრივი განაწილების, აღებ-მიცემობის, განვითარებული კლასობრივი ცხოვრების მქონე საზოგადოებებთან ურთიერთობის და ა. შ. მნიშვნელობას ამ პროცესისათვის. ავტორის დასკვნით, „ეს ბზარი ეკონომიკურ ნიადაგზეა წარმოშობილი".[490] ეხება რა დასავლეთ საქართველოს სოციალური განვითარების საკითხს, ავტორი აღნიშნავს, რომ „ამ საკითხზე სავსებით დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა შეუძლებელია წყაროების სიმცირის გამო. ზოგიერთი ნიშანი და რექტოს-პექტრული თვალსაზრისი ჩვენ მხოლოდ შემდეგი საერთო დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. უეჭველია, რომ გვაროვნული წყობილების ნაშთები ამ დროს ჯერ კიდევ უაღრესი სიძლიერითაა გამოხატული. მათს მოქმედებას ჩვენ ბევრად უფრო მერმინდელ ხანაშიც დიდი ანგარიში უნდა გავუწიოთ. ასევე, ცხადია, რომ პირველყოფილ მონობასაც თავისი გარკვეული წონა აქვს საზოგადეობრივ-ეკონომიკურ ურთიერთობაში, იგი შემდეგშიაც იჩენს თავს, ზოგჯერ უფრო გაძლიერებული სახითაც, ჩვეულებრივად კი საკმაოდ რთულ, წინააღმდეგობრივსა და კომბინაციურ დამოკიდებულებაში წარმოების სხვა წესებთან.

---

[489] ჯანაშია ს., საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, 193.
[490] იქვე, 193-200; საქართველოს ისტორია, 1, 86-98.

აღნიშნული ელემენტების გვერდით ჩვენ ფეოდალური ურთიერთობის ჩანასახსაც ვგულისხმობთ და, სხვებთან შეპირისპირებით, მის შედარებით უპირატესობასაც ვვარაუდობთ. აღნიშნული მთავრების (არიანესთან რომ იხსენებიან – დ.ხ.) ხელისუფლებაც ადრინდელ - ფეოდალური დიფერენციაციის ნიადაგზე წარმოშობილად მიგვაჩნია. თვით მთავრები სათანადო ტრანსფორმაციაქმნილ, ძველი ტომის ბელადებად გვყავს წარმოდგენილი, რომელთაც თავიანთი საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე უზურპაცია უყვეს მათთვის ჩაბარებულ უფლებებს და თემის დელეგირებული „მსახურებიდან თემისავე ბატონებად იქცნენ." თავისთავად ცხადია, რომ ეს ფეოდალური წყობა ამ დროს ჯერ სავსებით პრიმიტიული ფორმისაა და მის საბოლოო გამარჯვებამდე, აღებულ ქვეყანაში, კიდევ გრძელი და ძნელი გზა ძევს, იგი მხოლოდ სხვა ელემენტებთან შედარებით ბევრად უფრო მეტ სასიცოცხლო უნარს იჩენს და უფრო სწრაფადაც იზრდება.[491]

სწორედ ამ ადრინდელ-ფეოდალური ურთიერთობის ზრდისა და გაძლიერების ნაყოფად მიგვაჩნია ჩვენ ეგრისის /ლაზიკის/ სამეფოს ჩამოყალიბება".[492]

ფეოდალური საზოგადოების ძირითადი საწარმო საშუალება მიწაა, რომლის სრული ფეოდალური მითვისებისათვის ბრძოლა საქართველოში დაახლოებით 20 საუკუნე გრძელდებოდა.[493] ფეოდალური კერძო საკუთრება მიწაზე, რომელიც პირობით საოჯახო კერძო საკუთრებად არის წარმოდგენილი, არც ერთბაშად ჩამოყალიბებულა და არც მიწის მთელი

---

[491] აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ფეოდალური წყობა სხვა ელემენტებთან შედარებით იმიტომ იჩენს მეტ სასიცოცხლო და სწრაფი ზრდის უნარს, რომ „სხვა ელემენტებმა ამოწურეს თავისი თავი და საზოგადოებრივი განვითარების მუხრუჭებად გადაიქცნენ. ფეოდალური წყობა კი ახალია, მზარდი და სწორედ იმიტომ, რომ მისი გამარჯვება წარმოადგენს საზოგადოების შემდგომი განვითარების, წინსვლის პირობას, მომავალი მას ეკუთვნის. ახალისა და ძველის ბრძოლაში ახალის გამარჯვება გარდაუვალია. მაგრამ აღებული ხანისათვის ფეოდალური წყობის ელემენტები უაღრესად სუსტია და ქვეყნის ცხოვრებაზე რამდენადმე შესამჩნევი გავლენა მათ ამ დროს არ უნდა ჰქონოდათ. საკითხის დასმა ლაზიკის სამეფოს წარმოშობის შესახებ, ცხადია, უაღრესად საინტერესოა, მაგრამ ჩვენ ხელთ არსებული მასალები საშუალებას არ იძლევიან იგი ფეოდალური ძალების მომწიფებით ავხსნათ. თუ ლაზიკის სამეფოს წარმოშობას ამგვარად ავხსნით, მაშინ აუხსნელი რჩება ქრონოლოგიურად მისი მომდევნო და ნამდვილად ფეოდალური ერთეულის, აფხაზთა სამეფოს წარმოშობა".

[492] ჯანაშია ს., ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრ. II, 321-313; საქართველო ადრინდელი . . . 212.

[493] ჯანაშია ს.ნ., ბრძოლა მიწის ფეოდალური მითვისებისათვის ძველ საქართველოში, შრ. II. 438.

ფონდი ქცეულა ფეოდალური კერძო საკუთრების საგნად. როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, უპირველესად, კერძო საკუთრების საგნად, საბაღ-ბოსტნე და სამოსახლო, ხოლო ცოტა გვიან - სახნავ-სათესი მიწა იქცევა და აქ ჩნდება პირველად ფეოდალური საკუთრება მიწაზე. სახნავ-სათესი მიწების შემდეგ კერძო საკუთრების საგნად საძოვარ-სათიბები, წყლები და ა.შ. იქცევა, ყველაზე ბოლოს ტყეს კარგავს თემი, რომელიც მიწის ფეოდალური მისაკუთრების წინააღმდეგ ყველაზე ძლიერი და ყველაზე ხანგრძლივად მებრძოლი გამოდის.[494]

ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნის იბერიისა და კოლხეთის ბარში მიწათმფლობელობის რამდენიმე ფორმის თანაარსებობა არის სავარაუდებელი,[495] რომელთაგან ზოგი სცენიდან გამავალი საზოგადოებ-რივი ურთიერთობისთვისაა დამახასიათებელი (სათემო მიწათმფლობელო-ბა, სატაძრო მიწათმფლობელობა), ზოგიც ახალი, მზარდი საზოგადოებ-რივი ურთიერთობისათვის (ფეოდალური მიწათმფლობელობა და მისი წვრილი ჩანასახები). <u>სათემო მიწათმფლობელობა,</u> ჩვენთვის საინტერესო ხანაში, მოცულობით, მიწათმფლობელობის გაბატონებული ფორმაა, მაგრამ მისი საფუძველი უაღრესად შერყეულია, იგი იმდენად დიდი მნიშვნელობის ფაქტორია ქართველ ტომთა ცხოვრებაში, რომ ამ ნიადაგ-ზე წარმოქმნილი ტრადიციები თვით XIX საუკუნემდეც განაგრძობს არსებობას, როგორც რეალური ძალა, რომელიც განაპირობებს მთელი საზოგადოების უფლებას მიწის ცალკეულ სახეობაზე – კერძოდ ტყე-ზე.[496] თემური მიწათმფლობელობა ის სფეროა, რომლის წიაღშიც ჩაისა-ხა ფეოდალური კერძო საკუთრება მიწაზე, რომელსაც იგი დიდი ტანჯვითა და დიდი ბრძოლის შემდეგ უთმობს ასპარეზს. ჩვენთვის საინტერესო ხანაში თემური მიწათმფლობელობის გვერდით არსებობას განაგრძობს სატაძრო მიწათმფლობე-ლობა, თუ მიწათსაკუთრება. მისი წარმოშობისა და ზრდის გზებზე ზემოთ აღვნიშნავდით, მაგრამ აქ უნდა შევნიშნოთ, რომ აღებულ ხანაში, საფიქრებელია, იცვლება იმ შრომის ხასიათი, რომელიც სატაძრო მეურნეობებში გამოიყენებოდა. თავისუფალ მეთემეთა შრომის ექსპლუატაცია ტაძრების მეურნეობაში ყოველთვის წარმოებდა და საამისო საბუთი ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში

---

[494] იქვე, 438-439.
[495] შდრ. ჯანაშია ს., საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, 287.
[496] ჯანაშია ს.ნ., ბრძოლა მიწის ფეოდალური ... 439.

ცოტა როდია შემონახული.[497] მაგრამ აღებულ ხანაში ჩნდება ტენდენცია მონის შრომის გამოყენების შეზღუდვისა, რომელსაც ახალ პირობებში აღარ შეუძლია რენტაბელური იყოს. საწარმოო ძალებისა და წარმოების საშუალებების მიღწეული დონე ცხადყოფს, რომ მონის შრომამ უკვე მოჭამა თავისი დრო, რომ მეურნეობის შემდგომი დაწინაურებისა და რენტაბელობის პირობა შრომის ორგანიზაციის შეცვლაშია. სატაძრო მეურნეობათა სასაქონლო ხასიათს ადრე უნდა აეძულებინა ქურუმობა ახალი პერიოდისათვის შესაფერისი ღონისძიებები მიეღო, მაგრამ რამდენადაც ისინი სცენიდან მიმავალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძვლებზე არიან მოწყობილნი, ამიტომ ამ ურთიერთობათა დაცემის შედეგად თვითონაც ეცემიან და ადგილს უთმობენ სატაძრო მიწათ-მფლობელობის ახალ ტიპს, რომელიც ახალ ფეოდალურ ურთიერთობათა საფუძველზე უნდა მოწყობილიყო. ეს სავსებით ბუნებრივი ისტორიული პროცესია. თემური და სატაძრო მიწათმფლობელობის გვერდით არსებობს ფეოდალური მიწათმფლობელობა, რომელიც აღებულ პერიოდში უაღრესად სპორადული და სუსტია, მაგრამ აქვს ტენდენცია ზრდისკენ. იგი ხანგრძლივ ბრძოლებს აწარმოებს როგორც სატაძრო, ისე თემური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, „ქართლის საზოგადოება VI-VII საუკუნეებში უკვე იცნობს მიწის საკუთრების სხვადასხვა ფორმას („მამულს", „ნასყიდევს", „შეწირულს" და, უნდა ვიფიქროთ, „ნაწყალობევს").[498] პირობები მიწაზე ფეოდალური კერძო საკუთრების წარმოშობისათვის ქართველ ტომებში თემური მიწათმფლობელობის წიაღშია საძიებელი. ხევსურული თემური მიწათმფ-ლობელობა სასოფლო და სამამო მიწათმფლობელობის გვერდით იცნობს ***საკომლო*** მფლობელობასაც, რომელიც, მართალია, ხევსურულ სინამდვი-ლეში ვერ ახერხებს კერძო საოჯახო საკუთრებად ჩამოყალიბდეს, მაგ-რამ, სამაგიეროდ, განვითარების უფრო ხელსაყრელი პირობების წყალო-ბით, სვანეთში, როგორც XIII-XV სს. საბუთებიდან ჩანს, უკვე ასწრებს კერძო საკუთრებად გაფორმებას (აქ უკვე დადასტურებულია „მამული", „მკვიდრი მამული", „შეწირვა" /დათულა/ და ა. შ.).[499] ხევსურული თემური მიწათმფლობელობის მასალები ადასტურებს, რომ აქ სამამულო

---

[497] ბარდაველიძე ვ., ხევსურული თემი. . . 495-502. Бардавелидзе В., Земельные владения древнегрузинских святилищ, СЭ, 1949, №1, 92.
[498] ჯანაშია ს., საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, 305.
[499] სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, 18-19 / 15,16./

ნიადაგზე შესაძლებელია წარმოიშვას მეთემეთა ქონებრივი დიფერენციაცია, რაც შემდგომ ამ სხვაობის გაღრმავების საფუძველი ხდება. დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიურად დაწინაურებული ფენისათვის მოლაშქრეობას. ეკონომიური შეძლებულობა მათ საშუალებას აძლევს თავი გაითავისუფლონ „მიწის მუშაკობისაგან", რომელიც მისი ორთაგან ერთ-ერთი ძირითადი საზოგადოებრივი ნიშანი იყო („მეომარი-მიწათმოქმედი") და „მეომართა" ფენად ჩამოყალიბდეს, რაც მისი შემდგომი დაწინაურების ერთ-ერთი პირობა ხდება. ლეონტი მროველთან დაცული ერთი ძველ-ქართული ტრადიციით, აზნაურობა „მეომართაგან" არის წარმოშობილი, სწორედ იმ დროს, და ეს განსაკუთრებით საყურადღებოა, როდესაც ქართლში მეფობა არსდება.[500] როგორც ჩანს, ქართველ ტომებში ამ პროცესის განვითარებისას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა წარმართული სალოცავების მოხელეობას უნდა ჰქონოდა, რაც საშუალებას აძლევდა მეთემეებისაგან ეკონომიურად გამოყოფილ ოჯახს, პოლიტიკურადაც აღზევებულიყო: უკანასკნელი გარემოება საშუალებას აძლევს მას მეტის გამალებით ზარდოს თავისი აღზევების საფუძველი.

ფეოდალიზმი სხვა წარმოებითი ურთიერთობებისაგან განსხვავდება არა მარტო მიწათმფლობელობის ფორმებით, არამედ უშუალო მწარმოებლის საწარმოო საშუალებებთან დამოკიდებულების ხასიათითაც. აქ მონის შრომა ყმის შრომითაა შეცვლილი; იმის მიხედვით, თუ ფეოდალური საზოგადოების განვითარების რა სტადიასთან გვაქვს საქმე, „ყმა" სხვადასხვა შინაარსის ცნებაა, ხოლო ყმათა კლასი თავის შიგნით, იმის მიხედვით, თუ საიდან მომდინარეობს მისი ვალდებულებანი და რა საფუძველზეა წარმოშობილი, მრავალ კატეგორიად გაიყოფა. ყმობის ინსტიტუტი ფეოდალური საზოგადოების კვალდაკვალ ვითარდება და მის ნიადაგზე გაიგება. ჩვენთვის საინტერესო ხანაში ყმურ დამოკიდებულებაში მყოფი ფენის გაჩენის ორი ძირითადი გზა არსებობდა – 1) მონის დასმა მიწაზე, და 2) თავისუფალი მეთემის ყმის მდგომარეობაში შეყვანა. რადგან მეურნეობაში მონური შრომის გამოყენების ხარისხი ქართველურ ტომებში დიდი არ უნდა ყოფილიყო, პირველი გზით ყმურ დამოკიდებულებაში მყოფი ჯგუფების რიცხვიც, შესაბამისად, მცირე უნდა ვივარაუდოთ. ყმათა ძირითადი მასა საქართველოში თავისუფალი მეთემეების დამოკიდებულ მდგომარეობაში შეყვანით არის გაჩენილი. თავისუფალი მეთემის დამოკიდებულ მდგომარეობაში შეყვანა ან შესვლა ჯერ კიდევ

[500] "ქართლის ცხოვრება", I, თბ., 1955, 18.

წინაკლასობრივი საზოგადოების ფარგლებშია შესაძლებელი, მაგრამ იქ ინდივიდუალური დამოკიდებულება კი არაა შესაძლებელი, არამედ კოლექტივის დამოკიდებულება კოლექტივისაგან. კლასობრივი საზოგადოების ჩასახვისა და მისი პოლიტიკური წარმონაქმნების ხანაში, როცა ტომის ბელადის ევოლუციას უკვე მეფე მოუცია, კოლექტივის ბატონობა კოლექტივზე იცვლება მეფის (ინდივიდის) ბატონობით კოლექტივზე. ფორმალურად, მეფის ბატონობა ამ დროს ჯერ კიდევ კოლექტივის ბატონობად აღიქმება თანამედროვეების მიერ. ახლა, დაპყრობილი ან „ნებაყოფლობით" მფარველობაში მიღებული თემები ხატის ან თემის ყმებად კი არ იქცევიან, არამედ Βασιλικοί δοῦλοι ხდებიან. მართალია, ეს „სამეფო მონები" ანუ მეორენაირად λαοί ეხლა ინდივიდს ემორჩილებიან, რომელიც ამავე დროს ყველა მიწების უზენაესი მესაკუთრეცაა, მაგრამ თავიანთი შინა-სოციალური განვითარების დონით, ისინი ჯერ თემურ ცხოვრებას არ გაშორებიან. ასეთი დამოკიდებულება შეიძლება გაჩნდეს როგორც ძალმომრეობის გზით, ისე „ნებაყოფლობით", მაგრამ წინა პერიოდისაგან განსხვავებით, ადრეფეოდალურ ხანაში აუცილებელი აღარაა რომელიმე მხარე აუცილებლად კოლექტივს ან მის განსახიერებას წარმოადგენდეს. აქ კოლექტივის (თემის, ტომის) შესვლა დაქვემდებარებულ დამოკიდებულებებში შეუძლებელი რამ არაა და უფრო გვიანი ხანისთვი-საცაა დადასტურებული, მაგრამ მასიური ხდება ინდივიდის შესვლა ინდივიდთან დამოკიდებულებაში; ყმურ დამოკიდებულებათა წარმოქმნა ფეოდალურ საზოგადოებას თან სდევს მისი არსებობის მთელ მანძილზე, რასაც ცხადყოფს როგორც სვანური საბუთების და ხევსურული ჯვარისყმობის ინსტიტუტის, ისე ლეონტი მროველთან, „ძეგლი ერისთავთა"-ში და სხვა წყაროებში დაცული მასალების შესწავლა.

* * *

პონტოს სამეფოს არსებობის ხანაში ქართველური ტომები პონტოს მეფის მოხარკეები არიან: ხარკი, რომელიც ისედაც მძიმე უნდა ყოფილიყო, განსაკუთრებით მძიმდებოდა „მითრიდატეს ომების" პერიოდში, რომლებიც რამდენიმე ათეულ წელი გრძელდებოდა. რომაელთა გაბატონებას ამ მხრივ არაფერი შეუცვლია; სახარკო გადასახადები დიდად აფერხებდა ადგილობრივი მეურნეობის განვითარებას და მახინჯ ფორმებს აძლევდა მას. რომაელთა ბატონობა, შეიძლება ითქვას, მისი მახინჯი საგადასახადო სისტემით განსაკუთრებით აუტანელი უნდა ყოფილიყო.

მათი ერთსაუკუნოვანი ბატონობა პონტოსპირეთში, ქართველური ტომების დიდი ავჯანყებით დაგვირგვინდა; მძიმე ხარკი, ამკრეფთა გამომძალველობა, რაც უაღრესად უხეში ფორმებით მიმდინარეობდა, ვაჭრობის შეზღუდვა, ე. წ. „თანამოლაშქრეობა" და ა. შ. სულს უხუთავდა ადგილობრივ ტომებს, ხოლო ვესპასიანეს საგადასახადო ღონისძიებანი 60-იანი წლების დამლევს ის წვეთი იყო, რომელიც მოთმინების ფიალის ავსებას აკლდა. ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნის დამლევის შემდეგ რომაელთა უშუალო გავლენა პონტოსპირეთის ტომების ცხოვრებაზე უაღრესად სუსტდება და თანდათანობით რომაელთა სიუზერენობის ფორმალურ აღიარებამდე მიდის – ეს ადგილობრივი ძალების დიდი გამარჯვება იყო.

როგორია ადგილობრივ ტომთა მეურნეობის ხასიათი?

როგორც ვალერი კატულის,[501] ვირგილი მარონის[502] სტრაბონის,[503] ვალერი პრობის[504], ვალერი ფლაკის[505], დიონისეს[506], ამიანე მარცელინის[507] და რიგი სხვა ავტორების ცნობებზე დაკვირვებიდან ირკვევა, სამხრეთ სანაპიროზე ხალიბთა მიწა კვლავ ***ლითონის დამუშავებითაა*** ცნობილი; ანტიკურ ლიტერატურაში მათი სახელი ნაწილობრივ ტრადიციით, ნაწილობრივ – წარმოების ძველი დარგის კვლავ არსებობით, არაერთი ავტორის ყურადღების საგანი ხდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ სრულებით არაფერი ვიცით, თუ როგორი ცვლილებები მიმდინარეობს იმდროინდელი წარმოების ტექნიკაში, რომელსაც ქართველური ტომები მეტალურგიულ წარმოებაში იყენებენ. ეს აიხსნება არა მარტო და არა იმდენად ანტიკურ ლიტერატურაში დაცული ცნობების სიმცირითა და სიმშრალით, რამდენადაც სამხრეთ სანაპიროების არქეოლოგიური კვლევის სრული უქონლობით. როგორც სტრაბონის ცნობიდან ირკვევა, ლითონის მოპოვება უპირატესად ქვეყნის სიღრმეში, მთებში მცხოვრებ თემებს უწარმოებიათ, ხოლო ზღვის სანაპიროზე მცხოვრებლები მეთევზეობით (და ალბათ, მიწათმოქმედება-მესაქონლეობით) მოიპოვებდნენ ცხოვრებისთვის საჭირო სახსარს. სამხრეთ სანაპიროს ტომების მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი სჭერია ***მეფუტკრეობას.*** მართალია,

---

[501] Val. Cat., XVI, 48-50. SC, II, 13.
[502] Verg. Mar., I, 56-59. SC, II, 14.
[503] Strab., XII, 3, §19. SC, I, 158.
[504] Val. Prob., I, 56. SC, II, 25.
[505] Val. Flac., IV, 610 ... SC, II, 202.
[506] Dionis., 761-774. SC, I, 186-187.
[507] Fmm. Marc., XXII, 8 §20. SC, II, 325.

ანტიკური ავტორები ცუდი აზრისა არიან აქაური თაფლის თვისებების შესახებ, რაზედაც მათ ერთგვარი საფუძველი გააჩნდათ, მაგრამ ისინი ძალიან აქებენ აქაურ ***ცვილსა*** და ***ფისს.*** პლინი სეკუნდის ცნობიდან ირკვევა, რომ სანებს რომაელებისათვის ხარკად (intributa) ცვილი უძლევიათ, რომელიც მუქი ყვითელი ფერის, სუფთა და თაფლის სურნელის მატარებელი ყოფილა.[508]. სწორედ ასეთი თვისებების მატარებელია ცვილი, რომელსაც დღესაც ამზადებენ გურია-აჭარის მთის რაიონის მცხოვრებლები. მეფუტკრეობა მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო არა მარტო სამხრეთ სანაპიროს ტომებისათვის, არამედ, როგორც სტრაბონის ცნობებიდან ირკვევა, კოლხეთისათვისაც.[509] მართალია, პონტოსპირეთის თაფლი ბერძნულ-რომაულ სამყაროში საჭმელად არ გამოიყენებოდა, მაგრამ მას, როგორც კლავდი ელიანის ცნობიდან ირკვევა, იყენებენ სამკურნალოდ.[510]

როგორც სტრაბონის ცნობებიდან ჩანს, პონტოსპირეთის ქართველურ ტომებში განაგრძობს არსებობას მეურნეობის ტრადიციული დარგები: ხეტყის დამზადება (ამის შესახებ იხსენიებს არიანეც), სამთამადნო წარმოება, სელისა და კანაფის წარმოება, მეთევზეობა, მეფუტკრეობა, მეხილეობა და ა.შ.[511] ბარისა და მთის მეურნეობა კვლავინდებურად სხვადასხვა ხასიათისაა; მთიელები, სტრაბონის ცნობით, მეტწილად ნადირის ხორცით, ველური ხილით და რძით იკვებებოდნენ თურმე, ხოლო ბარში მათთვის საჭირო საქონლის, კერძოდ მარილის, შესაძენად ჩამოდიოდნენ.[512] მართალია, სტრაბონი კოლხიდას ახასიათებს ნაყოფით მდიდარ ქვეყნად (ἀγαθή δ᾽ἐστίν ἡ χώρα καί καρποῦς...), მაგრამ არაფერს ამბობს მარცვლეულის შესახებ. ანტიკურ ლიტერატურაში საერთოდ, და ჩვენთვის საინტერესო ხანისთვის კერძოდ, მემინდვრეობაზე თითქმის არა გვაქვს ცნობები. პრისკე პანიონელის (VI ს.) ერთი ცნობიდან ვიგებთ, რომ ლაზიკაში ხორბალი უთესიათ,[513] ხოლო VI საუკუნის დამლევის ავტორი აგათია სქოლასტიკოსი გადმოგვცემს, რომ „ლაზების ქვეყანა

---

[508] Plin., XXI, 77, SC, II, 193.

[509] მეფუტკრეობაზე და მის რიტუალებზე იხილეთ: ალ. რობაქიძე, მეფუტკრეობა გურიაში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. V. 1953 წ. მისივე, К вопросу о пчеловодстве в Грузии, КСИЭ, УШ, 1949.
მისივე, მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ერთი ჩვეულების შესახებ, მიმომხილველი, III. 1953წ.

[510] Claud. Ell., V, 42; SC, I, 603.

[511] Strab., XI, 2, §17; SC, I, 136-137

[512] იქვე XI, §6, SC, I, 147.

[513] Fr., 22; SC, I, 847.

გამოირჩევა მიწა-წყლის სიჭარბითა და მოსავლიანობით“.[514] აგათიას უფროსი თანამედროვე პროკოპი კესარიელი ლაზიკას საერთოდ ღარიბ ქვეყნად წარმოადგენს, მაგრამ აქ გამოყოფს ერთ ოლქს, ე. წ. მუხურისს, რომელიც კოლხიდაში ყველაზე უხვმოსავლიანი და მდიდარი რაიონი ყოფილა, სადაც „ღვინოც კარგი მოდის, სხვა ნაყოფნიც კარგად ხარობენ“ და მჭიდროდ დასახლებული სოფლებიც მრავალია («...ἡ Μοχήρησιν...πολλάς καὶ πολυανθρώπους κώμας ἔχουσα καὶ γῆς τῆς Κολχίδος αὕτη μιαλιστα ἡ ἀρίστη ἐστίν ἐπεὶ καὶ οἶνος ενταῦθα καὶ οἱ ἄλλοι καρποὶ ἀγαθοὶ φύονται καίτοι τά γε ἄλλα τῆς Λαζικῆς οὐ ταύτῃ ἔχει»). როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, მუხურისი შეადგენდა დასავლეთ საქართველოს საკმაოდ მოზრდილ რაიონს, რომელიც ქუთაისის, მაიაკოვსკის (ბაღდადის), ვანის, სამტრედიის, აბაშის და გეგეჭკორის /მარტვილის/ რაიონების ვაკეს მთლიანად ან ნაწილობრივ ფარავდა და მოგვიანებით „სამოქალაქოდ” იწოდებოდა.[515] აგათიას ცნობით, აქ ქვრიმა (ἐλυμός) და ასლიც (ζειάς) მოდიოდა. შესაბამისი ხანის არქეოლოგიური ნუმიზმნაკური მასალები, რომლებიც გათხრებისა თუ შემთხვევების წყალობით არის მოპოვებული, ადასტურებენ, რომ I-IV საუკუნის დასავლეთ საქართველო და სამხრეთ სანაპიროები განაგრძობენ სამეურნეო განვითარების ძველ ხაზს და ამოვარდნილი კი არ არიან განვითარების საერთო კალაპოტიდან, არამედ, პირიქით, დასტურდება, რომ დასავლურ-ქართული ტომები, ავითარებენ რა წინა თაობათა მონაპოვარს, შემოქმედებითად ითვისებენ უცხოელთა მიღწევებს და თავიანთს უზიარებენ მათ. სტრაბონი იბერიას მეტად მაღალგანვითარებული კულტურის ქვეყნად გვიხატავს (XI. 3 §1). ხოლო როგორც წერილობითი წყაროების, ისე არქეოლოგიური მასალის ურთიერთშედარება ცხადყოფს, რომ კოლხეთი, თუ მაღლა არ იდგა, არაფერით ჩამოუვარდებოდა იბერიას. ურეკში, სოხუმში, ვანში, ბორში, დაბლაგომში, კლდეეთში, ბიჭვინთაში, პეტრაში, ნოქალაქევში, ფოთში, ქუთაისში, ჩხოროწყუში და ძველი კოლხიდის სხვა პუნქტებში მოპოვებული მატერიალური კულტურის ნაშთები ამის საუკეთესო დადასტურებაა. შესაბამისი ხანის დასავლურ-ქართული მასალები უთითებენ როგორც ეკონომიური ცხოვრების მჩქეფარებასა და

[514] Agath., III, 5, გეორგიკა, III,50.
[515] ჯანაშია ს., ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრ. II, თბ., 1952, 320-321

სოციალურ დიფერენციაციაზე, ისე ხელოვნებისა და კულტურის[516] დაწინაურებულობაზე და ხელოსნობის მრავალსახიანობაზე.

წერილობითი წყაროებითა და არქეოლოგიურ-ნუმიზმატიკური მასალებით ირკვევა, რომ დასავლურ-ქართული ტომების მეურნეობაში აღებ-მიცემობას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონია. მას ეკონომიური ურთიერთობა აქვს როგორც ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის, ისე სამხრეთისა და დასავლეთის ქვეყნებთან, მაგრამ ძირითადად ისინი დასავლეთის ქვეყნებთან ჩანან დაკავშირებული როგორც კულტურულ, ისე ეკონომიკურ სფეროში.

საშინაო ბაზარი რაიონებსა და ტომებს შორის მოსაქმეობის დანაწილების გამო ძლიერდება, რასაც ხელს უწყობს მიმოსვლის საშუალებათა და გზების გაუმჯობესება, რაც რომაელთა ხანაში უფრო საგრძნობი ხდება. რომაელთა ღონისძიებები ამ მხრივ მიზნად ისახავს არა ადგილობრივ ტომთა ეკონომიკისა და ყოფის გაუმჯობესებას, არამედ იმპერიის სტრატეგიული მდგომარეობის გაუმჯობესებას და ხაზინის შემოსავლის გადიდებას. რომაელთა ხანაში განსაკუთრებით გაცხოველდა საგარეო ვაჭრობა, მაგრამ იგი რომაელთა პოლიტიკური ბატონობის გამო შეზღუდულია მათი ინტერესების შესაბამისად.

აღება-მიცემობის (საგარეო და საშინაო) გაცხოველების შედეგად განსაკუთრებით წინაურდება ზღვისპირა და საქარავნო თუ სამდინარო მაგისტრალების მიყოლებით მდებარე ქალაქები – ტრაპეზუნტი, ფარნაკია, აფსარი, ფაზისი, დიოსკურია, პიტიუნტი, ქუთაისი, არქეოპოლისი და სხვები. ბიჭვინთის არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყო, რომ I-IV საუკუნისათვის ეს ქალაქი მჩქეფარე ცხოვრებით ცხოვრობდა, ამისივე მოწმობა უნდა იყოს პლინი სეკუნდთან და ზოსიმთან დაცული ცნობებიც. აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებით დაწინაურებული ჩანს დიოსკურია, რომელიც სტრაბონის ცნობით, ადგილობრივი ტომების საბაზრო ადგილი ყოფილა. იქ, მისი სიტყვით, 60 ტომი იყრიდა თავს.[517] სადაც პლინი სეკუნდის ხანაში რომაელები თავიანთ ოპერაციებს 130 თარჯიმნის შემწეობით აწარმოებდნენ. ზღვისპირა ქალაქებში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ფაზისსა და ტრაპეზუნტს. ტრაპეზუნტი აღმოსავლეთიდან მომავა-

---

[516]თემისტეს ცნობიდან ირკვევა, რომ ლაზიკაში არსებულა განათლების ცენტრები, სადაც სასწავლებლად მცირე აზიიდანაც კი მოდიოდნენ თურმე. იხ. SC, I, 696. ს. ყუახჩიშვილი, როტორიკული განათლების ცენტრები ძველ კოლხეთში, საქ. სახ. მუზ. მოამბე X-B, 1940წ, 334.
[517] Strab., XI, 2, § 16. SC, I, 136.

ლი უდიდესი საქარავნო გზის წვეროში მდებარეობდა, ხოლო ფაზისი ფასიდ-ჰირკანიის გზის დასასრულს, რომელიც ცენტრალურ, სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიას შავი და ეგეოსის ზღვის აუზების ქვეყნებს უკავშირებდა.

ვირგილი მარონის, სტრაბონის, პლინი სეკუნდის, სენეკას, არიანეს და სხვა ავტორების შრომათა საფუძველზე შეიძლება შევადგინოთ სია იმ საქონელთა, რომლის მიწოდება ქართველურ ტომებს საგარეო ბაზრისათვის (აქ ძირითადად რომაული სამყარო იგულისხმება) შეეძლო: ხეტყე, ლითონები და მათი ნაწარმი, სანთელი, ფისი, სელი, კანაფი, ბეწვეული და ტყავი, ნანადირევი და თევზეული, ხილი, მონები, სამკურნალო საშუალებები - castorea, (თახვის ყაირა), acora, თაფლი, (აღიარებული იყო ეპილეფსიის სამკურნალო საშუალებად), და ა. შ. ცხადია, ეს სია სრული არ არის და მასში აუცილებლად უნდა ვიგულისხმოთ ხელოსნობის ნაწარმიც. მაგრამ კოლხიდა და სამხრეთ სანაპიროები საგარეო ბაზარს აწვდიან არა მარტო საკუთარ ნაწარმს, არამედ შუამავლობენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის აღებ-მიცემობაში. ეს როლი განსაკუთრებით ძლიერდება რომაელთა პოლიტიკური გავლენის შემცირების პარალელურად. იმ ხანაში, როდესაც რომაელებმა ამიერკავკასია დაიმორჩილეს, იმპერიისათვის აღმოსავლეთთან ვაჭრობას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა, მაგრამ თავისუფალ კავშირს აფერხებდა ჯერ არშაკიდების, შემდეგ კი სასანიდების ირანი. კოლხიდაზე გადამავალი სავაჭრო გზა ირანზე შემოვლით უკავშირდებოდა კასპიის გაღმა მდებარე ქვეყნებს და ამდენად რომაელებისათვის მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ნერონის ცნობილი ექსპედიცია 60-იანი წლების დამდეგს, სხვათა შორის, ამ გზის ხელში ჩაგდებასაც ისახავდა მიზნად.[518] ეს გზა, მართალია, უძველესი დროიდან მოქმედებდა, მაგრამ (პირველი წერილობითი ცნობები მის შესახებ ანტიკურ ლიტერატურაში გარკვევით ელინისტური ხანისათვის ჩნდება, ჰეროდოტეს ცნობა ანგარიშში მისაღები არ არის) რომაელთა ხანაში იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და მათი საგანგებო ზრუნვის საგნად იქცევა – ეს აღმოსავლეთთან ვაჭრობის დიდი მნიშვნელობითაა გამოწვეული. ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში აღმოსავლეთის ქვეყნები დასავლეთს აწვდიან იმ დროისთვის ფართო სიის საქონელს. ინდოეთი – ბრინჯს, ბამბის ქსოვილეს, ბამბის

[518] Гайдукевич В.Ф., Боспорское царство, стр. 331, Манандян Я., Цель и направление …, Вопр. Истор., №7, 1946, стр. 66

ნედლეულს, პილპილს, ძვირფას ქვებს, მარგალიტს, შავ ხეს, საღებავებს, სპილოს ძვალს და ა. შ. ჩინეთი – ძირითადად აბრეშუმსა და აბრეშუმის ქსოვილებს. დასავლეთის ქვეყნებიდან აღმოსავლეთში მიდის – ტყვია, კალა, სპილენძი, ოქრო, ეგვიპტური და სირიული მხატვრული ქსოვილები და მინის ნაწარმი და ა. შ. მაგრამ დასავლეთს აღმოსავლეთთან ვაჭრობაში აქტიური ბალანსი თითქმის არასოდეს ჰქონია, რაც ნაღდი ფულით (ოქრო-ვერცხლი) იფარებოდა; პლინი სეკუნდი აღშფოთებით აღნიშნავს (XII, 41). რომ მისი დროის რომაელებს კომფორტი და ცოლები 100 მილიონი სესტერცია უჯდებოდათ წელიწადში; მკვლევართა აზრით, ეს ის თანხაა, რომლის გაღება რომს უხდებოდა აღმოსავლეთთან ვაჭრობის ბალანსის გასასწორებლად.[519] საკმარისია აღინიშნოს, რომ I-II საუკუნეში აბრეშუმი თითქმის ოქროს წონაზე იცვლებოდა, ხოლო III საუკუნის პირველი მეოთხედიდან სასანიდური ირანი გადაულახავ ზღუდედ აღიმართება ე. წ. „აბრეშუმის გზაზე". იმპერიის ცდები – თავი დაეღწია ირანელთა შუამავლობისათვის აბრეშუმით ვაჭრობაში – წარმატებით არ დაგვირგვინებულა. აბრეშუმის საკითხის გადაჭრა მან თავის მემკვიდრე ბიზანტიის იმპერიას უანდერძა.

შინაური ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად კოლხიდაში I-II სს-ში გრძელდება ადგილობრივი მონეტის გამოშვება. რომაელთა ბატონობის დასაწყისი ხანისათვის შემორჩენილია არისტარხეს სახელით გამოშვებული მონეტა (ძვ. წ. 52/51 წწ.).[520] ამავე დროს აღმოსავლეთის ქვეყნებში განსაკუთრებულ გავრცელებას პოულობს ოქტავიანე აგვუსტის დინარები. მკვლევარები ფიქრობენ, რომ ეს დინარები სპეციალურად აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის იჭრებოდა, სადაც მას მეტოქეობას უწევს პართული დრახმები. პართელების ეკონომიური ბატონობა აღმოსავლეთში აიძულებს რომაელებს გამოუშვან პართული დრახმების თანაბარწონიანი ნიშნები.

იმპერიის სუსტი კავშირი პროვინციებთან და დამოკიდებული ხალხების მეურნეობასთან, აპირობებს უკანასკნელთა ეკონომიური ცხოვრების აღმავლობის შეუფერხებლობას იმ დიდი კრიზისებისა და რყევების ხანაში, რომელსაც იმპერია ჩვენთვის საინტერესო პერიოდში განიცდიდა.

---

[519] Манандян Я., О торговле …, стр. 75-76.

[520] კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, 32 და შემდ. Манандян Я., О торговле …, стр. 83. Зограф А.Н., Распространение находок античных монет на Кавказе, Тр. Отд. Нумизм., Гос. Эрмитажа, Л., 1945. Пахомов Е.А., Монетные клады …, Б., 1926.

ბიზანტიის იმპერიის წარმოქმნის დროისათვის შავიზღვისპირეთის სანაპირო მონაკვეთზე უკვე სხვა პოლიტიკური სიტუაციაა, რომლის მიხედვითაც წარმოებს ეკონომიური ურთიერთობა დასავლეთთან, მის ხასიათზე ქვემოთ გვექნება საუბარი, როცა ზანთა სამეფოს ისტორიას შევეხებით.

§2 პოლიტიკური მდგომარეობა I-IV სს.

ძვ. წელთაღრიცხვის 65 წლიდან, როგორც აღვნიშნეთ, კოლხეთი და სამხრეთ სანაპიროს ტომები რომაელთა ბატონობის ქვეშ ექცევიან.

რომაელთა მისწრაფება აღმოსავლეთში დაპყრობებისკენ და მათი წარმატებები ორი ძირითადი მიზეზით იყო შეპირობებული:

1) მონათმფლობელური საზოგადოების კრიზისით რომში, და 2) ელინისტური აღმოსავლეთის კრიზისით, მაგრამ ეს იყო ორი, მონათმფლობელური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი, საზოგადოების კრიზისი. ელინიზმი ამ განვითარების შუა საფეხურს წარმოადგენდა, ხოლო რომი - უმაღლესსა და უკანასკნელს; ელინიზმს, განვითარების თავისებურებათა გამო, მისჯილი ჰქონდა ამ კრიზისის შედეგად დაცემულიყო, ხოლო რომმა იგი ახალი მსოფლიო (იმდროინდელი გაგებით) სახელმწიფოს შექმნით გადაჭრა, ცხადია, დროებით. ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნის დამდეგს რომი ღრმა სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის ხანაში შევიდა, რომლის დროებითი გადაჭრა მან სამხედრო დიქტატურაში (იმპერია) ჰპოვა.[521] სწორედ ასეთ პერიოდში ხდება რომაელების მიერ ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობა. რომაელი სარდალი პომპეუსი, რომელმაც ეს დაპყრობები განახორციელა, ამიერკავკასიის ქვეყნებს, იმის მიხედვით, თუ რომელი ქვეყანა როგორ დამოკიდებულებაში იყო პონტოს სამეფოსგან, სხვადასხვანაირად მიექცა, ზოგი რომის მოკავშირეებად ჩარიცხეს (იბერია, არმენია), ზოგან ახალი მმართველები დანიშნეს (კოლხიდა, სამხრეთ სანაპირო), ხოლო ზოგი პროვინციად გააერთიანეს (პონტო და ბითინია). რომაელებთან დამოკიდებულება ჩვენთვის საინტერესო ხანაში ერთნაირი არ იყო მთელ სიგრძე-

[521] Ранович А.Б., Восточные провинции Римской империи в I-III вв. М-Л., 1949, стр. 14, 31. Машкин Н. А., Принципат Августа, М-Л., 1949, стр. 9 и сл. 74 и сл.

ზე: პომპეუსი, როგორც ჩანს, ანგარიშს უწევდა ადგილობრივ თავისებურებებს, მაგრამ იგი ძირითადად იმ გარემოებიდან გამოდიოდა, თუ რა შესაძლებლობა ჰქონდა რომს, აღებულ ხანაში, პროვინციების პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებას რომ გაძღოლოდა. რომს იმ ხანაში საამისო კადრი არ გააჩნია, ამიტომ იგი იძულებულია მმართველობისთვის ადგილობრივი ძალები გამოიყენოს.[522] რამდენადაც კოლხიდა პონტოს სამეფოს შემადგენელ ნაწილად იყო გაგებული რომაელების მიერ, პომპეუსმა იქ თავისი კაცი, არისტახი დააყენა მმართველად. ფესტი (IV ს.) ირწმუნება, რომ არისტახი მეფე იყო და არა მარტო კოლხეთის, არამედ ბოსფორისაცაო.[523] ევტროპის სიტყვითაც, არისტახი მეფე ყოფილა, მაგრამ მხოლოდ კოლხიდისა.[524] ფესტი ცდება, როცა არისტახს ბოსფორის მეფის გვირგვინით ამკობს, რადგან იქ ამ დროს ფარნაკ მითრიდატის-ძე მეფობს და არისტახისათვის ადგილი აღარ იყო. ასევე შეცდომას უშვებენ ევტროპი და ფესტი, როცა არისტახს მეფედ /rex/ მიიჩნევენ, რომელიც, როგორც მის მიერ 52-51 წწ. გამოშვებული მონეტის ზედწერილად ჩანს, კოლხების „მეფის" სახელს კი არ ატარებს, არამედ „წინამძღოლისა" (Ἀριστάχου τοῦ ἐπί Κόλχιδο, Βι).[525] ცხადია, ის რომაელი მმართველია და არა კოლხების მეფე; პომპეუსის განაწილების შედეგად სხვა ერთეულში მოყვნენ სამხრეთ სანაპიროების ტომები. სტრაბონი გადმოგვცემს, რომ სამხრეთ სანაპიროები გადილონიტიდის ნაწილით (ნაწილი ამისის მცხოვრებლებს სჭერიათ) პომპეუსმა დეიოტარს-გალატების ერთ-ერთ ტეტრარხს გადასცაო; აქ შედიოდა მთელი ტერიტორია კოლხიდასა და მცირე არმენიამდეო. დეიოტორის სიკვდილის შემდეგ, სტრაბონის სიტყვით, მისი საგამგეო მრავალ სამემკვიდრეოდ /διαδοχαί/ დაიშალა.[526]

ძველი წელთაღრიცხვის 48 წელს კოლხეთი და სამხრეთ სანაპიროები ბოსფორის მეფემ ფარნაკ მითრიდატის-ძემ დაიპყრო, მაგრამ სამოქალაქო ომში გამარჯვებული ცეზარი ამარცხებს მას და სდევნის აზიიდან. ყირიმში დაბრუნებული ფარნაკი ძვ. წ. 47 წელს იღუპება ტახტის მოცილე ასანდრის ხელით.[527]

---

[522] Ранович А.Б., იქვე, 23.
[523] Fest., XVI. SC, II, 323.
[524] Eutr., VI, 14. SC, II, 319.
[525] კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, 32.
[526] Strab., XII, 3, §13. SC, I, 157.
[527] App., 120. ВДИ, 1948, №1, стр. 291.

ძველი წელთაღრიცხვის 42 წელს ტრიუმვირებსა და რესპუბლიკელებს შორის მომხდარ ბრძოლაში რესპუბლიკელების დამარცხების შემდეგ აღმოსავლეთი ანტონიუსის ხელში გადავიდა, რომელმაც პონტო კვლავ სამეფოდ აქცია და იქ მეფედ პოლემონი დანიშნა. იგი გახდა დინასტიის ფუძემდებელი, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის 63 წლამდე მართავდა პონტოს სამეფოს.[528] პოლემონსვე დაევალა ბოსფორის სამეფოს შემოერთებაც. 14 წელს პოლემონი დაეუფლა ბოსფორის სამეფოს, მაგრამ 8 წელს დაიღუპა ასპურგიანებთან ბრძოლაში. სტრაბონი გადმოგვცემს, რომ მის დროს კოლხიდას ფლობდა ჯერ პოლემონი, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ კოლხებზე, ტრაპეზუნტზე, ფარნაკიაზე და მის ზემოთ მცხოვრებ „ბარბაროსებზე" მეფობდა პოლემონის ქვრივი პითოდორიდა.[529] მეორეგან სტრაბონი გვამცნობს, თუ ვის გულისხმობს იგი ამ ბარბაროსებში, – ესენი ტიბარენები და ხალდები ყოფილან.[530] მგვარად, კოლხიდა და სამხრეთ სანაპიროს ქართველური ტომები პოლემონის პონტოს სამეფოში ყოფილან გაერთიანებული. კოლხეთის პოლემონის პონტოში გაერთიანება, მ. ინაძის აზრით, ძვ. წ. 14 წლის ახლოს უნდა მომხდარიყო, როცა ოქტავიანემ პოლემონის ხელით პონტო და ბოსფორი ერთ სამეფოში გააერთიანა.[531] რა მნიშვნელობა ჰქონდა კოლხიდასა და სამხრეთ სანაპიროს ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთს რომის იმპერიისათვის? 1) კოლხიდა და სამხრეთ სანაპიროები წარმოადგენდა ერთგვარ პლაცდარმს რომის შემდგომი ექსპანსიისათვის როგორც აღმოსავლეთში, ისე ჩრდილოეთისაკენ. ამ სანაპიროებზე არაერთი მნიშვნელოვანი ნავსადგურია, რომლებიც აღმოსავლეთში მოქმედი რომაული არმიის მომარაგების პუნქტები ხდება და კეთილმოწყობილი გზებით უკავშირდება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს. მეორე მხრივ, ეს ოლქი იძლევა დამხმარე ჯარების გარკვეულ რაოდენობას, რომლებიც ადგილობრივი სარდლების ხელმძღვანელობით მონაწილეობენ რომაელების ლაშქრობებში; ამასთან, კოლხიდა მნიშვნელოვან როლს ასრულებს „მოკავშირე" იბერიის მორჩილებაში ყოლის საქმეში. კოლხიდა იბერიის ერთ-ერთ უახლოეს მეზობელს წარმოადგენდა, საიდანაც იბერიისაკენ იმ დროისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა გადადიოდა. ასევე, სამხრეთ სანაპიროები გადა-

---

[528] Голубцова Е.С., Северное Причерноморье и Рим на рубеже нашей эры, М., 1951, стр. 74.
[529] Strab., XI, 2, §18; SC, I, 138.
[530] Strab., XII, 3, §29; SC, I, 160-161.
[531] ინაძე მ., ფლავიუს არიანე ..., 104-108.

სასვლელებით უკავშირდება იბერიის სამხრეთ რაიონებს და არმენიას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა კოლხიდას, როგორც პლაცდარმს, ბოსფორის სამეფოს დამორჩილების საქმეში, რომელთანაც იგი ეკონომიური ძაფებითაც იყო დაკავშირებული; 2) კოლხიდა და სამხრეთ სანაპიროები წარმოადგენდა საკმაოდ მდიდარ რაიონს, რომელსაც რომის ხაზინისათვის საკმაოდ დიდი შემოსავლის მიცემა შეეძლო. რომაელები დიდ შემოსავალს იღებენ ვაჭრობიდანაც და ხარკის სახითაც, ამ მხრივ დამახასიათებელია პლინი სეკუნდის ცნობა, რომლის მიხედვითაც დიოსკურიაში რომაელები თავის საქმეებს (Negotia) 130 თარჯიმნის მეშვეობით აწარმოებდნენ თურმე.[532] სტრაბონის ცნობით, კოლხიდა და სამხრეთ სანაპიროები იძლეოდა სააღმშენებლო ხე-ტყეს, სელს, სამთამადნო ნაწარმს, კანაფს, ცვილს, ფისს, ხილეულს და ა. შ. რომაელები დაპყრობილ ქვეყნებს ისე უყურებდნენ, როგორც ნადავლს, რომელსაც დაპყრობისას საფუძვლიანად ძარცვავდნენ, ხოლო შემდეგ საძარცვავად პროკონსულებს, პუბლიკანებსა და მევახშეებს აძლევდნენ. მართალია, იმპერიის ხანაში ძარცვამ უფრო კანონიერი ხასიათი მიიღო, მაგრამ პროვინციის მმართველებისა და პუბლიკანების თვითნებობისაგან ადგილობრივი მოსახლეობის დაცვა არ ხერხდებოდა, რაც არაიშვიათად ცენტრალური ხელისუფლების ჩარევასაც იწვევდა, რომელიც იძულებული ხდებოდა მადამოჭარბებული მოხელეები სასამართლო პასუხისგებაში მიეცა. თუ როგორი ძარცვა ხდებოდა პროვენციებისა, ჩანს იმ ფაქტიდან, რომ 100-105 წლებს შორის პასუხისგებაში იქნენ მიცემული პონტოსა და ბითინიის პროკონსულები იულიუს ბაასი და ვარენიუს რუფდი. ტიბერიუსის დროს (14-37 წწ.) სასამართლოს გადასცეს მარტელა გრანი, ხოლო კლავდიუსის დროს (37-54 წწ.) კადიუს რუფი.[533] ცხადია, ეს ის მაგალითებია, რომლებზეც გამოხმაურება ცენტრალურ ხელისუფლებას აუცილებლად უცვნია. იმ ოლქის მოსახლეობა კი, რომლის გაძარცვისათვის ეს პირები სასამართლოში იქნენ მიცემული, პროცესიდან ვერავითარ სარგებელს ვერ ნახულობდნენ. მართალია, კოლხიდისა და სამხრეთ სანაპიროს შიდა რაიონებზე რომაელებს ხელი არ მიუწვდებათ მაინცადამაინც, მაგრამ ზღვის სანაპირო ქალაქები მათი აქ ბატონობის იარაღია. ეს ქალაქები მის ირგვლივ მდებარე ტერიტორიებზე პოლიკური ბატონობისა და ეკონომიურად მთელი მხარის დაქვემდებარების პუნქტები

[532] Plin., VI, 15. SC, II, 179.
[533] Ранович А.Б., Восточные провинции Римской империи в I-III вв, 1949, 76.

ხდებიან. ზღვისპირა ქალაქებს სანაპირო ტომებს მეურნეობაში იმთავითვე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა როგორც გატანის, ისე შემოტანის ხაზით. ეს ქალაქები ის პუნქტები იყო, სადაც თავს იყრიდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომების ნაჭარბი საქონელი – სელის ნაწარმი, ხე-ტყე, ლითონის ნაწარმი, ცვილი, თაფლი, ხილეული და ასევე უცხოეთიდან მოტანილი საქონელი – მარილი, ხელოსნობის ნაწარმი, პური, ღვინო და ა. შ. რომაელები სარგებლობენ მათი, როგორც გამარჯვებულის, მდგომარეობით და აღებ-მიცემობას, პირველ ყოვლისა, თავიანთ სარგებლობას უყენებენ მიზნად, რის გამოც ზარალდებიან ადგილობრივი საქმოსნები, ხოლო ყველაზე მეტად – უშუალო მწარმოებლები. კოლხიდა და სანაპიროები ითვლებიან აგრეთვე მონათა მიწოდების წყაროდ. მონები გადმოყავთ ჩრდილო კავკასიიდან, ხოლო ადგილზე ტყვეთა გამტაცებლების მთელი ბანდები მოქმედებენ, რომლებიც ზღვის სანაპირო ქალაქებში მოკალათებული რომაელების მფარველობით სარგებლობენ.[534] ყოველივე ზემოთ მითითებულის გამო რომაელებმა პონტოსპირეთის ხალხების უაღრესი სიძულვილი დაიმსახურეს, რისი ერთ-ერთი დადასტურება ჰენიოხების მიერ „უმდიდრესი პიტიუნტის" გაძარცვაშიც შეიძლება დავინახოთ.[535] მალე, ახ. წელთაღრიცხვის I საუკუნის 60-იან წლებში, პონტოსპირეთის ქართველურ ტომთა სიძულვილმა რომაელებისადმი ზღვრულ დონეს მიაღწია, რითაც ისარგებლა 63 წელს პონტოს სამეფოს ფლოტის ყოფილმა სარდალმა ანიკეტმა. 63 წელს ასევე პროვინციად იქცა ბოსფორიც და კოლხიდაც – ამავე დროს, ნერონის მეფობის უკანასკნელ წლებში ხდება პროვინციების მთელი რიგი აჯანყებები როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში, რასაც ნერონის სიკვდილის შემდეგ ტახტის მოცილეთა (ვესპასიანე და ვიტელიუსი) შორის ბრძოლაც დაემატა. ის იყო, ვესპასიანე გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა (69 წ. ზაფხული), რომ ტაციტის ცნობით, „მოულოდნელად პონტოში იარაღი აღმართა მონა-ბარბაროსმა (barbarum mancipium), რომელიც ოდესღაც სამეფო ფლოტის სარდალი იყო. ეს ანიკეტი იყო – პოლემონის აზატი (libertus), რომელსაც წინათ დიდი ძალა ჰქონდა და რომელიც გულნატკენი იყო იმ ცვლილებით, (რომელთა შედეგად) სამეფო

[534] სტრაბონის ცნობით, ეს ბანდები, რომლებიც დღე და ღამ დაეხეტებიან, მხარდაჭერას რომაელ მოხელეებთან პოულობენ, ხოლო ის ოლქები, რომელთაც თავიანთი ადგილობრივი ბელადები ყავთ, უკეთეს მდგომარეობაში არიან, რადგან ეს ბელადები იბრძვიან მეკობრეების წინააღმდეგ. Strab., II, 2, §12; SC, I, 133-134.
[535] Plin., VI, 15, §16; SC, II, 179.

პროვინციად იქცა. ვიტელიუსის სახელით მან თავის მხარეზე გადაიბირა პონტოს სანაპიროზე მცხოვრები ტომები (gentibus) და ნადავლის იმედით შეაცდინა რა აგრეთვე ყოველგვარი ღატაკნი (egentissimo), ფრიად მნიშვნელოვანი რაზმით (manus) შეიჭრა ტრაპეზუნტში, ძველთაგანვე სახელოვან ქალაქში, აშენებულში, გადმოცემის მიხედვით, ბერძნების მიერ პონტოს სანაპიროს ბოლოს. იქ განადგურებულ იქნა კოჰორტა, რომელიც წინათ სამეფო დამხმარე რაზმი იყო, ხოლო მას შემდეგ, რაც რომის მოქალაქეობა მიიღეს, მათ რომაული იარაღი და ჩვენი ნიმუშის დროშები ჰქონდათ, მაგრამ განაგრძობდნენ ბერძნული სიზარმაცისა და დაუდევრობის შენარჩუნებას. ანიკეტმა ასევე ცეცხლი წაუკიდა ფლოტს და რომაელებს დაცარიელებულ ზღვაზე დასცინოდა, რადგან მუციანემ საუკეთესო ლიბურნული ხომალდები და ყველა ჯარისკაცი ბიზანტიონში გადაიყვანა.[536] ამის გამო ბარბაროსები, სწრაფად ააშენეს რა გემები, რომლებიც კამარებად იწოდებიან, ამაყად მიმოდიოდნენ ზღვაზე... ამ ამბებმა აიძულა ვესპასიანე სამხედრო საქმეში გამოცდილი ვირდიუს გემინის სარდლობით ლეგიონებიდან გამორჩეული ვექსელიარები გაეგზავნა. თავს დაესხა რა მტერს, რომელიც საშოვარს დადევნებული, გაფანტულიყო, გემინმა ისინი გემებზე შერეკა და სასწრაფოდ ააშენა რა ლიბურნული ხომალდები, ანიკეტი მდინარე ხობის შესართავთან მიიმწყვდია, სადაც ის თავს უშიშარად გრძნობდა, სარგებლობდა რა სედოხეზების მეფის მხარდაჭერით, რომელიც მან მოკავშირედ გადაიბირა ფულით და საჩუქრებით. მეფე პირველად იცავდა დახმარების მთხოვნელ ანიკეტს და გემინს იარაღით ემუქრებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მას ანიკეტის გაცემისათვის ჯილდოსა და ომს შორის არჩევანი შესთავაზეს, იგი ბარბაროსებისთვის ჩვეული ვერაგობით დათანხმდა დაეღუპა ანიკეტი და გასცა ლტოლვილები, ასე მოეღო ბოლო მონების ომს.”[537] მართალია, ტაციტი ამ ფაქტს „მონების ომად” იხსენიებს, მაგრამ როგორც ნ. ბერძენიშვილმა შენიშნა, ტაციტი აქ სიტყვა-სიტყვით გასაგები არ არის”. ტაციტის ცნობით, ავჯანყებაში ძირითადად პონტოს ხალხები მონაწილეობენ.[538] ვესპასიანეს მიერ სასწრაფო ზომების მიღება ნაკარნახევი იყო შიშით, რომ ავჯანყების ალი ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებსაც არ მოს-

---

[536] ვიტელიუსის წინააღმდეგ ომისათვის.

[537] Corn Tacit., III, 47, 48. SC, II, 248-249. ჯანაშია ს., საქართველო ადრინდელი ..., 188-189. Болтунова А.И., Восстание Аникета, ВДИ, 1939, №2, стр. 57-58.

[538] ჯანაშია ს., საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, 299-300.

დებოდა.[539] ამიტომ იყო, რომ ასეთ კრიტიკულ ხანაში (ვიტელიუსთან გადამწყვეტი ბრძოლა ჯერ არ მომხდარიყო) მან შესაძლებლად მიიჩნია რჩეული ჯარებისა და სარდლის აქეთ გაგზავნა. ტაციტის ცნობით, აჯანყების დამარცხების გაგებისას ვესპასიანე დიდ სიხარულს მისცემია.[540] როგორც ტაციტის ცნობაზე დაკვირვებით ირკვევა, აჯანყებაში ძირითადად სამხრეთ სანაპიროს ტომებს მიუღიათ მონაწილეობა, კოლხეთში კი, ს. ჯანაშიას სამართლიანი შენიშვნით, აჯანყების უკანასკნელი აქტი გათამაშებულა. შესაძლებელია, ამ დროს მომხდარიყო ჰენიოხების მიერ პიტიუნტის გაძარცვა, რასაც პლინისათვის დაცული ცნობიდან ვგებულობთ.[541] კოლხეთის ტომების ერთგვარი პასიურობა აჯანყების პერიოდში[542] შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ რომაელების გავლენა მათზე (ქვეყნის სიღრმეში მაინც) მეტად სუსტია, რაც კარგად ჩანს სედოხეზების მეფის ქცევიდან. იგი მაინცდამაინც დიდ ანგარიშს არ უწევს რომაელებს, იარაღითაც კი ემუქრება მათ. ამასთან, მას საშუალება აქვს აჯანყებულთა რაზმი შეიფაროს, ისე, რომ ხელისუფლების დაკარგვის საფრთხე არ იგრძნოს. ცხადია, მას ეს ხელისუფლება რომაელებისაგან მიღებული არა აქვს. იგი ადგილობრივაა წარმოშობილი. ეს კარგად იცოდა ანიკეტმაც, როცა თავის შესაფარებლად მასთან მიდიოდა და მასში მოკავშირეს ეძიებდა. სედოხეზების მეფეს ცხადია თავისი ინტერესები გააჩნია. იგი მოვალეა დაიცვას ის, ამიტომაც ანიკეტის გამცემის როლში აღმოჩნდება. მაგრამ მან გასცა არა დიდი სახალხო მოძრაობა, არამედ დამარცხებული მოძრაობის ბელადები, რომელთა სიცოცხლეც საკუთარი სამთავროს ინტერესებზე მაღლა ვერ დააყენა. ამ მხრივ, მისი მოქმედება, როგორც პოლიტიკური ერთეულის ჰეგემონისა, გამართლებულია. ეს ძალები დაინტერესებული არიან რომაელთა მეურვეობისაგან გათავისუფლებით და იბრძვიან კიდეც ამისათვის, მაგრამ მათი სუსტი მონაწილეობა აჯანყებაში - აჯანყების ორგანიზაციისა და პროგრამის საკითხიცაა.[543]

---

[539] Болтунова А.И., Там же, стр 62.
[540] იქვე, III, 48.
[541] Plin., VI, 16. SC, II, 179.
[542] კოლხეთის ტომებს რომ აჯანყებაში მონაწილეობა მიეღოთ, რომაელების საძებნელად წასვლა ტრაპეზუნტში არ დასჭირდებოდათ, ისინი აქვე იპოვიდნენ მათ სებასტოპოლისში, ფაზისში, პიტიუნტში და ა.შ.
[543] ლიტერატურა: ს. ჯანაშია, საქართველო ..., 188 და შმდგ. საქართველოს ისტორია I, 79-80. ს. ჯანაშია, საქართველო ..., 299-300. Болтунова А.И., Восстание Аникета, стр. 57-67. მ. ინაძე, ფლავიუს არიანე ..., 124-125, 340-305.

მართალია, ვესპასიანე ინარჩუნებს აღმოსავლეთს, მაგრამ ტრაიანეს (98-117) კვლავ უხდება გამდგარი კოლხეთის, იბერიის, ბოსფორის და სხვათა მეფეების კვლავ მორჩილებაში მოყვანა.[544] როგორც არიანეს Περίπλους-ში დაცული ცნობიდან ჩანს, ეს დამოკიდებულება სამეფო ნიშნების გაგზავნაში გამოიხატებოდა.[545] მისივე ცნობით, პონტოსპირეთის ქართველურ ტომებს, რომლებიც უშუალოდ სანაპიროსთან ცხოვრობდნენ, 5 სამეფო ჰქონიათ, რომელთა გვერდით ყოფილან უმეფო (ἀβασίλευτον) ტომებიც (ჭანები). სამხრეთ სანაპიროზე არიანე იხსენიებს მაკრონებისა და ჰენიოხების სამეფოს, რომლის მეფედაც მის დროს ანქიალი ყოფილა. დიონ კასიუსის ცნობით, ეს ანქიალი იმპერატორ ტრაიანეს პართელების წინააღმდეგ ომში ხლებია და მისგან შესაფერისი ჯილდოც მიუღია.[546] ამგვარად, იგი, როგორც ჩანს, ვალდებული იყო რომაელებისათვის დამხმარე რაზმები გამოეყვანა. ასევე არიანესთან Ἀλανική ἱστορία რომაელების მოკავშირეებად იხსნებიან კოლხებიც.[547] მისი ცნობით, პონტოს აღმოსავლეთ სანაპიროს გაყოლებით 4 სამეფო არსებულა (ლაზების, აპსილების, აბაზგებისა და სანიგების), რომელთა მეფეები ხელისუფლებას (Βασιλείαν) ფორმალურად რომის იმპერატორებისაგან იღებენ,[548] ფაქტობრივად კი ისინი ადგილობრივი დინასტებია. „Περίπλους"-ში იმპერატორების მიერ მეფეთა დამტკიცების წესის არსებობა ტრაიანეს (98-117წ.წ.) ხანისათვისაა დადასტურებული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს იგი ტრაიანეს მიერ ყოფილიყოს დაკანონებული.[549] ასეთი წესი შეიძლებოდა არსებულიყო არა მარტო რომაელების ბატობის ხანაში, არამედ უფრო ადრეც. არიანეს დუმილი ამ საკითხზე გამოწვეულია იმით, რომ მის მიზანს ახლა არსებული მდგომარეობის აღწერა შეადგენს. მართალი უნდა იყოს მ. ინაძე, როცა ფიქრობს, რომ ტრაიანეს მიერ ქვეშევრდომობაში მიღებული კოლხები რომაელთა მოხარკეები კი არ არიან, არამედ მოკავშირეები, თანამოლაშქრენი.[550] იმპერატორის მიერ მეფის დამტკიცების წესის არსებობის ასახვა უნდა იყოს მოცემული

---

[544] Fest., C XX., SC, II, 323. Eutr., VIII, 3. SC, II, 320.
[545] PPC., §15. SC, I, 222.
[546] Dio Cass., XVIII, 18; ალბათ ეს ანქიალი უნდა ვიგულისხმოთ „ჰენიოხების იმ მეფეში, რომელიც ტირიდატს მოუკლავს. იხ. იქვე, LXXI, 14, §1-2. SC, I, 622.
[547] Arr., 7, ВДИ, 1948, №1. 280.
[548] PPE., §15, SC, I, 222.
[549] მ. ინაძე ფიქრობს, ეს წესი ტრაიანეს მიერ იქნა დაწესებულიო. იხ. მისი, ფლავიუს არიანე ..., 136.
[550] იქვე.

იული კაპიტილინის ცნობაში, რომ ანტონი პიუსმა (138-161) ლაზებს მეფედ პაკორი მისცაო.[551] III-IV საუკუნისათვის ჩვენი ცნობები კიდევ უფრო მცირეა, მაგრამ ამ პერიოდში რომი უმძაფრეს საშინაო და საგარეო რყევებს განიცდის და დამოკიდებულება კიდევ უფრო ფორმალური ხდება – იმპერატორები ცდილობენ ძველი „მოკავშირეები" როგორმე მორჩილებაში შეიმაგრონ, რისთვისაც არ ერიდებიან გადმობირებასა და დასაჩუქრებას. კლავდი კლავდიანის ცნობით, თეოდოსი დიდს (379-395) მოკავშირეებად ჰყავდა იბერები და კოლხები.[552] მაგრამ საკონტროლო მასალები მეტყველებენ, რომ ამ ხანისათვის უკვე ჩამოყალიბებულია ლაზთა სამეფო, რომელსაც მოუსწრია დასავლეთ საქართველოს თავისი ჰეგემონობის ქვეშ გაერთიანება. დრეპანის ცნობით, თეოდოსი დიდის დროს კოლხიდა რომაელთა ხელისუფლების გარეთაა.[553] ასევე, კონსტანტინე დიდის დროს (306-337) რომაელებს სანაპიროები ემორჩილებიან, მაგრამ მხოლოდ პამფილიიდან ტრაპეზუნტამდე და სიმაგრეები ფასიდზე.[554] ასევე ამიანე მარცელინის ცნობა, თითქოს ფასიდთან მდებარე ქვეყანა რომაელების მოხარკე ყოფილიყოს,[555] ეხება აქაურ ქალაქებსა და ირგვლივ მდებარე მიწებს. იმავე ამიანე მარცელინის ცნობით, IV საუკუნის 60-იან წლებში რომაელების სამფლობელოებისა და ლაზიკის საზღვრები უკვე დადგენილია: სპარსეთის მეფის საპორის არმენიაში შეჭრის შემდეგ, გადმოგვცემს იგი, არმენიის მეფე პარა არშაკის-ძე გარბის იმ მთების ხეობაში, რომელიც ლაზიკისა და რომაელთა სამფლობელოების საზღვარს შეადგენს (Limites nostros disterminantes et Yazicom).[556] როდის უნდა მომხდარიყო ლაზების მიერ დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების გაერთიანება? როგორც ს. ჯანაშიამ მიაქცია ყურადღება, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ბერძნულ საისტორიო მწერლობაში მენანდრესთან დაცული ცნობა იძენს გადამწყვეტ მნიშვნელობას.[557] მენანდრეს სიტყვით, ბიზანტიელი ელჩი პეტრე ირანის შაჰს სვანეთის საკითხზე წამოჭრილ დავასთან დაკავშირებით შემდეგს ეუბნება: „ლაზებში, ბატონო, ძველი წესი იყო, რომ სვანეთის სარდალი (ὁ

---

[551] Yul. Capit., Anton. Pius., 9. SC, II, 294. შდრ. მ. ბერძენიშვილი, ქალაქ ფაზისის ლოკალიზაციისათვის, 143.
[552] Clavd. Claud., Stil., I, 154-156. SC, II, 384.
[553] Drepan., Paneg., Theod., V, SC, II, 347.
[554] Zosim., II, 33. SC, I, 797.
[555] Amm., Marc., XXII, 7, §10; SC, II, 324.
[556] იქვე, XXII, 12, §11; SC, II, 334.
[557] ჯანაშია ს., ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრ. II, 313.

Σουανίας ἡγεμών) ემორჩილებოდა ლაზს (τῶ Λαζῶ) და მასთან ის აღრიცხული იყო სახარკო სიაში, და ლაზი კიდეც იღებდა მისგან ფუტკრების ნაყოფს და ტყავებს და ზოგ სხვა რამესაც; ხოლო როდესაც სვანეთის მთავარი (ὁ Σουανός ἄρχων) გარდაიცვლებოდა, ლაზების მეთაური (ὁ τοῦς Λαζοῖς ἐφεστώς) ახელისუფლებდა მას, ვისაც უნდა მიეღო და დაეცვა გარდაცვლილის ძალაუფლება. ამავე დროს ის წერილობით აცნობებდა რომაელთა თვითმპყრობელს მომხდარი ამბების შესახებ და ესეც სამაგიერო წერილით უბრძანებდა მას გაეგზავნა სვანთა მთავრობის ნიშნები ვისთვისაც უნდოდა, მხოლოდ სვანი კი ყოფილიყო. ეს იყო ძალაში ჩვენი მეფის თეოდოსის დროიდან, ვიდრე თქვენი პაპის პეროზისა და ჩვენი მეფის ლეონის დრომდე. შემდეგ პეტრემ ქლამიდიდან გამოიღო ერთი წიგნაკი, სადაც ერთი-მეორეზე ცალ-ცალკე ნაჩვენები იყვნენ ლაზთა მეფეები, რომლებსაც გაეხელისუფლებიათ სვანთა სარდლები. ამ საბუთის ძალა ასეთი იყო, თუმცა გამოთქმები იქ ასეთი არ იყო; „ესენი არიან ლაზთა მეფეები (Λαζῶν Βασιλεῖς). რომლებმაც სვანებს ბატონიშვილები (οἱ γε βασιλίσκος) დაუყენეს, იმ დროიდან როდესაც რომაელთა ძალაუფლება ეპყრა თეოდოსის და სპარსელთა - უარანს, ვიდრე თვითმპყრობელ ლეონამდე და პეროზამდე."[558] ამ ცნობაში მოყვანილი ისტორიული პირების (თეოდოსი, უარანი, პეროზი, ლეონი) ზეობის საფუძველზე, როგორც ს. ჯანაშიამ დაადგინა, სვანეთი ლაზთა მეფის დამოკიდებულებაში შესულა 388-395 წლებში და ასე დარჩენილა 459-474 წლებამდე.[559] იგი, აგრეთვე, ითვალისწინებს რა ერთი მხრივ რომის აღმოსავლეთ საზღვრებზე შექმნილ ვითარებას თეოდოსის დროს, ხოლო მეორე მხრივ – იმპერიის საშინაო მდგომარეობის სიძაბუნეს, მიდის დასკვნამდე, რომ IV საუკუნის 80-90-იანი წლები სწორედ შესაფერი ხანა იყო, რომ ლაზთა მეფეებს იმპერატორისაგან თავიანთი ტერიტორიული ექსპანსიის დადასტურება მოეთხოვათ. მისი აზრით, „ალბათ დაახლოებით იმავე ხანებში უცნიათ ლაზთა მეფის სიუზერენობა სხვა ტომებსაც – აფსილებს თუ აფშილებს, აბასკებს, სანიგებსა და სხვებსაც."[560] მაგრამ მენანდრეს ცნობიდან ირკვევა, რომ IV საუკუნის 80-იან წლებში ლაზების სიუზერენობა მხოლოდ სვანებს უცვნიათ, ხოლო სხვა წყაროების ჩვენებიდან ვგებულობთ, რომ დანარჩენი ტომები ლაზებს

[558] Menandr., XI, გეორგიკა, III, 224-225; ს. ჯანაშია, იქვე, 313-314.
[559] იქვე, 314; საქ. ადრ. ფეოდ. გზაზე, შრ. I, 256.
[560] იქვე, შრ. I, 259. შრ. II, 317. საქართველოს ისტორია, I, 99-100.

გაცილებით ადრე დაუმორჩილებიათ. არიანეს, პტოლემაიოსის, პროკოპის, აგათიას და სხვა ავტორების ჩვენებებიდან ჩანს, რომ ზღვის სანაპიროზე ლაზების ჩრდილოეთით აფშილები, აბაზგები და სანიგები ცხოვრობდნენ, ხოლო სიღრმეში სვანები, მისიმიანები, ლეჩხუმელები, მეგრელები და სხვები. სანამ ლაზები სვანების დამორჩილებას გადაწყვეტდნენ, მათ მანამდე უნდა ეფიქრათ სხვა ტომების დამორჩილებაზე, რომელთაგან ნაწილი გზაზე ეღობებოდა, ხოლო ნაწილი თავისი პოლიტიკური ორგანიზაციის ქონებისას ლაზთა მეტოქედ გამოდიოდა. მართლაც, ირკვევა, რომ ლაზების მიერ დასავლეთ საქართველოს გაერთიანება ძალიან ადრე დაწყებულა: მეორე საუკუნის მეორე ნახევარში მათ უკვე მთელი ზღვის სანაპირო სჭერიათ.[561] პტოლემაისი გადმოგვცემს, რომ „კოლხიდის ზღვის სანაპირო ნაწილზე მოსახლეობენ ლაზები, ხოლო ზემოთ მდებარეზე - მანრალები და ისინი, რომლებიც ეკრიკტიკის ქვეყანაში ცხოვრობენ“ (Κατέχουσι δὲ τὰ ἐπὶ θαλάσση τῆς Κολχίδος Λάζοι τὰ δὲ ὑπερκείμενα Μάνραλοι καὶ οἱ κατὰ τὴν Ἐκρηκτικὴν χώραν).[562] როგორც ირკვევა, ლაზები არც III საუკუნეში მსხდარან გულხელდაკრეფილნი, რადგან IV საუკუნის 60-იანი წლებისათვის ისინი უკვე არმენებისა და იბერების მეზობლები გამხდარან.[563]

ამგვარად, არიანეს, პტოლემაიოსის, ამიანე მარცელინის, მენანდრე პროტექტორის ცნობების საფუძველზე ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოს ლაზიკის სამეფოდ გაერთიანებისათვის ბრძოლა II-IV საუკუნეში მომთავრებულა ძირითადად: II საუკუნის მეორე ნახევარში მათ დაუმორჩილებიათ ზღვის სანაპიროს ტომები (აფშილები, აბაზგები, სანიგები, სედოხეზები), IV საუკუნის 60-იანი წლებისათვის მათ უკვე დამორჩილებელი ჰყავთ შიდა რაიონები (მანრალები, ეკრიკტიკის სხვა ტომები) და უშუალოდ იბერებს ემეზობლებიან, ხოლო IV საუკუნის 80-იან წლებში სვანები დაუმორჩილებიათ, ე. ი. მათ უკვე მთაზე მიაქვთ იერიში. VI საუკუნეში, როგორც პროკოპის, აგათიას და სხვა ავტორების ჩვენებებიდან ირკვევა, ლაზებს ემორჩილებიან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ტომები კავკასიონზე მოსახლეთა ჩათვლით, ხოლო ამაზე ადრე, V საუკუნის ავტორი ფსევდო არიანე წერს, რომ „დიოსკურიიდან ანუ სებასტოპოლისიდან მდინარე აფსარამდე წინათ

[561] შდრ. ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., 70.
[562] Ptol., 9, §5, SC, I, 241
[563] Amm. Marc., XXVII, 12, §11, 17; SC, II, 334-335.

ცხოვრობდა ხალხი წოდებული კოლხებად და სახელგადარქმეული ლაზებად" (Ἀπό οὖν Διοσκουρίδος τῆς καί Σεβαστουπόλεως ἕως Ἀψαροῦ ποταμοῦ πρώην ὤκουν ἔθνος οἱ λογόμενοι Κόλχοι οἱ μετονομεσθέντες Λαζοί).[564]

§3. ლაზიკის (ზანთა) სამეფო და მისი ადგილი საქართველოს ისტორიაში

ლაზიკის სამეფოდ დასავლეთ საქართველოს ტომების გაერთიანება, როგორც აღვნიშნეთ, II-IV საუკუნეში დასრულდა, ცალკეულ ტომთა შორის ჰეგემონობისათვის ბრძოლაში გამარჯვებული ზანები გადმოვიდნენ და გაერთიანებასაც თავისი სახელი მიაკუთვნეს. ბერძნულ-ლათინურ მწერლობაში დაცული სახელწოდება „ლაზიკა" ქართველური ენების ლა//ლე თავსართითაა ნაწარმოები „ზან" სახელიდან. ისევე როგორც ლე-ჩხუმი, ლე-ხაინდრე ა. შ. და უდრის ქართულ „სა-ზან-ო"-ს.

ლაზთა სამეფოდ ცნობილი პოლიტიკური გაერთიანების წარმოქმნას ხელი შეუწყო კეთილსასურველი საშინაო და საგარეო ფაქტორების არსებობამ. მისი წარმოქმნა, ს. ჯანაშიას აზრით, ახალფეხადგმული ფეოდალური ძალების მომწიფების დადასტურება იყო. ისინი ახლა, მისი აზრით, პოლიტიკურადაც ფორმდებიან.[565] მათ ასეთ ორგანიზაციაში გაფორმებას ხელი შეუწყო კეთილსასურველმა საგარეო პირობებმაც: რომის იმპერია, რომელიც ძვ. წელთაღრიცხვის I საუკუნიდან პონტოს-პირეთის უზენაესი გამგებელია, მომდევნო ხანაში უმძაფრეს რყევებს განიცდის. IV-V საუკუნე იმპერიის სულთაბრძოლის ხანაა. ამავე ხანებში გამოყოფილი აღმოსავლეთ რომის იმპერია, რომელიც აღმოსავლეთში ძვ. რომის მემკვიდრედ ცდილობს გამოვიდეს, თავისი ორგანიზაციის პროცეს-

---

[564] PPE., §48. SC, I, 275.

[565] დასავლეთ საქართველოში, ფეოდალიზმის ურთიერთობის ასე ადრე გამარჯვების ვარაუდი იწვევს სამართლიან ეჭვს (ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ადრინდელი ფეოდალიზმის გზაზე). ლაზიკის სამეფოში ფეოდალური ძალები არ შეიძლებოდა სამეფოს წარმოქმნის მიზეზი გამხდარიყვნენ. ჩვენ არ ვიცით რა სოზოგადოებრივ ძალებს ემყარებოდა ლაზიკის მეფე, მაგრამ ვიცით, რომ იმავე ხანის იბერიაში მეფისა და აზნაურების კონფლიქტის ნიადაგზე ეცემა მეფობა და მხოლოდ შემდეგ იწყება ახალი ძალების პოლიტიკური გაფორმება, რამაც შედეგში საქართველოს ფეოდალური მონარქია მოგვცა.

შია გართული და უდიდესი დაძაბვით ახერხებს ბარბაროსთა შემოსევების უკუგდებას. ლაზები სარგებლობენ შექმნილი ვითარებით და ანგარიშს აღარ უწევენ ძველ ბატონებს. კონსტანტინეპოლის მთავრობა იოლად არ თმობს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ქვეშევრდომებს, რომლებიც იმპერიის საფარს წარმოადგენენ ჩრდილოეთის ნომადების წინააღმდეგ.[566]

იმ დროს, როდესაც რომსა და იტალიას ბარბაროსთა ტალღები ჰქელავენ, აღმოსავლეთ რომის იმპერია იძულებულია ლაზებთან ომი დაიწყოს: V საუკუნის 50-იან წლებში ლაზებსა და რომაელებს შორის მტრობა ჩამოვარდნილა. როგორც პრისკე პანიონელის ცნობებიდან ირკვევა, ლაზებთან ომში რომაელები ვერაფერს გამხდარან და უკან გაბრუნებულან. თანაც რომაელ სარდლებს ლაზებზე შეტევის ახალი გეგმა დაუმუშავებიათ და დახმარებისათვის ირანის მეფისათვის მიუმართავთ.[567] საინტერესო ცნობაა! ლაზებთან ომისათვის რომის იმპერატორი ირანელებს სთხოვს შველას. მეფე გუბაზი თავის მხრივაც ემზადება ომის გაგრძელებისათვის, საამისოდ დახმარებისათვის მასაც ირანისათვის მიუმართავს, მაგრამ ირანი ამ დროს ჰუნებს ებრძვის და გუბაზს თხოვნაზე უარით პასუხობს. ლაზები თავიანთი ტაქტიკური მოხერხებულობით რომაელებს ზედიზედ ამარცხებენ[568] და აიძულებენ გუბაზის მიერ შეთავაზებული საზავო წინადადება მიიღონ. პრისკე პანიონელს თუ დავუჯერებთ, რომაელებს ომი თურმე იმისათვის აუტეხიათ, რომ გუბაზი და მისი შვილი ერთდროულად მეფობდნენ ლაზიკაში, რაც, თურმე, ნუ იტყვით, არ ეთანხმებოდა ძველ წესს (ὁ παλλιος θεσμός).[569] ცხადია, რომაელები იძულებულნი გახდნენ ხელი აეღოთ ომის მთავარი მიზნების შესრულებაზე და გუბაზს მოსთხოვეს, ან მას აეღო ხელი ტახტზე, ან მის შვილს. გუბაზი, ჩანს, პატივმოყვარე არ ყოფილა და მეფობაზე უარი უთქვამს შვილის სასარგებლოდ. ცხადია, რომაელებს ეს მოთხოვნა თავისი უსუსურობის დასაფარავად აქვთ წამოყენებული, მათ, ცხადია, დიდად არ აინტერესებთ - ერთი მეფე იქნება ლაზიკაში თუ ათი, ოღონდაც ისინი რომაელების გამგონენი იყვნენ. რომაელებსა და ლაზებს შორის უთანხმოების ძირითადი საკითხი, ცხადია, მამა-შვილის ერთად მეფობა არ იყო. პრისპე პანიონელი, იქვე, მისდა უნებურად იძულებულია

---

[566] ჯანაშია ს., ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრ. II, თბ., 1952.
[567] Prisc. Pan., 25, SC, I, 840.
[568] იქვე, Fr, 2. SC, I, 847.
[569] იქვე, §26. SC, I, 841.

აღნიშნოს, რომ კეისარი მარკიანე (450-457) გუბაზის მოთხოვნით ლაზიკაში გზავნის სპეციალურ ელჩს, რომელიც უნდა შეუთანხმდეს გუბაზს იმ უთანხმოებებზე (διφόραι), რაც მათ შორის არსებობს. უბაზი უთანხმდება რომაელ ელჩს, მაგრამ მიუხედავად უვნებლობის გარანტიის მიღებისა, მაინც არ ცხადდება მარკიანე კეისართან, მხოლოდ ლევ კეისრის დროს ჩავიდა იგი კონსტანტინეპოლში, ისიც მისი გამეფებიდან რამდენიმე წლის შემდეგ. იქ იძულებული გამხდარან იგი კარგად მიეღოთ და შენდობილი გაეშვათ.[570] სწორედ ამ დროს უნდა დაეღწიათ თავი ლაზებს რომაელებთან თანამოლაშქრეობის ვალდებულებისაგან. ამ დროს წარმოქმნილა ის ვითარება, რომლის შესახებ პროკოპი კესარიელი წერს: „ლაზები თავდაპირველად კოლხიდის ქვეყანაში მოსახლეობდნენ და რომაელთა ქვეშევმდომები იყვნენ, ხოლო ***არც ხარკს იხდიდნენ***, არც სხვა რამეში ემორჩილებოდნენ მათ გარდა იმისა, რომ როდესაც მეფე მოუკვდებოდათ, რომაელთა მეფე უგზავნიდა სამეფო ტახტის მემკვიდრეს ძალაუფლების სიმბოლოს (Σύμβολα τῆς ἀραῆς). ის გულმოდგინედ იცავდა ქვეშევრდომებთან ერთად ამ ქვეყნის საზღვრებს, რათა მტრულად განწყობილი ჰუნები მათი მოსაზღვრე კავკასიის მთიდან ლაზიკაზე გამოვლით, რომაელთა მიწა-წყალში არ შემოჭრილიყვნენ – ისინი მტკიცედ იცავდნენ იმათ, ისე, რომ არც ფულს ღებულობდენ რომაელებისაგან, არც ჯარს და არც ლაშქრობდნენ რომაელებთან ერთად, – რა სახითაც არ უნდა ყოფილიყო ეს.”[571]

VI საუკუნის დამდეგს ლაზიკა უკვე ირანის მხარეზე ჩანს. ლაზთა მეფე დამნაზე, რომელიც, ალბათ, გუბაზის შვილის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, რომაელებს განდგომია და ირანული ორიენტაცია აუღია. ირანი ამ დროს აქტიურად გამოდის ამიერკავკასიაში. V საუკუნეში მან ჯერ ალბანეთში მოსპო მეფობა, ხოლო შემდეგ არმენიაში და იბერიას მიადგა. მან კარგად ისარგებლა რომის იმპერიის საგარეო და საშინაო გართულებებით და იბერია თავის მოხარკედ აქცია. მაგრამ ვახტანგ გორგასლის მეფობამ მას ცხადად დაანახა, რომ თუ იბერიაში მეფობა არ მოისპობა, იგი ირანის გამგონი ყმა არ გახდება. ამავე დროს, იბერიაში აჯანყებებისა და ურჩობის სურვილის აღკვეთა მისი ზურგის გაუვნებლობით თუ შეიძლებოდა. ასეთი ზურგი კი ლაზიკა იყო. ამიტომ იბერიაში პოზიციების მომაგრების შემდეგ, რაც ვახტანგ გორგასლის მოკვლის

[570] იქვე, §34. SC, I, 842.
[571] BP, II, 15. გეორგიკა, II, 45-46.

შემდეგ უნდა მომხდარიყო, ირანი იწყებს ლაზიკისათვის ბრძოლას, სარგებლობს ლაზიკასა და რომს შორის უთანხმოებით და ლაზთა მეფეს თავის მხარეზე იბირებს. ირან-ლაზიკას „მეგობრული" დამოკიდებულება 20-იანი წლების დამდეგამდე გრძელდება. სანამ ლაზთა მეფე დამნაზე, წათე I-ის მამა ცოცხალი იყო (521-522 წ.) წათე აჩვენებდა, რომ აღიარებს ცეცხლთაყვანისმცემლობის დოგმებს და ირანელების ერთგულია, რაც იოანე მალალას ცნობით, მეფედ დამტკიცების ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო. მაგრამ გარდაიცვალა თუ არა დამნაზე, იგი კონსტანტინეპოლში იუსტინე I-თან (518-527 წწ.) გამოცხადდა 522-523 წელს, ქრისტიანობა მიიღო და ლაზიკის მეფედ იქნა დანიშნული.[572] საინტერესო ცნობაა! ამა თუ იმ სარწმუნოებრივი მრწამსის აღიარება თანამედროვეების მიერ იმავ დროს პოლიტიკური ორიენტაციის ასეთობისა თუ ისეთობის მანიშნებელ გარემოებადაა გაგებული. თვით სიუზერენებიც თავისი ქვეშევრდომების მორჩილებისა და მათი აღზევება-დამცრობის პირობას მათი სარწმუნეობის აღიარებაში ხედავენ. სწორედ აქ უნდა ვეძებოთ იმის ძირითადი მიზეზი, რომ ქრისტიანობა, როგორც ოფიციალური სარწმუნოება, ლაზიკაში იბერიასთან შედარებით ორი საუკუნით გვიან იქნა აღიარებული: ქრისტიანობის გავრცელება ლაზიკაში ძალიან ადრე იწყება. ნიკეის საეკლესიო კრებას (325 წ.) უკვე ესწრებოდა ბიჭვინტის ეპისკოპოსი სტრატოფილოსი, მაგრამ ოფიციალურ სარწმუნოებად მისი აღიარება იგვიანებს, რადგან ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად აღიარება ლაზიკისათვის ნიშნავდა რომაული ორიენტაციის საბოლოოდ აღიარებას, ხოლო ასეთისათვის ლაზიკაში ნიადაგი დიდხანს არ არსებობდა, რამდენადაც რომაელებმა თავისი განუყოფელი ბატონობის ხანაში იქ კარგი ვერაფერი დათესეს. ის ფაქტი, რომ ბიზანტია ახლოს იყო და მბრძანებლობდა, ხოლო მისი მეტოქე ირანი შორს იყო და დროდადრო კეთილმოსურნე ჟესტსაც აკეთებდა, უბიძგებდა ლაზიკას, უფრო კი მის სამეფო საგვარეულოს, ქრისტიანობის აღიარებისგან თავი შეეკავებინა. სულ სხვა მდგომარეობა იყო იბერიაში. იბერია ადრე გაეცნო ირანის მეზობლობის სიავკარგეს და ადრე მიიღო ქრისტიანობა, რაც იმავ დროს რომაული ორიენტაციის აღიარებასაც ნიშნავდა. ასეც ესმოდა ეს იმდროინდელი ირანის მმართველებს და იბრძოდნენ კიდეც მის წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც ირანი უშუალოდ გაუმეზობლდა ლაზიკას, უკანასკნელი იძულებული გახდა საბოლოოდ მოეხდინა არჩევა-

[572] Χρονογραφία., XVII, გეორგიკა, III, 263.

ნი ირანსა და რომს შორის. ცხადია, მან რომაული ორიენტაცია აირჩია, ორთაგან უმცირესი ბოროტება. იგი კარგად ხედავდა, თუ რა ხდებოდა იბერიასა და არმენიაში. ცხადია, ორი ცუდიდან მან ნაკლებ ცუდი შეარჩია და 522-523 წელს ლაზი უფლისწული წათე ირანელებს განუდგა, ქრისტიანობა მიიღო და ლაზიკის მეფედ კონსტანტინეპოლის ხელისუფლთა მიერ იქნა დამტკიცებული.

წათე I-ის განდგომა ირანის შაჰ კავადს არაფრად მოეწონებოდა, მაგრამ სამაგიეროს მიზღვევისათვის მზადებაში რომ იყო, უეცრად იბერთა მეფე გურგენი აჯანყდა და ბიზანტიელებს (რომაელებს) მიემხრო. მაგრამ ბიზანტიელთა მიერ გაწეული სამხედრო დახმარება მისთვის უკმარი აღმოჩნდა, რის გამოც ირანელებისაგან დევნილი ლაზიკაში გაიხიზნა.[573] ირანელები დაედევნენ გაქცეულებს, მაგრამ ისინი ლაზიკის გადასასვლელზე მდებარე ვიწრობებში იოლად იგერიებენ მათ. ბიზანტიელები შეშფოთდნენ. ირანელები კი ლაზიკაში სალაშქროდ ემზადებიან. ამის გამო იბერიიდან გადმომავალი გზის ჩამკეტი ორი ციხიდან (შორაპანი და სკანდა) ბიზანტიელებმა ლაზთა მეფეს თავისი გარნიზონები გამოაყვანინეს და იქ რომაელი ჯარისკაცები ჩააყენეს, მათი სურსათით მომარაგება კი ლაზებს დაავალეს.[574] ასეთი რამ, პროკოპის ცნობით, ლაზებისათვის უჩვეულო საქმე იყო და მათ გარნიზონების სურსათით მომარაგებაზე უარი განაცხადეს, რადგან ეს ციხეები მათ საკუთარი თავისუფლების დასაცავად ააშენეს, ახლა კი ისინი რომაელთა ბატონობის ბაზა ხდებოდა. რომაელები იძულებულნი გახდნენ შორაპანი და სკანდა დაეცალათ. ირანელებმა ამით ისარგებლეს და ციხეებში საკუთარი გარნიზონები ჩააყენეს.[575] ამის შემდეგ ბიზანტიელები ცდილობენ უფრო მოქნილად იმოქმედონ და ლაზების კეთილგანწყობა მოიპოვონ. 532 წლის „საუკუნო ზავით" ლაზიკა ბიზანტიის სფეროდ იქნა აღიარებული, ხოლო იბერია – ირანისად. ირანელებმა დაცალეს ლაზიკის სასაზღვრო ციხეები. გათამამებული ბიზანტიელები ცდილობენ ლაზიკა თვინიერი გახადონ და იქ მათთვის სასურველ ეკონომიურ პოლიტიკას ატარებენ, რითაც დიდად ზარალდება ლაზიკის სამეფოს გარკვეული წრეები, განსაკუთრებით კი ისინი, რომლებსაც კავშირი აქვთ ბაზართან. ურთიერთობა მწვავდება და ბიზანტიელები ლაზიკაში სამხედრო ძალებს იმრავლებენ და თანაც

[573] BP, I, 12. გეორგიკა, II, 21-25.
[574] იქვე, გ. გოზალიშვილი, ბიზანტიასა და ირანს შორის ბრძოლა იბერია-ლაზიკისათვის VI საუკუნეში. თსუ შრომები, XXVI, თბ., 1944, გვ. 117.
[575] BP, I, 12. გვ. 25.

მეტად ძლიერ ციხეს, პეტრას, აშენებენ,[576] რაც საშუალებას აძლევს მათ სარდლებს უბოდიშოდ ჩაერიონ ლაზიკის საქმეებში და მათი ავტონომია შეზღუდონ. ბიზანტიელთა ასეთ მოქმედებას VI საუკუნის 40-იანი წლების დამდეგს ლაზიკამ, გუბაზ მეფის მეთაურობით, განდგომითა და ირანელების მოწვევით უპასუხა.[577] 542 წელს ირანის მეფე ხოსრო (531-571) დიდი ჯარით, რომელსაც მეგზურად ლაზები ჰყავდა, შეიჭრა ლაზიკაში და მძიმე ბრძოლის შემდეგ აიღო რომაელთა მთავარი სიმაგრე პეტრა. ამით დაიწყო ირან-ბიზანტიის ომების სერია, რომლებიც ძირითადად ლაზიკისათვის და ლაზიკის ტერიტორიაზე წარმოებდა. ეს ხანგრძლივი ომი, მცირე შესვენებებით, მთელი VI საუკუნის სიგრძეზე მიმდინარეობდა და საბოლოოდ ბიზანტიის გამარჯვებით დამთავრდა.

ლაზები ჩქარა დარწმუნდნენ, რომ ირანელების ბატონობა არაფრითაა უკეთესი ბიზანტიურზე. ამავე დროს, ხოსრომ გადაწყვიტა მთელი ლაზიკის აყრა და ირანელების იქ დასახლება. ახლა გუბაზი ცდილობს ბიზანტიასთან შერიგებას და ლაზიკისათვის სასარგებლო ფორმაში ახერხებს კიდეც იუსტინიანესთან (527-565) შეთანხმებას. ლაზთა დახმარებით ბიზანტიელები ავიწროებენ ირანელებს.

იმავ დროს თავს იჩენს ლაზთა ქვეშევრდომი ტომების განკერძოების ტენდენციები. ლაზთა და ბიზანტიელთა ბატონობისაგან თავდახსნისათვის ისინი ირანელებს უკავშირდებიან (სვანები, აფშილები, აბაზგები და მისიმიელები), მაგრამ საბოლოოდ იძულებული ხდებიან დამორჩილდნენ. და მაინც აბაზგები, ალბათ, ბიზანტიელთა ხრიკებით, ჩამოცილდნენ ლაზთა სამეფოს და უშუალოდ ბიზანტიელებს დაექვემდებარნენ.

562 წელს დადებული ირან-ბიზანტიის ზავით ლაზიკა ბიზანტიას დარჩა, მაგრამ სვანეთის საკითხი დარჩა გადაუჭრელი. ირანი დარწმუნდა, რომ ლაზიკაში ბიზანტიის პოზიციები ირანულთან შედარებით მეტად ძლიერია და უარი თქვა ომის შემდგომ გაგრძელებაზე. ამავე დროს მას საფრთხე ექმნება აღმოსავლეთის საზღვრებზე. ბიზანტია-ირანის ომში ლაზიკისათვის ბიზანტიის გამარჯვებაში ძირითადი ფაქტორი ლაზების პრობიზანტიური ორიენტაცია იყო. მომდევნო ხანებში ირანს ხელიდან ეცლება იბერია და არმენია. თეოფანე ბიზანტიელის ცნობით, VI საუკუნის 70-იანი წლების დამდეგს აჯანყებულ არმენებს ირანელთა წინააღმ-

---

[576] BP, II, 15. გეორგიკა, II, 47-48 და მრავალი სხვაგან. აგრეთვე Yustiniani novellae., XXXI, იქვე, 19, II, 17, იქვე 541, II, 29. იქვე 73.
[577] BP, II, 15. გეორგიკა, 11, 45.

დეგ ბრძოლაში კოლხები (ლაზები) და აბაზგები ეხმარებიან.[578] ბიზანტიელებს, როგორც ირკვევა, ლაზიკაში თანდათან მოუმაგრებიათ ფეხი. უპოვნიათ საზოგადოებრივი ფენები, რომელთაც შეიძლებოდა დაყრდნობოდნენ და ლაზიკის მეფის ხელისუფლება თანდათან შეუზღუდავთ. ჩვენ არ ვიცით, როდის მოხდა ეს, მაგრამ VII საუკუნის ბოლოს უკვე იხსენიება ლაზიკის პატრიკიოსი სერგი ბარნუკის-ძე.[579] ს. ჯანაშიას აზრით, ასეთი რამ შეიძლება ჰერაკლე კეისრის დროს მომხდარიყო, როდესაც ლაზებმა და აბაზგებმა იბერებთან ერთად, როგორც თეოფანე გადმოგვცემს, უარი უთხრეს კეისარს ლაშქრობაში შემდგომ დარჩენაზე და საკუთარ ქვეყანაში დაბრუნდნენ,[580] ე. ი. ლაზ მეფეთა დინასტიას VII საუკუნის 20-იან წლებამდე უბატონია. VIII საუკუნის დამლევს დასავლეთ საქართველო უკვე ახალ საფუძვლებზე ერთიანდება, სადაც სრულიად ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა გვევლინება წამყვანად.

ჩვენ აქ აღვნიშნეთ ლაზიკის სამეფოს პოლიტიკური თავგადასავლის მხოლოდ ძირითადი მომენტები, გვერდი ავუარეთ VI საუკუნეში წარმოებულ აღმოსავლურ ომში მხარეების მამოძრავებელ მოტივებზე საუბარს. არ შევეხეთ დაწვრილებით ლაზიკის მნიშვნელობას ბიზანტიისა და ირანისათვის. მაგრამ ამ საკითხებზე დაინტერესებული მკითხველი დამაკმაყოფილებელ პასუხს მიიღებს ს. ჯანაშიას, ივ. ჯავახიშვილის, გ. გოზალიშვილისა და სხვათა შრომებში.[581]

* * *

როგორი იყო ლაზთა სამეფოს ტერიტორიული მოცულობა? როგორი იყო მისი ეთნიკური სურათი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა, არსებული წყაროებით, მიახლოებით მაინც შესაძლებელია.

ლაზთა სამეფო ჩრდილოეთით კავკასიონის ქედით ისაზღვრებოდა, აღმოსავლეთით — ლიხის მთითა და მისი გაგრძელებით სამხრეთისაკენ, ხოლო სამხრეთით — მდ. ჭოროხითა და აჭარისწყლის ხეობით. სამეფოს პოლიტიკური საზღვრები, ცხადია, ყოველთვის ერთნაირი არ ყოფილა: იგი საგარეო პირობების ცვლილებათა მიხედვით, ხან ფართოვდებოდა,

---

[578] Fr., 4. გეორგიკა, III, 258.
[579] Tneophanis chrongraphia, გეორგიკა, IV, 105.
[580] იქვე, 94-97. ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრ. II, 88-89.
[581] ლიტერატურა ლაზიკის სამეფოზე: ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრ. II, 307-322. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრ. I. გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშ., ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1928. საქართველოს ისტორია, I, 99-103; 112-124 და სხვა.

ხან კი ვიწროვდებოდა. წინათ ლაზიკის სამეფოს შემადგენლობაში მყოფი აბაზგია, VI საუკუნეში უკვე მისგან გამოყოფილი ჩანს. იგივე შეიძლება ითქვას სვანეთზეც. ლაზიკის მეფეს არც ზღვისპირა ქალაქები ემორჩილებიან. განსაკუთრებით ეს ფასიდზე, დიოსკურიასა და პიტიუნტზე (ბიჭვინტა) ითქმის, სადაც რომაელებს თავიანთი გარნიზონები უყენიათ. ესენი რომაელთა აქ ბატონობის დასაყრდენი პუნქტებია. მათი მოსახლეობაც უფრო მეტად არაქართული უნდა ყოფილიყო.

ეთნიკურად ლაზთა სამეფო მეტად ჭრელ გაერთიანებას შეადგენდა გარეგნულად, მაგრამ სინამდვილეში იქ მხოლოდ ქართველური ტომები იყვნენ გაერთიანებული. აქ შედიან როგორც მეგრულ-ჭანური, ისე სვანური და ქართული მოდგმის ტომები და თემები. წერილობითი წყაროები აქ მოსახლედ უჩვენებენ: ზანებს, ეგრებს, აფშილებს, აბაზგებს, სანიგებს (წანებს), სვანებს, მისიმიელებს, ლეჩხუმელებს, სუდოხეზებს, ხოლო დასავლეთ საქართველოს დღევანდელი ეთნიკური შემადგენლობა გვიდასტურებს, რომ სამეფოს შემადგენლობაში ყოფილა იბერიული მოდგმის თემები (გურიაში, იმერეთში), სამხრეთით კი დროდადრო ლაზიკის სამეფოს შემადგენლობაში უნდა შემოსულიყო ჭანთა საცხოვრისის ნაწილიც.

* * *

ლაზთა სამეფოს სამეურნეო მდგომარეობა, ბუნებრივი პირობების გამო, არ უნდა ყოფილიყო ისე დაწინაურებული, როგორიც იბერიისა. წარმოების ტექნიკური დონე აქ ისეთივეა, თუ მაღალი არა, როგორიც იბერიაში, მაგრამ ნიადაგის სიმწირე, ჭაობიანობა, გადაჭარბებული ტენიანობა და ა. შ. ხელს უშლის სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების მომძლავრებას, როგორიცაა მევენახეობა და მარცვლეული, რომლებიც იმ ხანაში ძირითად სიმდიდრედ იყო აღიარებული. ლაზიკას ყოველ-თვის აკლდა მარცვლეული, ღვინო და მარილი, რომელიც მას ჩრდილო და სამხრეთ შავიზღვისპირეთიდან და იბერიიდან შემოჰქონდა. სამაგიეროდ, გაჰქონდა, და ჩვენთვის საინტერესო ხანაშიც, ხე-ტყე, მონები, ძენძი, ტყავები, ლითონური ნაწარმი და ა. შ. ლაზიკისთვის ამის გამო აღებ-მიცემობას დიდი სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა. ეს კარგად ჩანს VI საუკუნის 40-50 წლებში მომხდარ ბიზანტია-ლაზიკის კონფლიქტში, რომელიც, ძირითადად, ბიზანტიური სავაჭრო მონოპოლიის ლაზიკაში შემოღებით იყო გამოწვეული, რაც თავისთავად ლაზიკის საშინაო საქმეებში უხეში ფორმით ჩარევაც იყო. როგორც უკვე დადგენილია, მონო-

პოლიის შემოღებამ სული შეუხუთა ლაზიკის საქმიანი წრეების გარკვეულ ნაწილს, რაც კარგად გამოიყენა გუბაზ მეფემ და ბიზანტიელებს განუდგა. ლაზიკას სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა აქვს როგორც ჩრდილო და სამხრეთ შავიზღვისპირეთთან, ისე აღმოსავლეთ კავკასიის ქვეყნებთან და იმის მიხედვით, თუ რომელი ჯგუფი რომელ ბაზართან არის უფრო მჭიდროდ დაკავშირებული, ლაზიკაში ვხედავთ სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის წრეებს, რომელთა არსებობაც კარგად ჩანს გუბაზ მეფის მოკვლის შემდეგ გამართულ ლაზების სახალხო კრებაზე გამოსულ ორატორთა სიტყვებიდან, სადაც ერთმანეთს ებრძვიან ირანული და ბიზანტიური ორიენტაციის წრეების ლიდერები – აეტი და ფარტაძე.[582]

ლაზიკის ტერიტორიაზე არსებობენ როგორც სავაჭრო ცენტრები, ასევე სავაჭრო გზები,[583] რომლებიც მას ჩრდილოეთის, სამხრეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან აკავშირებდა. ეს გზები დიდი ხანია არსებობდა და იზიდავდა უცხოელ მოძალადეთა ყურადღებას. ჩვენთვის საინტერესო ხანაში ამ გზებით განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენენ ბიზანტია და ირანი. ერთიც და მეორეც ამ გზებს აძლევენ როგორც ეკონომიურ, ისე სამხედრო-თავდაცვით მნიშვნელობას. უკანასკნელი კავკასიის კარებზე გადმომავალ გზებს შეეხება უპირატესად, რადგან ამ კარების პატრონს თავისი სურვილის მიხედვით შეუძლია წარმართოს ჩრდ. კავკასიის ველებზე მოსახლე ნომადების მოძრაობა სამხრეთისაკენ. VI საუკუნეში ბიზანტია ცდილობს ამ გზების გამოყენებით დაარტყას ირანის მონოპოლიას აბრეშუმით ვაჭრობაში.

* * *

მეტად მწირია ცნობები ლაზიკის სამეფოს პოლიტიკურ წყობასა და სოციალური საფუძვლის მდგომარეობაზე. ჩვენ აქ ისეთი ცნობებიც კი არ გაგვაჩნია, როგორიც იბერიისთვის შუშანიკისა და ევსტათი მცხეთელის წამების მომთხრობელ ძეგლებში გვაქვს დაცული.

ლაზიკის სამეფოს პოლიტიკური წყობა გადარჩენილი მასალებით შემდეგნაირად წარმოგვიდგება: სამეფოს სათავეში დგას მეფე, რომელსაც ტახტზე რომის იმპერატორი ან ირანის შაჰი ამტკიცებს. მეფე ამავე

---

[582] Agath., III, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14. გეორგიკა, III, 63-81.

[583] ჯანაშია ს., დასახ. ნაშრ., 44 და შმდ. Еремян С, Торговые пути Закавказья в эпоху Сасанидов. ВДИ, 1939, №1 79 и сл. გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრ., 122 და შმდ.

დროს ჯარების მთავარსარდალიცაა. არსებობს „სამეფო კარი", რაზედაც „ლაზთა მეფის კარის რაზმების უფროსის" მოხსენიებაც უნდა მიგვითითებდეს (აგათიას ცნობით, გუბაზ მეფის დროს ფარსანტ კოლხი... ταγμάτων τοῦ Λαζῶν Βασιλέως ἡγεῖτο μάγιστρος ὄνομα τῇ ἀρχῇ ე. ი. „ლაზების სამეფო კარის რაზმებს სარდლობდა: მაგისტროსი იყო თანამდებობით.").[584] ქვეყნის სამართავად ლაზთა მეფეებს ჰყოლიათ მოხელეთა შტატი. მათ შორის ბიზანტიელი ავტორები იხსენიებენ „მაგისტროსებს". აგათიას სიტყვით, ამ მოხელეს ლაზიკაშიც ეს სახელი რქმევია (νενόμεσται γάρ τοῦτο καί παρά τοῖς ταύτη βαρβάροις).[585] ეს თანამდებობა უმაღლესი სამოხელეო რანგი ჩანს, და მის მატარებლად უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლები ინიშნებიან. პროკოპი კესარიელი ლაზთა მაგისტროსს ტერდეტის "Λαζεῖς Λογίμων და τῶ Λαζῶν ἄρχοντι ("ლაზი წარჩინებული" და ლაზთა მთავარი") სახელით იხსენიებს.[586] აგათიასთან იხსენიებიან „კოლხების მმართველები" (τά τῶν Κόλχων πράγματα).[587] მას არ ავიწყდება აღნიშნოს, რომ ეს „მმართველები" „დიდებულები" (οἱ δυναμΏτατοι) და „წარჩინებულები" (οἱ λογιμωτάτοι) არიან. მაგრამ არაფერს ამბობს, რატომ ეწოდებოდათ მმართველები, ან რა სახელები გააჩნდათ მათ. ამ მოხელეებს, კერძოდ მაგისტროსებს, როგორც ირკვევა, სამეფოს მთელ ტერიტორიაზე მიუწვდებათ ხელი და ყველგან ითვლებიან ლაზთა მეფის წარმომადგენლად. ამაში, ვფიქრობ, შემდეგი ფაქტით დავრწმუნდებით: ლაზთა სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა ისეთი ტომები და თემები (აბაზგები, აფშილები, სვანები), რომელთაც თავიანთი თვისტომი მეფე, მთავარი თუ ბელადი ჰყავდათ. ეს მთავრები (ἄρχων, ἥγήμων) უშუალოდ ლაზთა მეფეს ემორჩილებიან, ხოლო მათ საგამგეო ტერიტორიებზე ლაზთა მეფის უმაღლეს მოხელეებსაც მიუწვდებათ ხელი: ლაზთა მაგისტროსი ტერდეტი, როგორც პროკოპი გადმოგვცემს, წაჩხუბებია გუბაზს და ირანელებს შეუთანხმდა აფშილეთში მდებარე წიბილეს ციხეს გადმოგცემთო. ის მართლაც ახერხებს ციხეში შესვლას, რადგან „ციხის მცველ რაზმს არ შეეძლო არ ნდობოდა ლაზთა მთავარს"-ო.[588] ამგვარად, მეციხოვნე

---

[584] Agath., I, 13. გეორგიკა, III, 1567.
[585] იქვე.
[586] BG, VII, 10. გეორგიკა, II, 131-132.
[587] Agath., III, 8, იქვე, 63.
[588] BG, VIII, 10, იქვე, 132.

რაზმი თვლის, რომ ლაზთა მეფის მოხელის ციხეში არშეშვება მას არ შეუძლია.

სამწუხაროდ, ჩვენი ცნობები ლაზთა სამეფოს სამოხელეო შტატზე ამით ამოიწურება, მაგრამ მეფე მარტო მაგისტროსებით ვერ გაუძღვებოდა ასეთ სამეფოს. მას უნდა ჰყოლოდა თავისი უფრო მცირე ერისთავები, ხევისთავები, ციხისთავები, ქალაქისთავები, სოფლის მამასახლისები და ა. შ. როგორც პროკოპის ერთი ცნობიდან ირკვევა, ლაზებს უნდა ჰქონოდათ თავიანთი სამეფო არქივი. ყოველ შემთხვევაში, აქ წესად ჰქონიათ საბუთების შენახვა-დაცვა.[589]

სოციალურად, ჩვენთვის საინტერესო ხანის დასასრულს (V საუკ. დამლევი), ლაზიკა უკვე დიდი სოციალური ძვრებით ფეხმძიმე ქვეყანაა. საინტერესოა, რომ ამ დროს ქვეყნის პატრონებად უკვე „წარჩინებულებია" მიჩნეული, ე. ი. მსხვილ მიწათმფლობელ არისტოკრატიას „თავისუფალი" ერი უკვე მნიშვნელოვნად შეუზღუდავს. ლაზთა სახალხო კრებაზე, დამსწრეთა აზრს მხოლოდ დიდებულთა წარმომადგენლები წარმართავენ. ისინი არიან მიჩნეული „ქვეყნის მმართველებად". სამწუხაროდ, წყაროები არაფერს ამბობენ, თუ როგორი იყო „წარჩინებულთა" წოდებრივი იერარქია, მაგრამ იგი, ამ დროისათვის, იბერიის მაგალითის მიხედვით („შუშანიკის მარტვილობა"), ცხადად გამოხატულად არის საგულისხმებელი. ამავ დროს დაწყებული ჩანს შინაკლასობრივი ბრძოლა. წყაროებში დადასტურებულია როგორც მეფისგან გამდგარი და მასთან მებრძოლი მსხვილი დიდმოხელეები, ისე ურთიერთშორის მებრძოლი ჯგუფები, რომლებიც პოლიტიკურ ასპარეზზე თავიანთი ლიდერებით გამოდიან. ცხადია, მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში ეს ძალები დასაყრდენს უცხო ძალაშიც პოულობენ. ბიზანტიელები და ირანელები აქეზებენ ამ ძალებს. ამ მხრივ დამახასიათებელია ის ცნობა, რომელიც ქართულ საისტორიო მწერლობაში ქართლის შესახებაა დაცული. ჯუანშერის სიტყვით, გუარამ ერისთავი „მეფობდა კეთილად და უშფოთველად, არამედ ერისთავნი ქართლისანი ვერ ცვალნა საერისთაოთაგან მათთა, რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელნი მკვიდრობისათვის საერისთავოთა მათთა."[590] „მკვიდრობის სიგელისათვის" ბრძოლა დიდხანს გრძელდებოდა საქართველოში მეფესა და აზნაურებს შორის. ქართლში იგი მეფობის გაუქმებითა და აზნაურობის გამარჯვებით

[589] BP, II, 15. იქვე, 49.
[590] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, M, 1907, 190. A, 1942, 144.

დამთავრდა, მაგრამ ეგრისის შესახებ ცნობები მეტად მწირია. მაინც, აქაც მეფის პატრიკიოსად გადაქცევის გარემოება სამეფო ხელისუფლების დამარცხებაზე უნდა მიგვითითებდეს.[591] ეს არის ხანა, როცა წარმოების ფეოდალურ წესს ჯერ კიდევ არ მოუცავს მთელი საზოგადოება, არ გამხდარა ერთადერთი ღერძი ცხოვრებისა, მაგრამ იგი ამ დროს ასეთად გადაქცევის წინადღეს განიცდის.

სამწუხაროდ, ჩვენ არაფერი ვიცით, თუ რა მდგომარეობაშია უშუალოდ მწარმოებელთა მასა. აქ წერილობითი წყაროების დუმილით გამოწვეული ხარვეზი არქეოლოგის ნიჩბით მოპოვებულმა მასალამ უნდა შეავსოს. მაგრამ კოლხიდის არქეოლოგია ჯერ ისე არ მოღონიერებულა, რომ მისი მასალებით ამ საკითხზე რაიმე უეჭვო დასკვნის გაკეთება შეიძლებოდეს.

ყოველ შემთხვევაში, მომდევნო ხანის მდგომარეობის გათვალისწინებით ცხადი ხდება, რომ IV-VI საუკუნეებში ფეოდალური წარმოების წესს უკვე მოუცავს საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი და იგი, ესესაა იმდროინდელი ცხოვრების ძირითად ღერძად უნდა გადაიქცეს.

---

[591] ეს გარემოება, თავის მხრივ, იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ ლაზიკის სამეფო ხელისუფლება არ იყო ფეოდალურ ძალთა პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა, არამედ სულ სხვა ძალების, რომელთა საისტორიო სცენიდან გასვლის კვალდაკვალ ლაზთა მეფის ხელისუფლებაყ ჰქრება. რომ ლაზიკის მეფის ხელისუფლება აღმოცენებული ყოფილიყო ფეოდალურ ძალთა ინტეგრაციის შედეგად, მაშინ ფეოდალურ ძალთა შემდგომი გაძლიერების ნიადაგზე იგი კიდევ უფრო უნდა გაძლიერებულიყო და განმტკიცებულიყო, მაგრამ სინამდვილეში ჩვენ სრულიად საწინააღმდეგო ფაქტის წინაშე ვდგებით, – ვღებულობთ, რომ მზარდი ფეოდალური ძალები სპობენ იმ ორგანოს, რომელიც მათი შემდგომი ზრდისა და ბატონობის გარდაუვალი იარაღი უნდა იყოს...

წყაროები და ლიტერატურა

წყაროები

1. Ἀγαθίας Σχολαστικός, περὶ Ἰουστινιανοῦ βασιλεία, გეორგიკა,III, 23-187
2. Ἀππιανός, Μιθριδάτεως, SC, I, 526-539
1. Αἰσχύλος, Προμηθεύς δεσμώτης, SC, I, 333-336
2. Αἴλιος Ἡρωδιανός, Ὁ τεχνικός, SC, I, 575-580
3. Ἀπολλόδωρος, Βιβλιοθήκη, SC, I, 447-451
4. Ἀπολλώνιος Ρόδιος, Ἀργοναυτικά, SC, I, 412-424
5. Ἀριστοτέλης, Περὶ θαυμασίων ἀκουσμάτων, SC, I, 379-380
6. Ἀρριανός Φ. 1) Περίπλους Ευξείνου Πόντου, SC, I, 217-228
   2) Ἀνάβασις Ἀλεξάνδρου, SC, I, 513-518
   3) Ἰνδική, SC, I, 519-520
   4) Ἀλανική ἱστορία, SC, I
7. 9. Ἀρριανός (), Περίπλους Ευξείνου Πόντου, SC, I, 271-288
2. Διονύσιος, Οἰκουμένης περιήγησις, SC, I, 178-187
3. Δίων Κάσσιος Κοκκηϊνός, Ῥωμαϊκὴ ἱστορία, SC, I, 609-623
4. Διονύσιος Ἁλικαρνασσεύς, Ῥωμαϊκὴ ἀρχαιολογία, SC, I, 479-480
5. Διόδωρος Σικελιώτης, Βιβλιοθήκη, SC, I, 457-479
6. Διοσκορίδης, Περὶ ὕλης ιατρικῆς, SC, I, 507
7. Δημοσθένης, Περὶ τῆς ἀτελείας πρὸς Λεπτίνην, SC, I, 364-366
8. Ἑρμείας Σωζόμενος, Ἐκκλησιαστικὴ ἱστορία, SC, I, 756-772
9. Ἐρατοσθένης, Γεωγραφικά, SC, I, 411-412
10. Ἑκαταῖος Μιλήσιος, Περίοδος γῆς, SC, I, 1-3
11. Εὐάγρος Σχολαστικός, Ἐκκλησιστικὴ ἱστορία, გეორგიკა, III, 290-300
12. Εὐσέβιος, Προπαρασκευὴ εὐαγγελική, SC, I, 662-681
13. Εὐστάθιος, 1) Παρεκβόλαι εἰς τὴν Ὅμηρον Ἰλιάδα, SC, I, 305
    2) Παρεκβόλαι εἰς τὴν Ὅμηρον Ὀδυσσείον, SC, I, 305-311
    3) Παρεκβόλαι εἰς τὴν Διονυσίου «Περιήγησιν», SC, I, 187-209
14. Ἔφορος, Ἱστοριῶν ἀποσπάσματα, SC, I, 362-363
15. Ζαχάριας Ρήτωρ Ἐκκλησιαστικὴ ἱστορία, გეორგიკა, III, 1-22
16. Ζώσιμος, Ἱστορία νέα, SC, I,787-810
17. Ἡρόδωτος, Ἱστορίαι, SC, I, 4-57
18. Ἡσίοδος, Θεογονία, SC, I, 317-319
19. Θεοφάνης Βυζάντιος, გეორგიკა, III, 202-252
20. Θεόφραστος, Τρωικά, SC, I, 388-389
21. Θεοφύλατος Σιμοκράττης, Ἱστορίαι, გეორგიკა, IV, 5-16
22. Θεοφάνης Ὁμολογήτης, Χρονογραφία, გეორგიკა, IV, 70-117

23. Ἰουλίος Πολυδεύκης, Ὀνομαστικόν, SC, I, 589-590
24. Ἰοάνης Λίδος, Περὶ ἄρχων τῆς Ῥωμάιων πολιτείας, გეორგიკა, II, 200-205
25. Ἰουστινιανός, Νοουέλαι, გეორგიკა, II, 196-199
26. Ἰωάννης Ἀντιοχεύς, Ἱστοία, გეორგიკა, IV, 1-4
27. Ἰωάννης Μαλάλας. Χρονογραφία, გეორგიკა, III, 260-271
28. Ἱππόκρατος, Περὶ ἀερῶν, ὑδάτων, τόπων, SC, I, 57-65
29. Κλ. Πτολεμαῖος, Γεωγραφική ὑφήγησις, SC, I, 228-247
30. Κλαύδιος Αἰλίανος, Περὶ ζῶων, SC, I, 601-608
31. Μέμνων, Περὶ Ἡρακλείας, SC, I, 509-510
32. Μένανδρος, Ἱστορία, გეორგიკა, III, 202-252
33. Νικηφόρος Βλεμμίδος, Γεωγραφία συνοπτική, SC, I, 290-293
34. Ξενοφῶντος, 1) Κύρου ἀνάβασις, SC, I, 65-84
    2) Κυνηγετικός, SC, I, 359
35. Ὅμηρος, Ἰλιάς, Ὀδύσσεια, SC, I, 299-301
36. Παυςάνιας, Περιήγηγσις τῆς Ἑλλάδος, SC, I, 570-575
37. Παλαίφατος, Τρωικά, SC, I, 388-389
38. Πίνδαρος, Πυθιονικαί, SC, I, 323-325
39. Πλούταρχος, Βίοι παράλλελοι, SC, I, 485-504, 929-930
40. Πρίσκος Πανίτης, 1) Ἱστορία Γοτθική, SC, I, 810-846
    2) «Ταρσοὶ καλάμων», SC, I, 847
41. Προκόπιος Καισαρέως, 1) Πολεμικά, გეორგიკა, II, 11-182
    2) Περὶ κτισμάτων, გეორგიკა, II, 182-193
    3) Ἀνέκδοτα, გეორგიკა, II, 193-195
42. Πολύβιος, Ἱστορίαι, SC, I, 440-444
43. Σκύλακος Καριάνδεως, Περίπλους ..., SC, I, 84-86
44. Στράβωνος, Γεωγραφικά, SC, I, 91-164
45. Στέφανος Βυζάντιος, Ἐθνικά, SC, I, 252-271, გეორგიკა, III, 272-289
46. Φλαούιος Ἰωσῆπος, 1) Ἰουδαϊκὴ ἀρχαιολογία, SC, I, 482-483
    2) Περὶ τοῦ Ἰουδαϊκοῦ πολέμου, SC, I, 483-484
47. Chronicon Paschale, გეორგიკა, IV, 5-16
48. Ammianus Marcelinus, Perum gestarum libri Qui Supersunt, SC, II, 324-345
49. Ampelius, Liber memorialis, SC, II, 260
50. Annaeus Seneca, Dialogorum liber, I-XII, SC, II, 132-134
51. Annaeus Seneca, Thyestis, SC, II, 139-141
52. Annaeus Lucanus, De bello civilix libri decem, SC, II, 145-151
53. Claudius Claudianus, 1) In Eutropium, I-II, SC, II, 382-383
    2) De consulatu Stilichonis, I-III, SC, II, 383-384
54. Cornelius Tacitus, 1) Annaleus, II, IV, VI, XI, XIII, SC, II, 231-246
    2) Historiae, I, III, SC, II, 247-249
55. Curtius Rufus, Historiae Alexandri Magni, IV, VI, VII, VIII, IX, X, SC, II,126-132

56. Drepanius, Panegyricus Theodosio Augusto dictus, V, X, XIV, XXII, XXXII, XXXIII, SC, II, 346-348
57. Eusebius Hieronymus, 1) Epistolae, 60, 77, 107, 108, 122, SC, II, 367-370
    2) Adversus Jovianum, II, SC, II, 370
58. Eutropius, Historia Romano, V, VI, VII, VIII, IX, SC, II, 319-321
59. Festus, Breviarum rerum gestarum populi Romani, III, X, XI, XIV, XVI, XX, SC, II, 321-323
60. Julius Capitolinus, 1) Aelii Spartiani Hadrianus, 3,5,6, 17, 21, SC, II, 292,293
    2) Gallieni dua, 4, 11, SC, II, 298-299
61. Livius, T., 1) Ab urbe condita libri, 25, 30, 31, 32, 33, SC, II, 44, 49

a. Periochae, 92, 95, 97, 98, 100, 101, 102, 113, 115, SC, II, 49-51

62. Ovidius Noso, 1) Heroides, 18, SC, II, 70
    2) Epistole ex Ponto, I-IV, SC, II, 90-103
63. Plinius Secundus, Naturalis Historia, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 16, 17, 18, 19, 21, 22, 25, 26, 27, 29, 31, 32, 33, 37, SC, II, 167-200
64. Pomponius Mela, De chronografia, 1, 2, 3, SC, II, 115-126
65. Septimius Florens Tertulianus, Ad mationes, libri duo, II, SC, II, 268
66. Tyranius Rufinus, Historia ecclesiastica, I, SC, II, 362-365
67. Valerius Catullus, Carmina, SC, II, 13
68. Valerius Flaccus, Argonavticon, 1, 4, 5, 6, 7, 8, SC, II, 201-214
69. Valerius Probus, Commentarius in Georgica, 1, 2, 3, SC, II, 25-26
70. Virgilius Maro, 1) Bucolica, 6, SC, II, 13
    2) Georgica, 1, 2, 3, 4, 6, 8, 11, SC, II, 14-16
71. Vitruvius Pollic, De architectura, II, 1-4, SC, II, 42-43

ლიტერატურა

1. აფაქიძე ა., ბიჭვინთა, 1952 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თეზისები, თბ., 1953.
2. აფაქიძე ა., შენიშვნები Scithica et Caucasica-ს ახალი გამოცემის გამო, საქ. მუზ. მოამბე, XV-B, თბ., 1948.
3. აფაქიძე ა., ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1940. (ხელნა-წერი დისერტაციისა)
4. აფაქიძე ა., ანთიმონის წარმოების ისტორიისათვის საქართველოში, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XV-B, თბ. 1948.
5. აფაქიძე ა., არქეოლოგიური გათხრები საქართველოს უძველეს დედაქა-ლაქში, „ბოლშევიკი". 1945, №6.
6. აფაქიძე ა., ანტიკური წყაროების „სევსამორას" ლოკალიზაციის სა-კითხისათვის, თეზისები, თბ., 1953.
7. ბარდაველიძე ვ., ხევსურული თემი.

8. ბერძენიშვილი ნ., ქართული საბჭოთა არქეოლოგიის ზოგიერთი პრინციპული საკითხისათვის, „მიმომხილველი", II, თბ., 1951.
9. ბერძენიშვილი ნ., ჯანაშია ს., საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, „მიმომხილველი", III, თბ., 1953.
10. ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია, I. თბ., 1948.
72. ბერძნიშვილი მ., ქალაქ ფაზისის ლოკალიზაციისათვის, თსუ შრომები, XXIII, თბ., 1942.
73. ბიბლია, თბ., 1884.
74. გეგეშიძე მ., ბორბლის უძველესი სახეების საკითხისათვის, „მიმომხილველი", II. თბ., 1951.
75. გობეჯიშვილი გ., არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952.
76. გობეჯიშვილი გ., ძველი ქართული სამთამადნო და მეტალურგიული წარმოების ნაშთები სოფ. ღებთან, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XIII, 3, თბ., 1952.
77. გობეჯიშვილი გ., სტალინირის ნაცარგორა, „მიმომხილველი", II, თბ., 1951.
78. გობეჯიშვილი გ., მდ. რიონის სათავეებში 1952 წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები, თეზისები, თბ., 1953.
79. გოზალიშვილი გ., ბიზანტიასა და ირანს შორის ბრძოლა იბერიალაზიკისათვის VI საუკუნეში, თსუ შრომები, XXVI –ვ, თბ., 1944.
80. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოისა, თბ., 1941.
81. ინაძე მ., ფლავიუს არიანე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1953 (ხელნაბეჭდი).
82. ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, „მნათობი", თბ., 1950, №3,4,7....
83. კაკაბაძე ს., ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, I, თბ., 1924.
84. კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950.
85. კილაძე ნ., ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 29, თბ. 1951.
86. ლომთათიძე გ., არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში, თბ., 1945.
87. ლომთათიძე გ., წინაპართა ნაკვალევი, თბ., 1952.
88. ლომთათიძე გ., ციციშვილი, ი., ახალადმოჩენილი აკლდამა მცხეთაში. საქართ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე. XII, 10, თბ., 1951.
89. ლომოური ნ., პტოლემაიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ. 1952.
90. მარქსი კ., პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკისათვის, თბ., 1952.
91. მარქსი კ., კაპიტალი, I, თბ. 1930. კაპიტალი, III_2 თბ., 1933.
92. მელიქიშვილი გ., ურარტუ, თბ., 1952.
93. მელიქიშვილი გ., უძველესი სამეფო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, „მიმომხილველი", II, თბ., 1952.

94. მელიქიშვილი გ., ქაშქების ხალხის ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, „მიმომხილველი", III. თბ., 1953.
95. მენაბდე ტ., საქართველოს ქერები, თბილისის ბოტანიკური ინსტიტუტის შრომები, VI, თბ., 1938
96. მიქელაძე თ., ქსენოფონტის „ანაბასისი" და მისი ცნობები ქართული ტომების შესახებ, თბ., 1952 (ხელნაბეჭდი).
97. ნიორაძე გ., არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში, ენიმკის მოამბე, X, თბ., 1941.
98. ნიორაძე გ., ზემო ავჭალის სამარე, საქართველოს სახ. მუზ. მოამბე. VII, თბ., 1931.
99. რამიშვილი მ., გურიის, აჭარისა და სამეგრელოს ვაზის ჯიშები, თბ., 1948.
100. რეხვიაშვილი ნ., მჭედლობა რაჭაში, თბ., 1953.
101. რობაქიძე ალ., მეფუტკრეობა გურიაში, მასალები საქართველოს ენთოგრაფიისათვის, V თბ., 1951.
102. რობაქიძე ალ., მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ერთი წეს-ჩვეულების შესახებ, „მიმომხილველი", III, თბ., 1953.
103. სტალინი ი. ბ., დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ, ლენინიზმის საკითხები, XI, თბ. 1951.
104. სტალინი ი. ბ., სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, თბ., 1953.
105. საბანისძე იოვანე, წამება აბო თბილელისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატია, I, თბ., 1946.
106. სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, თბ., 1941.
107. სიჭინავა ვ., ძველი კოლხეთის კულტურის ისტორიიდან, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, III, 1954.
108. სუმბაძე ლ. კოლხური საცხოვრებელი სახლი ვიტრუვის მიხედვით, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, I, თბ., 1945.
109. ქართლის ცხოვრება, ანასეული ნუსხა, თბ., 1942.
110. ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1949.
111. ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II., თბ., 1950.
112. ყაუხჩიშვილი ს., რიტორიკული განათლების ცენტრები ძველ კოლხეთში, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, X-B, თბ., 1940.
113. ყაუხჩიშვილი ს., მისიმიანთა ტომი, თსუ შრომები, I, თბ., 1936.
114. ყაუხჩიშვილი თ., ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951.
115. ყაუხჩიშვილი თ., Γένος ტერმინის მნიშვნელობისათვის სტრაბონთან, „მიმომხილველი", III, თბ., 1953.
116. ჩიტაია გ., აკად. ს. ჯანაშია და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა, „მიმომხილველი", I, თბ., 1949.
117. ჩიტაია გ., რაჭული სახვნელი, ენიმკის მოამბე, I, თბ., 1937.
118. ჩიტაია გ., დასახლების ტიპი მთიულეთში, თეზისები, თბ., 1953.

119. ჩუბინიშვილი ტ., სოფ. გოგოლეისუბანში გვიანი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კომპლექსის აღმოჩენის გამო, „მიმომხილველი", I, თბ., 1949.
120. ციციშვილი ი., მცხეთის ანტიკური კრამიტის შესწავლისათვის, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. „მოამბე", IX, 8 თბ., 1951
121. წერეთელი გ., არმაზის ბილინგვა, ენიმკის მოამბე, XIII, თბ., 1943.
122. ხარაძე რ., დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1940.
123. ხოშტარია ნ., არქეოლოგიური გათხრები სოფ. ვანში 1947 წელს. „მიმომხილველი", I, თბ., 1949.
124. ხოშტარია ნ., დიხა გუძუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლობა, საქართ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე", II, თბ., 1944.
125. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951.
126. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, I, თბ., 1928.
127. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძირითადი ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950.
128. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, თბ., 1930.
129. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, თბ., 1935.
130. ჯანაშია ს., ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში, შრ., II, თბ., 1952.
131. ჯანაშია ს., გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში, შრომები, II, თბ., 1952.
132. ჯანაშია ს., თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, ენიმკის მოამბე, I, თბ., 1937.
133. ჯანაშია ს., ადრეული ფეოდალიზმი, შრ., II., თბ., 1952.
134. ჯანაშია ს., ბრძოლა მიწის ფეოდალური მითვისებისათვის საქართველოში, შრ., II, თბ., 1952.
135. ჯანაშია ს., უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ, შრ. II. თბ., 1952.
136. ჯანაშია ს., პარიადრი, სკიდასი, მოსხური მთები, შრ., II, თბ., 1952.
137. ჯანაშია ს., საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრ., I, თბ., 1949.
138. ჯანაშია ს., ფეოდალური რეოლუცია საქართველოში, შრ., II, თბ., 1949.
139. ჯანაშია ს., ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრ., II, თბ., 1952.
140. ჯაფარიძე, ო., კოლხური ცული, საქართ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVI-ვ, თბ., 1950.
141. ჯაფარიძე ო., მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ ქართულ კულტურაში, თ ს უ შრომები, 49, თბ., 1953.
142. Авдиев В., История Древнего Востока, М., 1953.
143. Адонц Н., Армения в эпоху Юстиниана, СПБ., 1903.
144. Амиранашвили Ш., История Грузинского исскуства, М., 1950.
145. Апакидзе А., Гобеджишвили Г., Каландадзе А., Ломтатидзе Г., Против маровшины и космополитизма в Археологии Грузии. «Заря Востока», 1952, 19, VI (№144).
146. Бардавелидзе В., Земельные владения древнегрузинских святилищ, СЭ, 1949, №1.

147. Бузескул В., Открытия XIX и начала XX века в области истории древнего мира, 1, Восток, ПБ, 1923.
148. Бердзенишвили Н., Ломтатидзе Г., Новые раскопки в Мцхета, «Заря Востока», 1951, 5, VIII, №183.
149. Болдырев А., Боровск И., Военная техника, «Эллинистическая техника», М.-Л., 1948.
150. Болтунова А., Описание Иберии в «Географии» Страбона, XI, 3, 1-6, ВДИ, 1947, №4.
151. Болтунова А., Восстание Аникета, ВДИ, 1939, №2.
152. Гаидукевич В., Боспорское царство, М., 1949.
153. Голубцова Е., Северное Причерноморье и Рим на рубеже нашей эры, М., 1951.
154. Граков, Материалы по истории Скифии в греческих надписях, ВДИ, М., 1939, №3.
155. Деген-Ковалевский Б., Из истории железного производства Закавказья, ИГАИМК, 120, М.-Л., 1936.
156. Деилор Т., Путешествие в Лазистан и Армению, Тб., 1871.
157. Еремян С., Торговые пути Закавказья в эпоху Сасанидов по Т.Р., ВДИ, 1939, №1.
158. Зограф А., Распространение находок античных монет на Кавказе, Труды отдел. нумизм. Гос. Эрмитажа, Л., 1945.
159. Ивашенко М., Материалы к изучению культуры колхов, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, II, თბ., 1941.
160. Иессен А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, ИГАИМК, 120, Л., 1935.
161. Иессен А., Древнейшая металлургия Кавказа и ее роль в Передней Азии (Доклады III международного конгресса по иранской истории и археологии), М.-Л., 1939.
162. Куфтин Б., Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941.
163. Куфтин Б., Материалы к археологии Колхиды, I, Тб., 1949.
164. Куфтин Б., Материалы к археологии Колхиды, II, Тб., 1950.
165. Латышев В., Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, I_1, I_2, I_3, II_1, II_2, СПБ, 1893-1906.
166. Маркс К., Формы, предшествующие капиталистическому производству, ВДИ, 1940, №1.
167. Марр Н., Из поездки в Турецкий Лазистан, ИАН, СПБ, 1910.
168. Максимова М., Геммы из некрополя Мцхета-Самтавро, საქართ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVI, B, თბ., 1950.
169. Максимова М., Местное население юго-восточного Причерноморья по «Анабасису» Ксенофонта. Дрилы и Моссиники, ВДИ, 1951, №1.
170. Максимова М., Техника эллинистического производства, в сб-ке: «Эллинистическая техника», М.-Л., 1948.
171. Максимова М., О выходе хеттов на южный берег Черного моря, ВДИ, 1948, №4.
172. Манандян Я., О местопохождении Caspia via и Caspia porta, Исторические записки, 25, Ереван, 1948.

173. Манандян Я., О торговле и городах Армении, Ереван, 1930.
174. Манандян Я., Заметки о феодальном войске Парфии и аршакидской Армении, Ереван, 1932.
175. Манандян Я., Цель и направление подготовлявшегося Нероном Кавказского похода, Вопросы истории, 1946, №7.
176. Манандян Я., О некоторых проблемах истории древней Армении и Закавказья, Ереван, 1944.
177. Машкин Н., Принципат Августа, М.-Л., 1949.
178. Медведев, Турция, М.-Л., 1946.
179. Меликишвили Г., Наири-Урарту, Тб., 1954.
180. Мшвениерадзе Д., Строительное дело в древней Грузии, Тб., 1952.
181. Менабде Т., Ботанико-систематические данные о хлебных злаках древней Колхиды, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, I, თბ., 1940.
182. Менабде Т., Пшеница Грузии, Тб., 1948.
183. Невская В., Византия в классическую и эллинистическую эпохи, М., 1953 (Причерноморье в античную эпоху, №4).
184. Осман-бей, Лазистан, ИРГО, X, 8, 1874.
185. Пахомов Е., Монетные клады Азербайджана и Закавказья, Труды общ. обсл. и изуч. Ажербайджана, Баку, 1927.
186. Пиотровский Б., История и культура Урарту, Ереван, 1944.
187. Ранович А., Эллинизм и ее историческая роль, М.-Л., 1950.
188. Ранович А., Восточные провинции Римской империи в I-III вв., М.-Л., 1949.
189. Робакидзе А., К вопросу о пчеловодстве в Грузии, КСИЭ, VIII, Тб., 1949.
190. Скуднова В., Находки колхидских монет и пифосов в Нимфее, ВДИ, 1952, №2.
191. Соловъев Д., Следы древнего соляного промысла близ г. Сухуми и г. Очамчири, Труды Абхазского Госуд. Музея, I, 1947.
192. Струве А., Надпись Ксеркса «О дэвах» и религиозные верования персов, ИАН, II, 3, 1944.
193. Тарн В., Эллинистическая цивилизация, М., 1949.
194. Тенцов В., Сванетия (географ. очерк), СМОМПК, X, Тб., 1890.
195. Турецко-русский словарь, М., 1931.
196. Услар П., Древнейшие сказания о Кавказе, ЗКОРГО, XII, Тб., 1881.
197. Успенский Ф., Очерки из истории Трапезунтской империи, Л., 1929.
198. Харадзе Р., Структура семейной общины в Картли, «Вопросы этнографии Кавказа», Тб., 1952.
199. Хаханов А., Древнейшие пределы расселения Грузин по Малой Азии, ЗКОРГО, XXII, 6, Тб., 1903.
200. Хоштария Н., Древнее поселение в Даблагоми, Тб., 1941 (рукопись).
201. Хоштария Н., Археологические разведки, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, II, თბ., 1941.
202. Церетели Г., Армазская Билингва, Тб., 1941.
203. Церетели Г., Эпиграфические находки в Мцхета, ВДИ, 1948, №2.
204. Церетели Г., Армазское письмо и проблема происхождения грузинского алфавита, «Эпиграфика Востока», II, 1948, III, 1949.

205. Цицишвили И., Гробница античного времени в Багинети, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XI, 3, თბ., 1951.
206. Читая Г., Земледельческие системы и пахотные орудия Грузии, «Вопросы этнографии Кавказа», Тб., 1952.
207. Читая Г., К вопросу о происхождении абхазского пахатного орудия, «Вопросы этнографии Кавказа», Тб., 1952.

გამომცემლობის დირექტორი
ნანა ხახუტაიშვილი

გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე
ტექნიკური რედაქტორი – ედუარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.05.2009
ქაღალდის ზომა 70X108 1/16
ფიზიკური თაბახი 11.5
ტირაჟი 100

ფასი სახელშეკრულებო

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში
ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35.